

ფსიქოლოგიისა და განათლების მეცნიერებათა  
ფაკულტეტი

თამარ კაკუტია

ადგილობრივი შრომის ბაზრის როლი  
პროფესიული განათლების დაგეგმვასა და  
განვითარებაში

დისერტაციის ხელმძღვანელი:

პროფესორი ქეთევან ჭკუასელი

დისერტაციის დაცვის წელი: 2017

## შინაარსი

შესავალი.....	3
1. პროფესიული განათლების წარმოშობის ისტორია საქართველოში.....	7
1.1. პროფესიული ცოდნის დაგროვების ისტორია საქართველოში .....	7
1.2. საბჭოთა რეალობის გავლენა პროფესიულ განათლებაზე საქართველოში .....	25
1.3. საქართველოს პროფესიული განათლება 1991 წლიდან 2007 წლამდე.....	27
2. პროფესიული განათლების განვითარების ძირითადი ევროპული მიმართულებები .....	40
2.1. ევროპის საკვალიფიკაციო ჩარჩო .....	41
2.2. ევროპული ინტეგრაცია პროფესიული განათლების სფეროში .....	43
2.3. შრომის ბაზრისა და პროფესიული სასწავლებლების ურთიერთობის მოდელები .....	56
3. პროფესიული განათლება თანამედროვე საქართველოში - არსებული რეალობა, პრობლემები და მათი გადაჭრის გზები .....	67
3.1. საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს პროფესიული განათლების სტრატეგია .....	68
3.2. ფაქტობრივი მდგომარეობა პროფესიულ განათლებაში პრობლემები და მათი გადაჭრის გზები.....	70
3.3. მასწავლებელი პროფესიულ განათლებაში .....	101
3.4. ადგილობრივი შრომის ბაზარი და მისი გავლენა პროფესიულ განათლებაზე საქართველოში .....	105
კვლევითი ნაწილი - ადგილობრივი შრომის ბაზარი და მისი გავლენა პროფესიულ განათლებაზე საქართველოში.....	120
დასკვნა.....	157
გამოყენებული ლიტერატურა .....	167
დანართები .....	178

## შესავალი

2004-2016 წლებში საქართველოში მიმდინარე ეკონომიკური რეფორმების შედეგად ქვეყანამ საგრძნობი ეკონომიკური ზრდა განიცადა. მნიშვნელოვნად გაუმჯობესდა ბიზნესგარემო. მთლიანი შიდა პროდუქტი (მშპ) საშუალოდ 7%-ით გაიზარდა (საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური, 2016,[118]).

ამის მიუხედავად, ქვეყანა კვლავ დიდი გამოწვევების წინაშე დგას: უმუშევრობის მაღალი დონე, ახალი სამუშაო ადგილების შექმნის დაბალი მაჩვენებელი, სოფლის მეურნეობის სფეროში მომუშავე თვითდასაქმებულთა დაბალი პროდუქტიულობა, სიღარიბე (განსაკუთრებით რეგიონებში, სოფლად) და ა.შ. (European Training Foundation, 2012).

„ტურინის პროცესი 2016“-ის ფარგლებში, საქსტატის გარდა მონაცემები შეგროვდა ფოკუს ჯგუფების დახმარებით. რეგიონებში ჩატარდა 3 ფოკუსჯგუფი (კახეთი, იმერეთი და აჭარა), შედეგად გამოვლინდა, რომ უმუშევრობა (განსაკუთრებით ახალგაზრდებისა და სოციალურად დაუცველი ჯგუფების) დიდი პრობლემაა ყველა რეგიონში (ფოკუსჯგუფები დამსაქმებლებთან, 2016), (European Centre for the Development of Vocational Training [Cedefop], 2016).

ნებისმიერი ქვეყნის ეკონომიკური განვითარების დაჩქარებისა და არსებული სოციალური პრობლემების გადაჭრისათვის გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს მოსახლეობის დასაქმების ხელშეწყობას, შრომის ბაზრის ეფექტიან ფუნქციონირებას. აღნიშნული ამოცანის გადაჭრა სახელმწიფოს ერთ-ერთი ძირითადი ფუნქცია და მოვალეობაა. მაღალი უმუშევრობის პირობებშიც კი, საქართველოში დამსაქმებლებისათვის პრობლემურია გარავეული პროფესიების დეფიციტი. პროფესიული განათლების სისტემა დგას გამოწვევის წინაშე - სწრაფად და ეფექტიანად უპასუხოს შრომის ბაზრის მოთხოვნებს. (European Centre for the Development of Vocational Training [Cedefop], 2016). დამსაქმებლები ვერ ახერხებენ მათთვის საჭირო პროფესიული განათლების მქონე კადრების მოძიებას. შესაბამისად, სამუშაო ძალაზე მოთხოვნასა და მიწოდებას შორის აშკარა დისბალანსია (საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო, 2015). ასეთ ვითარებაში, დიდი მნიშვნელობა ენიჭება კავშირს საგანმანათლებლო

დაწესებულებების პროგრამების სწავლის შედეგებსა და შრომის ბაზრის დაკვეთებს შორის, კერძოდ, შრომის ბაზრის აქტიურ მონაწილეობას პროგრამების დაგეგმვისა და განვითარების პროცესში.

ჩვენი საკვლევი თემიდან გამომდინარე, საინტერესოა პროფესიული განათლების საგანმანათლებლო პროგრამების მიმართების საკითხი შრომის ბაზრის დასკვნებთან.

კავშირი პროფესიულ საგანმანათლებლო დაწესებულებებსა და სოციალურ პარტნიორებთან მაკრო, მეზო და მიკრო დონეზე მოიცავს შრომის ბაზრის ჩართულობას პროფესიული განათლების დაგეგმვასა და განვითარებაში. თუმცა ამ ეტაპზე მათი მონაწილეობა სამივე დონეზე სუსტია. ამას ასევე ადასტურებს საქართველოში კადრების მომზადების სისტემის თაობაზე მსოფლიო ბანკის ანგარიში (The World Bank [WB], 2014). ამ ანგარიშის თანახმად, შრომის ბაზრის პკლევების ფრაგმენტული ხასიათი და უნარების ხარვეზების შეფასებები ქვეყნის ეკონომიკურ პერსპექტივებთან დამოკიდებულებაში უმთავრეს პრობლემას წარმოადგენს. თუმცა, მიუხედავად იმისა, რომ სახელმწიფო და სოციალური პარტნიორები აღიარებენ გადამზადებული და კვალიფიციური სამუშაო ძალის დიდ მნიშვნელობას ეკონომიკური განვითარების პროცესში, შრომის ბაზრისა და პროფესიული განათლების ურთიერთკავშირი შესწავლილი არ არის. მხოლოდ რამდენიმე გამონაკლისის გარდა, ასევე სუსტია ინსტიტუციონალური კავშირის მექანიზმები დამსაქმებელსა და პროფესიულ საგანმანათლებლო დაწესებულებას შორის. ამ სფეროში არსებული ინიციატივები შემოიფარგლება დონორების მიერ დაფინანსებული პროექტებით და არ ხორციელდება რეგულარულად.

ამის მიუხედავად, ეს არის ზუსტად ის, რაც კარგად ფუნქციონირებადი სამუშაო ძალის განვითრების სისტემას სჭირდება, რათა დროულად მოხდეს შრომის ბაზრის დინამიკის მონიტორინგი და სწორედ მისი მოთხოვნების შესაბამისად მოხდეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში სასწავლო გარემოსა და სასწავლო პროგრამების დაგეგმვა-მოდიფიცირება.

პროფესიულ სასწავლებლებში სწავლების მსურველთა (ყოველწლიურად საშუალოდ ათი ათასი) სიმცირე და სასწავლებლებიდან პროფესიული სტუდენტების გადინების მაღალი მაჩვენებელი (საშუალოდ 30%) პირდაპირ კავშირშია იმ

პროფესიათა პრესტიჟულობასთან, რომლებიც პროფესიული სწავლების კვალიფიკაციათა ნიშაში ჯდება. ამას ასევე განაპირობებს არასაკმარისი პროფორიენტაცია და დაბალი ანაზღაურება (კაკუტია, 2016, გვ. 320).

დასაქმების სფეროში ეფექტიანი სახელმწიფო პოლიტიკის შემუშავებისათვის აუცილებელია ბაზარზე არსებული ვითარების, მიმდინარე და მოსალოდნელი ტენდენციების, უმუშევრობის განმაპირობებელი მიზეზების სისტემური კვლევა. როგორც უკვე აღვნიშნეთ, ასეთი კვლევები საქართველოში სახელმწიფო დონეზე, სამწუხაროდ, არ ტარდება. ცალკეული კვლევები კი არ იძლევა სიტუაციის კომპლექსური შეფასებისა და მოსალოდნელი ცვლილებების პროგნოზირების შესაძლებლობას როგორც ქვეყნის, ისე რეგიონული და სექტორული მასშტაბით.

შესაბამისად, ჩვენი საკვლევი თემა შეეხება შრომის ბაზრისა და პროფესიული განათლების ურთიერთობის მსოფლიოში არსებული მოდელების განხილვას, ამ მოდელების შედარებას ქართულ სინამდვილესთან, პრობლემების იდენტიფიცირებას და გადაჭრის გზების ძიებას. ამდენად, ვფიქრობთ, რომ საკვლევი თემა აქტუალურია. ამასთან, მიუხედავად იმისა, რომ პროფესიულ განათლებასთან მიმართებით საქართველოში ბევრი კვლევაა ჩატარებული, კონკრეტულად შრომის ბაზრისა და პროფესიული განათლების ურთიერთობის თვალსარისით კვლევა არ არსებობს. შესაბამისად, ჩვენი კვლევა სიახლეს წარმოადგენს.

**კვლევის მიზანია ადგილობრივი შრომის ბაზრის როლის შესწავლა საქართველოს პროფესიული განათლების სისტემის დაგეგმვასა და განვითარებაში.**

### კვლევის ამოცანაა:

- პროფესიული სასწავლებლის ურთიერთობის პროცესის შესწავლა.

**კვლევის მეთოდები:** სამაგიდე კვლევა-თეორიული მასალის ანალიზი, თვისებრივი კვლევა – ჩაღრმავებული ინტერვიუ პროფესიული სასწავლებლის ადმინისტრაციასა (6 ერთეული) და პედაგოგებთან (60 ერთეული), დარგობრივ ასოციაციებთან (3 ერთეული) და ექსპერტებთან (3 ერთეული); რაოდენობრივი კვლევა – დამსაქმებლებისა (175 ერთეული) და კურსდამთავრებულების(150ერთეული) გამოვითხვა;

### კვლევის მეთოდოლოგია:

- კვლევის საგანი – ადგილობრივი შრომის ბაზრის როლი პროფესიული განათლების დაგეგმვასა და განვითარებაში.
- კვლევის ობიექტი – შრომის ბაზრისა და პროფესიული სასწავლებლის ურთიერთობის პროცესი.
- კვლევის სამიზნე ჯგუფი – დამსაქმებლები, პროფესიული სასწავლებლის ადმინისტრაცია, პედაგოგები, კურსდამთავრებულები.
- შერჩევა – შეირჩა შრომის ბაზარზე არსებული მოთხოვნადი კვალიფიკაციები: ტურიზმისა და მომსახურების სფეროების მიმართულებით; საჯარო პროფესიული განათლების განმახორციელებელი დაწესებულება, რომელიც ყველაზე მეტ პროგრამას ახორციელებს აღნიშნული მიმართულებით და შესაბამისი დამსაქმებლები.
- კვლევის ინსტრუმენტი - კვლევის ჩასატარებლად შევიმუშავეთ კითხვარები და ამისათვის გამოვიყენეთ ჩვენ მიერ შესწავლილი კვლევები და პროფესიული კოლეჯი „იკაროსი“ს პროგრამების ანალიზი, კურსდამთავრებულთა კვლევა (Tracer Study), რომელიც საუკეთესო საშუალებაა სწავლების გრძელვადიანი შედეგების გაზომვის, შეფასების და აღწერისათვის. კვლევა გვაძლევს ინფორმაციას, თუ როგორ წარიმართა კურსდამთავრებულთა შემდგომი საქმიანობა განათლებისა და დასაქმების მხრივ, რა ცვლილებები უნდა განხორციელდეს სასწავლო პროგრამებში მათი თვალთახედვით.
- კვლევის ჰიპოტეზა: პროფესიული სასწავლებლების მიერ კურიკულუმის განვითარების პროცესში შრომის ბაზრის დაკვეთების გათვალისწინება გაზრდის კურსდამთავრებულთა დასაქმებისა და სწავლის მსურველთა მაჩვენებელს.

კვლევის შედეგები გაწერილია ნაშრომის კვლევით ნაწილში.

## 1. პროფესიული განათლების წარმოშობის ისტორია საქართველოში

### 1.1. პროფესიული ცოდნის დაგროვების ისტორია საქართველოში

ვიდრე ქვეყნის მომავალის დაგეგმვაზე ფიქრს დაიწყებ, ალბათ უპრიანია, ჯერ მის წარსულს, მის ისტორიულ გამოცდილებას გადახედო, გააანალიზო და შემდეგ დაიწყო შესაბამისი ნაბიჯების გადადგმა. „ოცს საუკუნეზე მეტია, რაც ჩვენი ხალხი ისტორიულ ასპარეზზედ გამოსულა. ამ ხანგრძლივ დროთა მიმავლობაში, ჩვენს ხალხს ერთს ხელში თოფი და ხმალი სჭერია და მეორეში გუთანი და ამ ყოფით და ვაივაგლახით გაუტარებია ეს აუარებელი დრო. თუ შიგა-და-შიგ, ჭრელად რამდენიმე წელიწადი მოსვენება შეხვედრია, მაშინვე ის მოსვენების დრო შეუწირავს სწავლისა და განათლებისათვის“ (ჭავჭავაძე, 1877, გვ. 232). ასე აანალიზებს წარსულ ოც საუკუნეს ილია ჭავჭავაძე. საუკუნეების განმავლობაში საქართველოს სამხედრო-პოლიტიკური ძლიერება იმ დროისათვის განვითარებულ მრავალდარგოვან ეკონომიკას ემყარებოდა. შესაბამისად, ვიდრე ნაშრომის ძირითად თემას შევეხებოდეთ, საინტერსოა ჩვენი ერის ისტორიას გადავხედოთ, პროფესიული განათლების მხრივ და გავიაზროთ, თუ რა გამოცდილება აქვს ქვეყანას, რა პრობლემები და წარმატებები ჰქონდა ამ მიმართულებით და რა შეგვიძლია გავითვალისწინოთ და გამოვიყენოთ მომავალი პროფესიული განათლების დაგეგმვისა და განვითარების პროცესში.

საქართველოში, ოდითგანვე თაობიდან თაობას გადაეცემოდა ისტორიულად დაგროვილი გამოცდილება და ცოდნა. ქვეყნის მატერიალური და სულიერი კულტურის შესანიშნავი ძეგლები, მათი მრავალფეროვნება და ხარისხი ღრმა პროფესიული ცოდნის მანიშნებელია. აშკარაა, რომ ქვეყანაში არსებობდა სპეციალური სასწავლო დაწესებულებები, სადაც ძველი თაობა ახალგაზრდებს სხვადასხვა პროფესიას აზიარებდა.

ქართველი ხალხის მიღწევები ლითონების დამუშავების საქმეში გვაძლევს საშუალებას ვივარაუდოთ, რომ საქართველოს პროფესიული ცოდნის დაგროვების ისტორია ბრინჯაოს ხანიდან დაიწყო. ქართველთა წინაპრები: ხალიბები, ტაბალები, მოსინიკები, მუსკები და სხვანი ითვლებიან ყველაზე ადრეულ ტომებად - მეტალურგებად (მაგალითად, ტაბალები, როგორც მეტალურგები მოიხსენიება ბიბლიაში) (Челидзе, 1981).

დიდ ქართველობოგ ნიკო მარს არაერთხელ აღუნიშნავს ქართველ ტომთა წვლილი მეტალურგიის განვითარებაში, ამ დარგს უკავშირებდა იგი ქართველთა ტომების განვითარების ღრმა ეთნო-კულტურულ პროცესებს. ლითონის დამზადების ტექნოლოგიების თვალსაზრისით, ნიკო მარი იაფეტიდების ტომს უდიდეს ოსტატებად მოიხსენიებს. ამას გარდა, უძველესი დროიდან მოყოლებული, მნიშვნელოვნად განვითარდა სამშენებლო დარგიც. პროფესიული ცოდნისა და უნარ-ჩვევების მხრივ მდიდარ მასალას იძლევა ასევე შუა საუკუნეების საქართველოს მატერიალური და სულიერი კულტურის ძეგლები: გელათი, იყალთო, ყინწვისი, ქვათახევი, სვეტიცხოველი, ალავერდი, ბაგრატის ტაძარი, კლდეში ნაკვეთი ქალაქი - ვარძია. ცნობილია, რომ ძველ მონასტრებში მოქმედებდა სპეციალური სასწავლო დაწესებულებები წიგნის საქმის, ფერწერის ოსტატების მოსამზადებლად (Челидзе, 1981).

საქართველოში ხელოსანთა გაერთიანებების არსებობა დასტურდება VI ს. ისეთი მნიშვნელოვანი წერილობითი ძეგლით, როგორიცაა „ევსტათი მცხეთელის მარტვილობა“. ივ. ჯავახიშვილის განმარტებით, უცხოური ასნაფის დამკვიდრებამდე, ხელოსნური გაერთიანების აღმნიშვნელად საქართველოში იხმარებოდა „ოფიკალი“, ხოლო მასზე ადრე „მუშათუხუცესი“, „ხელოსანთა მომგე“ და „ზედამდგომელი“, რომლებთაც სხვადასხვა სახის მოქმედება ევალებოდათ „საქმის მოქმედთა“, ანუ „მუშაკთა“ მიმართ. საკუთარი ამქრული გაერთიანებანი ჰქონდათ: კალატოზებს, დერციკებს, ჭონებს, ხარაზებს, მეთულუხჩეებს, ბაზაზებს, მეუნაგრეებს, მეთუნუქეებს, მეპურეებს, ხუროებს, დურგლებს, მეთუნეებს, მჭედლებს, ოქრომჭედლებს, მეაგურეებს, თერძებს, მესპილენძეებს და სხვებს (გუგუშვილი, 1975), (მესხია, 1983). ძველ საქართველოში ამა თუ იმ პროფესიის ხელძღვანელს ეწოდებოდა „უხუცესი“, ხოლო დამრიგებელს და მასწავლებელს - „მოძღვარი“. ყურადღებას იპყრობს მცხეთაში ქვაზე აღმოჩენილი ბერძნული წარწერა (ეპიტაფია), სადაც ნახსენებია ვინმე ავრელის აკოლისი - „მხატვართუხუცესი“. წარწერა თარიღდება მე-4 საუკუნით და როგორც ავტორი აღნიშნავს, მოწმობს იბერიულ სამეფოში სპეციალური განათლების კერის არსებობას (Челидзе, 1981).

X-XIII საუკუნეებში საქართველოში მუშაობდნენ ფუნჯისა და ქვის განთქმული ოსტატები; ხუროთმოძღვრები - გრიგოლ ოშკელი, ბავრელი, ივანე მორჩაიძე, არსაკიძე, ბოლოვ-ბასილი; მხატვრები - მიკელ მაღლაკელი, თევდორე ჯრუჩელი და სხვები. შესაბამისად, თითოეული მათგანის სახელოსნო შეიძლება განვიხილოთ, როგორც სპეციალური სასწავლებელი, რომლებშიც ასწავლიდნენ და ამზადებდნენ ხუროთმოძღვრების, ოქრომჭედლების, კალიგრაფების, მჭედელების და სხვა სპეციალობების ახალ თაობებს. შუასაუკუნეების საქართველოს სპეციალური პროფესიული ცოდნისა და უნარების ისტორიის უმდიდრესი წყაროა იმ პერიოდის ტერმინოლოგია - დაკავშირებული ხელოსნობის და ხელოვნების სხვადასხვა დარგებთან, რაზეც ზოგად წარმოდგენას გვაძლევს სულხან-საბა ორბელიანის განმარტებითი ლექსიკონი. მაგალითად: „გალატუზი“ - კედლის მშენებელი; „ხურო“ - მთლელი; „ხარატი“ - ხის ჭურჭლის დამამზადებელი; „ზენიკალი“ - აბჯრის დამამზადებელი და ა.შ. სწორედ დამკვეთის მიერ ხდებოდა შენობების დაგეგმვა და გამოსახულებების განსაზღვრა, რომელთა საშუალებითაც ხუროთმოძღვარი ამზადებდა ნაგებობის მაკეტს და შემდეგ იწყებდა მშენებლობას. გეგმებს ანუ ნახაზებს უწოდებდნენ - „სახეს“ ან „მსგავსებას“. ცნობილია, რომ კალაგირის ციხე და დავით-გარეჯის მონასტერი აგებულია წინასწარი დაგეგმარებითა და ნახაზებით. მეფე-პოეტი არჩილი თავის თხზულებაში „არჩილიანი“ გვიამბობს წინასწარი გეგმების შედგენის შესახებ.

საგულისხმოა, რომ საქართველომ უხსოვარი დროიდან გაითქვა სახელი მედიცინის დარგით. სამედიცინო ცოდნის ისტორიის მკლევარი სიმონ საყვარელიძე წერს, რომ ქირურგიული მკურნალობის მაღალ დონეს ჩვენმა ქვეყანამ ჯერ კიდევ ჩვენს წელთაღრიცხვამდე მიაღწია. სამკურნალო ხელოვნების უძველესმა ტრადიციებმა ასახვა ჰპოვა ძველბერძნულ მითებში არგონავტებისა და კოლხი მედეას შესახებ, რომელიც სამკურნალო საქმის უბადლო მცოდნე უნდა ყოფილიყო. სხვადასხვა მეცნიერები იზიარებენ მოსაზრებას, რომ ტერმინი „მედიცინა“ სწორედ მედეას სახელთანაა დაკავშირებული. საქართველოში განვითარების ერთ-ერთ უმაღლეს საფეხურს მედიცინამ თამარ მეფის ეპოქაში (1184-1213 წწ.) მიაღწია. ამას ადასტურებს იმ პერიოდის წიგნი, რომლის სახელწოდებაა „კარაბადინი“. მედიცინის

ისტორიის სპეციალისტები მაღალ შეფასებას აძლევენ წიგნს "ხოჯა ყოფილი", რომელიც 1206-1210 წლებში დაიწერა და მიხეილ შენგელიას სიტყვებით, ქართული მედიცინის ისტორიაში შესანიშნავ მეგლს წარმოადგენდა. საინტერესოა, ვარძიის სამონასტრო კომპლექსის მეექვსე სართულზე განთავსებული ოთახი, რომელსაც აფთიაქის დანიშნულება ჰქონდა (Челидзе, 1981). XVII-XVIII საუკუნეებში დაწვრილებით არის აღწერილი მრავალი დაავადება და მათი მკურნალობის მეთოდები. მაგალითისათვის შეიძლება დავასახელოთ მეფე ვახტანგ მე-6-ის ნაშრომები (მედიცინაში). მედიცინისა და სხვა დარგების ცოდნის გავრცელების კერები იყო არა მარტო ადგილობრივ სამონასტრო სასწავლო დაწესებულებებში, არამედ საზღვარგარეთ არსებულ ცენტრებშიც (მაგ. ათონის ქართული მონასტერი).

არ შეიძლება ყურადღების მიღმა დარჩეს საქართველოს მუსიკალური კულტურა, რომლის სიძველეს ადასტურებს მრავალრიცხოვანი წერილობითი, ფოლკლორული, ეთნოგრაფიული და არქეოლოგიური მასალა. ქართულ მონასტრებში მოქმედებდა სპეციალური სკოლები საეკლესიო გალობის შესასწავლად. ქართული სანოტო სისტემის არსებობა, გაშიფრული პავლე ინგოროვას მიერ - ადასტურებს შუა საუკუნეების საქართველოს მუსიკალური განათლების მაღალ დონეს. მუსიკალური ფოლკლორის არაჩვეულებრივი სიმდიდრე, ხალხური მუსიკალური საკრავებისა და სიმღერების მრავალფეროვნება, მათი მრავალხმიანობა, ჰარმონია, საშუალებას იძლევა ვივარაუდოთ, რომ ძველ და შუა საუკუნეების საქართველოში არსებობდა სპეციალური, პროფესიული ცოდნა და შესაბამისი ტრადიციები, რომლებიც თაობებს გადაეცემოდა (Челидзе, 1981).

იმ პერიოდის საქართველოს მრავალ ხელობათა შორის მნიშვნელოვანი ადგილი ეკავა მწიგნობრობას. ხელნაწერთა გადაწერა (კალიგრაფები), გაფორმება, აკინძვა, აწყობა და ა.შ. ყველაფერი ეს სათანადო ცოდნას მოითხოვდა. საქართველოს უძველეს კულტურულ ცენტრებში ეწეოდნენ დიდ ლიტერატურულ საქმიანობას და იქმნებოდა წიგნსაცავები (მაგ., მცხეთის კათედრალური ტაძარი, გელათი, იყალთო, გარეჯა, შიო-მღვიმე და სხვ.) (Челидзе, 1981).

შუა საუკუნეების საქართველოში ყურადღებას იპყრობს იმ დროის ტრადიცია - ოფიციალური დოკუმენტების გაფორმების სისტემა. ოფიციალური დოკუმენტების

მკაცრად განსაზღვრული ფორმა, მასში მოცემული შინაარსის თანმიმდევრობა, თარიღები მიანიშნებს იმას, რომ იყო ერთიანი, ყველასათვის აუცილებელი სისტემა და წესები, რომელთა მიხედვითაც სპეციალურ სასწავლო დაწესებულებებში სწავლობდნენ მწიგნობრები და მდივნები. ამასთანავე, არსებობდა სათანადო სასწავლო სახელმძღვანელოები. მაგალითად, პეტერბურგში 1821 წელს მწიგნობარ გოდერძი ფირალიშვილის მიერ გამოიცა სახელმძღვანელო, სახელწოდებით, „საზოგადო მდივნობა“. უფრო ადრეულ წლებში ვახტანგ მე-6 სტამბაში დაიბეჭდა სხვა სასწავლო წიგნი „აიათი ანუ ქმნულების ცოდნა“.

პროფესიული განათლების მომავლის დაგეგმვისათვის ალბათ ყურადღების მიღმა არ უნდა დაგვრჩეს, რომ იმ პერიოდში ხელობის სწავლების ყველაზე გავრცელებული ფორმა იყო „შეგირდობა“. მე-17-18 საუკუნეებში საქართველოში ხელოსნების სასწავლო დაწესებულებებში - სახელოსნოებში ბევრი მოსწავლე სწავლობდა. სწავლება, დაახლოებით, 7-8 წელი გრძელდებოდა, ხელობის სირთულის მიხედვით. შეგირდად მიბარების ასაკი 8-9 წლიდან 16 წლამდე მერყეობდა იმისდა მიხედვით, რა ტიპის უნარებს საჭიროებდა ესა თუ ის ხელობა. ტფილისურ ამქარში შეგირდობა ყველას შეეძლო, ვინც ოსტატთან საშეგირდო ხელშეკრულებას დადებდა. შესაბამისად, სოციალური წარმომავლობით, ოსტატი შეიძლება ყოფილიყო რიგითი ყმის შვილი, ოსტატის შვილი (ასეთი შემთხვევები განსაკუთრებით ბევრი იყო) ან უბრალოდ ქალაქში მცხოვრები ვაჭრისა თუ მღვდლის შთამომავალი. ყოველივე ამის გათვალისწინებით კი უნდა ვივარაუდოთ, რომ სოციალური წარმომავლობის თვალსაზრისით, ტფილისური ამქარი საკმაოდ ჭრელი უნდა ყოფილიყო. რაც შეეხება ასაკს, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, შეგირდი 8-9 წლიდან უკვე ოსტატის კარზე იყო მიბარებული და ხელობას ეუფლებოდა (თაბუკაშვილი, 2015). ამქრის სრულუფლებიანი წევრი იყო მხოლოდ ოსტატი, რომელსაც ჰქონდა თავისი სახელოსნო იარაღები და ნედლეული. იგი მწარმოებელიც იყო და ვაჭარ-გამყიდველიც. ამქრის არაწევრ პირს ეკრძალებოდა ქალაქის ფარგლებში მუშაობა. ამქარს სათავეში ედგა უსტაბაში (ოსტატთა თავი), ხოლო მისი მოადგილე იყო აღსაპყალი. ამქრის უსტაბაშს ირჩევდა და წესდებას ამტკიცებდა ამქრის საერთო კრება. სწავლის დასრულება კი განსაკუთრებული რიტუალით - ოსტატობის

მინიჭებით აღინიშნებოდა (Челидзе, 1981). ამქრის წოდებრივი ორგანიზაცია სამსაფეხურიანი იყო: ოსტატი, ქარგალი, შეგირდი. ოსტატი, როგორც მუშა და მასწავლებელი, თავის ხელოსნურ გამოცდილებას შეასწავლიდა შეგირდს, რომელიც გარკვეული ხნის შემდეგ იწყებდა ქარგლობას ანუ ნაწილობრივ დამოუკიდებელ მუშაობას. ხელობის სრული დაუფლების შემდეგ მას ოსტატი ამტკიცებდა - თავისი მასწავლებლისაგან მიიღებდა ერთ ხელ სახელოსნო იარაღებს და ამის შემდეგ სრულუფლებიან ოსტატად ითვლებოდა (გუგუშვილი, 1975), (მესხია, 1983). გვიანფეოდალურ თბილისში ახალი ამქრული ორგანიზაციების წარმოშობას იწვევდა არა მარტო ხელოსანთა რაოდენობის ზრდა, არამედ ერთი დარგის ხელოსნური წარმოების თნდათანობითი სპეციალიზაციაც, მათი ჯგუფებად დაყოფა (მესხია, გვრიტიშვილი, დუმბაძე & სურგულაძე. 1952). ხელოსნებისა და ვაჭრების ამქრებად გაერთიანებაში გადამწყვეტი მნიშვნელობა არ ქონდა რელიგიურ მომენტს და სოციალურ ფაქტორს. ვაჭართა ამქარში შეიძლებოდა ყოფილიყო მართმადიდებელი, სომებ-გრიგორიანი, კათოლიკე და ზოგ შემთხვევაში მაჰმადიანიც კი. ამქრული ორგანიზაციისათვის არც ეროვნული კუთვნილება იყო გადამწყვეტი. ამქარში შესვლა ყველას თანაბრად შეეძლო. ამქრული ორგანიზაციის მკვლევართა აზრით, ქართული მასალების სიჭარბე მნიშვნელოვანი საბუთია იმის დასამტკიცებლად, რომ ამქრულ ორგანიზაციებს სუფთა ქართული წარმოშობა აქვს და განვითარების უმაღლეს ნიშნულს საქართველოში მათ X-XI საუკუნეებში მიაღწიეს (გუგუშვილი, 1975), (მესხია, 1983).

ზემოაღნიშნული მიმოხილვის შედეგად შეგვიძლია დავასკვნათ, რომ ძველ და შუა საუკუნეების საქართველოში იყო მრავალმხრივი და ფართო პროფესიული ცოდნა და გამოცდილება, რაც, თავის მხრივ, აისახა ქართველი ხალხის მატერიალური და მხატვრული კულტურის მრავალრიცხოვან ძეგლებში. აღნიშნული ცოდნისა და გამოცდილების ღრმა ტრადიციები სწავლების, გამოცდილების გაზიარების მეშვეობით თაობიდან თაობას გადაეცემოდა და დღეს ისტორიამ მოგვიტანა იმისათვის, რომ ჩვენი ქვეყნის წარსულის გამოცდილების გაზიარებით დავგეგმოთ მომავალი ისე, რომ ქვეყანამ თავისი ისტორიული გამოცდილების გათვალისწინებით მნიშვნელოვანი სარგებელი მიიღოს.

მე-19 საუკუნის დასაწყისში საქართველოს რუსეთთან შეერთებამ, ძირეული ცვლილებები გამოიწვია ქართული კულტურის, ხელოვნებისა და ხელოსნობის განვითარების პროცესში. ამ პერიოდში საბოლოოდ დამკვიდრდა საცხო წყობა. ცეხებში მკაცრად განსაზღვრული წესებით ხდებოდა ხელოსნების სწავლება. უკვე მე-19 საუკუნის მეორე ნახევრიდან სერიოზული ყურადღება ექცევა ხელოსნების განათლებას (Челидзе, 1981). შესაბამისად, ვხედავთ, რომ პროფესიული განათლება წლიდან წლამდე სულ უფრო სტრუქტურირებულ ხასიათს იძენს და ქართულ რეალობაში საუკუნეების ცვლასთან ერთად სულ უფრო აქტუალური ხდება. ქვემოთ ვიხილავთ, თუ რა ვითარება გახლდათ იმ პერიოდში აღნიშული მიმართულებით.

1850 წელს დაარსდა კავკასიური სოფლის მეურნეობის საზოგადოება, რომელმაც პირველმა გამოიჩინა ინიციატივა მოემზადებინა კვალიფიციური კადრები სოფლის მეურნეობის წარმოებისათვის. უკვე 1855 წელს საზოგადოებამ გახსნა ორი სოფლის მეურნეობის ხელოსნობის სკოლა თბილისსა და ქუთაისში. 1859 წელს სოფელ კონდოლში (აღმოსავლეთ საქართველოში) გაიხსნა მეღვინეობის სკოლა, ხოლო 1864 წელს ლოჭინის სკოლა-ფერმა. ლოჭინის სკოლა-ფერმა დაარსდა ქართველი პოეტის და საზოგადო მოღვაწის ალექსანდრე ჭავჭავაძის ყოფილ მამულში. მოსწავლეთა კონტიგენტი შეადგენდა 100-120 ყმაწვილს. კურსდამთავრებულებს მიენიჭებოდა მეცნიერ-მუშაკის წოდება. სკოლის მიზანი იყო სოფლის მეურნეობის ისეთი დარგების სწავლება, როგორიცაა მეხილეობა, მეაბრეშუმეობა, მეცხენეობა, მევენახეობა და სხვა. სკოლა იმყოფებოდა კავკასიური სასოფლო მეურნეობის განვარგულებაში, რომელიც მის შესანახად ყოველწლიურად ურიცხავდა 10 ათას რუბლს. სკოლაში იღებდნენ ყმაწვილებს 16 წლის ასაკიდან. მნიშვნელოვანი ადგილი ენიჭებოდა სასწავლო დისციპლინების სამეცნიერო საფუძვლების შესწავლას. მეცადინეობა ოფიციალურად მიმინარეობდა რუსულ ენაზე, ხოლო ქართველ ყმაწვილებს, რომლებიც ცუდად ფლობდნენ რუსულ ენას, პირველი ორი წლის განმავლობაში მშობლიურ, ქართულ ენაზე ასწავლიდნენ (Челидзе, 1981). აღნიშნული მიმოხილვიდან კარგად ჩანს, თუ რა ინტენსივობით იზრდებოდა პროფესიული მიმართულების საგანმანათლებლო სასწავლებლები წლიდან წლამდე და რაოდენ დიდი ძალისხმევა სჭირდებოდა ქვეყნის რეგიონებში საგანმანათლებლო კერების

დაფუძნებასა და განვითარებას. ეს ხელს უწყობდა რეგიონებში მოსახლეობის განათლებასა და, შესაბამისად, განვითარებას პროფესიული ცოდნის შეძენა-დაგროვების მხრივ, განსაკუთრებით კი სოფლის მეურნეობის მიმართულებით. ნიშანდობლივია სტუდენტთა დასახმარებლად გადადგმული ნაბიჯები, რომლებიც ყველაზე მნიშვნელოვან აქტივობას წარმოადგენდა იმ დროს არსებული რეალობის გათვალისწინებით.

პარალელურად, თბილისსა და საქართველოს სხვა ქალაქებში ვითარდებოდა ხელოსნობა. სახელოსნო კლასები გახსნილი იყო გორის საოლქო სასწავლებელთან. 1869 წელს ქ. თბილისში, ავლაბარში გაიხსნა სახელოსნო განყოფილება. ანალოგიური კლასები შეიქმნა დუშეთის, მარტყოფის, პატარძეულის და სოხუმის დაწყებით სკოლებთან.

1880 წელს გაიხსნა მიხაილოვის სახელობის სასწავლებელი უფასო სწავლებით. სასწავლებლის წესდება ითვალისწინებდა დურგლის, მჭედლისა და ხუროს სპეციალობებს.

1878 წელს გზათა მიმოსვლის მინისტრის წესდების თანახმად, ავლაბრის სასწავლებელს საქართველოს რკინიგზისთვის უნდა მოემზადებინა მემანქანეები, საგზაო ოსტატები, ტელეგრაფისტები და სხვა სპეციალისტები. სასწავლებლის განვარგულებაში გადაცემული იყო რაისის ქარხნის ტერიტორია, ყველა შენობით, მანქანებითა და დაზგა-დანადგარებით. ასწავლიდნენ სარკინიგზო მშენებლობისა და ექსპლუატაციის საფუძვლებს, ხაზვას და წერას. გამოყოფილი იყო დრო ორთქლმავლებისა და ვაგონების წვრილმანი რემონტის შესწავლაზე. მეცადინეობა პირველ სარკინიგზო სასწავლებელში 1878 წელს დაიწყო. არსებობის პირველ წლებში მოსწავლეთა რაოდენობა არ აღემატებოდა 100 კაცს, ხოლო ოცი წლის თავზე სასწავლებელმა გამოუშვა 399 სპეციალისტი, აქედან 187 მუშაობდა ამიერკავკასიის რკინიგზაზე (Челидзе, 1981).

მე-19 საუკუნის სამოციან წლებში სპეციალისტების აღსაზრდელად სხვადასხვა დარგებში საქართველოში ზედიზედ რამდენიმე დაწესებულება იხსნება. 1872 წელს თბილისში მიხაილოვის საავადმყოფოსთან გაიხსნა პირველი საფერშლო სკოლა, რომელიც შემდგომში სამედიცინო სასწავლებლად გარდაიქმნა. შემდგომში

იხსნებოდა: სამშობიარო ინსტიტუტი (1873 წ.), მიწისმზომელთა სკოლა (1874 წ.), მუსიკალური სკოლა (1874 წ.), ხოლო 1886 წლიდან - მუსიკალური სასწავლებელი, 1901 წელს ფერწერის სასწავლებელი, რომლის დამარსებელი იყო მხატვარი ი. დ. კანდაუროვი. აქ ასწავლიდნენ არქიტექტურას, ხატვას, კლასიკური ფერწერის ხელოვნებას, ქანდაკებას და სხვ. მნიშვნელოვანი როლი სამხატვრო კადრების მომზადებაში აგრეთვე შეასრულა სტუდიამ, რომელიც დააარსა მხატვარმა მ. თოიძემ და რომლის ბაზაზეც შემდგომ დაარსდა ნიკოლაძის სახელობის თბილისის სამხატვრო სასწავლებელი. შესაბამისად, ნათლად ჩანს თუ რაოდენ დინამიკურად ვითარდება იმ პერიოდის საქართველო. დღევანდელი გადმოსახედიდან კი საგულისხმოა ის ფაქტორი, რომ მხოლოდ დედაქალაქში არ ხდებოდა ზემოაღნიშნული ტექნოლოგიური თუ კულტურული სიახლეების დანერგვა. განსაკუთრებული ყურადღება სწორედ რეგიონების განვითარებას ეთმობოდა, როგორც სოფლის მეურნეობის, ისე ხელოსნობისა და ხელოვნების მხრივ. მთელი საქართველო მასშტაბურად ებრძოდა უცოდინარობასა და გაუნათლებლობას. განურჩევლად სოციალური მდგომარეობისა, ერთმანეთის მხარდამხარ ყველა ცდილობდა ფეხი აეწყო და არ ჩამორჩენოდა სხვა განვითარებულ ქვეყნებს, სწორედ მეცნიერულ საფუძველზე მომხდარიყო თითოეული დარგის შექმნა და განვითარება, ვინაიდან სწორად იყო გააზრებული მეცნიერების როლი ქვეყნის ეკონომიკურ განვითარებაში.

მე-19 საუკუნის 80-90 წლებში კიდევ რამდენიმე საშუალო პროფესიული დაწესებულება გაიხსნა: სასოფლო-სამეურნეო სკოლა წინამდღვრიანთკარში, სასოფლო-სამეურნეო სკოლა ქუთაისში, სახელოსნო სასწავლებელი ბათუმში, ბორჯომში, ხონსა და ფოთში. გარდა ამისა, დაარსებული იყო მეხილეობის სკოლა თბილისში და პრაქტიკული სკოლები ავლევის საწარმოო სკოლასთან, საქარის და სოხუმის საცდელი სადგურები და ა.შ. სახელოსნო-სასწავლებლებს შორის უნდა გამოვყოთ ბათუმის სასწავლებელი, რადგან ის ერთადერთი სახაზინო დაწესებულება იყო, რომელიც მთლიანად სახელმწიფოს ხარჯზე ფუნქციონირებდა. ხელობებიდან ისწავლებოდა დურგალ-მეხარატის საქმე და მჭედელ-დურგლის ხელობა. 1894 წელს აქ გაიხსნა ჩამომსხმელი საქმის საამქრო, ხოლო 1899 წელს აბრეშუმის ქსოვის

განყოფილება. 1900 წელს სასწავლებელში დაიწყეს აბრეშუმმქსოვი დაზგების დამზადება. ბორჯომის სახელოსნო-სასწავლებელში ამზადებდნენ ზეინკლებს და დურგლებს, ხოლო ხონის სასწავლებელში - ხარატებს და დურგლებს.

კიდევ ერთხელ ხაზგასმით უნდა აღინიშნოს ის გარემოება, რომ იმ პერიოდში მთელ საქართველოში გაშლილ სწავლა-განათლებას, ჩაბმული ჰყავდა საზოგადოების წარჩინებულებიც და გლეხობაც. საზოგადოების ყველა ფენას კარგად ჰქონდა გაზრებული სახელობო სწავლების მნიშვნელობა და ერთად, ერთობლივი ძალისხმევით უტევდნენ ხილარიბესა და უმუშევრობას.

როდესაც ამ პერიოდის პროფესიულ სკოლებზე ვსაუბრობთ, შეუძლებელია არ შევჩერდეთ მათ დამაარსებლებზე, რომელნიც განსაკუთრებული აღნიშვნის ღირსი არიან:

**ილია წინამდლვრიშვილი** - „დედამიწა ძარღვია ყველა ცხოველთა და მცენარეთა ცხოვრებისა“. მიუხედავად იმისა, რომ ქვეყანაში ხვნა-თესვა, მევენახეობა, მებოსტნეობა, მეხილეობა აქტიურად მიმდინარეობდა, იმ პერიოდისათვის მეცნიერებას ფესვი არ ჰქონდა გადგმული ქართველ მეურნეებშიო, ამბობს ილია წინამდლვრიშვილი თავის ერთ-ერთ სტატიაში. ბალ-ვენახები პრიმიტიულად მუშავდებოდა და არ მოიპოვებოდა სათანადო მანქანა-იარაღები, ჩვენს მეურნეობას კვლავ განუვითარებლობის დაღი აჩნდა (ნავდარაშვილი, 1973). „მე თავის დიდებისათვის არ დამიარსებია სკოლა. მინდოდა საზოგადოებისთვის მეჩვენებინა ის გზა, რომლითაც ჩვენს შვილებს შესძლებოდათ გამდიდრება ზნეობით, ცოდნით, ვარჯიშით ნივთიერად და ჰქონიყოთ კეთილმსვლელობა ცხოვრებაში“ (წინამდლვრიშვილი, 1909).

საზოგადო მოღვაწე, პუბლიცისტმა და პედაგოგმა ილია წინამდლრიშვილმა - 1855 წელს დაამთავრა თბილისის კლასიკური გიმნაზია. უსახსრობის გამო უმაღლესი განათლების მიღება ვერ შეძლო და მოკლევადიანი აგრონომიული კურსები დაამთავრა. თავდაპირველად მან მსახურობა დაიწყო მომრიგებელ შუამავლად, მომრიგებელ მოსამართლედ, უფროს ნოტარიუსად თბილისში.

შემდგომში, იმის გამო, რომ იმდროინდელ საქართველოში არ არსებობდა ისეთი სასწავლებელი, რომელიც ახალგაზრდობას სასოფლო-სამეურნეო განათლებას

მისცემდა, წინამძღვრიშვილმა 1883 წელს საკუთარ მამულში, თავისი ხარჯითა და საზოგადოების დახმარებით გახსნა წინამძღვრიანთკარის სასოფლო-სამეურნეო სკოლა. წინამძღვრიშვილმა სკოლას გადასცა 55 ჰექტარი სახნავ-სათესი მიწა და ტყე, ასევე 20 ათასი ლიტრის ტევადობის ღვინის სარდაფი საწნეხითა და ქვევრებით, შენობა კლასებისა და მუზეუმებისათვის, სახლი მასწავლებლებისათვის, მოსწავლეთა საერთო საცხოვრებელი, ორი სასადილო თავისი სამზარეულოთი და სარდაფით, პურის საცხობი და სახელოსნოები. სკოლას ჰქონდა საკუთარი სახელმძღვანელოები და მანქანა-იარაღები, წინამძღვრიშვილის მოთხოვნით, სკოლაში იღებდნენ მოსწავლეებს განურჩევლად წოდებისა, ეროვნებისა თუ სარწმუნოებისა. 1889 წელს გამოსცა სახელმძღვანელო „ვაზის მოშენება“ ხორეშანა გვერდწითელის ფსევდონიმით. 1933 წელს სკოლის ბაზაზე შეიქმნა წინამძღვრიანთკარის ილია წინამძღვრიშვილის სახელობის სასოფლო-სამეურნეო ტექნიკუმი. წინამძღვრიანთკარის სასწავლებლის კურსდამთავრებულები, რომელთაც დიდი წვლილი შეიტანეს იმ პერიოდის ქვეყნის სოფლის მეურნეობის სწავლების საქმეში, იყვნენ აპოლონ წულაძე - სწავლობდა წინამძღვრიანთკარში, დაწერა წიგნი „ფუტკარი და მეფუტკრეობა“ და 1911 უძღვნა ილია წინამძღვრიშვილს; დავით გორთამაშვილი - 1927 წელს „მებაღეობა“ და „მებოსტნეობა“ და სხვ. (ნავდარაშვილი, 1973).

**კოსტა ამირეჯიბი** - დაიბადა 1869 წლის 30 დეკემბერს. 1888 წელს კი ნოვოროსიისკის უნივერსიტეტის ფიზიკა-მათემატიკური ფაკულტეტის საბუნებისმეტყველო განყოფილების სტუდენტი გახდა. უნივერსიტეტის დასრულების შემდეგ 1893 წელს კოსტა ამირეჯიბი მიავლინეს პარიზის ნაციონალურ აგრონომიულ ინსტიტუტში. 1905 წელს კი ბონის სასოფლო-სამეურნეო სასწავლებელში, სასოფლო-სამეურნეო იარაღების შესასწავლად. 1896 წელს უცხოეთიდან დაბრუნებულმა, რუსეთში დაჰყო ერთი წელი ხერსონის გუბერნიის ერთ-ერთ მსხვილ მეურნეობაში, სადაც, პრაქტიკულად, სწავლობდა სასოფლო-სამეურნეო იარაღების გამოყენებას. 1896 წელს იგი მშობლიურ სოფელ ავლევში დაბრუნდა. აქ მან პირველი სამი წლის განმავლობაში ადგილობრივი სამეურნეო საქმიანობა შეისწავლა. მხოლოდ ამის შემდეგ გამოიწერა გლეხებთან ერთად

იარაღები საზღვარგარეთიდან და გადაწყვიტეს, თავიანთ მეურნეობაში გაუმჯობესებული იარაღები გამოეცადათ (კილასონია, 1996).

შედეგად კოსტა ამირეჯიბის მამულში მდიდარი მეურნეობა შეიქმნა: იარაღების საწყობი, ბეღელი, საყინულე, აბანო, საკუჭნაო, ეტლების სადგომი, საცეხვი, ტაროიანი სიმინდის საროში მანქანა და სხვ.; თორმეტი ჯიშის ჭირნახულის ნიმუშები: პური წითელ-ფხა, შავ-ფხა, არნაუტული, ინგლისური, ულმური, ახალ-თესლი, შლანშტერული, ქერი ბეღგიური, ქართული და სხვ. 8-9 ეტლი, ერთი „ფაიტონი“, საჯინიბო ნარევი სიმენტალის ჯიშისა. სამჭედლო სადაც პატარა ბავშვების ნაკეთები უთოები, ხანჯლები, დანები და სხვ.; სადურგლო, სადაც ამზადებენ სკოლისათვის საჭირო ავეჯს და რაც მთავარია სკოლა, სადაც სამი განყოფილება გახლდათ და 120 ბავშვი სწავლობდა. სწავლობდნენ მეფუტკრეობას, სკოლის ბაღში გაშენებული იყო საცდლად სხვადსხვა ჯიშის ვაზი. მაგ.: ალიგოტე, სემილიონი, რუპესტრი, დიულო, პედრო ქიმენეს, საფერავი, რქაწითელი, ამერიკული ვაზი და სხვა.

ასევე საინტერესოა ის ფაქტი, რომ შენობაშივე შექმნილი იყო ავლევის საკრედიტო ამხანაგობა, რომელიც გასცემდა მოკლევადიან სესხებს. შესაბამისად, გლეხების მდგომარეობა სულ უფრო და უფრო უმჯობესდებოდა, რადგან ნელ-ნელა ეჩვევოდნენ ახლებურად მუშაობასა და ახალი მანქანა-დანადგარების გამოყენებას. ერთ-ერთი მნიშვნელოვანი საქმე კი, რომლის გაკეთებაც კოსტა ამირეჯიბმა ავლევში მოასწრო, ფრონეზე გამართული ელექტროსადგური იყო. მგზავრები ღამით უჩვეულო ნათებას რომ შეამჩნევდნენ, ხვდებოდნენ რომ „ამირეჯიბის სოფელს“ უახლოვდებოდნენ. დენზე მუშაობდა ელექტროწისქვილი, ხე-ტყის დამამუშავებელი ქარხანა, ძაფსართავი ფაბრიკა, ჭრა-კერვისა და ხელსაქმის წრე გოგონებისთვის. სოფელში ამოქმედდა ბიბლიოთეკა, სამედიცინო პუნქტი, კოოპერატიული მაღაზია და ბავშვთა საზაფხულო თეატრი (პარკაძე, 1994).

ავლევის სკოლაში 1909 წელს გაიხსნა სასოფლო-სამეურნეო საშუალო პროფესიული ქართულენოვანი ტექნიკუმი. სკოლაში ასწავლიდნენ ლითონის ცივსა და ცხელ დამუშავებას, სახარატო საქმეს, ხის დამუშავებას, სასოფლო სამეურნეო მანქანა-იარაღების დაშლა-აწყობას. განსაკუთრებით ნიჭიერ ახალგაზრდებს

აგზავნიდნენ სწავლის გასაგრძელებლად უმაღლეს სასწავლებელში. საქმისადმი თავდადებული მიდგომის გამო, კოსტა ამირეჯიბმა ჯანმრთელობაც დაიზიანა. კალოზე სალენტი მანქანის გამოცდისას მოულოდნელად ფეხი ჩაუვარდა და, საბოლოოდ, თავადვე მიუთითა თუ რომელ ადგილზე უნდა მოეჭრათ ფეხი. მიუხედავად ამ მძიმე ტრავმისა, მას ფიზიკური შრომა ბოლომდე არ შეუწყვეტია. თუმცა 1918 წელს ბოლშევიკების თავდასხმის საშიშროების გამო, იგი იძულებული გახდა სოფელი ღამით, გლეხების დახმარებით დაეტოვებინა. შემდგომში კოსტა ამირეჯიბი საქართველოს საუნივერსიტეტო ცხოვრებაში იღებს აქტიურ მონაწილეობას. 1919 წელს სოფლის მეურნეობის მექანიზაციის კათედრის გამგედ იწყებს მუშაობას. 1920 წელს გამოდის მისი სასოფლო-სამეურნეო მექანიკის სალექციო კურსი. ამ პერიოდში მთელ საქართველოში შეგროვდა სხვადასხვა დროის სასოფლო სამეურნეო იარაღები. 1923 წელს იგი თბილისის სახელმწიფო პოლიტექნიკური ინსტიტუტის სასოფლო-სამეურნეო მანქანა-იარაღების კათედრის გამგე ხდება. 1924 წელს მისი ინიციატივით დაარსდა პირველი ტრაქტორისტთა მოსამზადებელი კურსი, მანქანა იარაღების სარემონტო სახელოსნოები. 1926 წელს სასოფლო-სამეურნეო მანქანა-იარაღების საცდელი სადგური. 1930 წელს კი, სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის დაარსების შემდეგ (1929 წელს დაარსდა), ინსტიტუტის დირექტორი ხდება. ნიშანდობლივია, რომ განსაკუთრებით მძიმე შეცდომად მიაჩნდა მას საქართველოს გასაბჭოების შემდეგ ქვეყანაში მოწინავე მეურნეობების განადგურება. კოსტა ამირეჯიბის აზრით, ბოლშევიკებმა დაანგრიეს და გაანადგურეს ისეთი მეურნეობები, რომლებშიც საქმე შვეიცარული რაიონების დონეზე იყო (ჟღენტი, 1959).

სამწუხაროდ, 1914 წელს საქართველოში დარჩენილი გახლდათ მხოლოდ ხუთი საშუალო სპეციალური სასწავლო დაწესებულება 500 მოსწავლით.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე უნდა ითქვას, რომ წლების განმავლობაში ქვეყანაში არც წარსულის ტრადიციები იკარგებოდა და არც სიახლეების დანერგვისადმი მზაობა და ამ მიმართულებით განხორციელებული აქტივობების სიმრავლე იყო არასაკმარისი. განსაკუთრებით გამოვყოფდი იმ თავადაზნაურობას, რომელთაც საკუთარი მამულები დაუთმეს გლეხთა სწავლებას,

მათ მომზადება-გადამზადებას. ილია წინამძღვრიშვილი, კოსტა ამირეჯიბი და სხვანი ეს ის ადამიანები არიან, რომელთაც, ფაქტობრივად, თავიანთი ცხოვრება, ჯანმრთელობა და ქონება შესწირეს საკუთარ ხალხს და სამშობლოს. ვფიქრობ, მათ ამ თავდადებას უკვალოდ არ ჩაუვლია.

საკითხის უფრო ღრმად ჩაწვდომისათვის არ შეიძლება გვერდი ავუაროთ დიდი ილია ჭავჭავაძის იმ პერიოდისათვის გამოქვეყნებულ სტატიებს, რომლებშიც მისეული ხედვა გახლავთ წარმოდგენილი განათლებასთან, მის თანმდევ პრობლემებთან, კერძოდ კი, პროფესიულ სწავლებასთან დაკავშირებით. რამდენიმე ციტატას მოვიყვან იმისათვის, რომ ნათლად გამოჩნდეს იმ დროის პრობლემები და ილიასეული ხედვა პრობლემათა გადაჭრისა.

ამ პერიოდში შეიქმნა თავად-აზნაურთა საზოგადოება „შეუძლებელ მოსწავლეთა შემწეობისათვის“, რომლის მიზანიც იყო ღარიბი ახალგაზრდობის მომზადება რომელიმე სასწავლებელში შესასვლელად. სწორედ იმ პერიოდისათვის საზოგადოების დამაარსებლები მოუწოდებდნენ იმ დროინდელ თავად-აზნაურობას ამ კეთილ საქმეში დახმარებისათვის. „აქ უკან დახევა შვილების დალატია, ქვეყნის გმობაა, საუკუნოდ დაწყევარი“ (ჭავჭავაძე, 1878, გვ. 239) - ამბობს ილია ჭავჭავაძე ერთ-ერთ სტატიაში.

„ვისაც ცოტაოდენად თვალყური უდევნებია საშუალო სასწავლებლისათვის ჩვენში, რასაკვირველია, კარგად ეცოდინება, რომ მრავალი მომზადებული ყმაწვილი რჩება საშუალო სასწავლებლის გარეთ მარტო იმიტომ, რომ თვით სასწავლებელში ადგილი აღარ არის“. თუ აწინდელი საშუალო სასწავლებლები საკმარისი არ არიან და ამის გამო ჩვენი შვილები სასწავლებელს გარეთ რჩებიან, მაშასადამე, საჭიროა გავმართოთ ჩვნი საკუთარი უფრო ფართო და უფრო ვრცელი გზა“. (ჭავჭავაძე, 1878, გვ. 239) სტატიაში დასმული პრობლემა, რომ იმ პერიოდისათვის სასწავლებელში სწავლის მსურველთა რაოდენობა დიდი იყო და მათი არასაკმარისი რაოდენობის გამო სასწავლებლების მიღმა რჩებოდნენ, დღევანდელი დღისათვის გასათვალისწინებელი ფაქტორია. უნდა ვივრაუდოთ, რომ იმ პერიოდისათვის პროფესიულ სწავლებაზე დიდი მოთხოვნა გახლდათ. ეს ჯანსაღი დამოკიდებულება სწავლის სურვილისა რადიკალურად შეიცვალა საბჭოთა პერიოდის დროს, როგორც

ჩანს იმ პერიოდში არსებულმა მიდგომებმა და გარკვეულმა პროცესებმა დააკნინა პროფესიული სწავლების პრესტიჟი და ზოგადად შრომისა და სწავლის სურვილი ახალგაზრდობაში.

„აი, ამ საშუალო სასწავლებლის საძირკველადაც უნდა იქცეს ის სკოლა, რომელსაც აფუმნებს ეხლა „ტფილისის გუბერნიის თავად-აზნაურთა საზოგადოება შეუძლებელ მოსწავლეთა შემწეობისათვის“ (მოსამზადებელი სასწავლებელი). აღნიშნული სტატიის ნაწყვეტიდანაც კარგად ჩანს, თუ რაოდენ პოპულარული იყო იმდროინდელ საზოგადოებაში საშუალო სასწავლებელი. შესაბამისად, ჩვენი ისტორია კარგად გვიჩვენებს თუ რა საკითხებზე უნდა გავამახვილოთ ყურადღება, როდესაც დღევანდელ რეალობაში განათლების სისტემის სტრატეგიასა და დაგეგმვაზე ვმსჯელობთ. როგორც კიდევ ერთხელ გამოჩნდა, პროფესიული განათლების დაკნინება საბჭოთა რეალობამ მოიტანა, იქ რაღაც ჩვენი ქვეყნის ხასიათის, გეოგრაფიის და სხვა მოთხოვნების შესაბამისად არ განხორციელდა და საკითხისადმი მაშინდელმა ცენტრალიზებულმა მიდგომამ ბევრი რამ გააფუჭა, არასწორად წარმართა და შედეგმაც არ დააყოვნა. მოვლენები არაადეკვატურად განვითარდა და პროფესიული განათლება იმ პირთა თავშესაფარი გახდა, ვისთვისაც სწავლა-განათლება არასასურველი საქმე გახლდათ. იმის ნაცვლად, რომ ცოდნის მიღებისადმი უარყოფითი დამოკიდებულების მიზეზების კვლევა და ანალიზი განხორციელებულიყო, მარტივი გამოსავალი მოინახა - ასეთები პროფესიულ სასწავლებლებში გაამწესეს, შედეგად კი მივიღეთ შემდეგი რეალობა - პროფესიულ სასაწავლებელში სწავლა სირცხვილი გახდა. და თუმცა დღეს ამ სტერეოტიპის დასაწერევად უამრავი აქტივობა ხორციელდება, ჩვენს მოქალაქეებში ნაწილობრივ მაინც შეინიშნება საკითხისადმი ამგვარი დამოკიდებულება.

პროფესიული სასწავლებლები მრავლად უნდა არსებობდესო, მიაჩნდა ილია ჭავჭავაძეს, ვინაიდან აღნიშნული ქვეყნის არსებობისთვის აუცილებელი პირობა გახლდათ „ერთი უდიდესი ხელშემწყობი ღონე ამ საქმისა, ნაცადი და უტყუარი, - იგია, რომ გავრცელდეს და მოეფინოს ქვეყანას მამულის მოვლისა და კეთების ცოდნა იმოდენად მაინც, რამოდენადაც საყოველთაოდ გამოსადეგი და მოსახმარია მდაბიო მიწათმომქმედისათვის, უკეთეს გამავრცელებლად და მომჯენავად კიდევ მდაბიო

საკოლმეურნეო სკოლებია, სოფლად დამართული (ჭავჭავაძე, 1886, გვ. 251). „ღმერთმა რომ ქვეყანა გააჩინა, დედამიწას გული გადაუხსნა, შიგ აუარებელი, ულეველი სიმდიდრე ჩაუდგა და ადამიანს უანდერძა“ . „ცოდნა ხომ ხერხია, მაგრამ თითონ, თავის-თავადაც სიმდიდრე არის, მერე იმისთანა, რომ კაცი საცა წავა, თან მისდევს უხარჯოდ და უბარგოდ, ვერცა ვინ მოპეარავს, ვერცა ვინ წინ გადუდგება. ეხლანდელ დროში ცოდნა ყველაფერია: ფულზედაც უფრო დიდი ბაზარი აქვს, ხმალზედაც უფრო მეტადა სჭრის და ზარბაზანზედაც უფრო ძლიერია.“ (ჭავჭავაძე, გვ. 252-253). აღნიშნული მოსაზრება გახლავთ ის მიდგომა, რასაც დღეს სხვადასხვა ქვეყნების სტრატეგიულ დოკუმენტებში ვკითხულობთ და ჩვენი ქვეყანა, რომელსაც ჯერ კიდევ მე-19 საუკუნეში ჰყავდა ამგვარი მიდგომის მქონე დიდი მოაზროვნეები, ამ მიდგომის პრაქტიკულ განხორციელებამდე ჯერაც ვერ მივიდა.

ცალკე სტატია მიუძღვნა ილია ჭავჭავაძემ „ოძისის სამეურნეო სკოლის საკითხებს“, რომელშიც ნათლად ჩანს, რომ თავად-აზნაურობისაგან შეიქმნა სპეციალური კომისია, რომელმაც მიზანშეწონილად მიიჩნია სასწრაფოდ გაემართა სასოფლო-სამეურნეო სკოლა დაბალი ხარისხისა; შემდგომ ეტაპად განსაზღვრა აღნიშნული სკოლის საშუალო სასოფლო-სამეურნეო სასწავლებლად გადაკეთება, რომ „საკმაო სწავლა-ცოდნა მიანიჭოს შუათანა და წვრილი მამულების მეურნეობისათვის თეორიულად და პრაქტიკულად და პრაქტიკულად და ამიტომ განზრახული სასწავლებელი უნდა იქმნას საშუალო სასწავლებლის კურსისაო“. (ჭავჭავაძე, გვ. 287).

მართლაც, რომ შთამბეჭდავია დიდი ილიას საზოგადოებრივი მოღვაწეობა, მისი ფიქრი და ზრუნვა ქვეყანაზე იმდენად მრავლისმომცველია, რომ არ არსებობს იმ პერიოდისათვის არც ერთი აქტუალური თუ პრობლემური თემა, რომელზეც თავისი აზრი არ გამოეთქვას, არ დაეწეროს, არ ემსჯელოს. რაც ყველაზე მთავარია, საუკუნეზე მეტია გასული მას შემდეგ, რაც ამ სტატიებმა დღის სინათლე იხილეს და დღემდე მათი შინაარსი არ კარგავს აქტუალობას. აქტუალობას არა მხოლოდ ისტორიული და წარსულის გამოცდილების გაზიარების თვალსაზრისით, არამედ დღევანდელი პრობლემური და გადაუჭრელი საკითხების ახლებური ხედვისათვის. ვფიქრობ, შესაძლებელია მის ნაზრევში წვიკითხოთ და საკითხის მოგვარების გადაჭრის გზების შესაძლებლობაც კი დავინახოთ, თუკი გულისყურით გავეცნობით

მის პუბლიცისტურ წერილებს. სწორედ ამ წერილებში შეგვიძლია ვიპოვოთ პასუხი დღევანდელი პროფესიული განათლების რეფორმის გერმანული მოდელის მიხედვით მოწყობის მცდელობას.

დღევანდელი საქართველოს პროფესიული განათლების მომავალზე მსჯელობისას, აქტიურად ხდება სისტემისადმი გერმანული მიდგომის გააზრებისა და გამოყენების მცდელობა. მთავრობაში სულ უფრო ხშირად ახსენებენ დუალურ განათლებას და მის სიკეთებს. საინტერესოა თუ როგორ ხედავდა ილია ჭავჭავაძე გერმანელი ხალხის ხასიათს: „მეორე მიზეზი იმისი, რომ გერმანელს არ უჭირდება შვილის სკოლაში გამოსაზრდელი ხარჯი, ის არის, რომ გერმანელს ცოტად თუ ბევრად ცოდნა აქვს რისამე: ან სწავლულია ან ამით ჰქონობს ცხოვრების საგზალსა, ან ხელოვანი რაშიმე, ან ხელოსანია. იგი საცა მიდის ყველგან ჰპოულობს საქმეს, და რაკი ცოდნა აქვს, მრავალკეცად იადვილებს სარჩო-საბადებლის შოვნასა და ჩვენებურ უცოდინარს ხელიდამ აცლის საქმესა და ლუკმასაც, ძალ-მომრეობით და უნამუსობით კი არა პირისპირ ომით, პირისპირ ბრძოლით, ერთის სიტყვით იმ ფაქიზისა და წმინდა იარაღით, რომელსაც ცოდნა ჰქვიან და რომელიც ცხოვრების მოედანზედ ყოველთვის უძლეველია და გამარჯვებული“. „ამ წუთისოფელში ბედი იმისია, ვინც ძლიერია და ძლიერი მარტო მცოდნე კაცია“ . სწორედ ეს ფილოსოფია უნდა ყოფილიყო იმ პერიოდში ქართველი კაცისათვის მნიშვნელოვანი, ამ იდეების გარეშე დაგვტოვა გასაბჭოებამ, რაც ხშირ შემთხვევაში დღესაც გვიშლის ხელს საღი აზროვნებისაკენ მიმავალ გზაზე. დაბოლოს - „ტანთ მოიკელ, ფეხთ მოიკელ, მშიერ-მწყურვალი იარე და ნუ ჩასდგებიკი ჯერ შვილისა და მერე ქვეყნის ცოდვაში, - აი რა უნდა ეწეროს გულის ფიცარზედ იმ წმინდა საქმეს, რომელსაც მამაშვილობას ეძახიან.“ (ჭავჭავაძე, 1889, გვ. 273-274).

წარმოგიდგენთ მოსაზრებაც, რომელიც მისეულ ხედვასა და ევროპაში სხვადასხვა ქვეყნის განათლების კუთხით შედარებით ანალიზს წარმოადგენს „1870 წელსა, როცა გერმანიამ თავს-ზარი დასცა მინამდე თითქმის უძლეველს საფრანგეთსა და საცა შეხვდა, ბრე გაადინა, სთქვეს, რომ გერმანიის სკოლის მასწავლებელმა სძლია საფრანგეთსა და დაამარცხაო. ... უხვად მოფენილმა და კარგად მოწყობილმა სკოლებმა და სწავლა-განათლებამ გერმანიისამ მისცა ერს ის სულიერი და

ხორციელი ძალ-ღონე, რომელმაც შეჰქმუსრა საფრანგეთით.“ ცოდნადაგროვილი მასწავლებელი და კარგად მოწყობილი სკოლები, დიდი რაოდენობით - აი, სად ხედავდა იგი ხსნას. სამწუხაროდ, აღნიშნული საკითხები დღესაც პრობლემად რჩება და მათი გათვალისწინება ნამდვილად გამოგვადგებოდა მომავლის დაგეგმვაში.

„თვით მეფაბრიკენი და მექარხნენი, ჰედვენ-რა სარგებლობაა, როცა სწავლული და მცოდნე ხელოსნები და მუშები ჰყავთ, ინახავენ სკოლებს თავისის საკუთარის ხარჯით და ზოგჯერ მთავრობაც შველით ფულით ამ საქმეში ცოტად თუ ბევრად“ - აქ კარგად ჩანს, რომ გერმანიაში, პროფესიული განათლების დაფინანსება დამსაქმებლების მიერ ჯერ კიდევ საუკუნის წინ ხდებოდა. ამგვარი სასწავლებლები რომ მრავლად ყოფილიყო ქვეყანაში, ამაზე თავად მეწარმეები ზრუნავდნენ. თავად მეწარმეები ზრუნავდნენ თავიანთ დასაქმებულებზე მათი ცოდნის უნარებისა და, შესაბამისად, შრომისუნარიანობის ამაღლების მიზნით. „ინგლისის კომისია ამბობს: ყოველგვარ სამრეწველოში მუშის გასამრჯელო მატულობს გერმანიაში. ხანი სამუშაო დღისა განუწყვეტლივ კლებულობს და პატარა ყმაწვილების მუშაობა თითქმის მოისპო“. გერმანიის მრეწველობის წარმატებას ილია ჭავჭავაძე სწორედ საერო განათლებისა და სასპეციალო-სატექნიკო სწავლა-ცოდნის უპირატესობაში და აღმატებულებაში ხედავს. მთავარ პრიორიტეტებად ხელფასის მატებასა და სამუშაო დღის კლებას ასახელებს. სწორედ გერმანიის მაგალითი მოყავს მას სანიმუშოდ ჩვენი ქვეყნისათვის და მოუწოდებს ჩვენი ქვეყნის მოქალაქეებს ამ „მამულიშვილურ საქმეს“ დროულად მოეკიდონ.

„ტკივილი ჩვენი აშკარაა და წამალიც ნაპოვნი, ჩვენ მარტო ის-და დაგვრჩენია, იგივე წამალი ვიხმაროთ თავის მოსარჩენად.“ „საქმე ის არის, ის აზრი გამოინასკვის ჩვენში, რომ სახელოსნო და სასპეციალო სატექნიკო სკოლები აუცილებელი საჭიროებაა და ცხოველმყოფელი სახსარია ჩვენის წასულის საქმის ხელ-ახლად გამობრუნებისათვის და ჩვენის ღონე-მილეული ქვეყნის გაღონიერებისათვის.“ (ჭავჭავაძე, 1898, გვ. 291-294).ცხადზე ცხადია, რომ ილია ჭავჭავაძის სატკივარი, რომელიც ამავდროულად ქვეყნის სატკივარია, დღესაც მოუშუშებელ ჭრილობად აქვს ჩვენს ქვეყანას. მის წერილებში დღეს არსებულ ბევრ აქტუალურ შეკითხვაზე შეგვიძლია პასუხის მოძიება. ვფიქრობ, ეს პასუხები ჩვენს მიერ ტექსტში მოყვანილი

ციტატებით არ სრულდება და მრავლადაა მის ნაშრომებში, თუმცა ამ ჯერზე მხოლოდ გამონათქვემები მოვიშველიეთ, რაც დღევანდელ რეალობაში უპასუხო კითხვებად და გადაუჭრელ პრობლემებად გვესახება არსებული პროფესიული განათლების რეფორმირების გზაზე.

## 1.2. საბჭოთა რეალობის გავლენა პროფესიულ განათლებაზე საქართველოში

საქართველოს გასაბჭოების შემდეგ, სახალხო განათლების ახალი სოციალისტური სისტემის მიხედვით, ყველა სასწავლო დაწესებულება, მათ შორის პროფტექნიკური და საშუალო სპეციალური სასწავლებელი გადაეცა სახალხო განათლების კომისარიატის უწყებას. სამწუხაროდ, საბჭოთა ხელისუფლების მოსვლისთანავე ყველა კერძო სასწავლებელი და სახელოსნო სკოლა დაიხურა. დაწყებითი სკოლები და გიმნაზიის პირველი ოთხი კლასი გარდაიქმნა შრომის სკოლად, ხოლო მომდევნო კლასები და სხვა სასწავლებლები - ჰუმანიტარულ ტექნიკუმებად. ეს პროცესი მიმდინარეობდა სტიქიურად, წინასწარი გააზრების, შეფასების გარეშე და, საბოლოოდ, 1921-22 სასწავლო წლებში საქართველოში იყო 86 ტექნიკუმი, მათგან 60 ჰუმანიტარული, 13 სოფლის მეურნეობის, 9 პედაგოგიური, 2 ინდუსტრიული და 2 სპეციალური ქიმიური. იმ მიზეზით, რომ ჰუმანიტარული ტექნიკუმები არავითარ პროფესიულ ცოდნას არ იძლეოდა და მათი არსებობა სახელმწიფოს არავითარ არგებლობას არ აძლევდა, არც სასოფლო-სამეურნეო ტექნიკუმები არ იყო საჭირო, მათ არ გააჩნდა მატერიალურ-ტექნიკური პირობები რეალური ფუნქციონირებისათვის, ისინი დაიხურა და დარჩა მხოლოდ ცამეტი (Челидзе, 1981).

ამავე დროს, სოფელში შეიქმნა ორწლიანი ტიპური სასოფლო-სამეურნეო სასწავლებელი, რომელიც ამზადებდა პრაქტიკოს აგრონომებს, სპეციალისტებს მემინდვრეობაში, მეხილეობაში, მეცხოველეობაში და სხვა დარგებში. გაიხსნა ასეთი ორი სასწავლებელი სოფელ შრომაში და წინამდლვარიანთვარში, ხოლო 1923 წელს მიიღეს გადაწყვეტილება მათი ქსელის გაფართოებაზე.

ამრიგად, შეიქმნა საწყისი საფეხურები სოფლის ახალგაზრდობის მოსამზადებლად, რათა მათ ჩაებარებინათ გამოცდები სასოფლო-სამეურნეო ტექნიკუმებში. სასოფლო-სამეურნეო ტექნიკუმების დამთავრების შემდეგ სპეციალისტებს ენიჭებოდათ ტექნიკოსის წოდება და 3 წლიანი პრაქტიკული

მუშაობის შემდეგ ენიჭებოდათ ინჟინერ-პრაქტიკოსის წოდება მათ მიერ ამორჩეულ სპეციალობაში.

რეგიონების მიხედვით იქმნებოდა და შესაბამისად აღიჭურვებოდა პროფესიული სასწავლებლები, რომელთაც პროფესიული ტექნიკურები და კოლეჯები ეწოდებოდა. სასწავლებლები ოთხწლიანი გახლდათ და მასში ზოგადი განათლების კომპონენტიც შედიოდა. ზოგადსაგანამანათლებლო დაწესებულების საბაზო საფეხურის, იმ დროისათვის რვა კლასის დასრულების შემდეგ, მოსწავლეს სწავლის გაგრძელება პროფესიულ სასწავლებელში ან კოლეჯში შეეძლო და პროფესიის დაუფლების შემდეგ შესაძლებელი იყო სწავლა უმაღლეს საგანამანათლებლო დაწესებულებაში გაეგრძელებინა. პროფესიული სასწავლებლის დასრულებისთანავე ზოგადი განათლების ატესტატიც გაიცემოდა. სხვადასხვა მიზეზთა გამო, რომელთაც ქვემოთ უფრო დაწვრილებით განვიხილავთ, ამ დაწესებულებების არც დაფინანსება ხდებოდა და არც რაიმე სხვა მიმართულებით განვითარება. შესაბამისად, დაწესებულებებში თანდათანობით მოსწავლეთა რაოდენობა კლებულობდა.

(Челидзе, 1981)

1970-იანი წლებიდან საბჭოთა კავშირში და, მათ შორის, საქართველოში, მოსწავლე, რომელსაც რვა კლასი ჰქონდა დამთავრებული პროფესიულ სასწავლებელში სწავლობდა სამი წელიწადი, ხოლო ის, რომელსაც 11 კლასი ჰქონდა დამთავრებული - 1 წელიწადი; უმაღლესი პროფესიული სასწავლებელში - ტექნიკურმში - რვა კლასდამთავრებულს უწევდა 4 წელი სწავლა, ხოლო 11 კლასდამთავრებულს - 3 წელიწადი. საერთოდ, უნდა აღინიშნოს, რომ იმდროინდელი პროფესიული განათლება დიდი ავტორიტეტითა და პოპულარობით არ სარგებლობდა. პროფესიული სასწავლებლებისათვის მუდმივი პრობლემა იყო კონტინგენტის შევსება. ვინაიდან სკოლებიდან პროფესიული სასწავლებლებში იმ კონტინგენტის გაგზავნას ცდილობდნენ, რომელთაც კარგი მოსწრება არ ჰქონდათ. შესაბამისად, ეს ტრადიცია ბოლომდე გაჰყვა საბჭოთა პროფესიულ განათლებას და მიუხედავად მრავალი ცვლილებისა და მცდელობისა, პროფესიულ განათლებას დღემდე განიხილავენ (ძველი, საბჭოთა წარსულიდან გამომდინარე) ცუდი

აკადემიური მოსწრების მქონე მოსწავლეთათვის სწავლის გაგრძელების ალტერნატივად.

### 1.3. საქართველოს პროფესიული განათლება 1991 წლიდან 2007 წლამდე

1991 წლის 9 აპრილს საქართველოს ხელისუფლებაში მოსულმა ეროვნულმა ძალებმა, 31 მარტის საყოველთაო რეფერენდუმის საფუძველზე, საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობა აღადგინეს. საქართველოს რესპუბლიკის კონსტიტუციაში შეტანილ იქნა ცვლილებები და დადგინდა, რომ განათლების უფლებას უზრუნველყოფს ყველა სახის ფასიანი და უფასო სწავლება, მათ შორის, პროფესიული სწავლებაც. 1991 წლის 14 ივნისს საქართველოს რესპუბლიკის უზენაესმა საბჭომ დაამტკიცა დებულება „საქართველოს რესპუბლიკაში ფასიანი სასწავლებლების შესახებ“, რომლითაც ნებადართულ იქნა ფასიანი სასწავლებლების დაარსება, სახელმწიფოს მიერ აღიარებული სათანადო კვალიფიკაციის დამადასტურებელი მოწმობის (დიპლომი, ატესტატი) გაცემის უფლებით. ფასიანი სასწავლებლების დაარსების უფლება ჰქონდათ, როგორც იურიდიულ, ისე ფიზიკურ პირებს. აღსანიშნავია, რომ სახელმწიფოს ბიუჯეტზე მყოფ სასწავლებელთა ფასიანი სწავლების შემოღება დაუშვებელი იყო (საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭო, 1991). საქართველოს განათლების სამინისტროს უწყებრივი სალიცენზიო რეესტრის მონაცემების მიხედვით, 1991 წლიდან 2004 წლამდე გაიცა 11 დაწყებითი პროფესიული საგანმანათლებლო საქმიანობის ლიცენზია და 223 სამუშაო პროფესიული საგანმანათლებლო საქმიანობის ლიცენზია. არსებულმა მძიმე ეკონომიკურმა მდგომარეობამ მნიშვნელოვანი გავლენა მოახდინა პროფესიულ-ტექნიკური და საშუალო - სპეციალური სასწავლებლების ფუნქციონირებაზე. უსახსრობის, ჰიპერინფლაციის, მძიმე ენერგოდეფიციტის პირობებში არსებითად უმოქმედოდ იყო სასწავლო-საწარმოო პოტენციალი, მოიშალა საბაზრო საწარმოებისა და სასწავლებლების ტრადიციული ურთიერთობა. აღარ ხორციელდებოდა სასწავლებლის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის განახლება, გაწყდა კავშირი სასწავლებლებსა და საბაზრო საწარმოებს შორის. საწარმოებმა, ფაქტობრივად, შეუწყვიტეს დახმარება სასწავლებლებს მატერიალურ-ტექნიკური ბაზის სრულყოფაში, მოსწავლეთა საწარმოო სწავლებასა და პრაქტიკის ორგანიზაციასა და

კურსდამთავრებულთა დასაქმებაში. სახელმწიფო საწარმოთა დიდი ნაწილის უმოქმედობის გამო აღარ იყო მოთხოვნა მუშათა და საშუალო რგოლის კადრების მომზადებაზე. სამეურნეო ხელმძღვანელთა უმეტესობა არ ითვალისწინებდა სამომავლო ამოცანებს და არ იყო დაინტერესებული ახალგაზრდა კადრების მომზადებით. კერძო სტრუქტურები ჯერ კიდევ არ იყო მზად ახალგაზრდობის პროფესიული მომზადებისათვის ხელშესაწყობად. თავად სასწავლებლები კი სუსტად რეაგირებდა საბაზრო ეკონომიკის პირობებში მიმდინარე ცვლილებებზე. მკვეთრად შემცირდა საშუალო-სპეციალური და პროფესიულ-ტექნიკური განათლების მიღების მსურველთა რაოდენობა, შესაბამისად - მოსწავლეთა კონტიგენტი საშუალო-სპეციალურსა და პროფესიულ სასწავლებლებში. 1993 წლის 18 თებერვალს (ოქმი#2-6) საქართველოს განათლების სამინისტროს კოლეგიამ დაამტკიცა საშუალო სპეცილური სასწავლებლების სპეციალობათა ნუსხა. აღნიშული ნუსხით განისაზღვრა საქართველოს რესპუბლიკის საშუალო სპეციალური სასწავლებლების სპეციალობათა ჩამონათვალი, მისანიჭებელი კვალიფიკაცია და განისაზღვრა სწავლის მაქსიმალური ხანგრძლივობა არასრული (სწავლის ხანგრძლივობა ორი წელი) და სრული (სწავლის ხანგრძლივობა სამი წელი) საშუალო განათლების ბაზაზე. 1994 წელს კი, პირველად, განათლების მინისტრის 1994 წლის 28 თებერვლის #44 ბრძანებით განისაზღვრა იმავე წლის მისაღები კონტინგენტი დაწესებულებების მიხედვით და პირველად, იმავე ბრძანებით, სახელმწიფო საბიუჯეტო სახსრების მომჭირნეობით ხარჯვასთან დაკავშირებით, შესაძლებელი გახდა სასწავლებლებში ფასიანი ჯგუფების გახსნა. შემდგომ წლებში მოსახლეობის სწავლების ფასიანი მომსახურება მუდმივად ხორციელდებოდა და ეს პრაქტიკა დღემდე მოქმედია. დაფინანსების სხვადასხვა წყაროს განსაზღვრის მიზნით, საინტერესოა, 1995 წლის 19 სექტემბერი - საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტმა მიიღო N572 დადგენილება „განათლების რეფორმის სახელმწიფო პროგრამისა და მისი რეალიზაციის გეგმის შესახებ“. პროგრამა მიზნად ისახავდა არსებული განათლების სისტემის კარდინალურ ცვლილებას, შემდეგი სტრუქტურის ჩამოყალიბების საფუძველზე: „- სახელმწიფო სასწავლებლები, რომლებიც გადაჭრიან კადრების მომზადების პრობლემას რეგიონთაშორისი (რესპუბლიკური) მოთხოვნის

დასაკმაყოფილებლად; ამ ტიპის სასწავლებლების დაფინანსება მოხდება სახელმწიფო დაკვეთებით შესაბამისი ნორმატივების საფუძველზე; რეგიონული სასწავლებლები, რომლებიც რეგიონის საკადრო მოთხოვნილების საფუძველზე ფუნქციონირებს და დაფინანსდება ადგილობრივი ბიუჯეტიდან; დარგობრივი, რომელიც შექმნილია კონკრეტულ საწარმოსთან და დაფინანსდება საწარმოს მიერ; არასახელმწიფოებრივი პროფესიული სკოლები, მათი პროფესიულ-საგანმანათლებლო პროგრამების შერეული დაფინანსებით; პროფესიული სასწავლებლების ძირითადი ნაწილის რეგიონული დაქვემდებარება რეგიონისა და საწარმოს ბიუჯეტზე გადაყვანით; პროფესიული სასწავლებლის მიერ მოსახლეობის ფასიანი მომსახურების სფეროს გაფართოება; აღნიშნული დადგენილება საინტერესოა სხვადასხვა საჭიროებებდან გამომდინარე სხვადასხვა სახეობის კოლეჯების დაფუძნების განსაზღვრის მიზნით: „პროფესიული განათლების განვითარების რეალიზაციისათვის აუცილებელია: მუნიციპალური პროფესიული სასწავლებლების ჩამოყალიბების ქსელის გაფართოება კომუნალური (სათემო) კოლეჯების სახით, რომელიც იმუშავებს რეგიონის სოციალურ მოთხოვნებზე; შეიქმნება სასწავლებლის ახალი ტიპები - ფერმერთა სკოლები, სასწავლო-საწარმოო, სასწავლო-კომერციული ცენტრები და გაერთიანებები ხალხური რეწვისა და ტრადიციული დარგების აღორძინებისა და განვითარების მიზნით ფართო გასაქანი მიეცემა სწავლების ოსტატ-შეგირდული წესის გამოყენებას. პროფესიული სასწავლებლების დიდი ნაწილის ორიენტირება მეწარმეობაზე, მცირე საწარმოებისათვის და ინდივიდუალური შრომითი საქმიანობისათვის კადრების მომზადებაზე; იმ პროფესიული სასწავლებლის გაფართოება, რომლებიც მომსახურების სფეროსათვის ამზადებენ სპეციალისტებს; პროფესიული განათლების სისტემის მაქსიმალური გამოყენება კადრების გადამზადებისა და კვალიფიკაციის ამაღლებისათვის; არასახელმწიფო პროფესიული სკოლებისათვის მოქმედების პირობების „შექმნა“. (საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტის დადგენილება №572, 1995). სქართველოს პრეზიდენტის 1998 წლის 30 აპრილის N281 ბრძანებულებით დამტკიცდა საქართველოს განათლების სამინისტროს დებულება. აღნიშნული დებულებით განისაზღვრა სამინისტროს ამოცანები, ძირითადი

ფუნქციები და უფლებამოსილებანი, მათ შორის, პროფესიულ განათლებასთან დაკავშირებთ. სამინისტრო: 1) განსაზღვრავს იმ პროფესიათა და სპეციალობათა ნუსხას, რომელთა მიხედვითაც ხორციელდება სპეციალისტების მომზადება და გადამზადება დაწყებით პროფესიულ, საშუალო პროფესიულ, უმაღლეს სასწავლებლებში და კვალიფიკაციის ამაღლებისა და გადამზადების ქსელში; 2) საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად ადგენს საშუალო სკოლის სხვადასხვა ტიპის, დაწყებითი პროფესიული, საშუალო პროფესიული და უმაღლესი სასწავლებლის სახელმწიფო დიპლომების სერტიფიცირების წესს და დისციპლინათა და საგანთა ნუსხას; 3) შეიმუშავებს და ამტკიცებს უმაღლეს და საშუალო პროფესიულ სასწავლებლებში მიღების წესებს; 4) ახდენს საშუალო ზოგადსაგანმანათლებლო, დაწყებით პროფესიულ და საშუალო პროფესიულ დაწესებულებათა აკრედიტაციას; 5) თანამდებობაზე ნიშნავს და თანამდებობიდან ათავისუფლებს სახელობო მომზადების, დაწყებითი პროფესიული და საშუალო პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების დირექტორს. აღნიშნული დებულებით ასევე განისაზღვრა 110 პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულება, რომელიც იმ პერიოდისათვის ფუნქციონირებდა (საქართველოს პრეზიდენტი, 1998). ორიოდე სიტყვით უნდა აღინიშნოს, რომ 21-ე საუკუნის მიჯნაზე არსებული პროფესიული განათლებისა და მომზადების სახელმწოფო სისტემა მოიცავდა: 1. დაწყებით პროფესიულ განათლებას და სახელობო მომზადებას; 2. საშუალო პროფესიულ განათლებას; 3. ზრდასრულთა პროფესიულ მომზადება-გადამზადებას და კვალიფიკაციის ამაღლებას (საქართველოს პარლამენტი, 1998).

**დაწყებითი პროფესიული განათლება და სახელობო მომზადება რეგულირდებოდა საქართველოს კანონით „დაწყებითი პროფესიული განათლების შესახებ“.** (საქართველოს პარლამენტი, 1998) კანონი მიღებულ იქნა საქართველოს პარლამენტის მიერ 1998 წელს, საქართველოს კანონის „განათლების შესახებ“ მიღების შემდეგ, დაწყებითი პროფესიული განათლების სფეროსათვის დამახასიათებელი საკითხების დაკონკრეტებისა და საკანონმდებლო უზრუნველყოფის მიზნით. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ „განათლების შესახებ“ საქართველოს კანონით განათლების მიღების ვალდებულება შემცირდა და


განისაზღვრა ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურით (6 კლასი). (საქართველოს პარლამენტი, 1997). შესაბამისად, სახელობო მომზადება შეიძლებოდა მხოლოდ დაწყებითი ზოგადი განათლების მიღების შემდეგ (6 კლასი) და დაწყებითი პროფესიული განათლების მიღება შეიძლებოდა მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ პირს მიღებული ჰქონდა საბაზო ზოგადი განათლება (9 კლასი). (საქართველოს პარლამენტი, 1998). შესაბამისად, კანონმდებლობის ფარგლებში, მოზარდი 3 წლის განმავლობაში, ფაქტობრივად, უადგილოდ, სასწავლებლის გარეშე რჩებოდა. სავალდებულო ზოგადი განათლების დონის შემცირებამ, ეკონომიკურ სიდუხჭირესთან და შიდა კონფლიქტების შედეგად დევნილი ბავშვების რაოდენობის ზრდასთან ერთად, გამოიწვია ე.წ. ქუჩის ბავშვების პრობლემა, მისი თანამდევი ყველა გართულებით (ბავშვთა მძიმე შრომა, ნარკომანია, სხვადასხვა სახის დაავადებები, ქურდობა და სხვა).

**საშუალო პროფესიული განათლება** 2005 წლამდე რეგულირდებოდა 1997 წელს მიღებული „განათლების შესახებ“ საქართველოს კანონით. 2005 წლის აპრილში საქართველოს პარლამენტმა მიიღო კანონი „ზოგადი განათლების შესახებ“, რომელშიც ცალკე თავი ეთმობოდა საშუალო პროფესიულ განათლებასთან დაკავშირებულ საკითხებს. ამ კანონის მიხედვით, საშუალო პროფესიული განათლება ხორციელდებოდა როგორც საშუალო განათლების, ისე საბაზო სკოლის - 9 კლასის ბაზაზე.

2004 წლამდე, მიუხედავად იმისა, რომ განსაკუთრებით გამწვავდა სოციალური ვითარება, პროფესიული განათლება თითქმის არ განიხილებოდა უმუშევრობის, სიღარიბის დაძლევისა და ეკონომიკის წინსვლის ფაქტორად. ამ პერიოდისათვის საქართველოში მოქმედებდა 80 დაწყებითი და 87 საშუალო სახელმწიფო პროფესიული სასწავლებელი. აღნიშნული დაწესებულებები ინარჩუნებდნენ არსებობას მხოლოდ შინაგანი რესურსების მობილიზებით, პედაგოგიური კოლექტივების მცდელობითა და მცირეოდენი გარე დახმარებით. თუმცა, უდიდესი ეკონომიკური სირთულეების გამო, მოსახლეობის დიდი ნაწილის ემიგრაციის, კერძო საშუალო პროფესიული და უმაღლესი სასწავლებლების რიცხვის ზრდის და მათში ჩარიცხვის გაიოლების, სახელმწიფო დაფინანსების მინიმუმამდე შემცირების

პირობებში, დაწყებითი პროფესიული სასწავლებლების დიდმა ნაწილმა ამოწურა თავისი შესაძლებლობები და ვერ შეძლო ფუნქციონირების გაგრძელება, რის გამოც 1989 წლიდან 2004 წლამდე ლიკვიდაციისა და გაერთიანების გზით სახელმწიფო დაწყებითი პროფესიული სასწავლებლების რაოდენობა 170-დან 78-მდე შემცირდა, მოსწავლეთა რაოდენობამ იკლო, დაახლოებით, 7-ჯერ, ხოლო ყოველწლიური მიღება 15 ათასიდან 2000-მდე შემცირდა .

სახელმწიფო საშუალო პროფესიულ სასწავლებლებს რაოდენობრივად დიდი ცვლილებები არ განუცდია, საბიუჯეტო ჯგუფებში მოსწავლეთა რაოდენობა შემცირდა, დაახლოებით, 25%-ით.



სახელმწიფო საშუალო პროფესიული სასწავლებლები და მათში მოსწავლეთა რაოდენობა სწავლების სახეობის მიხედვით (სტატისტიკის სახელმწიფო დეპარტამენტი, 2016,[2101]).

მსხვილი საბაზო სამრეწველო საწარმოების უმოქმედობამ გამოიწვია სამრეწველო პროფესიებში კადრების მომზადებაზე მოთხოვნის შემცირება, პარალელურად, სულ უფრო იზრდება მოთხოვნა მომსახურების სფეროს პროფესიებზე, თუმცა მოსახლეობის მოთხოვნა პროფესიულ საგანმანათლებლო მომსახურებაზე საშუალო პროფესიული განათლების სფეროში, იმ პერიოდისათვის, ხშირად არ შეესაბამებოდა ბაზრის მოთხოვნას. საშუალო პროფესიული სასწავლებლების უმეტესმა ნაწილმა გარდამავალ პერიოდში პროფილი შეიცვალა. საშუალო პროფესიული სასწავლებლების დიდი ნაწილი, განსაკუთრებით სამედიცინო პროფილის, იქცა

უმაღლეს სასწავლებლებში გაიოღებული ჩარიცხვის, უმაღლეს სასწავლებელში სწავლის პერიოდის შემცირების, უხარისხო უმაღლესი განათლების მიღების საშუალებად. 9 კლასდამთავრებული მოსწავლეები კოლეჯს ჩარიცხვიდან ორ-სამ წელიწადში ამთავრებენ და უმაღლესი სასწავლებლის მეორე-მესამე კურსზე ირიცხებოდნენ, მაშინ, როდესაც მათ თანატოლებს, რომლებმაც სკოლა ჩვეული გრაფიკით დაამთავრეს, იმ დროისათვის უნივერსიტეტის ან ინსტიტუტის პირველ კურსზე ჩაბარება უწევდათ. პრესტიჟულ სპეციალობებზე (სამედიცინო, იურიდიული) ამგვარი ფაქტები იქცა კორუფციის, ცოდნის დაბალი ხარისხის და სხვა მრავალი პრობლემის მიზეზად. 2005 სასწავლო წელს ასეთი მოვლენების თავიდან აცილების მიზნით, უმაღლეს სასწავლებლებში პირველად ჩატარდა ერთიანი ეროვნული გამოცდები, რამაც აღნიშნული პრობლემები სრულიად მოხსნა.

საქართველოს რეგიონებში, პატარა ქალაქებსა და სოფლად მდგომარეობა სრულიად შეუსაბამო იყო. თბილისში, რამდენიმე პატარა ქალაქსა და რაიონულ ცენტრში ფუნქციონირებდა დაუტვირთავი საშუალო და დაწყებითი პროფესიული სასწავლებლები, მთელი რიგი რაიონების, განსაკუთრებით კი მაღალმთიანი რეგიონების მოსახლეობისათვის არ იყო ხელმისაწვდომი როგორც დაწყებითი, ისე საშუალო და ზრდასრულთა პროფესიული განათლება. ქუთაისში 1993 წლამდე 11 პროფესიულ-ტექნიკური სასწავლებელი მოქმედებდა, სადაც სპეციალისტები ქალაქში მოქმედი დიდი სამრეწველო საწარმოებისათვის მზადდებოდა. 2003 წლისათვის ქუთაისში ფუნქციონირებს 4 კერძო, 13 სახელმწიფო საშუალო პროფესიული სასწავლებელი, მათ შორის, 10 სამედიცინო პროფილის. ქალაქში არ დარჩა არც ერთი პროფესიული სასწავლებელი, რომელიც მოამზადებდა კვალიფიციურ მუშახელს იმ პროფესიებში, რომლებზეც აშკარად იყო გამოკვეთილი ბაზრის მოთხოვნა (სამშენებლო დარგი, მომსახურების სფერო და სხვა). დაწყებითი და საშუალო პროფესიული განათლების სასწავლო დაწესებულებები, ძირითადად, სახელმწიფო ბიუჯეტის დაფინანსებით მუშაობდა.

მასწავლებელთა სახელფასო დავალიანება 1997-2003 წლებში დაწყებით პროფესიულ განათლებაში 1.600.000 ლარი იყო, ხოლო საშუალო პროფესიულ განათლებაში - 1.511.200 ლარი. აღნიშნული დავალიანებების გასტუმრება მხოლოდ

2004 წელს მოხდა. იმ პერიოდისათვის პროფესიული განათლების ბიუჯეტი ტრადიციულად განათლებაზე გამოყოფილი სახსრების 2,5-3% იყო, რაც მხოლოდ პროფესიულ განათლებაში მომუშავე თანამშრომელთა სახელფასო განაკვეთს შეადგენდა.

პროფესიული სასწავლებლების სასწავლო მატერიალური ბაზის შევსების თვალსაზრისით ინვესტირება არ განხორციელებულა 1986 წლის შემდეგ, ვიდრე 2005 წლამდე. ასეთ ვითარებაში სასწავლებლებმა გამოსავლის სახით სცადეს ფასიანი საგანმანათლებლო მომსახურების განვითარება იმ პროფესიებში, რომლებზეც შრომის ბაზარზე გაჩნდა მოთხოვნა და რომლებსაც სახელმწიფო არ აფინანსებდა.

2000 წლიდან 12 დაწყებითი პროფესიული სასწავლო დაწესებულება გადაყვანილ იქნა თვითდაფინანსებაზე. დაწყებითი პროფესიული განათლების მომსახურებით, ძირითადად, სარგებლობდა გადახდისუნარო მოსახლეობა, მაგრამ ასეთ პირობებშიც კი, უმნიშვნელოდ, მაგრამ მაინც გაიზარდა სასწავლებლების საკუთარი შემოსავალი, რომელიც, ძირითადად, ფასიანი საგანმანათლებლო მომსახურებიდან შემოდიოდა.

2002-2003 წლების პერიოდში არსებითად შეიცვალა მოსამზადებელი კვალიფიკაციების სტრუქტურა. ეკონომიკაში მიმდინარე პროცესებისა და მსხვილი საწარმოების ფუნქციონირების შეწყვეტის შესაბამისად, შემცირდა მოთხოვნა ინდუსტრიულ, სამრეწველო პროფესიებში მომზადებაზე. ამავე დროს, ბაზარზე გაჩნდა მოთხოვნა ვაჭრობის, ტურიზმის, სარესტორნო საქმისა და საზოგადოებრივი კვების, ტრანსპორტის პროფესიებზე. თუმცა სახელმწიფომ, ამ სფეროებში მომსახურების უკიდურესად დაბალი ხარისხის მიუხედავად, შეწყვიტა მომსახურე პერსონალის მომზადების დაფინანსება. მათი მომზადება დაწყებითი პროფესიული განათლების სფეროში, მხოლოდ ფასიანი სწავლების პრინციპით წარმოებდა.

მსხვილი საწარმოების უმოქმედობასთან ერთად, იკლო სამრეწველო სპეციალისტების მომზადების მოთხოვნამ. ამავე დროს, სამუშაო ადგილების არარსებობის მიუხედავად, საშუალო პროფესიულ სასწავლებლებში გაიზარდა მიღება კულტურის, იურიდიულ, ეკონომიკურ, სამედიცინო და პედაგოგიურ სპეციალობებზე.

განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ მოწოდებული ინფორმაციის თანახმად, 2003-2004 სასწავლო წელს სახელმწიფო საშუალო პროფესიულ სასწავლებლებში მოსწავლეთა საერთო რაოდენობის 19,6% სწავლობდა სამედიცინო, 13,7% ხელოვნებისა და კინემატოგრაფიის, 13,7% ეკონომიკისა და სამართლის სპეციალობებზე, 12,5% პედაგოგიურ სპეციალობებზე, 5,7% მრეწველობისა და მშენებლობის სპეციალობებზე, 4,6% ტრანსპორტისა და კავშირგაბმულობის სპეციალობებზე და ეს იმის მიუხედავად, რომ ბოლო ხანს, ბაზარზე მაღალი კვალიფიკაციის მშენებელთა კადრებზე იყო მოთხოვნა.

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს ინიციატივით, საქართველოს მთავრობის 2005 წლის 27 მაისის №90 დადგენილებით შეიქმნა პროფესიული განათლების სფეროში სოციალური პარტნიორობის კომისია, რომლის შემადგენლობაში გაერთიანებული იყვნენ: შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის, განათლებისა და მეცნიერების, სოფლის მეურნეობის, კულტურისა და ძეგლთა დაცვის, ეკონომიკური განვითარების მინისტრები, საქართველოს დამსაქმებელთა ასოციაციის, ზრდასრულთა განათლების ასოციაციის ხელმძღვანელები და სხვ. მთავრობამ დაამტკიცა სამთავრობო კომისიის დებულება, რომლითაც განისაზღვრა კომისიის უფლება-მოვალეობანი და ამოცანები. კომისია წარმოადგენდა საქართველოს მთავრობის სათათბირო ორგანოს, რომელიც შეიქმნა სახელმწიფოს, დამსაქმებლების, პროფესიული კავშირებისა და არასამთავრობო სექტორების საქმიანობის კოორდინაციის მიზნით. (საქართველოს მთავრობის №90 დადგენილება, 2005 წლის 27 მაისის). შესაბამისად, უკვე ამ პერიოდიდან იწყება სოციალური პარტნიორების პროფესიულ განათლებაში ჩართვის მცდელობა, თუმცა იმის გათვალისწინებით, რომ აღნიშნული კომისია წარმოადგენდა მთავრობის სათათბირო ორგანოს, თეორიულად და შემდეგ უკვე პრაქტიკულად კარგად გამოჩნდა, რომ ასეთი სახის კავშირი პროფესიულ განათლებასა და სოციალურ პარტნიორებს შორის საკმაოდ სუსტია და შედეგს, პრაქტიკულად, არ იძლევა.

საინტერსოა და ნამდვილად აღნიშვნის ღირსია საერთაშორისო ორგანიზაციებისა და უცხოელი პარტინიორების დახმარება პროფესიული განათლების თანამედროვე მოთხოვნების შესაბამისად დაგეგმვისა და განვითარების მიმართულებით. 2002-2003

წლებში გერმანიის სახალხო უნივერსიტეტების გაერთანების კავკასიის ფილიალის დახმარებით 18 პროფესიაში შემუშავდა იმ პერიოდისათვის ადგილობრივი შრომის ბაზრის მოთხოვნის შესაბამისი პროფესიული საგანმანათლებლო სტანდარტები და სასწავლო პროგრამები, რომლებიც, იმავდროულად, ევროპული გამოცდილებით იყო გაჯერებული. აი, ეს პროგრამებიც: ფართო პროფილის მშენებელი; ელექტროაირშემდუღებელი; სადურგლო სამუშაოების ოსტატი; ფართო პროფილის მეჩარხე; მძღოლი (ყველა კატეგორიის); ავტომექანიკოსი; კომპიუტერული სისტემების ოპერატორი; სამშენებლო-მომპირკეთებელი სამუშაოების ოსტატი; მზარეულ-კონდიტერი; მდივან-რეფერენტი; ბარმენი-მებუჭეტე, მიმტანი (ოფიციანტი); გამყიდველი; მიძა ოჯახში; სანიტარულ-ტექნიკური სამუშაოების ოსტატი; ელექტროსამონტაჟო სამუშაოების ოსტატი; პარიკმახერი; ფართო პროფილის მექანიკურ-სამწყობო სამუშაოთა ზეინკალი.

აღნიშნული ორგანიზაციის მიერ (IIZ/DFF) ასევე შემუშავდა და გამოიცა საგნის „სამეწარმეო საქმიანობის საფუძვლები“ სასწავლო პროგრამა და ორი დასახელების სახელმძღვანელო.

პროფესიულ სწავლებაში ნაკლებად გამოიყენებოდა თანამედროვე სწავლების მეთოდები. ამის მიზეზი, უპირველესად, სასწავლებლების სუსტი საწავლო-მატერიალური ბაზა, ბიზნესთან და შრომის ბაზართან პროფესიული სასწავლებლების სუსტი კავშირი და პედაგოგიური პერსონალის მოუმზადებლობა იყო. სასწავლებლებს არ გააჩნდათ სწავლების თანამედროვე საშუალებების, მათ შორის კომპიუტერული ტექნიკის, ლაბორატორიული აღჭურვილობისა თუ სადემონსტრაციო საშუალებების შემენის შესაძლებლობა. ეპიზოდიური იყო შემთხვევები, როდესაც დამსაქმებლები პროფესიული სასწავლებლების მოსწავლეებს საკუთარ საწარმოებში სასწავლო პრაქტიკის გავლის შესაძლებლობას აძლევდნენ.

საქართველოს, ისევე, როგორც კავკასიისა და შუა აზიის ქვეყნების პროფესიული განათლების ერთი უმნიშვნელოვანესი პრობლემა იყო საბაზრო ეკონომიკის მუდმივად ცვლად გარემოში სპეციალისტთა მოსამზადებლად საჭირო პროფესიული ცოდნისა და უნარ-ჩვევების მქონე ოსტატ-პედაგოგთა ნაკლებობა. დეფიციტი შეინიშნებოდა, უპირველეს ყოვლისა, დაუფინანსებლობის, პროფესიულ

განათლებაში სოციალური პარტნიორების, განსაკუთრებით, დამსაქმებელთა პასიური მონაწილეობის, ახალ საბაზრო მოთხოვნებთან მასწავლებლებისა და ოსტატ-პედაგოგთა კადრების შეუსაბამობის გამო.

საქართველოს მთავრობამ ჯერ კიდევ 2005 წლის 31 აგვისტოს №150 დადგენილებით დაამტკიცა „პროფესიული განათლების კონცეფცია“. მნიშვნელოვანია ის ხედვა, რომელსაც ეყრდნობოდა განათლების სისტემის რეფორმა - სწავლა მთელი ცხოვრების განმავლობაში, რომელიც პროფესიულ განათლებასთან დაკავშირებული თითოეული თანამედროვე განვითარებული სამყაროს სტრატეგიული მიზნი და, ამავდროულად, ცოდნაზე დაფუძნებული ეკონომიკის მშენებლობის ფუძემდებლური პრინციპია. სასწავლო პროცესის კრედიტ-საათებით დაგეგმვა, სხვადასხვა დონის სასწავლო პროგრამების მიზნებისა და შინაარსის თავსებადობა და ურთიერთკავშირი, სწავლების შეფასება შედეგების, შეძენილი ცოდნის, უნარ-ჩვევებისა და არა სასწავლო პროცესის ფორმალური მიმდინარეობის მიხედვით - ეს ის საერთო მიდგომები იყო, რომელთა საშუალებითაც უნდა გადაჭრილიყო განათლების სფეროს წინაშე დასახული მიზნები და ამოცანები (საქართველოს მთავრობა, 2005, №150). როგორც ვხედავთ, ამ თემებზე საუბარი ათ წელიწადზე მეტია მიმდინარეობს, თუმცა მთელი რიგი საკითხები, რომელიც ზემოაღნიშნულ მიდგომებს უნდა უზრუნველყოფდეს, ჯერ კიდევ მოსაგვარებელია.

არსებითი ცვლილება, რაც პროფესიული განათლების ახალმა მარეგულირებელმა დოკუმენტებმა იმ პერიოდისათვის გაამარტივა, გახლდათ პროფესიული განათლების საფეხურები (მხოლოდ საშუალო და უმაღლესი) და ერთმანეთისაგან გაყო, ერთი მხრივ, უმაღლესი აკადემიური და უმაღლესი პროფესიული განათლება და, მეორე მხრივ, ზოგადი და პროფესიული განათლება (საქართველოს პარლამენტი, 2007).

პროფესიული განათლების რეფორმა ჯერ კიდევ იმ პერიოდში ეფუძნებოდა თვისებრივად ახალ ხედვას - პროფესიული განათლების სფეროს განვითარება პირდაპირ კავშირში უნდა ყოფილიყო სამუშაო ადგილების კერძო და სახელმწიფო სექტორებს შორის თანამშრომლობის გზით შექმნასთან.

სასწავლო-სამეწარმეო პარტნიორობა პროფესიული განათლების სფეროში უნდა განხილულიყო, როგორც მაღალი ხარისხის პროფესიული განათლების სისტემის შექმნის მნიშვნელოვანი ბერკეტი, რომელიც უზრუნველყოფდა საგანმანათლებლო მომსახურების კავშირს ეკონომიკასთან და განსაზღვრავდა კვალიფიკაციებზე, კომპეტენციებსა და უნარ-ჩვევებზე შრომის ბაზრის მოთხოვნისა და მიწოდების ბალანსს.

- სასწავლო-სამეწარმეო პარტნიორობის ფარგლებში დამსაქმებლები და მათი ორგანიზაციები მონაწილეობენ პროფესიული განათლების ეროვნული პოლიტიკის შექმნასა და ამ სფეროში გადაწყვეტილებების მიღებაში;
- საკვალიფიკაციო მოთხოვნების, პროფესიული და საგანმანათლებლო სტანდარტების შემუშავებაში;
- სამუშაო ადგილზე სწავლების პრიორიტეტების ჩამოყალიბებაში;
- საგანმანათლებლო პროგრამების შედგენასა და სასწავლებლების მართვაში (საქართველოს მთავრობა, 2005, №90).

სწავლებისადმი ამგვარი მიდგომა, უპირველესად დამსაქმებლის ინტერესებშიც შედიოდა, რამდენადაც გლობალურ ბაზარზე კონკურენტუნარიანი პროდუქცია სწორედ საერთაშორისო საკვალიფიკაციო მოთხოვნების შესატყვისი სამუშაო ძალის გამოყენებით შექმნა იქნებოდა შესაძლებელი. როგორც ხედავთ, “სამუშაოზე დაფუძნებული სწავლება” (**work-based learning**) მთავრობამ, ჯერ კიდევ 2005 წლის დოკუმენტში ასახა. თუმცა რამდენად განხორციელდა ეს მიდგომები, ჩვენ ქვემოთ გავეცნობით.

საქართველოს მთავრობის 2005 წლის 31 აგვისტოს №150 დადგენილებით დამტკიცებული საქართველოს პროფესიული განათლების კონცეფციის რეალიზაციის გეგმის თანახმად, დამუშავდა ახალი ტიპის პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების - პროფესიული სწავლების ცენტრების შექმნის კონცეფცია. განხორციელდა 11 პროფესიული სასწავლებლის რეაბილიტაცია თბილისა და რეგიონებში, ცენტრები აღიჭურვა შესაბამისი სასწავლო-მატერიალური ბაზით.

იმ პერიოდისათვის განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსა და მის მიერ დაფუძნებულ დაწესებულებებს პროფესიული განათლების რეფორმირებაში დახმარებას უწევდნენ ევროპის განათლების ფონდი (ETF), ევროკომისის დელეგაცია საქართველოში (ESDG) და მისი მოწვეული ექსპერტები, აშშ საელჩო საქართველოში, შეერთებული შტატების საერთაშორისო განვითარების პროგრამა (USAID), ორგანიზაცია World Learning/START (USAID/Caucasus), ოკლახომას ტექნოლოგიური განათლების დეპარტამენტი, აშშ ასოციაცია “სათემო კოლეჯები საერთაშორისო განვითარებისათვის”, ბრიტანეთის საბჭო საქართველოში, გაეროს განვითარების პროგრამა (UNDP), ევრაზიის ფონდი, გერმანიის ტექნიკური თანამშრომლობის საზოგადოება (GIZ), ორგანიზაცია World Vision საქართველო, ნიდერლანდების საელჩო საქართველოში და ორგანიზაცია PUM, ამერიკის სოფლის მეურნეობის განვითარების პროგრამა (USDA), გერმანიის სახალხო უნივერსიტეტების საქართველოს ფილიალი, მიგრაციის საერთაშორისო ორგანიზაცია (IOM), საქართველოს დამსაქმებელთა ასოციაცია და შრომის საერთაშორისო ორგანიზაცია (ILO), ადამიანური რესურსების განვითარების სააგენტო (FHDR), საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტები, საქართველოს საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტი (GIPA), იაპონიის საერთაშორისო თანამშრომლობის სააგენტო (JICA).

2005 წელს მომზადდა პრეზიდენტის ოთხწლიანი ნაციონალური პროგრამა „პროფესიული სასწავლებლების რეაბილიტაცია”, რომელიც ითვალისწინებდა დაწყებითი და საშუალო საგანმანათლებლო დაწესებულებების ბაზაზე პროფესიული სწავლების ცენტრების შექმნას. აღნიშნული პროგრამის ფარგლებში 2006 წელს გამოიყო 4.000.000 (პრეზიდენტის ნაციონალური პროგრამა, 2005); ხოლო 2007 წელს 7.000.000 ლარი (პრეზიდენტის ნაციონალური პროგრამა, 2006).

როგორც ვხედავთ პროფესიულ განათლებას საქართველოში დიდი და მდიდარი ისტორია აქვს. ქართველ ხალხს განვლილი საუკუნეების ნებისმიერ ეტაპზე გააზრებული ჰქონდა ცოდნისა და მისი პრაქტიკაში გამოყენების, კერძო მეწარმეების ჩართულობით პროცესების დაგეგმვის მნიშვნელობა, მეცნიერებისა და თანამდროვე ტექნოლოგიების დანერგვის აუცილებლობა და, რაც მთავარია, ზოგადად განათლებაში მთავარი მოქმედი გმირის, მასწავლებლის როლი ქვეყნის გნვითარებასა

და წინსვლაში. შესაბამისად, ნათელია, რომ მომავლის დაგეგმვისას არ უნდა დაგვავიწყდეს ქვეყნის წარსული, მით უმეტეს, რომ წარსულში ჩვენი ქვეყნის ხედვა იდენტურია ევროპული ხედვისა და მიდგომების, რაც არაერთხელ დადასტურდა წინამდებარე თავებში საქართველოს პროფესიულ განათლების კუთხით ისტორიული წარსულის მიმოხილვისას.

## 2. პროფესიული განათლების განვითარების ძირითადი ევროპული მიმართულებები

საქართველოსათვის პროფესიული განათლების ევროპულ სივრცესთან ინტეგრაცია ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ამოცანაა. დღეს ამ მიმართულებით საქართველოს პროფესიულ სასწავლებლებში პირველ ნაბიჯი იდგმება. აღნიშნულზე მოგვიანებით უფრო დეტალურად შევჩერდებით, ახლა კი ვიტყოდი, რომ საქართველომ უნდა შეძლოს კონკურენტუნარიანი, მაღალკვალიფიციური კადრების მომზადება, რომლებიც ამ ეტაპზე ადგილობრივ ბაზარზე შეძლებენ დასაქმებას. ამ მიზნის მისაღწევად საქართველოს პროფესიული განათლების სისტემაში უნიშვნელოვანესია თანამედროვე ევროპული მიმართულებისა და პრიორიტეტების გათვალისწინება და ასახვა.

ევროკავშირის ქვეყნებში პროფესიული განათლების სფეროში მიმდინარე პროცესები ასახულია სტრატეგიაში „ევროპა 2020“ (ევროკავშირის ეკონომიკური ზრდის სტრატეგია „ევროპა 2020“), ბრიუგეს კომუნიკეში (ევროპა 2020). ევროპის 2020 სტრატეგიამ უნდა “უზრუნველყოს განვითარება, რომელიც იქნება: გონივრული, განათლების ეფექტური დაფინანსების, კვლევის და ინოვაციების დანერგვის საფუძველზე; მდგრადი, ეკონომიკის განვითარების საფუძველზე და ინკლუზიური, რომელიც განსაკუთრებულ მნიშვნელობას მიანიჭებს სამუშაო ადგილების შექმნასა და სიღარიბის დაძლევას.

„ევროპა 2020“ სტრატეგია შემდეგ ინიციატივებს მოიცავს:

- მოქნილი განვითარება: ციფრული განვითარება, ინოვაციური კავშირების დამყარება, აქტიური ახალგაზრდობა;

- მდგრადი განვითარება: ევროპა - რესურსის ეფექტიანი მომხმარებელი, ინდუსტრიული პოლიტიკა გლობალიზაციის ერაში;
- ინკლუზიური განვითარება: ახალი პროფესიებისა და უნარების სისტემატიზაცია, ევროპული პლატფორმა სიღარიბის დასაძლევად.

ბრიუგეს კომუნიკეს მიხედვით, 2020 წლისთვის ევროპის პროფესიული განათლების სისტემა უნდა გახდეს უფრო მიმზიდველი, რელევანტური, კარიერაზე ორიენტირებული, ინოვაციური, ხელმისაწვდომი და მოქნილი, ვიდრე ის იყო 2010 წელს. სისტემამ ხელი უნდა შეუწყოს საუკეთესო და უმაღლესი ხარისხის განათლების მიღებას მთელი სიცოცხლის განმავლობაში. ბრიუგეს კომუნიკეს ამოცანაა პროფესიული განათლების სისტემაში პარტნიორების უფრო მეტი ჩართულობა და ევროპული პარტნიორების გამოცდილების გაზიარება, ევროპული და ეროვნული ინსტრუმენტების კოორდინირებული მმართველობა გამჭვირვალობის, აღიარების, ხარისხის უზრუნველყოფისა და მობილობის თვალსაზრისით (საქართველოს პრემიერ-მინისტრი, 2013).

## 2.1. ევროპის საკვალიფიკაციო ჩარჩო

ევროპის საკვალიფიკაციო ჩარჩო ევროპის ქვეყნებისთვის საერთო სახელმძღვანელო დოკუმენტია. მასში კვალიფიკაციები ზოგადი, პროფესიული და უმაღლესი განათლების დონეზეა მოცული. მისი მთავარი მიზანი კვალიფიკაციათა საშუალებით სხვადასხვა ქვეყნების საგანმანათლებლო სივრცის ერთმანეთთან დააკავშირებაა. ამ დოკუმენტის შექმნის მნიშვნელოვანი ამოცანა სხვადასხვა ქვეყნებში მოსწავლეთა/სტუდენტთა მობილობის ხელშეწყობაა. დოკუმენტი ასევე მნიშვნელოვანია ევროპულ სივრცეში მუშაობისა და მთელი ცხოვრების განმავლობაში სწავლის შესაძლებლობის თვალსაზრისით (European Centre for the Development of Vocational Training [CEDEFOP], 2009).

კვალიფიკაციათა ტრანსფერის, შესაძარობის, აღიარებისა და გამჭვირვალობის საკითხი, შეიძლება ითქვას, ევროპის საგანმანათლებლო სივრცეში დღეს ყველაზე მნიშვნელოვანი ამოცანაა. აღნიშნული მიმართულებით მიმდინარეობს მუშაობა როგორც კოპენპაგენის, ისე ბოლონიის პროცესის ფარგლებშიც.

პროფესიული კვალიფიკაციების სისტემის შემუშავების მიზანია პროფესიათა სისტემატიზაცია პროფესიული სტანდარტებით (იგულისხმება ქვეყანაში არსებული პროფესიათა ჩამონათვალი და მათი აღწერა). დასაქმებისა და განათლების საერთაშორისო სტანდარტული კვალიფიკაციების შესაბამისად, პროფესიული კვალიფიკაციების შეფასების ერთიანი და შესადარი სისტემის ჩამოყალიბება, პროფესიული სტანდარტების შესამუშავებლად წინაპირობების მომზადება. სისტემატიზაცია აღქმულია, როგორც „პროფესიული კვალიფიკაციების სისტემის“ ტრანსფორმირება „ეროვნულ საკვალიფიკაციო ჩარჩოდ“. ეს განმარტებულია როგორც დოკუმენტი, რომელშიც სისტემატიზებულია სახელობო და პროფესიული უმაღლესი განათლების შესაბამისი ყველა პროფესია, კვალიფიკაცია და კვალიფიკაციათა დონე.

თავის მხრივ საქართველომ, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 10 დეკემბრის №120/ნ ბრძანებით დაამკიცა ეროვნული საკვალიფიკაციო ჩარჩო, რომელშიც აღწერილია განთლების სისტემის ყველა საკვალიფიკაციო დონე/საფეხური და მათი ურთიერთკავშირი. (საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრი, 2010, №120/ნ).

ევროპაში კოპენჰაგენისა და ბოლონიის პროცესების მეშვეობით ყალიბდება საერთო საგანმანათლებლო სივრცე, რომლებიც შესაბამისად უზრუნველყოფენ პროფესიული და უმაღლესი აკადემიური განათლების სფეროებში ხარისხებისა და კვალიფიკაციების ურთიერთაღიარებას, სტუდენტების მობილობის ზრდას და ევროპული განზომილების შემოღებას განათლებისა და ტრენინგის სისტემაში. საქართველო ბოლონიის პროცესის მონაწილე ქვეყანაა. კოპენჰაგენის პროცესში მხოლოდ ევროკავშირის ქვეყნები მონაწილეობენ, თუმცა საქართველოსათვის სასწავლო პროცესის ორგანიზების მხრივ სასარგებლო და ამავდროულად მნიშვნელოვანი იქნება ევროპული გამოცდილების გათვალისწინება. გარდა ამისა, ქვეყნისათვის გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს კვალიფიკაციების აღიარებას ევროპის შრომის ბაზარზე – ეს წინ გადადგმული ნაბიჯი იქნება საქართველოს ევროინტეგრაციის გზაზე (კოპენჰაგენის პროცესი, 2002), (ბოლონიის პროცესი, 1999).

## 2.2. ევროპული ინტეგრაცია პროფესიული განათლების სფეროში

ევროპის თითქმის ყველა ქვეყანაში მიმდინარეობს პროფესიული განათლების სფეროს რეფორმირება, რასაც საფუძველი დაუდო ლისაბონის სტრატეგიამ (მარტი, 2000) (ბაქრაძე&ღლონტი, 2006). ამ სტრატეგიის თანახმად, ევროპაში უნდა ჩამოყალიბდეს ყველაზე კონკურენტუნარიანი და ცოდნაზე დაფუძნებული ეკონომიკა, უფრო მეტი და გაუმჯობესებული სამუშაო ადგილებით.

აღნიშნულის მისაღწევად ევროპამ მიზნად დაისახა არა მარტო ევროპული ეკონომიკის რადიკალური ტრანსფორმაცია, არამედ ასევე განათლების სისტემის მოდერნიზაციაც. 2002 წლის ნოემბერში ევროკომისიისა და ევროკავშირის განათლების მინისტრებმა მიიღეს კოპენჰაგენის **დეკლარაცია „პროფესიული განათლებისა და ტრენინგის სფეროში ევროპული თანამშრომლობის გაძლიერების შესახებ“**. ეს საფუძვლად დაედო კოპენჰაგენის პროცესს და მიზნად ისახავს ევროპული პროფესიული განათლებისა და ტრენინგის კოოპერაციის გაძლიერებას. აღნიშნული დოკუმენტით ევროკავშირმა დაადასტურა თავისი **მისწრაფება 2010** წლისათვის გამხდარიყო მსოფლიო ლიდერი პროფესიული განათლებისა და ტრენინგის ხარისხიდან გამომდინარე. ზემოაღნიშნულის მისაღწევად, კოპენჰაგენის დეკლარაციით დაისახა კონკრეტული პრიორიტეტი, რომლებმაც კოპენჰაგენის პროცესის ფარგლებში საფუძველი დაუდო პროფესიულ განათლებას და ტრენინგის სფეროში საერთო ევროპული სივრცის ფორმირებას. პროცესის განვითარების მნიშვნელოვან საფეხურს წარმოადგენდა „სწავლა მთელი ცხოვრების განმავლობაში - სტრატეგიის ფარგლებში ევროპული კვალიფიკაციების ჩარჩოს სამუშაო დოკუმენტის“ შემუშავება.

„ევროპული პროფესიული განათლების სისტემის საერთო და მნიშვნელოვანი მახასიათებელია:

- სოციალური პარტნიორების აქტიური მონაწილეობა პროფესიული განათლების პროგრამების განხორციელებაში და შრომის ბაზრის მოთხოვნების მაქსიმალური დაკმაყოფილება;
- პროფესიული განათლების პროგრამები „სენდვიჩის“ პრინციპზე აგება;
- პრესტიჟი საზოგადოებაში;

▪ რეფორმების კონტექსტში ახალი ტიპის უმაღლესი პროფესიული განათლების (მოკლე ვადიანი) პროგრამების დანერგვა“ (ბაქრაძე & ლლონტი, 2006).

ევროპული ქვეყნების პროფესიული განათლებისა და გადამზადების სისტემა  
(დანიის, ლუქსემბურგის, ნორვეგიის, შვეიცარიის, ნიდერლანდების, ესტონეთისა  
და საფრანგეთის მაგალითი)

➤ პროფესიული განათლება დანიაში

დანიის პროფესიული განათლების სისტემამ 1980 წლიდან რამდენიმე რეფორმა გაიარა. მიზანი გახლდათ გაემარტივებინათ, უფრო მეტად გამჭვირვალე და მოქნილი გაეხადათ პროფესიული განათლება, რომელიც იქნებოდა შესაბამისობაში შრომის ბაზრის მოთხოვნებთან და სოციალურ ცვლილებებთან, ასევე - მიმზიდველი სტუდენტებისათვის.

პროფესიული განათლება დანიაში ხორციელდება დუალური პრინციპით, რაც ნიშნავს იმას, რომ სოციალური პარტნიორები გადამწყვეტ როლს ასრულებენ პროფესიული განათლების მხარდაჭერასა და ორგანიზებასთან დაკავშირებით. უფრო მეტიც, დანიის პროფესიული განათლების სისტემა ხასიათდება დაინტერესებულ მხარეთა აქტიური ჩაბმულობით. პროფესიული განათლების განვითარებაში კონსენსუსისა და პასუხისმგებლობათა განაწილების საფუძველზე ჩაბმული არიან არა მარტო სოციალური პარტნიორები, არამედ პროფესიული კოლეჯები, მასწავლებლები და სტუდენტები.

პრაქტიკულად, ყველა პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა ხორციელდება დუალური პრინციპის შესაბამისად - სტუდენტები გარკვეულ პერიოდს ატარებენ საწარმოო პრაქტიკის ობიექტში, როგორც წესი საწარმოში, ხოლო დროის გარკვეულ ნაწილს უთმობენ კოლეჯზე-დაფუძნებულ სწავლებას.

საბაზო კურსები, ძირითადად, კოლეჯზეა დაფუძნებული, მოიცავს თეორიულ სწავლებას და უფრო მეტი მოცულობით პრაქტიკულ სწავლებას.

პროფესიული განათლება და გადამზადება (IVET) მოიცავს სასოფლო-სამეურნეო, კომერციულ, ტექნიკურ, ასევე სოციალურ და ჯანდაცვის პროგრამებს. ისინი, როგორც წესი, იწყება საბაზო კურსით, რომლის ხანგრძლივობა 20-დან 60 კვირაა. ძირითად პროგრამაზე სწავლის გასაგრძელებლად კი სტუდენტებს მოეთხოვებათ

პრაქტიკის ხელშეკრულება საწარმოსთან. ძირითადი პროგრამების ხანგრძლივობა განსხვავებულია, მაგრამ სწავლა, დახლოებით, სამ წელიწადს გრძელდება.

მხოლოდ საბაზო კურსების გავლა არ უზრუნველყოფს სტუდენტის საჭირო კვალიფიკაციას შრომის ბაზარზე შესასვლელად. ამის მიუხედავად, საბაზო კურსების დამთავრების შემდეგ სტუდენტებს შეუძლიათ შევიდნენ ძირითად პროგრამაზე, რომელიც უზრუნველყოფს მიიღონ სრული კვალიფიკაცია კონკრეტული სპეციალობების მიხედვით - დაწყებული საფრენი საშუალებების მექანიკოსით, დამთავრებული ღონისძიებათა კოორდინატორით; დაწყებული ფიტნეს ინსტრუქტორით და დასრულებული მულტიმედიის ანიმატორით. ძირითადი პროგრამები ასევე მოიცავს რამდენიმე საფეხურსა და სპეციალიზაციას, რომელთაგან თითოეული პასუხობს კონკრეტულ პოზიციას შრომის ბაზარზე. საფეხურები სტუდენტს საშუალებას აძლევს დატოვოს კოლეჯი ძირითადი პროგრამის დასრულებამდე და შუალედური კვალიფიკაციით შევიდეს შრომის ბაზარზე. საწარმოო პრაქტიკის (სტაჟირება) შეფარდება კოლეჯზე დაფუძნებულ სწავლებასთან არის 2:1. საწარმოო პრაქტიკა ხორციელდება ადგილობრივ საწარმოში, რომელთანაც სტუდენტს აქვს კოლეჯის შუამდგომლობით გაფორმებული შეთანხმება. ყველა საწარმოო პრაქტიკის ობიექტი სანქცირებულია (შეთანხმებულია, მოწონებულია, დამტკიცებულია) სოციალური პარტნიორების მიერ, შესაბამისი სავაჭრო კომიტეტის მეშვეობით. აქედან გამომდინარე, ისინი უნდა აკმაყოფილებდნენ გარკვეულ მოთხოვნებს, მაგალითად, უნდა ჰქონდეს ხელმისაწვდომი ტექნოლოგიის გარკვეული დონე და სხვადასხვა სამუშოს შეთავაზების უნარი.

ამჟამად 60 ათასზე მეტი სანქცირებული კომპანიაა, რომელიც სთავაზობს საწარმოო პრაქტიკას (სტაჟირებას) სულ მცირე ერთ სფეროში მაინც. კოლეჯები და კომპანიები მუშაობენ შეთანხმებულად, რათა საწარმოო პრაქტიკა განხორციელდეს კანონმდებლობისა და სტუდენტის ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შესაბამისად. ეს გეგმები დგება ყველა სტუდენტისათვის, რათა უზრუნველყოფილი იყოს თანხვედრა სტუდენტის სურვილსა და ფაქტობრივ სასწავლო პროგრამას შორის.

ეროვნული სავაჭრო კომიტეტები პროფესიული განათლების სისტემის ხერხემალია. დაახლოებით 50 კომიტეტი არის პასუხისმგებელი 109 ძირითად

კურსზე. კომიტეტები შედგება 10-14 წევრისგან, რომლებიც წარმოადგენენ შრომის ბაზრის ორგანიზაციებს. კომიტეტები მთავარ როლს ასრულებენ პროფესიული განათლების კურსების შექმნასა და განახლებაში, აქვთ დომინანტური პოზიცია სასწავლო მიზნებისა და დასკვნითი გამოცდების სტანდარტების ფორმულირებისას, ადგენენ პროგრამის ხანგრძლივობას და თანაფარდობას კოლეჯზე დაფუძნებულ სწავლებასა და საწარმოში პრაქტიკულ სწავლებას შორის. განსაზღვრავენ და ამტკიცებენ საწარმოებს, როგორც კვალიფიცირებულ სატრენინგო დაწესებულებებს, განიხილავენ დავებს, რომლებიც შეიძლება წარმოიშვას პრაქტიკანტსა და საწარმოს შორის.

ადგილობრივი სასწავლო კომიტეტები მიზმული არიან პროფესიულ კოლეჯებთან და უზრუნველყოფენ კოლეჯების მჭიდრო კავშირს ადგილობრივ საზოგადოებასა და ბაზართან. მასში შედიან ადგილობრივი დამსაქმებლები და დასაქმებულები, რომლებსაც ნიშნავს ეროვნული კომიტეტი, ასევე კოლეჯის მიერ დანიშნული წარმომადგენლები და სტუდენტები. სასწავლო კომიტეტები მჭიდროდ მუშაობენ კოლეჯებთან, რაც გამოიხატება სასწავლო გეგმებისა და არჩევითი საგნების განსაზღვრაში. ისინი რეკომენდაციებს აძლევენ ეროვნულ კომიტეტს დაამტკიცონ ესა თუ ის საწარმო, როგორც სათანადო სასწავლო/სატრენინგო დაწესებულება (European Centre for the Development of Vocational Training [CEDEFOP], 2012).

### ➤ პროფესიული განათლება ლუქსემბურგში

პროფესიული განათლების განვითარების ევროპულმა ცენტრმა (Cedefop) 2015 წელს გამოაქვეყნა პუბლიკაცია ლუქსემბურგის პროფესიული განათლებასა და შრომის ბაზარს შორის კავშირის შესახებ.

ლუქსემბურგში პროფესიული განათელების ძირითადი რეფორმა განხორციელდა 2010-11 და 2013-14 წლებში. რეფორმის მიზანი იყო პროფესიულ განათლებასა და შრომის ბაზარს შორის კავშირის გაძლიერება. იგი ორიენტირებული იყო კომპეტენციებზე დაფუძნებულ და მოდულარულ კვალიფიკაციებზე. რეფორმის ძირითად პრინციპებს წარმოადგენდა: პროფესიული განათლების ხელშეწყობა, პროფესიული განათლების ხარისხის გაუმჯობესება, მთელი სიცოცხლის განმავლობაში სწავლის ხელმისაწვდომობა, პარტნიორობის გაძლიერება ბიზნესთან,

სასწავლო საგნების შეცვლა მოდულებით, პროფესიული მასწავლებლების გადამზადება.

პროფესიულ განათლებაზე პასუხისმგებელია განათლების სამინისტრო. შრომის, დასაქმებისა და ეკონომიკის სამინისტროებთან ერთად იგი ასევე პასუხისმგებელია უმუშევრებთან სასწავლო ღონისძიებების გატარებაზე.

ლუქსემბურგში არის ხუთი პროფესიული პალატა, რომლიც წარმოადგენს დამსაქმებლებს და დასაქმებულებს. პალატები არის დამოუკიდებელი პოლიტიკური ინსტიტუტები და თითოეული მათგანი ჩაბმულია ლუქსემბურგის საკანონმდებლო პროცედურებსა და განათლების საკითხებში. პროფესიული პალატებში გაწევრება სავალდებულოა დასაქმებულებისა და კერძო კომპანიებისათვის. პროფესიულმა პალატებმა დაარსეს პლატფორმა ხელმძღვანელებისთვის /მასწავლებლებისთვის, სადაც მათ შეუძლიათ მიიღონ ყველანაირი მხარდაჭერა საწარმოში სწავლებასთან დაკავშირებით. ასევე შექმნეს იარლიყი „სასწავლო საწარმო“ რომელსაც ანიჭებენ იმ კომპანიებს, რომლებშიც ხორციელდება სწავლება (სტაჟირება), ახალგაზრდების მეტად ინფორმირებულობის მიზნით. პროფესიული პალატების ერთ-ერთი მთავარი ამოცანაა კომპანიებისა და სტაჟიორების ინფორმირება პროფესიული სწავლების საკითხების შესახებ, ასევე პროფესიული ორიენტაცია, სასწავლო საჭიროებების განსაზღვრა, სასწავლო პროგრამებისა და პროფესიული სწავლების სისტემის შეფასება.

პროფესიული განათლება ლუქსემბურგში ხორციელდება დუალური პრინციპის შესაბამისად, რაც გულისხმობს ძლიერ კავშირს პროფესიულ საგანამანათლებლო დაწესებულებასა და სამუშაოზე დაფუძნებულ სწავლებას (სწავლება საწარმოში) შორის.

პროფესიული პროგრამები გრძელდება სამი წელი და მასში ერთიანდება სამუშაოზე დაფუძნებული სწავლება და სასკოლო სწავლება. სწავლის მსურველებს ევალებათ მოიძიონ სასწავლო ადგილი საწარმოში (კომპანიაში). სახელმწიფო დასაქმების პროფესიული ორიენტაციის სამსახური ეხმარება ახალგაზრდებს როგორც კონსულტაციების გაწევის მხრივ, ისე სტაჟირების ვაკანტური ადგილების

მოძიების თვალსაზრისით. მას შემდეგ, რაც სწავლის მსურველი გააფორმებს ხელშეკრულებას საწარმოსთან, იგი იღებს სტაჟიორის სამართლებრივ სტატუსს და იღებს შრომით ანაზღაურებას რომელიც მერყეობს **400-დან 1 200 ევრომდე.**

შრომის ბაზარზე არსებული საწარმოები (კომპანიები), რომლებიც სთავაზობენ სწავლას სამუშაო ადგილზე (სტაჟიორებას), უნდა აკმაყოფილებდნენ გარკვეულ კრიტერიუმებს, რომლებიც დადასტურებული იქნება პროფესიული პალატის მიერ. პროფესიული განათლების ტრენერები, რომლებსაც გავლილი აქვთ სპეციალური მომზადება, ზედამხედველობას უწევენ პრაქტიკანტებს სასწავლო კომპანიებში (საწარმოებში) (European Centre for the Development of Vocational Training [CEDEFOP], 2015).

#### ➤ პროფესიული განათლება ნორვეგიაში

ფრიდრიხ ებერტის ფონდის მიერ 2012 წელს ჩრდილოეთის ქვეყნების შესახებ გამოქვეყნებული პუბლიკაციის თანახმად, სკანდინავიის ქვეყნებში ახალგაზრდების საკმაოდ დიდი ნაწილი ირჩევს პროფესიულ პროგრამებზე სწავლას. ბოლო წლების განმავლობაში, პროფესიული მომზადების სისტემის რეფორმირება სკანდინავიის ყველა ქვეყანაში განხორციელდა.

პროფესიული მომზადება ნორვეგიაში ეფუძნება ფართო და რეგულირებულ თანამშრომლობას, ერთი მხრივ, საგანმანათლებლო ხელისუფლებასა და სკოლებს შორის და, მეორე მხრივ, შრომის ბაზრის პარტნიორებს შორის. ნორვეგიაში არის პროფესიული სწავლების საბჭოები, რომლებშიც შედიან დამსაქმებელთა ორგანიზაციების წარმომადგენლები, პროფესიული კავშირები. ეს საბჭოები თანამშრომლობენ განათლების სამინისტროსთან უშუალოდ პროფესიულ განათლებასთან დაკავშირებულ საკითხებზე.

ნორვეგიას აქვს კარგად განვითარებული პროფესიული განათლების სისტემა, რომელიც მიბმულია (დაკავშირებულია) საწარმოში სწავლებასთან (სტაჟიორებასთან) და დაინტერესებულ მხარეებს შორის სარგებლობს ნდობის მაღალი ხარისხით.

პროფესიული განათლება სარგებლობს დაინტერესებულ მხარეთა დიდი მხარდაჭერით. შრომის ბაზარზე არსებული დამსაქმებლები თავად არიან

დაინტერესებული მიიზიდონ სტაჟიორები (პრაქტიკანტები), ვინაიდან ნორვეგიაში დამსაქმებლები საწარმოში სწავლებისთვის იღებენ შესაბამის სუბსიდიებს.

ნორვეგიაში პროფესიული სწავლება მიმდინარეობს როგორც სასწავლებლებში, ისე საწარმოებში. ორივე, კერძო და საჯარო კომპანიები (საწარმოები) იღებენ პრაქტიკანტებს სასწავლებლად და ისინი ოღქების მიერ აღიარებული არიან როგორც სასწავლო საწარმოები. აქ კიდევ უფრო მომრავლდა სასწავლო ოფისები და წრეები, რომლებიც უზრუნველყოფს სასწავლო—საწარმოო პრაქტიკას.

პროფესიული განათლება ხელმისაწვდომი ხდება საშუალო განათლების ეტაპზე. 8–10-ე სასწავლო წლის მოსწავლეებს შესაძლებლობა აქვთ აირჩიონ და ისწავლონ პროფესიული პროგრამის საგნები. საშუალო განათლების დაბალი საფეხურის დამთავრების შემდეგ მოსწავლეს უფლება ეძლევა ისწავლოს ერთ-ერთი მიმართულების პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე.

პროფესიული სწავლების სტანდარტულ მოდელს საშუალო განათლების ზედა საფეხურზე (upper secondary level) ხშირად უწოდებენ 2+2 მოდელს. ეს გულისხმობს სტანდარტული ოთხწლიანი პროგრამის დაყოფას ორად: 2 წლიანი სკოლაზე დაფუძნებული სწავლება, რომელსაც მოსდევს 2 წლიანი სწავლება საწარმოებში. საშუალო განათლების ზედა საფეხურზე სწავლების მეორე წლიდან (მე-12 წელი) მოსწავლემ უნდა აირჩიოს პროფესიული მიმართულებიდან რომელიმე სპეციალიზაცია.

მოსწავლეთა და სტუდენტთა პროფესიულ განათლებას საჯარო პროფესიულ სასწავლებლებში აფინანსებს სახელმწიფო. სასწავლო საწარმოები (კომპანიები) ფინანსდება სახელმწიფო ბიუჯეტიდან. თითოეული სასწავლო საწარმო იღებს სახელმწიფო გრანტს თითოეულ სტუდენტზე დაახლოებით 13.900 ევროს, ორი წლის განმავლობაში. პრაქტიკანტი, რომელიც სასწავლო-საწარმოში გადის პრაქტიკას, ანაზღაურებადი თანამშრომელია. მისი ხელფასი 2-წლიანი პრაქტიკის დროს შეიძლება გაიზარდოს 30-დან 80 პროცენტამდე (Olofsson & Wadensjö, 2012).

#### ➤ შვეიცარიის პროფესიული განათლების სისტემა

საერთაშორისო საგანმანათლებლო ბენჩმარკინგის ცენტრი ატარებს კვლევებს მსოფლიოს ყველაზე წარმატებულ საგანმანათლებლო სისტემების შესახებ, რათა

განსაზღვროს ის სტრატეგიები, რომლებიც შეიძლება კონკრეტულმა ქვეყნებმა თავისი განათლების სისტემის გასაძლიერებლად. ცენტრის მიერ 2015 წელს გამოქვეყნდა ანგარიში შვეიცარიის პროფესიული განათლების სისტემის შესახებ.

შვეიცარია არის ევროპის ერთ-ერთი ქვეყანა, სადაც დანერგილია დუალური პროფესიული განათლების სისტემა, რაც გულისხმობს სტუდენტის სწავლას არა მარტო სასწავლო დაწესებულებაში, ასევე სამუშაო ობიექტზე (კომპანიაში) პრაქტიკული სწავლების გავლას. შვეიცარიაში, ისევე როგორც გერმანიაში, დანიაში, ავსტრიასა და ნორვეგიაში სტუდენტთა 30%-დან 70%-მდე ჩართულია სწავლების ამ სისტემაში. მიუხედავად იმისა, რომ დუალური განათლების სისტემის მქონე ყველა ქვეყანას აქვს თავისი ძლიერი და სუსტი მხარეები, გარკვეული მიზეზების გამო, შვეიცარიის პროფესიული განათლების სისტემა უდაოდ ყველაზე ძლიერად მიიჩნევა ევროპაში.

ერთი მხრივ, პროფესიული განათლება არის ძირითადი საგანმანათლებლო პროგრამა, რომელიც ემსახურება შვეიცარიის ახალგაზრდების 70%-ს. იგი ამზადებს ფართო პროფილის სტუდენტებს სხვადასხვა მიმართულებებში, მაგალითად, როგორიცაა: ჯანმრთელობა, მომსახურების სფერო, ხელოსნობა და სხვა. იგი სარგებლობს დამსაქმებლების ძლიერი მხარდაჭერით. მეორე კი არის ის, რომ შვეიცარიაში ცხოვრების ძალიან მაღალი სტანდარტია.

აღსანიშნავია, რომ შვეიცარია 20 წელზე მეტხანს ახორციელებდა პროფესიული განათლების სისტემის მოდერნიზაციას, რამაც იგი ახალგაზრდების განათლებაში საერთაშორისო ლიდერი გახადა და დაიმკვიდრა ადგილი როგორც მსოფლიოს ეკონომიკურმა ლიდერმა.

შვეიცარიაში მცირე და მსხვილი კომპანიები, ქარხნები, სადაზღვევო სააგენტოები, ბანკები, საავადმყოფოები, მაღაზიები და ბავშვის მოვლის ცენტრები მასპინძლობენ 16-19 წლის სტაჟიორებს, რომლებიც ემსახურებიან მომხმარებლებს, მუშაობენ რთულ მოწყობილობა-დანადგარებთან, ახორციელებენ მარტივ სამედიცინო პროცედურებს, მოკლედ რომ ვთქვათ, ისინი ტრენერების ზედამხედველობით ასრულებენ ყველაფერს, რასაც უნდა აკეთებდნენ დამწყები თანამშრომლები.

შვეიცარიის კომპანიების 30 პროცენტი მონაწილეობს პროფესიული განათლების სისტემაში და სტაჟირებაზე იღებს პროფესიულ სტუდენტებს. სტაჟირების პერიოდში ისინი ყოველთვიურად იღებენ შრომის ანაზღაურებას, დაახლოებით, 600-700 დოლარის ოდენობით, რომელიც მე-3 წლიდან იზრდება 1100-1200 დოლარამდე. უნდა აღინიშნოს, რომ ზემოთ მოცემული ანაზღაურება შვეიცარიის საარსებო მინიმუმზე დაბალია, თუმცა მაინც მიმზიდველია მოზარდებისათვის. სანაცვლოდ, შვეიცარიას აქვს ახალგაზრდა პროფესიონალების დიდი მონაცემთა ბაზა, უმუშევრობის ძალიან დაბალი მაჩვენებელი და კვალიფიციური სამუშაო ძალა, რაც აუცილებელია მაღალი ხარისხის საქონის საწარმოებლად და მომსახურების გასაწევად. სტაჟირების დასრულების შემდეგ, სტუდენტები იღებენ შესაბამის კვალიფიკაციას და საშუალება აქვთ პირდაპირ სრულ განაკვეთზე დასაქმდნენ ან გააგრძელონ სწავლა.

დამსაქმებელთა ორგანიზაციები და ასოციაციები წარმოადგენენ მნიშვნელოვან პარტნიორებს პროფესიულ განათლებაში. ისინი არა მარტო წყვეტენ პროფესიული პროგრამის შინაარსს, რომელიც შესაბამისობაში უნდა იყოს მათივე სტანდარტებთან, არამედ წამყვან როლსაც ასრულებენ იმის განსაზღვრაში, თუ როდის უნდა შემუშავდეს ახალი პროგრამა ეკონომიკური ცვლილებების გათვალისწინებით, გაუქმდეს ძველი ან რადიკალურად გადაიხედოს.

პროფესიული განათლების სისტემა სარგებლობს დამსაქმებელთა საზოგადოების უზარმაზარი მხარდაჭერით. დამსაქმებელთა საზოგადოება არის ასოციაციები და წევრი კომპანიები, რომლებიც ასაქმებენ (სტაჟირებაზე იღებენ) პრაქტიკანტებს. ერთ-ერთ მნიშვნელოვან პარტნიორს პროფესიულ განათლებაში წარმოადგენს ოლქები. თითოეული ოლქში არის პროფესიული განათლების ოფისი, რომელსაც ფართო პასუხისმგებლობა აქვს პროფესიული პროგრამების განხორციელების მონიტორინგის საკითხში. ისინი პასუხისმგებლობას იღებენ პროფესიული სასწავლებლების დაფინანსებაზე. ასევე აფინანსებენ კარიერის ცენტრებს, რომლებიც მნიშვნელოვან როლს ასრულებენ პროფესიული ორიენტაციის სფეროში, დახმარებას უწევენ სკოლადამთავრებულებს და მათ ოჯახებს, მათ შორის, სტაჟირების სათანადო დაწესებულების შერჩევის მხრივაც(Hoffman & Schwartz, 2015).

- კერძო და საჯარო პარტნიორობა ჰოლანდიის პროფესიულ განათლებაში:  
სწავლა, მონიტორინგი და მართვა

საჯარო-კერძო პარტნიორობა აერთიანებს სკოლებს, კომპანიებს, სექტორულ ორგანიზაციებს, ადგილობრივ, რეგიონალურ ხელისუფლებებს და სხვა დაინტერესებულ პირებს, რათა უზრუნველყოს პროფესიული განათლების ხარისხი და წაახალისოს ინოვაციები.

ნიდერლანდებში ბოლოდროინდელი ძალისხმევა, ხელი შეეწყოთ პროფესიულ განათლებაში კერძო-საჯარო პარტნიორობის განვითარებისთვის, ფოკუსირებული იყო უმაღლეს დაწესებულებებში ექსპერტიზის ცენტრებისა და ინოვაციური ხელოვნების ცენტრების შექმნაზე. ამჟამად არის 40-ზე მეტი ასეთი ცენტრი, რომლებიც აქტიურად მუშაობენ კერძო-საჯარო პარტნიორობაზე პროფესიულ განათლებაში. უკანასკნელი რამდენიმე წლის განმავლობაში, ამ ცენტრებში მნიშვნელოვანი თანხა ჩაიდო, ამას გარდა, გათვალისწინებული იყო დამატებითი თანხა მათი განვითარებისათვისაც.

გარე მართვისა და მონიტორინგის ეფექტიანი სისტემა, რომელიც უზრუნველყოფს ანგარიშვალდებულებას და ხელს უწყობს სწავლებას, არის გრძელვადიანი წარმატების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი წინაპირობა, ჰოლანდიის პროფესიულ განათლებასა და სწავლებაში. იგი უზრუნველყოფს ორგანიზაციულ სტრუქტურას, სადაც საჯარო-კერძო პარტნიორობის დაწესებულებები ხდებიან პროფესიული განათლების ჰოლიტიკისა და დაფინანსების სტრუქტურული ნაწილი. საჯარო-კერძო პარტნიორობა უნდა განვიხილოთ არა როგორც ცალკეული ან დამატებითი ორგანო, არამედ როგორც ეროვნული პროფესიული განათლების სისტემის ძირითადი საქმიანობის განუყოფელი ნაწილი. აღნიშნული დებულების მიზანია შეიქმნას სწავლაზე ორიენტირებული განხილვისა და შეფასების ავტორიტეტული სისტემა, რომელიც მოწონებული იქნება ფინანსების პროვაიდერებისაგან (დამფინანსებლები) როგორც საჯარო და კერძო, ისე ცენტრალური ხელისუფლების მიერ. შესაბამისად, შეთავაზებულია მმართველობის ისეთი სისტემა, რომელიც ითვალისწინებს ცალკეული რეგიონისა და ეკოსისტემის სპეციალურ საჭიროებებს. ეს იქნება სისტემა, რომელშიც საჯარო-კერძო პარტნიორობის დაწესებულებებს შორის შედარებითი

გამოკვლევები გახდება ძირითადი სწავლების მნიშვნელოვანი წყარო (რესურსი) (Heemskerk & Zeitlin, 2014).

### ➤ ესტონეთის პროფესიული განათლება

90-იანი წლების დასასრულს ესტონეთში დაიწყო პროფესიული განათლებისა და ტრენინგის სისტემის რეფორმა. 1998 წელს ესტონეთის მთავრობამ მიიღო კონცეფცია, რომელმაც ჩამოაყალიბა პროფესიული განათლებისა და ტრენინგის პოლიტიკისა და რეფორმის ძირითადი საკითხები. 2001 წელს კი მთავრობამ დაამტკიცა პროფესიული განათლებისა და ტრენინგის სისტემის რეფორმირების 2001-2004 წლების სამოქმედო გეგმა. სოციალური პარტნიორები ჩაბმული არიან რეფორმირების პროცესში პროფესიული საბჭოების მეშვეობით, რომებიც ჩამოყალიბდა სავაჭრო-სამრეწველო პალატასთან. პროფესიული საბჭოების საქმიანობა რეგულირდება კანონმდებლობით.

პროფესიული განათლების მიღება შესაძლებელია როგორც სავალდებულო, ისე საშუალო განათლების მიღების შემდეგ. სასწავლო პროგრამები შესაბამისი ხანგრძლივობისაა. 3 წელიწადი - სავალდებულო განათლების ბაზაზე და 1-2,5 - საშუალო განათლების ბაზაზე. პროფესიული განათლების თითქმის ყველა დაწესებულება მომხმარებლებს სთავაზობს საღამოს და დისტანციური სწავლების კურსებს.

2002 წელს უმაღლესი განათლების განახლებული სტანდარტების საფუძველზე ჩამოყალიბდა Applied Higher Education (გამოყენებითი უმაღლესი განათლება). იგი წარმოადგენს არასაუნივერსიტეტო უმაღლეს პროფესიულ განათლებას ესტონეთში. პროფესიული უმაღლესი განათლების პროგრამები შემუშავებულია პროფესიული განათლების სწავლების საფუძველზე. პროფესიული უმაღლესი განათლების მიღება შესაძლებელია პროფესიული უმაღლესი განათლების ინსტიტუტებში (Rakendskngkool), ამასთან უნივერსიტეტებსაც შეუძლიათ პროფესიული პროგრამების განხორციელება. გამოყენებითი ხასიათის პროგრამების ხანგრძლივობა 3-4,5 წელია (120–180 ესტონური კრედიტი)(ბაქრაძე&ღლონტი, 2006).

საგანმანათლებლო დაწესებულებების დაფინანსება ესტონეთში დამოკიდებულია მათი საკუთრების ფორმაზე:

- სახელმწიფო - სახელმწიფო ბიუჯეტი;

- მუნიციპალური - სახელმწიფო და ადგილობრივი ბიუჯეტი;
- კერძო - საგანმანათლებლო დაწესებულებების ასიგნებები;

სახელმწიფო ბიუჯეტი ასევე ფარავს სტუდენტების კვოტირებულ რაოდენობას კერძო პროფესიულ სასწავლებლებში ან უმაღლესი განათლების ინსტიტუტებში.

სასწავლებლების 80% არის სახელმწიფო, 14% - კერძო, ხოლო 6% - მუნიციპალური.

სახელმწიფო და მუნიციპალური დაფინანსების საფუძვლები ესტონეთში ერთნაირია: გამოყოფილი სახელმწიფო ბიუჯეტის რესურსით იფარება სასწავლებლების საოპერაციო ხარჯები და საინვესტიციო პროექტები. სტუდენტებზე გამოყოფილი დაფინანსება კი შესაძლებელია კერძო სასწავლებლებმაც გაინაწილონ.

შედარებისათვის, საქართველოს პროფესიული განათლების დაფინანსებაში (73.8 მლნ. ევრო) ცენტრალური ბიუჯეტიდან გამოყოფილი დაფინანსების წილი არის 99%, ხოლო ადგილობრივი ბიუჯეტიდან გამოყოფილი დაფინანსების წილი - 1% („პროფესიული განათლების დაფინანსება“, 2016).

პროფესიული სტუდენტების 83% სწავლობს სახელმწიფო პროფესიულ სასწავლებელში, 14% - მუნიციპალურში, 3% - კერძოში.

#### ➤ საფრანგეთის პროფესიული განათლება

საფრანგეთში დაწყებითი განათლება სავალდებულოა, გრძელდება 5 წელი და მოიცავს I-V კლასებს.

საშუალო განათლება მოიცავს 2 ეტაპს:

- 1) კოლეჯი (College (lower secondary education) - 4 წელი
- 2) ლიცეუმი (Lycée (upper-secondary education) – 3 წელი

საბაზო განათლება (Lower secondary education) – მოიცავს VI-IX კლასებს და მოსწავლეს აძლევს საბაზო განათლებას. 9 კლასის გავლის შემდეგ მოსწავლეს შეუძლია გავიდეს გამოცდაზე და აიღოს საბაზო განათლების დამადასტურებელი დოკუმენტი (brevet des collèges), თუმცა ეს დოკუმენტი სავალდებულო არაა, რათა მოსწავლემ სწავლა გააგრძელოს შემდეგ საფეხურზე.

College-ის დასრულების შემდეგ მოსწავლეები აგრძელებენ სწავლას Lycée-ში (high school) და ირჩევენ ერთ-ერთ მიმართულებას: 1) ზოგადი და ტქნიკოლოგიური ან 2)

პროფესიული. თითოეული მათგანი მოიცავს გარკვეულწილად სპეციალიზებულ სასწავლო პროგრამას.

ზოგადი და ტექნიკური საშუალო განათლება (General and technical upper-secondary education) 3 წლიანია და მოიცავს X, XI და XII კლასებს. ტექნიკური საშუალო განათლების პროგრამა X კლასში ერთნაირია, ხოლო XI და XII კლასებში - განსხვავებული.

პროფესიული საშუალო განათლება (Vocational upper-secondary training) ხელმისაწვდომია პროფესიულ სასწავლებლებში (Vocational Lycée).

Apprenticeships – ითვალისწინებს პროფესიის შესწავლას და მიმართულია 16 წლის პირებზე (როცა სწავლა სავალდებულო აღარა). მოსწავლეები ნახევარ დროს ატარებენ საწარმოებში, ხოლო დანარჩენ დროს სასწავლო ცენტრებში.

ბაკალავრიატი არის აკადემიური კვალიფიკაცია, რომელსაც იღებენ ლიცეუმის დასრულებისას. ის საშუალებას აძლევს სტუდენტებს სწავლა გააგრძელონ უნივერსიტეტში, მოსამზადებელ კლასში ან აირჩიონ პროფესიული ცხოვრება. (ტერმინი ბაკალავრიატი მოიცავს დამამთავრებელ გამოცდებს და დიპლომს). როგორც წესი მას იღებენ 18 წლის ასაკში. სტუდენტთა უმეტესობა უპირატესობას ანიჭებს თეორიაზე ორიენტირებულ ზოგად ბაკალავრიატს (*baccalauréat general*). ასევე არის ტექნოლოგიური ბაკალავრიატი (*baccalauréat technologique*) და პროფესიული ბაკალავრიატი (*baccalauréat professionnel*), პირველი აერთიანებს თეორიულ და პროფესიულ სწავლებას და ამზადებს სტუდენტებს უმაღლესი პროფესიული სწავლებისთვის, ხოლო უკანასკნელი ფოკუსირებულია პროფესიულ სწავლებაზე და ამზადებს სტუდენტებს პირდაპირ შრომის ბაზაზე შესასვლელად.

აქედან გამომდინარე, საფრანგეთის განათლების სისტემა საშუალებას აძლევს მოსწავლეს პროფესიულ განათლებასთან ერთად მიიღოს ზოგადი განათლებაც, ეს კი, თავის მხრივ, საშუალებას აძლევს მას სწავლა გააგრძელოს უნივერსიტეტში. თუმცა საფრანგეთის უნივერსიტეტში სწავლის გაგრძელებასთან დაკავშირებით არის გარკვეული შეზღუდვები ბაკალავრიატის სახის შესაბამისად.

სტუდენტები, რომლებიც ირჩევენ *baccalauréat general*-ს, შეუძლიათ უნივერსიტეში სწავლა გააგრძელონ შემდეგი 3 მიმართულებით: 1) ეკონომიკა და საზოგადოებრივი მეცნიერებები, 2) ლიტერატურა / ენები, 3) მეცნიერება.

*baccalauréat technologique* საშუალებას აძლევს მოსწავლეს სწავლა გააგრძელოს ერთ-ერთი მიმართულებით: ჯანმრთელობა და სოციალური დაცვა, ინდუსტრიული მეცნიერებები და ტექნოლოგიები, ლაბორატორიული მეცნიერებები, ინფორმაციული ტექნოლოგიები და ბიზნესის ადმინისტრირება, აგრარული, ხელოვნება.

განათლების დაფინანსებაში საფრანგეთში რამდენიმე მოთამაშე მონაწილეობს: ცენტრალური მთავრობა, ადგილობრივი ხელისუფლება, ოჯახები და კომპანიები. 2012 წელს განათლებაზე მთლიანი შიდა დანახარჯი საფრანგეთის ეროვნული შემოსავლის 6.9% იყო.

საფრანგეთში სახელმწიფო ასევე აფინანსებს განათლების მიმწოდებელ კერძო სასწავლებლების კურსებს. ზოგიერთი სკოლა/სასწავლებელი ფინანსდება სოფლის მეურნეობის ან სოციალურ საქმეთა დეპარტამენტების მიერ. აღნიშნულ საწარმოებს დაფინანსების მისაღებად უნდა ჰქონდეთ სახელმწიფოს მიერ „აღიარებული“ ცენტრების სტატუსი (Poisson, 2014).

### 2.3. შრომის ბაზრისა და პროფესიული სასწავლებლების ურთიერთობის მოდელები

#### პროფესიულ განათლებასა და შრომის ბაზარს შორის უკუკავშირის მექანიზმების განსაზღვრა

ევროპის 15 ქვეყნის მონაცემების საფუძველზე ჩატარებული კვლევა ასახავს და ადასტურებს გადაწყვეტილებათა მრავალფეროვნებას, რომელიც მიიღეს მთელ ევროპაში.

კვლევაში გათვალისწინებულია განხილვა, რომელიც ჩატარდა Cedefop-ის ექსპერტთა სემინარზე – „კვალიფიკაციის როლი შრომის ბაზრის მართვაში“. სემინარში მონაწილეობდნენ მკვლევარები და სექტორის წარმომადგენლები, სოციალური პარტნიორები, მთავრობის წარმომადგენლები და სხვა დაინტერესებული პირები მთელი ევროპიდან.

ნაშრომში წარმოდგენილია Cedefop-ის კვლევის შედეგები პროფესიული განათლებისა და შრომის ბაზრის წარმომადგენლებს შორის თანამშრომლობის შესახებ. კვლევაში ყურადღება გამახვილებულია უკუკავშირის მექანიზმების გზებზე, რომლებიც გავლენას პროფესიული განათლების პროგრამების განხილვასა და განახლებაზე ევროკავშირის 15 ქვეყანაში (ბულგარეთი, დანია, გერმანია, ესტონეთი, ირლანდია, ესპანეთი, საფრანგეთი, უნგრეთი, ნიდერლანდები, ავსტრია, პოლონეთი, სლოვენია, ფინეთი, შვედეთი, ინგლისი).

კვლევის მიზანს წარმოადგენს უკუკავშირის მექანიზმების ფუნქციონირების უკეთ გაგება, რომლებიც დადგენილია შრომის ბაზარსა და პროფესიულ განათლებას შორის დიალოგის უზრუნველსაყოფად. კვლევის მიზანი ასევე იყო პროფესიული განათლების დაგეგმვის პროცესის გაანალიზება შრომის ბაზრის სხვადასხვა რეჟიმის ფარგლებში.

უმეტესად, სტატიკური და მონაწილეობითი უკუკავშირის მექანიზმებში სოციალური პარტნიორები მონაწილეობენ მხოლოდ სტანდარტებისა და კურიკულუმების დაგეგმვაში.

უკუკავშირის მექანიზმების იდეა არ გულისხმობს კონკრეტული მონაწილეების არსებობას განათლების სისტემაში ან შრომის ბაზარზე. თუმცა უკუკავშირი პროფესიულ განათლებასა და შრომის ბაზარს შორის ყოველთვის მყარდებოდა კონკრეტული მონაწილეების მიერ. ეს მონაწილეები შეიძლება იყვნენ:

- ა) მთავრობა (განათლების სამინისტრო, საატესტაციო ორგანიზაცია, საკვალიფიკაციო საბჭო);
- ბ) პროფესიული განათლება და გადამზადება (სკოლები, კოლეჯები, საწარმოები);
- გ) შრომის ბაზარი (გაგებულია როგორც ურთიერთქმედება დამსაქმებლებსა და მუშახელს შორის);


დ) სოციალური პარტნიორები (დამსაქმებელთა ორგანიზაციები და პროფესიონალები).


### წარმოგიდგენთ პროფესიულ განათლებასა და შრომის ბაზარს შორის უკუკავშირის პროგრესულ მოდელს

კვლევის შედეგად გამოიკეთა უკუკავშირის მექანიზმების 4 ძირითადი ტიპი, რომლებზეც დიდადაა დამოკიდებული ის, თუ როგორია ორგანიზებული პროფესიული განათლების განახლების პროცესი, როგორ არიან ჩაბმული პროფესიული განათლების მართვის სტრუქტურები სოციალურ, ეკონომიკურ და პოლიტიკურ გარემოში. უკუკავშირის მექანიზმები აჩვენებს თანამშრომლობას განათლებასა და შრომის ბაზარს შორის.

უკუკავშირის მექანიზმების ოთხი ტიპია:

- ლიბერალური – ხასიათდება კოორდინაციის დაბალი ხარისხით, სადაც უკუკავშირი ვეტ პროვაიდერებსა და შრომის ბაზარს შორის, ძირითადად, რეგულირდება ბაზრის მეშვეობით;
- სტატიკური – ხასიათდება სახელმწიფოს ძლიერი როლით განათლების რეგულირებაში და სუსტი კავშირით განათლებასა და შრომის ბაზარს შორის;
- მონაწილეობითი – უშვებს სოციალური პარტნიორების მონაწილეობას პროცესში, თუმცა ეს მონაწილეობა ძირითადად კონსულტაციური ხასიათისაა;
- კოორდინირებული – სადაც სოციალურ პარტნიორები არიან განახლების პროცესების წამყვანი და აქტიურ როლს ასრულებენ მის განხორციელებაში.





**მართვა, ხელმძღვანელობა** (ძლიერი კავშირი) – მიუთითებს იმას, რომ სხვადასხვა პირებს შორის მიმდინარეობს ინტერაქციის პროცესი, რომელიც მიმართულია კომპრომისის მიღწევისაკენ. სხვადასხვა პირთა ინტერესებს შორის კომუნიკაციის შედეგად, ცვლილებები უნდა თანხმდებოდეს ყველასთან.

**სიგნალი** (სუსტი კავშირი) – მიუთითებს იმას, რომ რესპონდენტს გადაეცემა სუსტად შეჯამებული და დაჯგუფებული ინფორმაცია სხვადასხვა საჭიროებების შესახებ, რომელიც შესაძლოა რესპონდენტის ვერსიის საწინააღმდეგო იყოს და გასათვალისწინებლად არასავალდებულო. „სიგნალი“ საორიენტაციო ხასიათისაა და რესპონდენტი თავად წყვეტს გაითვალისწინოს თუ არა ის.

ძლიერი და იერარქიული პროფესიული განათლების სისტემის მქონე ქვეყნებში შეიძლება იყოს ერთზე მეტი უკუკავშირის მექანიზმის ტიპი (გერმანია, ავსტრია).

1. **ლიბერალური მოდელია** ინგლისა და ირლანდიაში;
2. **სტატიკური მოდელი** ყველაზე მეტადაა დამახასიათებელი ევროპის ქვეყნებისათვის – ასეა, მაგალითად, ბულგარეთში, ესტონეთში, შვედეთში.
3. **მონაწილეობითი** – სლოვენია, საფრანგეთი, ფინეთი;
4. **კოორდინაციული მოდელი** მოქმედებს დანიაში, გერმანიაში, ნიდერლანდებსა და ავსტრიაში;

პროფესიული განათლების ადაპტაციას შრომის ბაზართან ყოველთვის წარმოადგენდა პროფესიული განათლების პოლიტიკის მთავარ მიზანს. სოციალური პარტნიორობის ჩართულობა პროფესიული განათლების სისტემაში უფრო და უფრო იზრდება. თუმცა, შრომის ბაზარზე სწრაფი ცვლილებების გამო, ყურადღება უფრო მეტად უნდა გავამახვილოთ პროფესიული განათლების პროგრამების შინაარსსა და ხარისხზე. აღნიშნული კვლევა ცხადყოფს, რომ ურთიერთქმედება პროფესიული განათლებისა და გადამზადების (VET) პროვაიდერებსა და შრომის ბაზრის წარმომადგენლებს შორის უფრო მეტ ყურადღებას საჭიროებს (European Centre for the Development of Vocational Training [CEDEFOP], 2013,[5537]).

### პროფესიული განათლებისა და გადამზადების სარგებელი

პროფესიული განათლების განვითარების ევროპული ცენტრის (Cedefop) მიერ 2011 წელს ჩატარდა კვლევა რომელიც შეეხებოდა პროფესიული განათლებისა და მომზადების სარგებელს. ეს მიმოხილვა წარმოადგენს პროფესიული სწავლების სარგებელზე ორიენტირებული კვლევის შედეგებს, რომელიც განხორციელდა 2005-2009 წლებში ევროპის 21 ქვეყანაში. აღნიშნული კვლევის მიმოხილვა პროფესიული განათლებისა და გადამზადების სარგებლის შესახებ განხორციელდა მაშინ, როდესაც ევროპა შეისწავლიდა ლისაბონის პროცესში მიმდინარე პროგრესს და დაიწყო ახალი სტრატეგია, რომელიც ხელს შეუწყობს სწრაფ აღდგენას ეკონომიკური კრიზისის შემდეგ. კვლევის მიმოხილვა აგროვებს და აანალიზებს მტკიცებულებებს პროფესიული სწავლების ეკონომიკური და სოციალური სარგებელის შესახებ ევროპის მასშტაბით. ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მიზნება ამ მიმოხილვის გახლავთ ის, რომ ევროპის რამდენიმე ქვეყანა სისტემატიურად იყენებს კვლევებს პროფესიული განათლების პოლიტიკის შემუშავების პროცესში. მიუხედავად იმისა, რომ ზოგიერთ ქვეყანაში არ არის საკმარისი ინსტიტუციური მექანიზმები პროფესიული სწავლების განვითარებისა და გაუმჯობესებისთვის, ქვეყნების უმეტესობამ პროფესიული პროგრამები განსაზღვრა, როგორც განვითარების გრძელვადიანი სტრატეგიის ძირითადი კომპონენტი.

შვედეთში პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების ძირითადი შედეგი (რეზულტატი) მოიცავს შრომის ბაზრის მონაწილეობის მაღალ მაჩვენებელს და

უმუშევრობის დაბალ მაჩვენებელს. 3-წლიანი პროფესიული პროგრამის კურსდამთავრებულთა დასაქმების მაჩვენებელი უფრო მაღალია, ვიდრე მათი, ვინც 2-წლიანი პროგრამა გაიარა.

დანიაში კვლევებმა აჩვენა დადებითი კავშირი დასაქმების ზრდასა და პროფესიულ სწავლებას შორის. ზრდასრულთა განათლება და შემდგომი სწავლება დადებით გავლენას ახდენს მოზარდთა პროფესიულ ცხოვრებაზე.

ის პირები, რომლებმაც პროფესიული განათლება მიიღეს, უფრო სტაბილურად არიან დასაქმებული, ვიდრე ისინი, ვინც უარი თქვა პროფესიულ სწავლაზე.

პროფესიულ განათლებასა და შრომის ბაზრის მოთხოვნებს შორის დადებითი კავშირი ხაზგასმულია ნორვეგიაში, სადაც სტაჟირების ადგილები დამოკიდებულია ეკონომიკურ ციკლზე. როდესაც უმუშევრობის მაჩვენებელი იზრდება, სტაჟირების ვაკანტური ადგილები მცირდება. სტაბილურობა პროფესიული განათლების სისტემაში შენარჩუნებულია მთავრობის ღონისძიებებით - საწარმოების წახალისებით, რათა მათ უზრუნველყონ სასწავლო ადგილები (სტაჟირება) თავიანთ კომპანიებში.

ძირითადი ეკონომიკური სარგებელი არის შრომის ბაზრის შედეგები და საწარმოების საქმიანობა.

დანიაში, ნორვეგიასა და შვედეთში ზოგიერთი კვლევისას ყურადღება გამახვილებულია საწარმოს ეკონომიკურ სარგებელზე.

ნორვეგიის მყარი პოზიციით, საწარმოებზე უარყოფითად აისახა ის, რომ შრომის ბაზრისთვის აუცილებელი უნარები არ შეესაბამება უნარებს, რომლებსაც პროფესიული განათლება აყალიბებს.

გერმანიამ, იტალიამ, ნიდერლანდებმა და ავსტრიამ წარმოადგინეს ჩატარებული რაოდენობრივი კვლევების მონაცემები და გამოაქვეყნეს აკადემიური კვლევები, რომლებშიც ხაზგასმითაა აღნიშნული, რომ ეროვნული პოლიტიკა მხარს უჭერს და ახალისებს ბიზნესგარემოს. ეს კი თავის მხრივ, ქმნის დადებით კავშირს კომპანიებისა და დასაქმებულთათვის.

პროფესიული განათლების უნივერსალური მოდელი, რომლითაც გარანტირებული იქნება მაქსიმალური სარგებელი, შეიძლება არც არსებობდეს.

შინაარსი და ეფექტიანობა ურთიერთდაკავშირებულია. პროფესიული განათლების სისტემას მყარად აქვს ფესვები გადგმული თითოეული ქვეყნის ეროვნულ კულტურაში. შედეგების სინთეზი ადასტურებს, რომ პროფესიული განათლების ეკონომიკური სარგებელი ფართოდაა გავრცელებული. ზოგიერთი ქვეყნისათვის მნიშვნელოვანია ის დადებითი გავლენა, რომელიც შეინიშება ხელფასების, დასაქმების, მობილობისა და დასაქმების შესაძლებლობის მხრივ. ამას გარდა, შეიმჩნევა გარკვეული მინიშნებები, რომ პროფესიული სწავლება ხელს უწყობს უმუშევრობის შემცირებას და იცავს ხალხს უმუშევრად დარჩენისაგან. პროფესიულ სწავლებას ასევე შეუძლია შეასრულოს მნიშვნელოვანი როლი დაზარალებულ რეგიონებში ეკონომიკური პირობების გაუმჯობესების თვალსაზრისით და შეამციროს დასაქმებულთა უნარების შეუსაბამობა საწარმოების მოთხოვნებთან. პროფესიული განათლება, როგორც ჩანს, ყველაზე ეფექტიანია, როდესაც მას თან ახლავს ცვლილებები სამუშაო ადგილზე.

ეროვნული პროფესიული განათლების სისტემისა და ჩარჩოს ძირითადი მახასიათებლები გავლენას ახდენს პროფესიული სწავლების კვლევის ტიპის ბუნებაზე. პროფესიული განათლების სარგებელზე კვლევა რჩება შეზღუდული. მისი ბუნება და რიგი მეთოდოლოგიური საკითხები მიზეზობრივი კავშირისა და კვლევის არასრულყოფილი დიზაინის ჩათვლით, მიანიშნებს იმას, რომ კავშირი პოლიტიკის ფორმულირებასა და პროფესიული განათლების კვლევას შორის კარგად არ არის ჩამოყალიბებული. უფრო სისტემატური და ფუნდამენტური მიდგომა პროფესიული სწავლების სარგებლის კვლევისადმი ეროვნულ დონეზე, უფრო ძლიერი დასკვნების გაკეთებას გახდიდა შესაძლებელს. (European Centre for the Development of Vocational Training [CEDEFOP], 2011).

## შრომის ბაზრისა და პროფესიული განათლების სარგებელი ევროპაში

2013 წელს პროფესიული განათლების განვითარების ევროპული ცენტრის (Cedefop) მიერ ჩატარდა შრომის ბაზრის შედეგების კვლევა პროფესიულ განათლებასთან მიმართებაში. კვლევის შედეგები აჩვენებენ, რომ პროფესიული სწავლება არის ყველაზე სწრაფი გზა განათლებიდან დასაქმებამდე. საშუალო დონის ზოგადი განათლების კურსდამთავრებულებთან შედარებით პროფესიულ განათლებამიღებული პირები სარგებლობენ უფრო სწრაფი გადასვლით სწავლებიდან სამუშაოზე და შოულობენ მუდმივ პირველ სამუშაოს, რომელიც შესაბამისია მათ კვალიფიკაციასთან. ზოგადი განათლების პროგრამებს ახასიათებს ტენდენცია უბიძგოს თავის კურსდამთავრებულებს შემდგომი განათლებისკენ. ძლიერი პროფესიული განათლების სისტემის მქონე ქვეყნებში (სადაც მჭიდრო კავშირია სკოლასა და სამუშაოზე დაფუძნებულ კომპონენტს შორის), ახალგაზრდები სარგებლობენ დასაქმების შესაძლებლობით და შრომის ბაზარზე სწრაფი გადასვლით. იმ ქვეყნებში, სადაც სამუშაოზე დაფუძნებული კომპონენტი წაკლებად განვითარებულია, ახალგაზრდები აწყდებიან დიდ სირთულეებს შრომის ბაზარზე ინტეგრაციის პროცესში. განათლების პროგრამების წარმატება ან მარცხი დამოკიდებულია ამ მიმართულებით ქვეყნის პოლიტიკისა და ინსტიტუციებს შორის კომპლექსურ ურთიერთქმედებაზე, რაც ბუნებრივია განსხვავებული და თავისებურია კონკრეტული ქვეყნისათვის.

ემპირიული ანალიზი მიზნად ისახავდა ევროპის ქვეყნებში შრომის ბაზრისა და განათლების ურთიერთკავშირის შედეგების შესწავლას. ის ასევე იკვლევდა თუ რამდენად განსხვავებულია აღნიშნული ურთიერთობა სხვადასხვა ქვეყანაში. უფრო კონკრეტულად კი აფასებს თუ რამდენად არის შესაძლებელი ქვეყანათაშორის განსხვავება აიხსნას შრომის ბაზარსა და საგანამანათლებლო დაწესებულებებში არსებული მდგომარეობით.

საშუალო დონის პროფესიული განათლება პირდაპირ ორიენტირებულია სახელობო სამუშაოს უნარების მოთხოვნებზე (საჭიროებებზე) და ამ შემთხვევაში მცირეა კვალიფიკაციათა შეუსაბამობის ალბათობა.

განათლებამიღებული პირებისაგან განსხვავებით, პროფესიული განათლების კურსდამთავრებულები, როგორც წესი, საქმდებიან ისეთ პოზიციებზე, რომლებიც უფრო ახლოსაა მათ განათლებასთან (სპეციალობასთან), შესაბამისად არაკვალიფიციურობა ამ შემთხვევაში უფრო მცირეა (European Centre for the Development of Vocational Training [CEDEFOP], 2013,[5532]).

### გლობალური განათლება: კერძო სექტორის როლი განათლებაში

საინტერესო მიგნებებზე შეგვიძლია ვიმსჯელოთ „Economist Intelligence Unit“-ის მიერ 2009 წელს ჩატარებულ ონლაინ გამოკითხვის შესაბამისად, რომლის შედეგად, გამოკითხულ იქნა 211 რესპონდენტი - 123 კერძო სექტორის წარმომადგენელი კომპანია და 88 საგანმანათლებლო დაწესებულება. კვლევამ მოიცვა მსოფლიოს ყველა რეგიონი, მთ შორის, აზიის, ლათინური ამერიკის, ჩრდილოეთ ამერიკის, დასავლეთ ევროპის ქვეყნები. რესპონდენტებს უსვამდნენ შეკითხვას: კერძო სექტორის როლი და მისი ეფექტი ტრადიციულ განათლებაზე.

გამოკითხულთა 70%-მა აღნიშნა, რომ კერძო სექტორის ჩართულობა ძალიან მნიშვნელოვანია. კერძო სექტორის როლი ყველა ქვეყანაში განსხვავებულია. შვედეთში თითოეული ბავშვის განათლება ფინანსდება ვაუჩერით, მიუხედავად იმისა, კერძოა თუ საჯარო სასწავლო დაწესებულება. ასეთმა - ვაუჩერული ტიპის სისტემამ გაზარდა კონკურენცია სასწავლო დაწესებულებებს შორის. თუმცა უმეტეს ქვეყნებში კერძო სექტორის წარმომადგენლებს არ აძლევენ საგანმანათლებლო დაწესებულების მართვის უფლებას.

გამოკითხულთა 94% აღნიშნავს, რომ თავიანთ ქვეყანაში კერძო სექტორს აქვს მნიშვნელოვანი გავლენა საგანმანათლებლო პოლიტიკაზე. თუმცა მათგან მხოლოდ 13%-მა აღნიშნა, რომ კერძო სექტორს პირდაპირი კავშირი (ურთიერთქმედება) აქვს საგანმანათლებლო დაწესებულებებთან.

საკითხზე, თუ რით უნდა გამოიხატებოდეს კერძო სექტორის უმთავრესი როლი განათლებაში, რესპონდენტები მიემხრნენ ისეთ სტრატეგიულ ვარიანტებს, როგორიცაა კერძო და საჯარო სექტორის თანამშრომლობა, ფინანსური წვლილის შეტანა, სკოლების ინფორმირება სამუშაო რესურსის ტენდენციების შესახებ.

აღსანიშნავია, რომ კერძო სექტორის რესპონდენტებს უფრო მეტად პირდაპირი კავშირი ურჩევნიათ საგანმანათლებლო დაწესებულებებთან. თუმცა საგანმანათლებლო დაწესებულებების მიერ აღნიშნული კითხვა - „ურჩევნიათ თუ არა პირდაპირი კავშირი დამსაქმებლებთან?“ მაღალი ქულით არ შეაფასეს. ხელმძღვანელების 40% აცხადებს, რომ საგანმანათლებლო კურიკულუმების ფორმირება ყველაზე პრიორიტეტულია კერძო სექტორისთვის, თუმცა ამას მხოლოდ განათლების რესპონდენტთა 23% ეთანხმება. გამოკითხულთა 25% ამბობს, რომ კერძო სექტორი აქტიურად არის ჩართული სასწავლო გეგმების განვითარებაში კოლეჯის დონეზე. ბუნებრივია, თუკი დაისმება შეკითხვა, თუ რამდენად მნიშვნელოვანია ქვეყნისათვის განათლება, თითოეული ქვეყანა საკუთარ პრიორიტეტებს შორის ერთ-ერთ უმთავრესად სწორედ განათლებას დაასახელებს. თუმცა მთავრობები სწორედაც რომ არასაკმარის ფინანსებს ხარჯავენ განათლებაზე. აღნიშნული კი კერძო სექტორისათვის არის შესაძლებლობა, მომავალში უფრო აქტიურად ჩაებას საგანმანათლებლო პროცესებში. მთავრობისგან განსხვავებით, საგანმანათლებლო ინვესტიციები კერძო სექტორის პერსპექტივიდან არა სავალდებულო, არამედ სტრატეგიული პრეროგატივაა. საიდუმლო არ არის, რომ გრძელვადიანი საქმიანი წარმატება დამოკიდებულია კარგად განათლებულ მუშახელზე. 2008 წელს 566 ამერიკელი ხელმძღვანელის გამოკითხვის თანახმად, კორპორატიული ინვესტიციები გააუმჯობესებდა მათი კომპანიების პრაქტიკულ შედეგებს 20 წლის განმავლობაში.

გამოკითხვის შედეგად, გამოიკვეთა მოთხოვნა ისეთ ცხოვრებისეულ უნარებზე, როგორებიცაა: მოლაპარაკების წარმოების უნარი, ქსელური მუშაობის უნარი და კულტურულ მრავალფეროვნებასთან მუშაობის უნარი. ეს არის უნარები, რომლებიც, პვლევის თანახმად, ყველაზე პოპულარული იქნება მომავალში. დამსაქმებელ რესპონდენტებმა ასევე დაასახელეს ის უნარები, რომლებიც ყველაზე მოთხოვნადი იქნება ათი წლის შემდეგ: ცხოვრებისეული უნარები (life skills) - 48%, პრობლემის გადაჭრის უნარი - 29%, ლიდერობა - 28%, კრიტიკული აზროვნება - 27%. ტრადიციული უნარებიდან: მეცნიერება, ტექნოლოგიები, საინჟინრო ხელოვნება, მათემატიკა, ასევე ზეპირი და წერითი უნარები. აღნიშნული ანგარიში, რომელიც 211

კერძო სექტორის წარმომადგენელის (ხელმძღვანელებს და განათლების რესპონდენტს) პასუხებს ეფუძნება, ადასტურებს, რომ მთელ მსოფლიოში კორპორაციები სულ უფრო მეტად შემოდიან საგანმანათლებლო სივრცეში და მონაწილეობენ მიმდინარე პროცესებში (An economist intelligence unit, 2009).

### პროფესიული განათლება და შრომის ბაზარი ჩინეთისა და გერმანიის შედარებითი ანალიზი

ეს დოკუმენტი წარმოადგენს იმ მიდგომებსა და მოდელებს, რომლებსაც იყენებს პროფესიული განათლება შესაბამისი უნარების მქონე მუშახელის მოსამზადებლად. თუმცა აღსანიშნავია, რომ ორივე ქვეყნის პროფესიული განათლების შემდგომი განვითარებისათვის, გათვალისწინებული უნდა იყოს განსხვავებული კულტურული და ისტორიული კონტექსტი, საკანონმდებლო ბაზა და სხვ.

გერმანული პროფესიული განათლებისა და დუალური სისტემის სიმღიერე მდგომარეობს იმაში, რომ იგი უშვებს ისეთ კურსდამთავრებულებს, რომელთაც აქვთ საყოველთაოდ აღარებული კვალიფიკაცია. უფრო მეტიც, გერმანიაში სასწავლო პროფესიების საკანონმდებლო ჩარჩო და მისი დოკუმენტები შემუშავებულია ინდუსტრიის საჭიროებების შესაბამისად. შეიძლება ითქვას, რომ ტექნიკური პროფესიული განათლება ორიენტირებულია შრომის ბაზარზე სასწავლო პროფესიების დაგეგმვის მეშვეობით, რომელიც შეესაბამება შრომის ბაზრის მოთხოვნებს. ის ფაქტი, რომ გერმანიის პროფესიული განათლება სთავაზობს სასწავლო პროფესიების ფართო არჩევანს, შეიძლება მივიჩნიოთ როგორც სისტემის დადებითი ასპექტი შრომის ბაზრის მოთხოვნებთან დაკავშირებით. გერმანიის პროფესიული განათლების სისტემას დიდი გავლენა აქვს უმუშევრობის კოეფიციენტზე.

რაც შეეხება გერმანიის პროფესიული განათლების სისტემის უარყოფით მხარეს, იგი თავისი რთული სტრუქტურის გამო, ცვლილებებზე ძალიან ნელა რეაგირებს. ამას, თავის მხრივ, დიდი გავლენა აქვს შრომის ბაზრის საჭიროებების შესაბამისად სისტემის სწრაფ და უფრო მოქნილი ცვლილებების მნიშვნელობაზე.

შეიძლება ითქვას, რომ გერმანიის პროფესიული განათლების სისტემა ნათლად ასახავს კონკურენტულ უპირატესობას ქვეყნისთვის. მიუხედავად ამისა,

ცვლილებებთან ადაპტაციის ნელი მაჩვენებელი, ისევე როგორც საკმარისი შესაძლებლობების გახსნის არარსებობა პროფესიული განათლებისთვის, უდავოდ აღნიშნავს დიდ სისუსტეს შრომის ბაზრის მოთხოვნებთან დაკავშირებით.

რაც შეეხება ჩინეთის პროფესიული განათლების სისტემას, ბოლო წლებში ჩინეთის მთავრობამ დიდი ძალისხმევა გასწია, პროფესიული განათლების განვითარების ხელშეწყობისთვის და მიიღო გადაწყვეტილებები გაეფართოებინა პროფესიულ განათლებაში მონაწილეობა, როგორც განვითარებულ, ისე განვითარებად რეგიონებში. შესაბამისად, სოფლის ახალგაზრდობას აქვს პროფესიული სწავლების უფრო მეტი შესაძლებლობა. 2006 წლიდან პროფესიულ განათლებასთან დაკავშირებული უამრავი რეფორმა განხორციელდა, რომელიც, რაც მთავარია, მყისიერად პასუხობს სწრაფ სოციალურ და ეკონომიკურ ცვლილებებს (გერმანული პროფესიული განათლებისაგან გასხვავებით). შეიქმნა ახალი პროფესიები, გაუმჯობესდა უნარების შეფასებები და ახალი კურიკულუმები, რომლებიც დღევანდელი მდგომარეობით ჩინეთის ინდუსტრიისა და შრომის ბაზრის მოთხოვნებს სრულად შეესაბამება. თუმცა, პროფესიული სასწავლებლების კომპანიებთან თანამშრომლობის უქონლობის გამო, პროფესიული სასწავლებლების სტუდენტებს არ აქვთ საკმარისი შესაძლებლობები თეორიული ცოდნის პრაქტიკაში გასამტკიცებლად.

გერმანიისა და ჩინეთის შედარებითი ანალიზის შედეგად გამოიკვეთა, რომ არ არსებობს სრულყოფილი სისტემა. წებისმიერ სისტემას აქვს ძლიერი და სუსტი მხარეები მარეგულირებელი დოკუმენტები, სისტემის დიზაინის, კულტურული თუ ისტორიული ასპექტების თვალსაზრისით. (Schnarr, Yang & Gleisner, 2008).

### **3. პროფესიული განათლება თანამედროვე საქართველოში - არსებული რეალობა,**

#### **პრობლემები და მათი გადაჭრის გზები**

პროფესიული განათლების მიმართულებით ცვლილებები ბოლო ათი წლის განმავლობაში უწყვეტად მიმდინარეობს. დღეს კი დროა ის შედეგები შევაფასოთ, რომლებიც სისტემის რეფორმირებით მივიღეთ და, ამავდროულად, იმ პრობლემებზეც გავამახვილოთ ყურადღება, რომლებიც ამ შედეგების ანალიზისას გამოიკვეთა. სისტემის მუდმივი რეფორმირების მიუხედავად, ქვეყნისათვის ამ

მნიშვნელოვან მიმართულებას მეტი აკადემიური და ფინანსური რესურსი ესაჭიროება. პროფესიული განათლების გაძლიერება ძალზე მნიშვნელოვანია ქვეყნის მომავლის განვითარებისათვის. სახელმწიფო თუ ბიზნეს სექტორის სრულყოფისათვის ქვეყანას ესაჭიროება პროფესიონალი კადრები. სწორედ ამიტომ, პროფესიული განათლების გაძლიერება ქვეყნის ერთ-ერთი უმთავრესი პრიორიტეტი უნდა იყოს.

სახელმწიფოს მიერ არაერთი ნორმატიული დოკუმენტი შემუშავდა სისტემის სრულად ჩამოყალიბების მიზნით. სწორედ ამ სამართლებრივი ბაზის კვლევისა და ანალიზის საშუალებით, მინდა წარმოგიდგინოთ ფაქტობრივი მდგომარეობა, თუ რა ადგილი უკავია პროფესიულ განათლებას ერთიან ქართულ საგანმანათლებლო სივრცეში და ვიმსჯელო იმ ასპექტებზე, რომლებიც, სავარაუდოდ, ხელს უშლის სისტემის გამართულად ფუნქციონირებას. ეს პრობლემები, უპირველესად, აისახება უშუალოდ მომხმარებელზე, მოსწავლეზე, სტუდენტზე. დღეს არსებული სისტემა კი, პირის მნიშვნელოვან მოთხოვნილებას - მიეცეს საშუალება ისწავლოს მთელი ცხოვრების განმავლობაში, მუდმივად განვითარდეს და ისწრაფვოს სრულყოფისაკენ - სირთულეებს უქმნის, რაზეც წინამდებარე ნაშრომში გვექნება საუბარი.

### **3.1. საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს პროფესიული განათლების სტრატეგია**

განათლებისა და მეცნიერების სამინისტრომ 2013 წელს ევროკავშირის მხარდაჭერითა და დაინტერესებული მხარეების მონაწილეობით შეიმუშავა პროფესიული განათლების რეფორმის (2013-2020 წლებისათვის) სტრატეგია. დაიწყო შესაბამისი სამოქმედო გეგმის განხორციელება. 2014 წელს, წინა წლებთან შედარებით, პროფესიული განათლების ბიუჯეტი გაორმაგდა და შესაძლებელი გახდა სისტემური ცვლილებების დაწყება. სახელმწიფო საგანმანათლებლო დაწესებულებებში შესაძლებელი გახდა პროფესიული განათლების მიღება სრული სახელმწიფო დაფინანსებით.

პროფესიული მომზადების პროგრამების განხორციელება დაიწყო ასევე მსჯავრდებულებისთვისაც. 2013-2014 სასწავლო წელს 100-მდე ბენეფიციარმა მიიღო

პროფესიული განათლება და შესაბამისი უნარები საზოგადოებაში რეინტეგრაციისა და რესოციალიზაციის მიზნით.

პროფესიული განათლების სისტემის შრომის ბაზრის მოთხოვნებთან დაკავშირების მიზნით, დამსაქმებელთა მონაწილეობით დაიწყო პროფესიული სტანდარტების გადამუშავება ევროკავშირის ტექნიკური დახმარების პროექტის მიერ რეკომენდებული მეთოდოლოგიით.

2013 წელს ევროკავშირის ტექნიკური დახმარების პროექტის ფარგლებში ჩამოყალიბდა პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების რეფორმის ხედვა, რომელიც მოქნილი, კომპეტენციებზე დაფუძნებული, მოდულური საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავება-განხორციელებას ითვალისწინებს. აქვე უნდა აღინიშნოს სისტემაში გატარებული მთელი რიგი საკანონმდებლო ცვლილებები, რომელთა საშუალებითაც მეტწილად მოწესრიგდა პროფესიულ საგანმანათლებლო სივრცეში არსებული პრობლემები:

2013 წლის 19 სექტემბრის საქართველოს მთავრობის №244 დადგენილებით განისაზღვრა პროფესიული განათლების დაფინანსების წესი და ერთ პროფესიულ სტუდენტზე ვაუჩერის ოდენობა დაანგარიშდა სპეციალობების მიხედვით.

ვაუჩერული დაფინანსება სტუდენტს არ მიყვებოდა. 2013 წლის 19 სექტემბრის №244 დადგენილებით მოწესრიგდა აღნიშნული ხარვეზი და მობილობის განმახორციელებელი პროფესიული სტუდენტის მიმღები დაწესებულება ვაუჩერულ დაფინანსებას მიიღებს პროფესიული სტუდენტის მობილობის განხორციელების მომდევნო კვარტალიდან.

მისაღები კონტინგენტის განსაზღვრის შესახებ გადაწყვეტილების მიღება ხდება საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ.

პროფესიული განათლების მიღების მსურველებს საშუალება აქვთ რეგისტრაცია გაიარონ არა მხოლოდ საინფორმაციო ცენტრში, არამედ რესურსცენტრებსა და პროფესიულ საგანმანათლებლო დაწესებულებებში.

„პროფესიული ტესტირების ჩატარების დებულების დამტკიცების თაობაზე“ 2013 წლის 27 სექტემბრის საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის №152/ნ

ბრძანებით ნათლადაა განისაზღვრული დაფინანსების საფუძვლები და ის, თუ რომელი ბენეფიციარი მიიღებს დაფინანსებას;

პროფესიულ განათლებაში დასახული სტრატეგიული მიზნის მისაღწევად, სამინისტროსათვის მნიშვნელოვანია რეფორმის თანამიმდევრული გაგრძელება და დამტკიცებული სამოქმედო გეგმის განხორციელება შემდეგი ოთხი ძირითადი ამოცანის შესაბამისად:

- სისტემის მოქნილობისა და მიმზიდველობის გაზრდა;
  - პროფესიული განათლების სისტემის შრომის ბაზრის მოთხოვნებზე ორიენტაცია და სოციალური პარტნიორობის ხელშეწყობა;
  - პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ინსტიტუციური განვითარება;
  - პროფესიულ განათლებაზე თანაბარი ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა.
- (საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო, 2013).

### 3.2. ფაქტობრივი მდგომარეობა პროფესიულ განათლებაში პრობლემები და მათი

#### გადაჭრის გზები


დღევანდელი მდგომარეობით საქართველოში, ფუნქციონირებს 135-მდე საგანმანათლებლო დაწესებულება. აქედან:

- 8 საჯარო სამართლის იურიდიული პირის (სსიპ) სტატუსით ჩამოყალიბებული საზოგადოებრივი კოლეჯი;
- 9 სსიპ პროფესიული კოლეჯი;
- 4 სახელმწიფოს თანადაფუძნებაში არსებული ა(ა)იპ პროფესიული კოლეჯი;
- 15 სსიპ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება;
- 1 სსიპ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულება.
- 30 კერძო სამართლის იურიდიული პირის სტატუსით (შპს/ა(ა)იპ) ჩამოყალიბებული საზოგადოებრივი კოლეჯი;
- 39 შპს/ა(ა)იპ პროფესიული კოლეჯი;
- 18 შპს/ა(ა)იპ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება;
- 11 შპს/ა(ა)იპ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულება.

პროფესიული პროგრამების განმახორციელებელი საგანმანათლებლო დაწესებულებების გეოგრაფიული დაფარვა (რუკაზე პროფესიული განათლების პროვაიდერები აღნიშნულია ორი მახასიათებლის გათვალისწინებით: უსდ, პროფესიული და საზოგადოებრივი კოლეჯი, ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულება; კერძო/საჯარო).



ქვემოთ წარმოგიდგენთ სქემას, რომელიც საქართველოს განათლების სისტემას ასახავს. სქემაზე დატანილია დაწყებითი ზოგადი, პროფესიული და უმაღლესი განათლების შესაბამისი საფეხურები და საფეხურიდან საფეხურზე გადაადგილების შესაძლებლობები. სქემა ნაწილობრივ შესაბამება საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს საჯარო სამართლის იურიდიული პირის - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის მიერ მომზადებულ და ვებგვერდზე განთავსებულ სქემას, თუმცა მასში შეტანილია კორექტირება რეალური, კანონით დადგენილი ნორმების შესაბამისად.



**შენიშვნა:** საქართველოს განათლების სისტემის ზემოთ მოცემულ სქემაში

შეტანილია კორექტირება, რაც ნათლად ასახავს დღევანდელ სისტემას.

საქართველოს კანონი „პროფესიული განათლების შესახებ“ მიზნად ისახავს ქვეყანაში პროფესიული განათლების ფუნქციისა და ადგილის განსაზღვრას, პროფესიული განათლების სისტემის შექმნას, რომელიც დაკავშირდებს სწრაფად და შრომის ბაზრის მუდმივად ცვალებად მოთხოვნებს. იგი ადგენს საქართველოში პროფესიული საგანმანათლებლო საქმიანობის განხორციელების პირობებს, განსაზღვრავს პროფესიული განათლების სახეებს, საფეხურებსა და დაფინანსების პრინციპებს (საქართველოს პარლამენტი, 2007).

**პროფესიული განათლების სახეები - საქართველოში პროფესიული განათლება ორ ნაწილად იყოფა:** ფორმალურ და არაფორმალურ პროფესიულ განათლებად. ფორმალური პროფესიული განათლების მიღება ხდება პროფესიული განათლების განმახორციელებელ საგანმანათლებლო დაწესებულებაში. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა მოიცავს: თეორიულ სწავლებას, სასწავლო ან/და საწარმოო პრაქტიკას და სრულდება პროფესიული განათლების შესაბამისი საფეხურის კვალიფიკაციის დამადასტურებელი პროფესიული დიპლომის გაცემით. არაფორმალური პროფესიული განათლება – პროფესიული განათლება, რომელიც პირმა მიიღო პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებისაგან დამოუკიდებლად. არაფორმალური პროფესიული განათლების სახელმწიფო აღიარება ხორციელდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით და მიზნად ისახავს არაფორმალური განათლების მქონე პირის ცოდნის, უნარებისა და ღირებულებების შემოწმებას. საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 3 თებერვალის ბრძანება №8/ნ „არაფორმალური პროფესიული განათლების აღიარების პირობებისა და წესის დამტკიცების შესახებ“ ადგენს არაფორმალური აღირების რეგულირების სფეროს, არაფორმალური პროფესიული განათლების აღიარების უფლებას, უფლებამოსილ ორგანოს, წარსადგენ დოკუმენტაციას, გადაწყვეტილების მიღებას, პროფესიული განათლების III საფეხურის შესაბამისი არაფორმალური პროფესიული განათლების აღიარების თავისებურებებს.

## პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განმახორციელებელი დაწესებულებების სახეები

პროფესიული განათლების განხორციელების უფლების მქონე დაწესებულებებია:

- ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულება;
- პროფესიული კოლეჯი;
- საზოგადოებრივი კოლეჯი;
- უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება.

პროფესიული კოლეჯი არის პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულება, რომელიც ახორციელებს მხოლოდ პირველი სამი საფეხურის პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებს.

**საზოგადოებრივი კოლეჯი** არის პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულება, რომელიც პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების პარალელურად, ახორციელებს მოსამზადებელ ზოგადსაგანმანათლებლო ან/და ლიბერალური განათლების საგანმანათლებლო პროგრამებს, ასევე უფლებამოსილია განახორციელოს ქართული ენის საგანმანათლებლო პროგრამა.

**ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულება** უფლებამოსილია განახორციელოს პროფესიული განათლების პირველი სამი საფეხურის საგანმანათლებლო პროგრამები.

**უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება** უფლებამოსილია განახორციელოს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა.

## პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განმახორციელებელი დაწესებულებების სამართლებრივი სტატუსი

პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულება შეიძლება ჩამოყალიბდეს შემდეგი სამართლებრივი ფორმით:

- სსიპ - საჯარო სამართლის იურიდიული პირი;
- ა(ა)იპ - არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი;
- შპს - შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება.

პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მოპოვება და შესაბამისი საგანმანათლებლო საქმიანობის განხორციელება შესაძლებელია მხოლოდ

საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულებით დადგენილი წესით ავტორიზაციის გავლის შემთხვევაში(საქართველოს პარლამენტი, 2007).

**პასუხისმგებლობების განაწილება - პროფესიული საგანმანათლებლო  
დაწესებულების სტატუსის მინიჭების პროცედურა**

ავტორიზაცია არის პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მოპოვების პროცედურა, რომლის მიზანია სახელმწიფოს მიერ აღიარებული განათლების დამადასტურებელი დოკუმენტის გასაცემად შესაბამისი საქმიანობის განხორციელებისათვის აუცილებელი სტანდარტების დაკმაყოფილების უზრუნველყოფა (საქართველოს პარლამენტი, 2007).

ავტორიზაციის შედეგად დაწესებულება იძენს პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსს და უფლებამოსილია გასცეს კვალიფიკაციის დამადასტურებელი პროფესიული დიპლომი.

„განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ კანონის თანახმად საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის ვადა განსაზღვრულია 6 წლით . ავტორიზაციის გავლისას დაწესებულება იხდის შესაბამის საფასურს. ავტორიზაციის სტანდარტებია:

- ა) საგანმანათლებლო პროგრამები;
- ბ) მატერიალური რესურსი;
- გ) ადამიანური რესურსი (საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის ბრძანება, 2010, №99/ნ).

**პასუხისმგებლობების განაწილება - პროფესიული საგანმანთლებლო პროგრამების  
აკრედიტაციის პროცესი**

აკრედიტაცია არის აკრედიტაციის სტანდარტებთან პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების საგანმანათლებლო პროგრამის შესაბამისობის განსაზღვრის პროცედურა, რომლის მიზანია განათლების ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმების განვითარების ხელშეწყობა და რომელთანაც დაკავშირებულია ამ კანონით გათვალისწინებული ზოგიერთი საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელება, ასევე სახელმწიფო დაფინანსების მიღება.

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის ჩატარებას უზრუნველყოფს სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი (საქართველოს პარლამენტი, 2010).

ქართული ენისა და ლიბერალური განათლების საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელება შესაძლებელია მხოლოდ აკრედიტაციის გავლის შემთხვევაში.

სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოების დაფინანსება გაიცემა მხოლოდ პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების იმ საგანმანათლებლო პროგრამის დასაფინანსებლად, რომელსაც გავლილი აქვს აკრედიტაცია. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ აღნიშნული კანონის ეს დებულება დღემდე არ არის ამუშავებული და სახელმწიფო მხოლოდ მის მიერ დაფუძნებულ/თანადაფუძნებულ ავტორიზებულ პროფესიულ დაწესებულებებს აფინანსებს.

აკრედიტაციის სტანდარტებია:

- ა) საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა;
- ბ) სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა;
- გ) სტუდენტების მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა;
- დ) სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა;
- ე) სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები.

აკრედიტაციის ვადა განსაზღვრულია 7 წლით (საქართველოს პარლამენტი, 2010). აკრედიტაციის გავლისას საგანმანათლებლო დაწესებულება იხდის კანონით დადგენილ შესაბამის საფასურს (საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის ბრძანება, 2011, №65/6).

#### პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავება ხდება პროფესიული სტანდარტის საფუძველზე:

პროფესიული სტანდარტი არის დოკუმენტი, რომლითაც განისაზღვრება შესაბამისი პროფესიული კვალიფიკაცია და პროფესიული ცოდნა და უნარები,

აგრეთვე დგინდება პროფესიის სპეციფიკიდან გამომდინარე დამატებითი მოთხოვნები.

**პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა** – საგანმანათლებლო პროგრამა, რომელიც ორიენტირებულია პრაქტიკული ცოდნისა და უნარების გამომუშავებაზე და სრულდება შესაბამისი პროფესიული კვალიფიკაციის მინიჭებით. პროგრამა აერთიანებს პროფესიული კვალიფიკაციის მისანიჭებლად საჭირო სასწავლო კურსებს/მოდულებს. პროგრამით განისაზღვრება პროგრამის მიზნები, სწავლის შედეგები, პროფესიული სტუდენტის დატვირთვა კრედიტებში, სწავლების მეთოდები და შეფასების ფორმები.

2013 წლიდან განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულმა ცენტრმა დაიწყო საგანმანათლებლო პროგრამების ახლებური საგანმანათლებლო სტანდარტებისა და პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტის ევროკავშირის ტექნიკური დახმარების პროექტის მხარდაჭერით; მომზადდა პროფესიული სტანდარტებისა და პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავების მეთოდოლოგია, რომელიც ითვალისწინებს პროფესიული სტანდარტის პროფესიული განათლების სტრატეგიის 2015 წლის სამოქმედო გეგმის განხორციელება მომზადებას/გადამუშავებას დამსაქმებელთა აქტიური მონაწილეობით სტანდარტული მეთოდოლოგიის (DACUM) საფუძველზე.

### **პროფესიული სტანდარტის, საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტის და მოდულის შემუშავების წესი**

სახელმწიფოს მიერ დამტკიცებულია 250-ზე მეტი პროფესიული სტანდარტი. პარალელურად მიმდინარეობს მუშაობა ახალი პროფესიული სტანდარტების პროექტების შემუშავებასა და უკვე დამტკიცებულის გადახედვაზე. დღესდღეობით პროფესიული განათლების სივრცეში გვხვდება პროგრამის შემუშავების ორი წესი. ერთი წესის თანახმად სახელმწიფო ამტკიცებს პროფესიულ სტანდარტებს, აღნიშნული სტანდარტების საფუძველზე კი დაწესებულებები შეიმუშავებენ პროგრამას და ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრს წარუდგენენ ავტორიზაციისა და აკრედიტაციის მიზნით. ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი ასევე ადმინისტრირებას და კოორდინაციას უწევს მოდულური პროგრამების

მომზადებისა და დამტკიცების პროცესს. ინიციატორი (დაინტერესებული მხარე, ნებისმიერი ფიზიკური ან იურიდიული პირი) უფლებამოსილია, მოამზადოს პროფესიული სტანდარტის პროექტი სტანდარტის შექმნის მეთოდოლოგიის დაცვით. სტანდარტის პროექტის შემუშავება მოიცავს სამუშაო ჯგუფში განხილვას და გარე შეფასებას/ექსპერტიზას. სამუშაო ჯგუფი შედგება დარგის სპეციალისტებისგან.

ინიციატორი უფლებამოსილია, შეიმუშაოს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტის პროექტი პროფესიულ სტანდარტზე დაყრდნობით „პროფესიული განათლების შესახებ“ საქართველოს კანონით, ასევე „ეროვნული საკვალიფიკაციო ჩარჩოს დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 01 ოქტომბრის №120/ნ ბრძანებით განსაზღვრული ერთ-ერთი პროფესიული კვალიფიკაციის შესაბამისად. ჩარჩო დოკუმენტის შექმნის პროცესში ასევე ჩართული უნდა იყვნენ შესაბამისი სფეროს/დარგისა და განათლების სპეციალისტები. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტით განისაზღვრება სავალდებულო მოდულების ჩამონათვალი და არჩევითი მოდულებისათვის გამოყოფილი კრედიტების რაოდენობა. ინიციატორი უფლებამოსილია ასევე შეიმუშაოს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის მოდულის პროექტი. ინიციატორი ცენტრში განსახილველად წარადგენს პროფესიული სტანდარტის, საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტის ან/და მოდულის პროექტს, რომელსაც განიხილავს დარგობრივი საბჭო და დადგენილი წესის შესაბამისად, ამტკიცებს ცენტრის დირექტორი (განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორი, 2016, №1095).

ზემოხსენებული დოკუმენტები ძალაში უნდა იყოს მისი დამტკიცებიდან სტანდარტით განსაზღვრული ვადით (3-5 წელი). თუმცა შრომის ბაზრის მოთხოვნები იმდენად სწრაფად იცვლება, რომ ვიდრე მოდულური პროგრამები შემუშავდება და დამტკიცდება, პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებში კვლევის შედეგად უკვე ცვლილებების საჭიროება ვლინდება. მნიშვნელოვანია ასევე, ის გარემოება, რომ შრომის ბაზრის პირობებში, მუდმივი მოუცლელობისა და სხვა

მიზეზეთა გამო, პროფესიულ საგანმანათლებლო დაწესებულებებთან კავშირი სუსტია. შესაბამისად, რთულია მოდულირი პროგრამების მომზადების პროცესში მათი მუდმივი ჩაბმულობის უზრუნველყოფა. ასევე დამაბნეველია ერთი საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტის და მოდულების მომზადებისას სხვადასხვა დარგისა და რეგიონის პედაგოგათა ჩაბმულობა. პროცესი დროში გაწელილი და საკმაოდ დამაბნეველია, ასევე, საეჭვო ხება მომზადებული პროდუქტის ინდივიდუალურობა. დღეს მოდულური პროგრამები პილოტირების რეჟიმშია. პროცესში ბევრი დადებითი ტენდენცია იკვეთება, მაგრამ არის ხარვეზებიც. ამ ეტაპზე მომზადებული და დამტკიცებულია 54 მოდულური პროგრამის სტანდარტი და ჩარჩო დოკუმენტი. თუმცა ვიდრე პილოტირების რეჟიმი არ დასრულდება აღნიშნულ საკითხზე უფრო არსებითი მსჯელობა ნაადრევია.

რაც შეეხება დღეს პროფესიულ განათლებაში არსებული პროგრამების შემუშავებას, აქ საკითხი სხვაგვარად დგას. ვინაიდან კონკრეტულ შემთხვევაში სახელმწიფოს მიერ მხოლოდ საგანმანათლებლო სტანდარტები მტკიცდება და დაწესებულება პროგრამის მომზადების პროცესში თავისუფალია, შესაძლებელია ახლებური, ადგილობრივ შრომის ბაზარზე მეტად ორიენტირებული საგანმანათლებლო პროგრამის შექმნაზე ვიმსჯელოთ და ამ თვალსაზრისით გარკვეული სიახლეები დავნერგოთ. დღეს უკვე არსებული საგანმანათლებლო პროგრამების ავტორიზაციისა და აკრედიტაციის პროცესში ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი საგანმანათლებლო პროგრამის მხოლოდ სტანდარტთან შესაბამისობას ამოწმებდა. საგანმანათლებლო სტანდარტი კი 2011 წელს დამტკიცდა და მას შემდეგ არ შეცვლილა. ასევე საინტერესოა, რომ ხარისხის კონტროლის დროს საგანმანათლებლო დაწესებულებისგან ითხოვენ კვლევას მხოლოდ იმის გათვალისწინებით, თუ რამდენადაა მოთხოვნადი შრომის ბაზარზე ესა თუ ის პროფესია (სპეციალობა) და არა იმას, რა ცოდნითა და უნარებით უნდა გამოირჩეოდეს ესა თუ ის სპეციალისტი.

შედეგად კი, ხშირ შემთხვევაში, ადგილობრივი ბაზრის მოთხოვნები არ შეესაბამება საგანმანათლებლო პროგრამის ცოდნასა და უნარების სწავლებას. აღნიშნული პრობლემა შესაძლებელია ადგილობრივი შრომის ბაზრის კვლევისა და

მისი მოდიფიცირების განსხვავებული მეთოდების დანერგვის გზით გადაიჭრას. როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, საქართველოში არის პროფესიული განათლების ხუთი საფეხური. პროფესიული დიპლომი გაიცემა პროფესიული განათლების თითოეული საფეხურის დასრულების შემდეგ. თითოეული მათგანის გავლის საფუძველია წინა საფეხურის საგანმანათლებლო პროგრამის ათვისება ან წინა საფეხურის საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული ცოდნის, უნარებისა და ღირებულებების აღიარება. კონკრეტული პროფესიული განათლების საფეხურები განისაზღვრება პროფესიული სტანდარტით, რომელიც მოიცავს ხუთი საფეხურიდან ერთ-ერთს, რამდენიმეს ან ყველას. პროფესიული განათლების თითოეული საფეხურის შესაბამისი პროგრამა და მისი ცალკეული კომპონენტები გაანგარიშებული უნდა იყოს სწავლის შედეგების მისაღწევად საჭირო დროის ამსახველი პირობითი ერთეულით - კრედიტით (საქართველოს პარლამენტი, 2007).

სახელმწიფომ შეიმუშავა და დაამტკიცა 400-მდე პროფესიული სპეციალიზაცია შემდეგი დარგობრივი მიმართულებებით: აგრარული მეცნიერებები, ბიზნესის ადმინისტრირება, განათლება, ინჟინერია, მეცნიერება/საბუნებისმეტყველო მეცნიერებანი, სამართალი, სოციალური მეცნიერებები, ხელოვნება, ჯანდაცვა, ჰუმანიტარული მეცნიერებანი, მიმართულებათაშორისი დარგები ან სპეციალობები.

**პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტი** – ეს არის დოკუმენტი, რომლითაც განისაზღვრება შესაბამისი პროფესიული კვალიფიკაციის მისანიჭებლად საჭირო კრედიტების მოცულობა, მისაღწევი სწავლის შედეგები, იმ მოდულების ერთობლიობა, რომელთა სწავლის შედეგების მიღწევა აუცილებელია პროფესიული კვალიფიკაციის მისანიჭებლად, აგრეთვე შესაბამის პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე დაშვების და პროგრამის განხორციელების წინაპირობები, შესარჩევი სწავლების მეთოდებისა და შეფასების სისტემის აღტერნატიული ჩამონათვალი.

**მოდული** – სწავლების დამოუკიდებელი, თანამიმდევრული ბლოკი, რომელიც ორიენტირებულია სწავლის მისაღწევ შედეგებზე. მოდულით განისაზღვრება სასწავლო თემატიკისა და სწავლის შედეგების ურთიერთკავშირი და პროფესიული

სტუდენტის სწავლებასა და შეფასების ორგანიზებასთან დაკავშირებული ინფორმაცია (საქართველოს პარლამენტი, 2007).

### პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების სახელმწიფო კონტროლი

პროფესიული განათლების სისტემის მართვის ორგანოებია:

- საქართველოს მთავრობა;
- საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო;
- საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტრო და საქართველოს სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამინისტრო;
- აფხაზეთისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკების განათლების სფეროში უფლებამოსილი შესაბამისი სამინისტროები;
- ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოები;
- საჯარო სამართლის იურიდიული პირი – განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი;
- საჯარო სამართლის იურიდიული პირი – მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრი.

პროფესიული განათლების სისტემის მართვის ორგანოები პროფესიული განათლების სფეროში საქმიანობას ახორციელებენ სასწავლო-სამეწარმეო პარტნიორობის პრინციპის საფუძველზე, რაც გულისხმობს დამსაქმებლებთან, პროფესიულ ასოციაციებსა და საგანმანათლებლო დაწესებულებებთან თანამშრომლობას ქვეყანაში პროფესიული განათლების განვითარების მიზნით.

აღნიშნულ დებულებებში ჩვენთვის საინტერსოა სოცილური პარტინიორობის მაგალითები, რასაც მოგვიანებით დეტალურად განვიხილავთ.

### პროფესიული ტესტირება და სტუდენტის ჩარიცხვა დაწესებულებაში

პროფესიული ტესტირების ჩატარების წესსა და პირობებს არეგულირებს „პროფესიული ტესტირების ჩატარების დებულების დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 27 სექტემბრის ბრძანება №152/ნ, რომლის თანახმადაც ჩარიცხვა წარმოებს ცენტრალიზებულად ტესტირების საფუძველზე.

## ინკლუზიური პროფესიული განათლება საქართველოში

2013 წლიდან პროფესიულ პროგრამებზე სწავლების მიზნით სახელმწიფომ ახალი პროგრამა დაამტკიცა, რომლის საფუძველზე სპეციალური საჭიროებისა და შეზღუდული შესაზღებლობების მქონე პირების სწავლებისათვის მთელი რიგი აქტივობები განხორციელდა. უდავო და მისასალმებელია ის ფაქტი, რომ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს 2014წ. სტრატეგიისა („განათლებისა და მეცნიერების სისტემის განვითარების სტრატეგიული მიმართულებები“) და პროფესიული განათლების რეფორმის სტრატეგიის (2013-2020 წლები), თანახმად, საქართველოს საგანმანათლებლო სისტემაში მიმდინარე რეფორმების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი აქტივობაა სისტემაში ინკლუზიური პროფესიული განათლების დანერგვა. აღნიშნული მიდგომა სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების (სსსმ) და შეზღუდული შესაძლებლობის მქონე (შშმ) პირთა პროფესიული განათლების თანაბარი შესაძლებლობების განვითარებას გულისხმობს.

აღნიშნული ინიციატივა საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსთან ერთად ნორვეგიის განათლებისა და კვლევის სამინისტროს ინტენსიური თანამშრომლობით ხორციელდება. ასევე უნდა აღინიშნოს, რომ სწორედ სახელმწიფოს მიერ აღებული ვალდებულებაა, ხელი შეუწყოს შშმ და სსსმ პირთა განათლებისა და შრომის უფლებების რეალიზებას (საქართველოს პარლამენტი, 2013).

სსსმ და შშმ პირთა ინდივიდუალური შესაძლებლობების გათვალისწინებით, მათი პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე სწავლების მიზნით, მულტიდისციპლინური ჯგუფები ადგენენ პირის საგანმანათლებლო საჭიროებებს, რის შემდეგაც სსსმ და შშმ პირებს ენიჭებათ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე ალტერნატიული ფორმატის გამოცდით ჩარიცხვის უფლება. საკითხის დარეგულირების მიზნით, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 27 სექტემბრის ბრძანებაში „პროფესიული ტესტირების ჩატარების დებულების დამტკიცების თაობაზე“, სსსმ და შშმ პირების ტესტირების პროცედურები განსხვავებული რეგულაციებით გახლავთ დადგენილი.

## სოციალური პარტნიორობა პროფესიულ განათლებაში

სახელმწიფო აღიარებს პროფესიული განათლების განვითარების პროცესში სოციალური პარტნიორების ჩართულობის მნიშვნელობას და საკანონმდებლო დონეზე უზრუნველყოფს სოციალური პარტნიორების ჩაბმას პროფესიული განათლების დაგეგმვა განვითარებაში.

სოციალური დიალოგი - ეს არის თანამშრომლობის ფორმა სახელმწიფო დაწესებულებებს, დამსაქმებლებსა და დასაქმებულებს შორის, სხვადასხვა საზოგადოებრივი ჯგუფების სოციალური და ეკონომიკური პრობლემების შეთანხმებულად დაძლევის მიზნით.

თანამშრომლობის ეროვნული სამმხრივი საბჭოს ამოცანებია:

- განათლების, ადამიანური რესურსებისა და დასაქმების სფეროში სახელმწიფო გეგმების, კონცეფციებისა და პროექტების განხილვა, მათი სრულყოფის მიზნით რეკომენდაციებისა და წინადადებების მომზადება;
- წინადადებების შეფასება და რეკომენდაციების მომზადება იმ სახელმწიფო თუ საზოგადოებრივი ორგანიზაციებისათვის, რომლებიც დაკავშირებული არიან განათლების სფეროსთან და დასაქმებასთან.

**დარგობრივ და რეგიონალურ დონეზე სოციალური პარტნიორების ჩართულობა განათლებისა და დასაქმების რეგიონალური საბჭოების ამოცანები**

**განათლებისა და დასაქმების სფეროში  
სამმხრივი თანამშრომლობის ქვესაბჭო**

**ექსპერტთა დარგობრივი საბჭო  
დარგობრივი სამინისტროების,  
დამსაქმებელთა დარგობრივი  
ორგანიზაციებისა და დარგობრივი  
პროფკავშირების წარმომადგენლები**

**განათლებისა და დასაქმების  
რეგიონალური საბჭოები  
დამსაქმებელთა რეგიონალური  
ორგანიზაციებისა და რეგიონალური  
პროფკავშირების წარმომადგენლები**

- რეგიონში განათლების, დასაქმებისა და შრომითი რესურსების კოორდინაცია, კვალიფიკაციის ამაღლება და გადამზადება;
- რეგიონში საგამოცდო, მაკვალიფიცირებელი დაწესებულებების კოორდინირება;

- რეგიონში სასწავლო დაწესებულებებსა და დამსაქმებელთა შორის კავშირის დამყარება;
- რეგიონში სასწავლო და საწარმოო პრაქტიკის ჩატარების პროცესის კოორდინირება;
- რეგიონში არსებული სასწავლო დაწესებულებების მუშაობის ხარისხის შემოწმება.

### ექსპერტთა დარგობრივი საბჭოს ამოცანები

- განათლებისა და დასაქმების გაუმჯობესების თვალსაზრისით მონაწილეობის მიღება დარგის გამოკვლევაში, დარგის განვითარების პროგნოზირება;
- დარგის პროფესიული კვალიფიკაციების სტრუქტურის შემუშავებისა და შეთანხმების პროცესში აქტიური მონაწილეობის მიღება;
- პროფესიული სტანდარტების, დარგის პროფესიული კვალიფიკაციების მიმართ ძირითადი მოთხოვნების შემუშავებისა და შეთანხმების ინიციირება;
- სასწავლო პროგრამების შემუშავებაში მონაწილეობის მიღება;
- საკვალიფიკაციო პროფესიული გამოცდების საკითხების შემუშავებისა და ექსპერტიზისათვის ექსპერტების დელეგირება;
- საკვალიფიკაციო პროფესიული გამოცდების საგამოცდო კომისიებში ექსპერტების დელეგირება;
- მონაწილეობა პროფესიული განათლების ხარისხის შეფასების პროცესში (აკრედიტაცია);
- დარგში პროფესიული კვალიფიკაციის ამაღლებისა და პროფესიული ზრდის სისტემის შექმნა;
- თანამშრომლობის ეროვნული სამმხრივი საბჭოსათვის რეკომენდაციებისა და წინადადებების მომზადება დარგის ადამიანური რესურსებით უზრუნველყოფის საკითხში;
- პროფესიული სასწავლო დაწესებულებებისა და დარგის საწარმოებთან თანამშრომლობისა და პრაქტიკის პროცესის კოორდინირება (Dzintra & Inta, 2015).

2013-2020 წწ პროფესიული განათლების განვითარების სტრატეგია ხაზს უსვამს სოციალური პარტნიორების, როგორც თანასწორი მხარეების ჩართულობის

მნიშვნელობას პროფესიული განათლების პოლიტიკის ჩამოყალიბების, განხორციელებისა და შეფასების პროცესში. სტრატეგია აქცენტს აკეთებს სოციალური პარტნიორების გაძლიერებაზე პროფესიული განათლების სისტემის ფორმირების ყველა დონეზე (განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო, 2015):

- მაკრო (პოლიტიკის) დონეზე სოციალური პარტნიორობის ძირითადი ინსტიტუცია ეროვნული პროფესიული საბჭოა;
- მეზო (ტექნიკურ) დონეზე მოიაზრება თანამშრომლობა დარგობრივი საბჭოების საშუალებით;
- მიკრო (ინსტიტუციურ) დონეზე პარტნიორობა გულისხმობს თანამშრომლობას საგანმანათლებლო დაწესებულებების დონეზე.

სტრატეგიაში ასევე მნიშვნელოვანი ადგილი ეთმობა არსებული სტრუქტურების შესაძლებლობების გაძლიერებას, როგორიცაა: ეროვნული პროფესიული საბჭო, დარგობრივი კომიტეტები, სამეთვალყურეო საბჭოები, თემატური სამუშაო ჯგუფები; შესაძლებლობების გაძლიერება განიხილება როგორც შემადგენლობის დაბალანსების/გადახედვის მხრივ, ისე მეთოდოლოგიური მხარდაჭერის, სხვადასხვა ტიპის სემინარების, შეხვედრების, ტრენინგებისა და ა.შ. ორგანიზების თვალსაზრისით.

#### **სოციალური პარტნიორობა მაკრო დონეზე - ეროვნული პროფესიული საბჭო**

პროფესიული განათლების ეროვნული პროფესიული საბჭო (შემდგომში – საბჭო) არის პროფესიული განათლების სფეროში სოციალური პარტნიორობის პრინციპებზე დაფუძნებული სათათბირო ორგანო, რომლის მიზანია პროფესიული განათლების სფეროს განვითარების მხარდაჭერა.

პარიტეტის პრინციპის გათვალისწინებით, საბჭოს მხარეებს წარმოადგენს: საქართველოს მთავრობა, დამსაქმებელთა ასოციაციები/გაერთიანებები, დასაქმებულთა პროფესიული კავშირები, სამოქალაქო საზოგადოების წარმომადგენლები.

#### **სოციალური პარტნიორობა მეზო დონეზე - დარგობრივი საბჭოები დარგობრივი საბჭოების ფუნქციებია:**

1. პროფესიულ განათლებასა და შრომის ბაზარს შორის შესაბამისობის უზრუნველყოფის პროცესის ხელშეწყობა;
2. პროფესიული სტანდარტების, პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების ჩარჩო დოკუმენტების შემუშავების საჭიროების შესახებ ინიციატივების განხილვა;
3. პროფესიული სტანდარტებისა და პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების ჩარჩო დოკუმენტების პროექტების განხილვა;
4. მთელი სიცოცხლის განმავლობაში სწავლის ან/და პროფესიული განათლების პოლიტიკის შესახებ რეკომენდაციების შემუშავება.

დარგობრივი საბჭოების ფორმატი, ემყარება სოციალური პარტნიორობის პრინციპს. დარგობრივი საბჭოები ჩამოყალიბდა 11 მიმართულებით, რომლებშიც სულ 97 წევრი ირიცხება. ეს მიმართულებებია: ხელოვნების, განათლების, ჰუმანიტარული; სოციალური, უურნალისტიკისა და მასობრივი კომუნიკაციის; ბიზნესის ადმინისტრირების, სამართლის; ინჟინერიის; მრეწველობის, კვების პროდუქტების გადამუშავების; მშენებლობის, არქიტექტურის; ინფორმაციული საკომუნიკაციო ტექნოლოგიების; სოფლის მეურნეობის, სატყეო საქმის, მეთევზეობის, ვეტერინარიის; ჯანდაცვის, სოციალური დაცვის; მომსახურების სფეროს; ტრანსპორტის.

დარგობრივი საბჭოების მიერ დადებითად შეფასებულ პროფესიულ სტანდარტებს ამტკიცებს ცენტრის დირექტორი.

**სოციალური პარტნიორობა მიკრო დონეზე - სამეთვალყურეო საბჭოები**  
სამეთვალყურეო საბჭოებისათვის მნიშვნელოვანია ინფორმაციის მიღება შემდეგ საკითხებთან დაკავშირებით:

1. კოლეჯების დაფინანსება; ეფექტიანი ბიუჯეტირების პროცესი;
2. სოციალური პარტნიორობა; საჯარო-კერძო პარტნიორობა;
3. მონაცემები შრომის ბაზრის მოთხოვნების შესახებ;
4. საქართველოს კანონი პროფესიული განათლების შესახებ; მარეგულირებელი დოკუმენტები; პროფესიული განათლების რეფორმები და სტრუქტურა;
5. კერძო სექტორის მონაწილეობა პროფესიული სასწავლებლების მართვაში;
6. ხარისხის უზრუნველყოფა - თვითშეფასების პროცესი.


### პროფესიული განათლების დაფინანსება

პროფესიული განათლების დაფინანსების წესსა და პირობებს განსაზღვრავს „პროფესიული განათლების დაფინანსების წესისა და პირობების განსაზღვრისა და პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განმახორციელებელ სახელმწიფოს მიერ დაფუძნებულ საგანმანათლებლო დაწესებულებებში სწავლის საფასურის მაქსიმალური ოდენობის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2013 წლის 19 სექტემბრის N244 დადგენილება. სახელმწიფოს მიერ დაფუძნებული /თანადაფუძნებული პროფესიული განათლების განმახორციელებელი დაწესებულებების პროფესიული სტუდენტები ღებულობენ ვაუჩერულ დაფინანსებას. ვაუჩერული დაფინანსება იყოფა ორ ჯგუფად: მოდულური პროგრამების - ამ შემთხვევაში პროგრამის სრული დაფინანსება შედგება ცალკეული მოდულის დაფინანსებათა ჯამისგან და პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დაფინანსება, რომელიც მთლიან პროგრამას მოიცავს.

ვაუჩერული დაფინანსება დაწესებულებას მიეცემა სასწავლო პროცესის წარმართვისათვის აუცილებელი ხარჯების გასაწევად, მათ შორის, პროფესიული განათლების მასწავლებლის შრომის ასანაზღაურებლად.

პროგრამული დაფინანსების მიღებაზე უფლებამოსილია სამინისტროს მიერ დაფუძნებული: ა) პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებები; ბ) პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განმახორციელებელი დაწესებულებები.


პროგრამული დაფინანსება გაიცემა კვარტალურად ადმინისტრაციული ხარჯებისათვის.



(საქართველოს მთავრობის დადგენილება, 2013);

პროფესიული განათლება შეიძლება დააფინანსონ კერძო პირებმა.

2013-15 წლების მონაცემებით, განათლების საჯარო ხარჯების საერთო საჯარო და პროფესიული, ზოგადი და უმაღლესი განათლების დაფინანსების წილი განათლების სისტემის სრული ასიგნების მიმართ მოცემულია დიაგრამაზე. დიაგრამის მიღმა დარჩენილი პროცენტული რაოდენობა განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს აპარატს და მისი დაქვემდებარებული სსიპ-ების აპარატის ხარჯებია. ასიგნების თანხა ასახულია ერთი ერთეული - ათასი ლარი.



(საქართველოს პარლამენტი, 2008-2014).

პროფესიული განათლების განმახორციელებელი დაწესებულებების ფინანსური საშუალებების გარდა, არსებობს სხვა ფინანსური საშუალებები პროფესიული განათლების სასარგებლოდ, რომლებიც ითვლება განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს სხვადასხვა ორგანიზაციულ ნაწილებში.

სახელმწიფო ბიუჯეტში განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსთვის არსებული ზემოთ აღნიშნული ფინანსური საშუალებების გარდა, არსებობს ევროკავშირის სექტორული პოლისის მხარდამჭერი ოთხწლიანი პროგრამა პროფესიული განათლებისა და ტრეინინგის სექტორისთვის, რომლის საერთო თანხის ოდენობა 27 მილიონი ევროა. (German Society for International Cooperation [GIZ], 2011).

## პრობლემები პროფესიულ განათლებაში და მათი გადაჭრის გზები

საკანონმდებლო მასალისა და ჩვენი პრაქტიკული გამოცდილების საფუძველზე პროფესიული განათლების თვალსაზრისით შეიძლება გამოვკვეთოთ რამდენიმე პრობლემა:

1. პროფესიულ განათლებასა და ზოგად საგანმანათლებლო დაწესებულებას შორის კავშირის გაწყვეტა - დღეს არსებული მდგომარეობით, საქართველოს კანონმდებლობა არ ითვალისწინებს პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ ზოგადი განათლების დამადასტურებელი ატესტატის გაცემას. ამ ვითარებამ საგრძნობლად შეამცირა 9 კლასის ბაზაზე პროფესიულ სასწავლებლებში სწავლის მსურველთა რიცხვი, ვინაიდან, გარკვეულწილად, მოქალაქეს ჩაეკეტა გზა უმაღლესი სასწავლებლისაკენ. 2004 წლიდან დაიწყო განათლების სისტემის რეფორმირება. პროფესიულ სასწავლებლებში გაქრა ზოგადი განათლების კომპონენტი. აღნიშნული გადაწყვეტილებებით დაიწყო განათლების ამ ორ საფეხურს შორის კავშირის რღვევა. 2006-2010 წლებში „მეთერთმეტე-მეთორმეტე კლასებში სკოლას შეეძლო არჩევითი აკადემიური საგნების ნაცვლად მოსწავლისათვის შეეთავაზებინა სახელობო საგანმანათლებლო პროგრამა, რომლის გავლის შემდეგ აიღებდა სრული ზოგადი განათლების დამადასტურებელ ატესტატს. 2010 წელს ეროვნულ სასწავლო გეგმაში საკანონმდებლო ცვლილების შედეგად, მოსწავლეებს ამგვარი შესაძლებლობა შეეზღუდათ, რადგან არჩევით საგნების სიიდან პროფესიული პროგრამები მთლიანად ამოიღეს. (საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრი, 2010, №85/ნ). აღნიშნული გადაწყვეტილებით, იმ პერიოდისათვის საბოლოოდ გაწყდა კავშირი სასკოლო და პროფესიულ განათლებას შორის.

ამას გარდა, 2011-2016 წლების ახალი ეროვნული სასწავლო გეგმა (საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრი, 2011, №36/ნ) აღარ ითვალისწინებს სკოლაში პროფესიულ სწავლებას. იმ შემთხვევაში, თუ სკოლას სურვილი აქვს პროფესიული პროგრამები განახორციელოს, ამისათვის მან სახელმწიფოსაგან დამატებითი თანხმობა უნდა მიიღოს. კერძო სკოლებს, ეროვნული სასწავლო გეგმისაგან დამოუკიდებლად, თავად აქვთ ავტორიზაცია გავლილი ამ პროგრამებზე

და თავადვე ასწავლიან სკოლის მოსწავლეებს სხვადასხვა პროფესიებს. საჯარო სკოლებში კი დღეს ამგვარი სწავლება არ მიმდინარეობს (პროფესიული განათლების ადგილი ქართულ საგანმანათლებლო სივრცეში (კავუტია, 2016, გვ. 320).

ვფიქრობ, ასეთ ვითარებაში ძალზე მნიშვნელოვანია ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებში ცალკეულ საგნებად გათვალისწინებულ იქნას პროფესიული პროგრამებისა თუ მისი შემადგენელი ცალკეული მოდულების სწავლება. იმის გათვალისწინებით, რომ მოზარდი სწავლას დაახლოებით 18 წლის ასაკში ასრულებს, ყოვლად გაუმართლებელია, ზოგადსაგანმანათლებლო სკოლაში არ იყოს იმის საშუალება, რომ მოსწავლე გაეცნოს სხვადასხვა პროფესიას, შეარჩიოს მისთვის სასურველი და დაეუფლოს მას სხვა საგნებთან ერთად. აღნიშნული მიმართულებით მუშაობა აქტიურად უნდა დაიწყოს, რათა სკოლებში არჩევითი საგნის სახით მაინც იყოს წარმოდგენილი პროფესიული პროგრამები. უფრო ეფექტიანი იქნება, თუ პროფესიული პროგრამები სწავლების საშუალო საფეხურზე სავალდებულო საგანთა შორის დაიმკვიდრებს ადგილს. აღნიშნული ორმხრივად ხელსაყრელია და სარგებელს მოუტანს როგორც კერძო სექტორს, ისე მოსწავლეს, რომელიც ზოგადი განათლების დასრულებისთანავე შეძლებს დასაქმებას, თუკი სწავლის გაგრძელება არ მოუნდება. ამით დამატებითი რესურსიც დაიზოგება, როგორც დროის ისე ფინანსური თვალსაზრისით. მოსწავლეებისათვის მეტი სარგებლის მომტანი იქნება, თუკი ისინი სკოლის ასაკიდან, სასკოლო გარემოში გაეცნობიან, ისწავლიან, შეიძენენ სხვადსხვა პროფესიას, მიიღებენ მათზე მეტ ინფორმაციას და აქტიურად ჩაებმებიან პროფესიულ პროგრამებში. ამგვარი მიდგომა მნიშვნელოვნად გაზრდის როგორც საბაზო, ისე იმ მოსწავლეთა რაოდენობას, რომლებიც საშუალო საფეხურის დასრულების შემდეგ, გააგრძელებენ სწავლას პროფესიულ პროგრამებზე. ამის დასტურად, შეიძლება მოვიტანოთ უცხო ქვეყნების მაგალითები - მთელი რიგი ევროპული ქვეყნები (ინგლისი, გერმანია და სხვა) ზოგადსაგანმანათლებლო საფეხურის დაუფლების პარალელურად, მეათე-მეთორმეტე კლასებში მოსწავლეებს სთავაზობენ პროფესიული პროგრამების ფართო სპექტრს, რათა ზოგადსაგანმანათლებლო სკოლის დასრულების შემდგომ, სურვილის შემთხვევაში, ჰქონდეთ მყისიერად დასაქმების შესაძლებლობა.

**2. საქართველოს განათლების სისტემაში არსებული ე.წ. სამართლებრივი ჩიხი - იმ პირებს, რომლებიც სწავლობენ პროფესიულ პროგრამებზე, სრული ზოგადი განათლების დამადასტურებელი დოკუმენტის მიღების გარეშე ეზღუდებათ მესამე საფეხურიდან მომდევნო საფეხურზე ან/და უმაღლეს საგანამანათლებლო პროგრამებზე სწავლის საშუალება. კერძოდ, თუკი სკოლის მოსწავლემ ცხოვრების გარკვეულ ეტაპზე (ცხრა კლასის დასრულების შემდეგ) გადაწყვიტა, რომ მისთვის დღეს უფრო მნიშვნელოვანია პროფესიის შესწავლა და მას სრული ზოგადი განათლების მიღების გარეშე დაეუფლა, გარკვეული პერიოდის შემდეგ მისი სურვილი - სწავლა განაგრძოს უფრო მაღალ საფეხურზე (უმაღლესი განათლება) დიდ პრობლემად იქცევა. მას მოუწევს უკან, ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში დაბრუნება ან ექსტერნატის წესით ზოგადი განათლების დამადასტურებელი ატესტატის მიღება. ამით კი, შესაძლოა, მას ფსიქოლოგიური პრობლემის გარდა, ჩვენი ქვეყნის დღევანდელი რეალობიდან გამომდინარე, დროისა და მატერიალური რესურსის პრობლემაც შეექმნას. შესაბამისად, აღნიშნული ჩიხი ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი პრობლემაა და მისი აღმოფხვრა საგრძნობლად შეუწყობს ხელს სისტემის გამართულად მუშაობას.**

**3. პროფესიული განათლების დაფინანსება - საქართველოში ფუნქციონირებს 135 სასწავლო დაწესებულება, რომელიც ახორციელებს პროფესიულ სწავლებას. ამ ეტაპზე სახელმწიფო აფინანსებს მხოლოდ მის მიერ დაფუძნებულ/ თანადაფუძნებულ პროფესიული პროგრამების განმახორციელებელ დაწესებულებებს. რაც შეეხება კერძო სასწავლებლებს, კანონის თანახმად, მათ დაფინანსება უნდა მიიღონ მხოლოდ აკრედიტებულ პროგრამებზე, თუმცა დღევანდელი მდგომარეობით ეს ასე არ ხდება. „პროფესიული განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 20<sup>1</sup> მუხლის მე-4 პუნქტში მითითებულია, რომ „სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოების დაფინანსება გაიცემა მხოლოდ პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების იმ საგანმანათლებლო პროგრამის დასაფინანსებლად, რომელსაც გავლილი აქვს აკრედიტაცია“. თუმცა კერძო საგანმანათლებლო დაწესებულებების დაფინანსებას არ ითვალისწინებს საქართველოს მთავრობის 2013 წლის 19 სექტემბრის #244 დადგენილება.**

პროფესიული განათლება 2011 წლიდან გადავიდა ვაუჩერულ დაფინანსებაზე, რაც ნიშნავს იმას, რომ ერთ პროფესიულ სტუდენტზე სახელმწიფოს მიერ გამოყოფილი იყო სწავლებისათვის საჭირო თანხა. თუმცა, თავისი შინაარსით, დაფინანსების ეს წესი ვაუჩერულ დაფინანსებად ვერ ჩაითვლებოდა, რადგანაც ვაუჩერი ეძლეოდა არა სტუდენტს, არამედ დაწესებულებას. (საქართველოს მთავრობა, 2012). 2014 წლის 18 დეკემბრამდე დაუშვებელი იყო ერთი და იმავე პირის ორჯერ დაფინანსება (საქართველოს მთავრობა დადგენილება, 2013). საქართველოს მთავრობის 2014 წლის 18 დეკემბრის №683 დადგენილებით აღნიშნული მუხლი ამოღებულ იქნა პროფესიული განათლების დაფინანსების წესიდან. შესაბამისად, პროფესიულ სტუდენტს შეუძლია ისწავლოს შეუზღუდულავი რაოდენობის პროგრამებზე და ყოველ ჯერზე დაფინანსდეს სახელმწიფოს მიერ. საბიუჯეტო სახსრების ხარჯვის მიზნობრიობისა და ეფექტიანობიდან გამომდინარე სახელმწიფოს ხარჯზე (ვაუჩერული დაფინანსებით) პროფესიული სტუდენტები უნდა სწავლობდნენ მხოლოდ ერთხელ.

#### **4. საგანამანათლებლო პროგრამა**

სახელმწიფოს მიერ კონკრეტულ შემთხვევაში მხოლოდ საგანმანათლებლო სტანდარტები მტკიცდება და დაწესებულება პროგრამის მომზადების პროცესში თავისუფალია, შესაძლებელია პროგრამის შემუშავების ახლებურ, ადგილობრივ შრომის ბაზარზე მეტად ორიენტირებულ საგანმანათლებლო პროგრამის შექმნაზე ვიმსჯელოთ და ამ მხრივ გარკვეული სიახლეებიც დაინერგოს. დღეს უკვე არსებული საგანმანათლებლო პროგრამების ავტორიზაციისა და აკრედიტაციის პროცესში ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი საგანმანათლებლო პროგრამის მხოლოდ სტანდარტთან შესაბამისობას ამოწმებდა. საგანმანათლებლო სტანდარტი კი 2011 წელს დამტკიცდა.

ბოლო წლებში განხორციელებული საკანონმდებლო ცვლილებებით, განხორციელდა პროფესიული პროგრამების (სტანდარტების საშუალებით) დანაწევრება. ზოგიერთი კვალიფიკაცია დაიშალა დაახლოებით 4-5 დამოუკიდებელ კვალიფიკაციად და სტანდარტებიც და პროგრამებიც ასე მომზადდა. აღნიშნული მიდგომით ერთი პროგრამის რამდენიმე პროგრამად დაყოფა იმ პერიოდის

განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს გადაწყვეტილება გახლდათ. სავარაუდოდ, ეს მოკლევადიანი სასწავლო პროგრამების შემუშავების მიზნით გაკეთდა, რათა პროფესიულ სტუდენტს მოკლე დროში მიეღო პროფესიული განათლება და ასევე სწრაფად შეძლებოდა დასაქმება. იგივე პრობლემები იკვეთება მოდულური პროგრამების შექმნისას.

შედეგად, პროგრამას, რომელზეც სწავლება მიმდინარეობდა ერთი ან ორი სასწავლო წლის განმავლობაში, ამჟამად ესაჭროება სამი და ზოგჯერ მეტი წელი. შესაბამისად, შექმნილია ეროვნული საკვალიფიკაციო ჩარჩო (საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრი, 2010, №120/б). თვალსაჩინოებისათვის განვიხილოთ ერთი მაგალითი.

საკანონმდებლო ცვლილებებამდე მოქმედებდა პროფესიული პროგრამა „ფართო პროფილის მშენებელი“ შესაბამისი კვალიფიკაციით, რომელზეც სწავლა მიმდინარეობდა 10 თვე. დღევანდელი სტანდარტით აღნიშნული კვალიფიკაცია დანაწევრდა და მივიღეთ:

- კალატოზი (მესამე საფეხური - 5 თვე);
- მეფილე-მომპირკეთებელი (მესამე საფეხური - 5 თვე);
- მებათქაშე (მესამე საფეხური - 5 თვე);
- მღებავი (მესამე საფეხური - 5 თვე);
- თაბაშირ-მუყაოს სპეციალისტი (მესამე საფეხური - 4 თვე);
- რკინა-ბეტონის სამუშაოთა მწარმოებელი (მესამე საფეხური - 5 თვე).

შესაბამისად, ერთი სასწავლო წლის ნაცვლად, პროფესიულმა სტუდენტმა ბაზრის მოთხოვნის შესაბამისი კვალიფიკაციის მისაღებად, ახლა, დაახლოებით, სამი სასწავლო წელი უნდა ისწავლოს. აღნიშნული მიდგომა როგორც სასწავლებლებისათვის, ისე შრომის ბაზრისათვისაც გაუგებარია. მშენებლობაზე დასაქმების მსურველი ვერ ახსნის, რატომ იცის მხოლოდ ბათქაში და არ იცის რკინაბეტონის სამუშაოების შესრულება ან შენობის აშენება (კალატოზი). დღეს პროფესიული პროგრამები მოდულურ სისტემაზე გადადის. ამ პრობლემის გადაჭრა შესაძლებელია უმტკივნეულოდ თუკი პროგრამაში თითოეული მოდული იქნება მებათქაშე, მღებავი, კალატოზი და სხვა, და ყველა მოდულის დასრულების შემდეგ

სტუდენტს მიენიჭება კვალიფიკაცია. ამის ნაცვლად, თითოეული კვალიფიკაცია ცალ-ცალკე სტანდარტად, შემდეგ კი პროგრამად არის წარდგენილი, რაც არსებითად ზრდის სწავლის ვადას. ქართულ ბაზარზე დღეს ნამდვილად არ არის მოთხოვნა ისეთ მუშახელზე, რომელმაც მხოლოდ ბათქაშით ლესვა ან ღებვა იცის.

### **5. ხარისხის კონტროლი პროფესიულ განათლებაში**

პროფესიულ განათლებაში პროგრამული აკრედიტაცია ხორციელდება განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის საშუალებით. საგანმანათლებლო დაწესებულებებისათვის ავტორიზაციის გაცემის შემდეგ დაწესებულებას ეძლევა საგანმანათლებლო საქმიანობის უფლება. პროგრამაზე აკრედიტაციის მიღება კი ხარისხიანი განათლების მიწოდებას ნიშნავს. თუ ჩვენ ავტორიზაციისა და აკრედიტაციის სტანდარტებს გადავხედავთ, აუცილებლად გაგვიჩნდება შეკითხვები: რომელია ამ ორ რეგულაციას შორის არსებითად განმასხვავებელი მოთხოვნა? და რა კრიტერიუმებით ადგენენ ექსპერტები აღნიშნული მოთხოვნების შესაბამისობას საგანმანათლებლო დაწესებულებაში არსებულ რეალობასთან? რა კვალიფიკაციის მქონე უნდა იყოს ექსპერტი, რომელიც ამოწმებს აღნიშნული რეგულაციების მოთხოვნების შესაბამისობას? ეს და დღევანდელ საგანმანათლებლო სისტემასთან დაკავშირებული კიდევ მრავალი სხვა კითხვა ჩნდება ხარისხის კონტროლის მარმართულებით. ყოველივე ამის გამოსწორების მიზნით გადადგმული ნაბიჯები აშკარად შეუწყობს ხელს პროფესიული განათლების ხარისხის ამაღლებას, ხოლო ნათელი და მკაფიოდ განსაზღვრული მოთხოვნები აუცილებლად მოჰყენს ნათელს ავტორიზაციისა და აკრედიტაციის ბუნდოვან პროცესს, რომლიც, თავის მხრივ, ფართო ინტერპრეტაციის საშუალებას აძლევს შესაბამის ექსპერტებს დაწესებულების შეფასების პროცესში.

**6. დაცული და უტყუარი მონაცემთა ბაზები - თანამედროვე ტექნოლოგიების საუკუნეში პროფესიულ განათლებაში არ არსებობს ერთიანი მონაცემთა ბაზა, რაც საგრძნობლად აფერხებს მუშაობის პროცესს და ზრდის ხარვეზებისა და შეცდომების ალბათობას.**

დღევანდელი მდგომარეობით მონაცემების შეგროვება ხდება განათლების სისტემაში არსებული თითქმის ყველა დაწესებულების მიერ. ნათელია, რომ ერთიანი

მონაცემთა ბაზის გარეშე მუდმივად იქნება მონაცემების სისწორისა და ადეკვატურობის პრობლემა. ასევე საინტერესოა, თუ რა მონაცემებზე დაყრდნობით მიმდინარეობს სახელმწიფოს მიერ ამ სფეროში სხვადასხვა ტიპის დოკუმენტების მომზადება.

სახელმწიფომ უნდა იზრუნოს ერთიანი, დაცული და სრულყოფილი ბაზის შესაქმნელად, რომლის საშუალებითაც მომზადდება მთელი რიგი ანალიტიკური თუ სამოქმედო დოკუმენტები. მონაცემების განახლების მიზნით, შესაძლებელია სხვადასხვა დაწესებულებებს ჰქონდეთ მასთან წვდომა, მაგრამ ბაზა უნდა გვქონდეს ერთიანი და არა ერთგვაროვანი. ის დაცული უნდა იყოს ერთ დაწესებულებაში, ვფიქრობ, ლოგიკურია, რომ განთავსდეს განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში, სადაც გარკვეული სახით მონაცემები ახლაც არის, თუმცა მათ დაცულობასა და, განსაკუთრებით, უტყუარობაზე დღეს პასუხს ვერავინ აგებს. ამასთან, სასურველია, იქვე იმუშაოს ანალიტიკურმა სამსახურმა, რომელიც შეაჯამებდა არსებულ მონაცემებს და მათზე დაყრდნობით გამოკვეთდა სხვადასხვა კონკრეტულ თუ ზოგად საითხებთან დაკავშირებულ დადებით და უარყოფით ტენდენციებს (პრობლემებს, ნაკლოვანებებისა და სხვ. იდენტიფიცირება და შესაბამისი სტრუქტურებისათვის ამგვარი ინფორმაციის მოწოდება). ბაზებში მუშაობისას მიზანშეწონილია არამარტო ტექნიკური სამუშაოების შესრულება, არამედ არსებული მონაცემების წაკითხვა და გაანალზება. ამ მიმართულებით შესაძლებელია უამრავი დოკუმენტი შეიქმნას, რომელიც არსებითად წაადგება სისტემას.

## 7. არასაკმარისი პროფორიენტაცია

2014 წელს „საჯარო სამართლის იურიდიული პირის სკოლის მანდატურის სამსახურის დებულებაში“ (საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრი, 2010, №74/б) განხორციელდა ცვლილება, რომლის თანახმად მანდატურის სამსახურში პროფორიენტაციისა და კარიერის დაგეგმვის სამმართველო ჩამოყალიბდა. ეროვნული სასწავლო გეგმის მე-7 მუხლის მე-3 პუნქტის „ბ<sup>2</sup>“ ქვეპუნქტის თანახმად, დამრიგებლის მოვალეობაა „საბაზო და საშუალო საფეხურებზე, კერძოდ, IX კლასსა და XI ან XII კლასში ჩაატაროს პროფესიული

ორიენტაციისა და კარიერის დაგეგმვის გაკვეთილები სსიპ - საგანმანათლებლო დაწესებულების მანდატურის სამსახურის პროფორიენტაციისა და კარიერის დაგეგმვის სპეციალისტთან „შეთანხმებით“ (საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრი, 2011, №36/6 ).

მართალია, აღნიშნული ცვლილებები ეროვნულ სასწავლო გეგმას შეეხო, თუმცა ამ სიახლეს სწავლების შინაარსში აღნიშნული მიმართულების დანერგვად ვერ მივიჩნევდი. ისმის შეკითხვა, თუ რამდენად არის მანდატურის სამსახურის კომპეტენცია სკოლებში მოსწავლეებისათვის პროფესიების გაცნობა, დამსაქმებელთა ბაზების წარმოება და სხვა აქტივობები.

დღევანდელი პროფესიული განათლების სტრატეგია ბევრ ცვლილებას ითვალისწინებს, მათ შორის, პროფესიულ სასწავლებლებში ზოგადსაგანმანათლებლო კომპონენტის გათვალისწინებას. ეს გზა გაუმართლებელია „სამართლებრივი ჩიხის“ აღმოსაფხვრელად. თუმცა მაინც გარკვეული მიდგომა არის წარმოდგენილი. სტრატეგიაში არ აღმოჩნდა ის თვალთახედვა, რაც დღეს სწრაფად ცვალებადი და განვითარებადი ტექნოლოგიების საუკუნეში ასე მნიშვნელოვანია.

სახელმწიფოს მიერ 2013 წლიდან ხორციელდება ახალი პროგრამა სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებისა და შეზღუდული შესაძლებლობის მქონდე პირებისათვის.

პროფესიულ სასწავლებლებში მიღებული ცოდნითა და უნარებით შშმ და სსსმ პირებს, სწორად არჩეული პროფესიის შემთხვევაში, შესაძლებლობა ეძლევათ დასაქმდნენ საწარმოებში ან თვითონ ჩამოაყალიბონ საწარმო.

დღევანდელსათვის ეს ფრიად შთამბეჭდავი და მნიშვნელოვანია, თუმცა აქვე აღვნიშნავ, რომ ყველაზე მნიშვნელოვან გამოწვევად რჩება პროფესიული ორიენტაცია/კონსულტირება, რომელსაც განსაკურთრებული ყურადღება უნდა მიექცეს. მიზანი კი შემდეგში მდგომარეობს: შეზღუდული შესაძლებლობებისა და სპეციალური საჭიროებების მქონე პირებმა დამოუკიდებელ და საზოგადოების სრულფასოვან წევრებად უნდა იგრძნონ თავი. აღნიშნული მიზნის მიღწევა კი, ქმედითი პროფესიული ორიენტაციის სისტემის გარეშე, რომელიც, თავის მხრივ,

მუდმივად უნდა რეაგირებდეს სწაფად ცვალებადი შრომის ბაზრის მოთხოვნებისა და მიღების შესაბამისად, პრაქტიკულად შეუძლებელია.

## 8. საგანმანათლებლო რესურსი

პროფესიული სწავლებისას მწვავედ დგას სახელმძღვანელოების პრობლემა. კოლეჯები, ძირითადად, საერთაშორისო ორგანიზაციების მიერ მომზადებული სახელმძღვანელოებით ან საკუთარი კონსპექტებით სარგებლობენ. ხშირად იხილავთ პედაგოგს, რომელიც კარნახის საშუალებით აწერინებს სტუდენტს მასალას. რაც შეეხება საერთაშორისო ორგანიზაციების მიერ მომზადებულ სახელმძღვანელოებს, ისინი შექმნილია არა სადიპლომო პროგრამებისათვის, არამედ გადამზადებისათვის. მწირია ასევე საინფორმაციო ტექნოლოგიების გამოყენებით სწავლა/სწავლება, რაც, ვფიქრობ, დღევანდელი რეალობიდან გამომდინარე განათლების ხარისხზე ცუდ გავლენას ახდენს.

2015 წლიდან, პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის მოდულების დანერგვის პარალელურად, დაიწყო პროფესიული მოდულების შესაბამისი სახელმძღვანელოების შექმნა სტუდენტებისათვის და გზამკვლევების შექმნა პროფესიული მასწავლებლებისათვის. თუმცა საგანმანათლებლო რესურსის პრობლემა ერთ-ერთ ძირითად გამოწვევად დგას პროფესიულ განათლებაში. (თანმიმდევრული სტრატეგიის არარსებობის გამო, არადამაკმაყოფილებელია სახელმძღვანელოების, საინფორმაციო ტექნოლოგიებისა და სხვა სასწავლო რესურსების ხარისხი და გამოყენება, ნაკლებად მრავალფეროვანია სასწავლო რესურსის წილი სწავლა-სწავლების პროცესში).

## 9. პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებებიდან სტუდენტთა გადინების მიზეზები

საინტერესო სტატისტიკა მოიძებნა საქართველოს კის ეროვნულ სამსახურში. აღმოჩნდა, რომ 2012-2013 და 2013-2014 სასწავლო წლებში, საქართველოში პროფესიულ პროგრამებზე ჩარიცხულ სტუდენტთა 48.73% და 33% სწავლის დასრულების დამადასტურებელი დიპლომი არ აქვს. რატომ არის ესოდენ მაღალი პროცენტი სტუდენტებისა, რომელთაც აღარ გააგრძელეს ან ვერ შეძლეს სწავლა? სახელმწიფოს მიერ დაფუძნებულ/თანადაფუძნებულ პროფესიულ

დაწესებულებებში სწავლას სახელმწიფო აფინანსებს, სტატუსშეწყვეტილი სტუდენტების პროცენტული მაჩვენებელი კი სახელმწიფო დაწესებულებებში უფრო მაღალია, ვიდრე კერძოში.

სავარაუდო განთესვის მიზეზებზე საუბრისას, საჯარო პროფესიული დაწესებულებებისა და პროფესიული კოლეჯების წარმომადგენლები აღნიშნავენ, რომ, ზრდასრული მოქალაქეები, ახალგაზრდებთან შედარებით, უფრო კარგად არიან ჩამოყალიბებული პროფესიის არჩევისას, ბევრი მათგანი მუშაობს კიდევ შესაბამისი პროფესიით და მხოლოდ ცოდნის გაღრმავება და უნარების დახვეწა, ან არაფორმალური განათლების ფორმალურად ქცევა და შესაბამისი დიპლომის აღება სურს. სკოლის მოსწავლე კი, მიუხედავად იმისა საბაზო განათლება აქვთ თუ საშუალო, უფრო ნაკლებად არის გარკვეული თავის არჩევანში და პროფესიას სხვისი რეკომენდაციით ან მშობლების მოთხოვნით ირჩევს (კაკუტია, 2016, გვ. 60). პროფესიული სასწავლებლების თანამშრომლებთან გასაუბრებისას ასევე აღმოჩნდა, რომ კარგი აკადემიური მოსწრების სტუდენტები სწრაფად უდებენ ალღოს მათ მიერ არჩეულ პროფესიას და სწრაფადვე გადიან შრომის ბაზარზე. არის თუ არა პროფესიულ სასწავლებლებში სტუდენტთა გადინების მიზეზი პროფესიული სტუდენტის სოციალური მდგომარეობა? და რა ტიპის პრობლემაზეა ლაპარაკი, თუკი გავითვალისწინებთ იმ ფაქტორს, რომ პროფესიული სტუდენტები სწავლის საფასურს არ იხდიან? ამ კითხვაზე პასუხის გასაცემად საქართველოს ერთ-ერთ ავტორიზებულ პროფესიულ კოლეჯთან ერთად (ა(ა)იპ პროფესიული კოლეჯი „იკაროსი“) განხორციელდა კვლევა, რომლის მიზანი იყო პროფესიულ სასწავლებელში აპლიკანტთა ჩარიცხვის შემდეგ სტატუსის შეწყვეტისა და შეჩერების მიზეზების დადგენა. კვლევის შედეგად გაირკვა, რომ გარიცხულ სტუდენტთა თითქმის 60% პროცენტი ან რაიონში მცხოვრები აღმოჩნდა, ან კოლეჯში მისასვლელად, მინიმუმ, ერთი საათი ესაჭიროება. 2014 წელს ჩატარებულ კვლევში მონაწილეობა მიიღო 18 სახელმწიფოს მიერ დაფუძნებული/თანადაფუძნებული პროფესიული სასწავლებლის ათასზე მეტმა სტუდენტმა. შედეგად გამოვლინდა, რომ გამოკითხულ სტუდენტთა დიდ უმეტესობას სოციალური პრობლემები აქვს და მათთვის უფასო პროფესიული სწავლება არსებითად მნიშვნელოვანია, თუმცა იმ

ხარჯის გაწევა, რომელიც კოლეჯში მისასვლელად უწევთ, მათთვის, ხშირად, პრობლემურია. შესაბამისად, შეგვიძლია ვივარაუდოთ, რომ მათი გაცდენების გამო გარიცხვის მიზეზი კვლავ რთული სოციალური მდგომარეობაა და სტუდენტები ვერც ტრანსპორტის ხარჯს აუდიან და, მით უფრო, ვერც საცხოვრებელის. შესაბამისად, ამ კატეგორიის სტუდენტებზე სახელმწიფომ უდა იზრუნოს და შეეცადოს მათთვის სპეციალური პროგრამების შექნმით მოაგვაროს ზემოაღნიშნული პრობლემა. რამდენიმე მიმართულებით გააქტიურება და პრობლემის გადაჭრის მცდელობა საგრძნობლად შეამცირებს სტუდენტთა გადინებას პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებებიდან. თუმცა აღნიშნული საკითხის მასშტაბურობიდან და მნიშვნელობიდან გამომდინარე, პროფესიული სტუდენტების გადინების პრობლემა შემდგომი კვლევის საგნად უნდა იქცეს.

#### **10. საგანმანათლებლო დაწესებულებების შიდა შეფასება (ადმინისტრაცია, პედაგოგი, სტუდენტი)**

2014 წელს შოთა რუსთაველის სამეცნიერო ფონდის მიერ დაფინანსებული სადოქტორო გრანტის ფარგლებში განხორციელებულ გამოკითხვაში მონაწილეობდა სახელმწიფოს მიერ დაფუძნებული/თანადაფუძნებული პროფესიული სასწავლებლების 394 პედაგოგი; ადმინისტრაციის 18 წარმომადგენელი და ათასზე მეტი სტუდენტი.

გამოკითხვის ძირითადი მიზანი იყო გაგვერკვია, თუ როგორ და რამდენად ადეკვატურად აფასებდნენ ისინი სასწავლებლის სასწავლო გარემოს/ინფრასტრუქტურას, საინფორმაციო-საკომუნიკაციო რესურსს, სასწავლებლის სანიტარულ/ჰიგიენურ მდგომარეობას და ტრენინგებისა და მასტერკლასების მიმართულებით არსებულ მდგომარეობას.

შედეგად, პედაგოგოთა და ადმინისტრაციის მიერ დაწესებულებების შეფასება არ აღმოჩნდა კოლეჯებში არსებული სიტუაციის რელევანტური (დანართი №1, დიაგრამა №1, 2, 3). დავათვალიერეთ ყველა საჯარო პროფესიული/საზოგადოებრივი კოლეჯისა და რამდენიმე სახელმწიფო უნივერსიტეტის ის რესურსი, რომელსაც მოიცავდა კითხვარი. აღმოჩნდა, რომ დაწესებულებების უმაღლეს ქულაზე შეფასება ასეთი მაღალი პროცენტული მაჩვენებლით არ უნდა განხორციელებულიყო, რადგან

ადგილზე არსებული სიტუაცია არ იყო გაცემული პასუხების შეფასების შესაბამისი. კვლევის საფუძველზე შეგვიძლია დავასკვნათ, რომ მნიშვნელოვანია დაწესებულებებში მომუშავე პედაგოგები და ადმინისტრაციის წარმომადგენლები გათავისუფლდნენ ხელმძღვანელების ზეგავლენისაგან და მათ კითხვებზე პასუხები გულწრფელად და თავისუფლად იქნას გაცემული. ასევე მნიშვნელოვანია უფრო მეტად ჰქონდეს ობიექტური შეფასებისა და შედარებისა საშუალება როგორც დაწესებულების გამართული მუშაობის თვალსაზრისით (ინფრასტრუქტურა: ბიბლიოთეკა, ინტერნეტი, კომპიუტერული ტექნიკა და სხვ.), ისე უშუალოდ საკუთარი საქმიანობის დაგეგმვის, განხორციელებისა და ამ სასწავლო პროცესში სიახლეების გაცნობის მხრივ. კრიტიკული აზროვნება ერთ-ერთი მთავარი ფაქტორია დაწესებულების წინსვლისათვის. ასევე საინტერესოა, თუ როგორ შეაფასეს პროფესიულმა სტუდენტებმა თავიანთი სასწავლო დაწესებულება. პროფესიული სასწავლებლის მიმართ სტუდენტთა დამოკიდებულების შესაფასებლად გამოიყო სამი ზოგადი პარამეტრი: სტუდენტთა მომსახურებისა და მასთან დაკავშირებული ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალის საქმიანობის შეფასება, სწავლების ხარისხის - პედაგოგიური რესურსისა და სასწავლო პროგრამების შეფასება და მატერიალურ-ტექნიკური ბაზის შეფასება.

შედეგებმა აჩვენა, რომ სტუდენტები შეფასების დროს შედარებით თავისუფლად გამოხატავენ საკუთარ დამოკიდებულებას ყველა საკითხთან მიმართებით. ზოგადი ინფრასტრუქტურა: ბიბლიოთეკა, აუდიტორიების მდგომარეობა, კომპიუტერული კლასები, სასწავლო პრაქტიკა სტუდენტებისათვის არსებით როლს თამაშობს; (დანართი №1; დიაგრამა №4, 5, 6, 7). ასევე შესაძლებელია ითქვას, რომ სტუდენტები სასწავლო პროცესში ხელშემწყობ პირობებს სერიოზულ ყურადრებას აქცევენ. ისინი პროფესიული სასწავლებლის ადმინისტრაციისა და პედაგოგებისგან განსხვავებით, უფრო თავისუფლად აფასებენ სასწავლო პროცესის ძირითად კომპონენტებს. მათ მეტად მკაფიოდ აქვთ ჩამოყალიბებული დამოკიდებულება პროფესიული სასწავლებლის მიმართ და სწავლების მდგომარეობასა და ფუნქციონირებას მეტად კრიტიკულად აფასებენ. თუმცა მათ ასევე უნდა მიეცეთ საშუალება გაეცნონ პროფესიულ დაწესებულებათა შინაარსობრივ და ინფრასტურუქტურ

მრავალფეროვნებას როგორც ქვეყნის შიგნით, ისე ქვეყნის გარეთაც. შესაბამისად, უფრო ობიექტური შეფასებისა და შედარების საშუალება გაუჩნდებათ.

საბოლოოდ, ჩატარებული კველვების საფუძველზე შეგვიძლია დავასკვნათ, რომ მნიშვნელოვანია პროფესიული სასწავლებლის ყველა რგოლი რეალურად აფასებდეს სასწავლებელში არსებულ მდგომარეობას დაწესებულების ხარისხის გაუმჯობესებისა და წინსვლის უზრუნველსაყოფად.

### **3.3. მასწავლებელი პროფესიულ განათლებაში**

იმის მიუხედავად, რომ ჩვენი კვლევის თემატიკა არ გულისხმობს პროფესიული განათლების მასწავლებლის საკითხების შესწავლას, თავად მასწავლებლის თემა იმდენად მნიშვნელოვნად მიგვაჩნია, რომ გადავწყვიტეთ მოკლე მიმოხილვა მაინც გაგვეკეთებინა ამ საკითხთან დაკავშირებით. „პატიოსანი და ყოვლად მაღალ-ზნეობიანი ჯაფა და გამრჯელობა ოსტატისა, მასწავლებლისა, გამზრდელისა, ქალია თუ მამაკაცი, იმოდენად პატივდებული არ არის, რამდენადაც ღირსია“. „ამას კიდევ როგორმე გაუძლებდა კაცი, თუ რომ მასწავლებლის მართლა-და მმიმეს, რთულს და დიდს ჯაფას და მოვალეობას გასამრჯელო მაინც საკმარისი ეძლეოდეს.“ საუკუნეზე მეტია გასული მას შემდეგ, რაც ეს სიტყვები დაიწერა. მინდა მსჯელობა იმ ამონარიდით დავიწყო, რომელიც დიდმა ილია ჭავჭავაძემ მასწავლებლის საპატიო პროფესიაზე დაწერა. ნიშანდობლივია, რომ მაშინაც იგივე პრობლემები იყო აქტუალური - მასწავლებლის დაფასება და ღირსეული პირობები (გასამრჯელო, მდგომარეობა საზოგადოებაში, მთავრობის მხრიდან დაფასება) (ჭავჭავაძე, 1886, გვ. 241). მაშინაც და ახლაც საზოგადოება თანხმდებოდა და თანხმდება, რომ მასწავლებელს განსაკუთრებული პირობები ესაჭიროება, თუმცა შედეგი ისეთი ვერ არის, როგორსაც ვისურვებდით.

ვიდრე თემას არსებითად შევეხებოდე, მინდა, შიმონ პერესის სიტყვები შეგახსენოთ, რომლებიც სულ ცოტა ხნის წინათ სოციალურ ქსელებშიც აქტუალური იყო: „ბუნების ყველაზე დიდი სიმდიდრე - ეს არის ადამიანი. ადამიანები ამდიდრებენ მიწას და არა მიწა ადამიანებს“. სწორედ ადამიანია ყველაზე დიდი მადანი, რაც კი შეიძლება ქვეყანას ჰქონდეს. და ამ მადნის სწორად ჩამოყალიბებაში დიდი წვლილი შეაქვს მასწავლებელს. მასწავლებლი-მეცნიერი, ასეთ მიდგომა

არსებობს ფინეთის საგანამანათლებლო სისტემაში. იქ მასწავლებელი ყველაზე მაღალანაზღაურებადი და ღირსეული პროფესია (კონფერენცია „საერთაშორისო კვლევები და საქართველო“). სწორედ ამგვარი მიდგომა გახლავთ ფინეთის საგანმანათლებლო რეფორმის წამატების ერთ-ერთი საფუძველი. ალბათ არ იქნება ხმამაღალი ნათქვამი, თუ ვიტყვით, რომ მასწავლებელი, რომელიც თაობებს ზრდის, ქვეყნის სახეა. როგორი მასწავლებელიც ჰქავს ქვეყანას, ისეთი გახლავთ ქვეყანაც. სწორედ ისეთი ცოდნის, უნარებისა და, რაც მთავარია, მორალის მატარებელი ახალგაზრდობა გვეყოლება.

წარმოგიდგენთ იმ სიახლეებსა და გამოწვევებს, რაც პროფესიულ განათლებაში მასწავლებლებლების განვითარებისათვის დაიგეგმა და განხორციელდა. ასევე მინდა რამდენიმე მოსაზრება წარმოგიდგინოთ საკუთრივ პროფესიული მასწავლებლის შესახებ.

„პროფესიული განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის თანახმად, პროფესიული განათლების მასწავლებელი შეიძლება იყოს უმაღლესი განათლების ან პროფესიული განათლების მე-4 ან მე-5 საფეხურის კვალიფიკაციის მფლობელი, ან პირი, რომელსაც აქვს შესაბამისი პროფესიით მუშაობის არანაკლებ 3 წლის გამოცდილება. მე-4 საფეხურის კვალიფიკაციის მფლობელ პროფესიული განათლების მასწავლებელს უფლება არ აქვს, ასწავლის მე-5 საფეხურის საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში. აღსანიშნავია ასევე, რომ შესაბამისი პროფესიული სტანდარტით შეიძლება დადგინდეს დამატებითი მოთხოვნები (საქართველოს მთავრობა, 2007).

2013 წლიდან მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის მიერ ხორციელდება სხვადასხვა კვლევები პროფესიულ მასწავლებლებთან დაკავშირებით. საინტერსო იქნებოდა პასუხი კითხვაზე - რამდენი პედაგოგი ჰყავს პროფესიულ განათლებას პრაქტიკული გამოცდილებით? ანუ რამდენი მათგანი გახლავთ სასწავლო დაწესებულებაში კერძო სექტორიდან მოსული და რამდენია მათ შორის ისეთი, რომელიც პარალელურად დღესაც აგრძელებს მუშაობას? სამწუხაროდ, ამ მიმართულებით შესრულებული ანალიზი არ ჩანს. ჩვენ მიერ განხორციელებულ ადგილობრივი შრომის ბაზრის კვლევაში კი დამსაქმებლები ერთ-ერთ მნიშვნელოვან

ფაქტორად სასწავლო დაწესებულებებში სასწავლო პრაქტიკის პედაგოგთა შრომის ბაზართან მჭიდრო კონტაქტის აუცილებლობას მიუთითებენ, ვინაიდან დღეს დამსაქმებელს სწორედ შრომის ბაზრის მოთხოვნის შესაბამისი ცოდნისა და უნარების მქონე კადრები ესაჭიროება. აღნიშნული მოთხოვნები კი ყველაზე კარგად პრაქტიკული გამოცდილების მქონე კადრებმა იციან, კადრებმა, რომლებიც სწავლების პარალელურად, კერძო სექტორში მუშაობენ, ვინაიდან მიაჩნიათ, რომ ფეხი აუწყო დღევანდელი სწაფად ცვალებადი შრომის ბაზრის მოთხოვნებს, მხოლოდ ასეა შესაძლებელი. სწორედ პრაქტიკოს პედაგოგს შეუძლია შრომის ბაზრის მოთხოვნებისადმი მუდამ მოქნილი და ადეკვატური იყოს, რაც, თავის მხრივ, უზრუნველყოფს მაღალი სტანდარტების შესაბამის სწავლებას პროფესიულ განათლებაში. ვფიქრობთ, დამსაქმებელთა მხრივ ამგვარი მოთხოვნა ადეკვატურია. 2015 წელს გავეცანით გერმანიის ქალაქ შვერინის გამოცდილებას პროფესიული განათლების თვალსაზრისით. გერმანული კანონმდებლობით, პირს აქვს პროფესიულ სასწავლებელში სწავლების უფლება, თუკი მიღებული აქვს შესაბამისი პროფესიული კვალიფიკაცია. პედაგოგი, რომელთან ერთადაც პროფესიული სტუდენტები პრაქტიკულ კურსს გადიან, კერძო სექტორის მუშაკია, რომელსაც ამავდროულად სახელმწიფოსაგან მინიჭებული აქვს სწავლების სპეციალური ნებართვა.

სახელმწიფოს მიერ მასწავლებელთა პროფესიული განვითარების მიზნით განხორციელებული ღონისძებებიდან, მნიშვნელოვანია გამოყოფა MCA-სთან თანამშრომლობით ჩატარებული მასწავლებელთა და საწარმოს ინსტრუქტორების ორეტაპიანი ტრენინგი „სამუშაოზე დაფუძნებული სწავლება“:

პირველი ეტაპი - მასწავლებელთა ტრენინგი;

მეორე ეტაპი - საწარმოს ტრენერეთა ტრენინგი;

ასევე წინ გადადგმული ნაბიჯი და სიახლეა, 2014 წლის ივნისში დაგეგმილი და განხორციელებული - ტრენინგები საწარმოში ტურიზმის პროფესიული პროგრამების მიმართულებით.

2014 წელს ჩატარდა პროფესიული სასწავლებლების პედაგოგთა პრაქტიკული ტრენინგები ტურიზმის, სასტუმრო და სარესტორნო საქმის 8 პროფესიული პროგრამის მიმართულებით. პრაქტიკულ ტრენინგებში მონაწილეობა მიიღო ქვეყნის

მასშტაბით ყველა რეგიონის 14 პროფესიული სასწავლებლის წარმომადგენელმა, 61-მა მასწავლებელმა (მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრი, 2015).

2015 წელიდან პროფესიული სასწავლებლების მასწავლებელთა ტრენინგებმა უფრო მაშტაბური ხასიათი მიიღო. ჩატარდა პროფესიული სასწავლებლების მასწავლებელთა ტრენინგები საწარმოებში, თანამედროვე ტექნოლოგიებში - დასანერგი მოდულური პროფესიული პროგრამების მიმართულებით (ტრენინგი გაიარა 210 პედაგოგმა).

ტრენინგების პროცესის უფრო ეფექტიანი დაგეგმვისა და განხორციელებისათვის მნიშვნელოვანია, რომ გადამზადების საჭიროების, დაგეგმვისა და განხორციელების პროცესი თავად საგანმანათლებლო დაწესებულების მონაწილეობით ან უშუალოდ მის მიერ წარიმართოს, ვინაიდან დაწესებულება უფრო კარგად ფლობს ინფორმაციას პედაგოგთა საჭიროებებისა და შესაძლებლობების შესახებ. მიანდო პროცესი დაწესებულებას, გამართლებულია რესურსის უფრო ეფექტიანად გადანაწილების თვალსაზრისითაც. ცენტრალიზებული პროცესები მნიშვნელოვნად აფერხებს მოვლენებს დროში და, მთელ რიგ შემთხვევებში, ნაკლებად ადეკვატურია. მართლაც, ესაჭიროება თუ არა პედაგოგს გადამზადება მოცემული მომენტისათვის და თუ ესაჭიროება, რომელი მიმართულებით, ვფიქრობ, თავად პედაგოგმა და იმ დაწესებულებამ უნდა გადაწყვიტოს, სადაც ეს პედაგოგი მუშაობს, თანაც იმ საჭიროებებიდან გამომდინარე, რაც იმ მომენტისათვის არის აქტუალური დაწესებულებისა და პედაგოგისთვის. მიზანი უნდა იყოს სტუდენტისათვის შრომის ბაზარზე ორიენტირებული, ხარისხიანი განათლების მიწოდება, რათა მან, თავის მხრივ, მარტივად შეძლოს სამუშაოს მოძიება. აქ კი მესამე პირების ჩარევა არ გახლავთ ეფექტიანი გადაწყვეტილება. რაც შეეხება საგანმანათლებლო სერვისების მიწოდებას, მნიშვნელოვანია იმ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ჩართვა, რომლებიც საკუთრივ პედაგოგებს ამზადებენ. აქვე დასტურად მოვიყვანდი ისრაელის გამოცდილებას (და არა მარტო ისრაელის). ისრაელის უნივერსიტეტში, ამზადებენ პედაგოგებს და მათი მომავალი განვითარების პოლიტიკის დაგეგმვა და შემდგომ გადამზადება სწორედ უნივერსიტეტის კედლებში ხდება.

უნივერსიტეტებში უნდა აღდგეს ის ისტორიული და სწორი ტრადიცია, რასაც პედაგოგთა მომზადება და გადამზადება ჰქვია და თუკი კომპეტენცია არასაკმარისია, სწორედ უნივერსიტეტის კედლებში უნდა შეიქმნას და განვითარდეს და არა სხვაგან.

### **3.4. ადგილობრივი შრომის ბაზარი და მისი გავლენა პროფესიულ განათლებაზე საქართველოში**

უდავოა, რომ პროფესიული განათლება მორგებული უნდა იყოს ცვალებადი შრომის ბაზრის მოთხოვნებსა და ეკონომიკაში მიმდინარე პროცესებზე. შრომის ბაზრის მოთხოვნების შესაბამისი საგანმანათლებლო პროგრამების მომზადება და შესაძლებლობების განვითარება პროფესიული განათლების სისტემის უმნიშვნელოვანესი ამოცანაა;

საქართველოში შრომის ბაზარზე არსებული სიტუაციის შესახებ ოფიციალური ინფორმაცია უაღრესად მწირია და რამდენიმე ძირითადი სტატისტიკური მაჩვენებლის პერიოდული (წელიწადში ერთხელ) გამოქვეყნებით შემოიფარგლება. საქართველოში არ არსებობს სისტემატური ინფორმაცია, თუ რა პროფესიის კადრებზეა მოთხოვნა, რომელი სპეციალობის კადრებია დეფიციტური, რა ტენდენციებია მოსალოდნელი შრომის ბაზარზე და ა. შ. არსებობს სხვადასხვა საერთაშორისო ორგანიზაციის კვლევები აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით, თუმცა სახელმწიფო პოლიტიკის დაგეგმვისთვის და ასევე, საგანმანათლებლო დაწესებულებებისთვის, რომლებიც სწორედ ასეთ კვლევებზე დაყრდნობით უნდა გეგმავდნენ საგანმანათლებლო პროცესს, ვფიქრობ, კვლევათა ეს რაოდენობა არასაკმარისი და არასრულყოფილია.

საქართველოს შრომის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრომ „შრომისა და დასაქმების სისიტემის რეფორმის პროგრამის“ ფარგლებში, საქართველოს შრომის ბაზრის მოთხოვნის კომპონენტის არსებული და მოსალოდნელი ტენდენციების გამოვლენის მიზნით 2015 წლის მარტ-ივლისში განახორციელა შრომის ბაზრის მოთხოვნის კომპონენტის კვლევა. კვლევის მიზანს წარმოადგენდა შრომის ბაზარზე დამსაქმებელთა განწყობების/ მოთხოვნების შესახებ დეტალური ინფორმაციის მოძიება. კვლევაში მონაწილე ორგანიზაციების ნაწილს აქტიური ურთიერთობა აქვს პროფესიულ სასწავლებლებთან, კადრების მოზიდვის,

ან გადამზადების, მთელ რიგ შემთხვევაში კი, პროფესიული სასწავლებლების სტუდენტების საწარმოსა თუ ორგანიზაციებში სტაჟირების მიზნით; რესპონდენტები თვლიან, რომ სერიოზულ სრულყოფას საჭიროებს ქვეყანაში უმაღლესი და პროფესიული კვალიფიკაციის კადრების მომზადების სისტემა სწავლების ხარისხის გაუმჯობესების, ტერიტორიული და ფინანსური ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფის მიზნით. დამსაქმებლების აზრით, საკმაოდ ეფექტურია კადრების გადამზადების პრაქტიკა ადგილზე, ორგანიზაციასა თუ საწარმოში. გამოკითხულთა შორის, უმრავლესობა, კმაყოფილებას გამოთქვამს საკუთარ საწარმოში მომზადების შედეგებზე (საქართველოს მრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო, 2015).

2015 წლის დეკემბერში ჩატარდა „პროფესიული განათლების მიმართ დამსაქმებელთა დამოკიდებულების კვლევა“ და ACT-ის მიერ გაეროს განვითარების პროგრამისთვის (UNDP) მომზადდა კვლევის ანგარიში. მასში მონაწილეობა მიიღეს პროფესიული სასწავლებლების სტუდენტების პოტენციურმა დამსაქმებელმა ორგანიზაციებმა. რაოდენობრივი კვლევის ძირითად მიზანს წარმოადგენდა ორგანიზაციების დამოკიდებულებების შესწავლა პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების და პროფესიული განათლების მიმართ. საწარმოები შეირჩა ისე, რომ კვლევაში მოხვდა შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრის (NAEC) კლასიფიკატორის ყველა სექცია. პრიორიტეტი მიენიჭა საწარმოების შერჩევას იმ დარგებიდან, რომელთა განვითარებასაც ყველაზე მეტი პერსპექტივა აქვს უახლოეს მომავალში (მაგ. ტურისტული ბიზნესი, გადამამუშავებელი მრეწველობა, სოფლის მეურნეობა და სხვ.). აღნიშნულ კვლევაშიც ძალიან მოთხოვნადია შემდეგი პროფესიები: მიმტანები, მზარეულები, კონდიტერები. დამსაქმებლების აზრით, თითოეული ეს პროფესია საჭიროებს სპეციფიკურ ცოდნას, გამოცდილებას, სტუმართან მოქცევის უნარებს. რესპონდენტები გამოყოფენ იმ მიზეზებს, რომლებიც მათი აზრით, პროფესიული სასწავლებლების კურსდამთავრებულების დასაქმების დაბალ მაჩვენებელს განაპირობებს. უპირველესად, ამას ზოგადად, სამუშაო ადგილების სიმცირეს უკავშირებენ (59%), თუმცა გამოკითხულთა სოლიდური ნაწილი - 41% დასაქმების დაბალ მაჩვენებელს შრომის ბაზართან სასწავლებლების

ნაკლებ კავშირსაც მიაწერს. ყოველი მეოთხე რესპონდენტი ასევე საუბრობს პროფესიულის სასწავლებლების პროგრამების დაბალ ხარისხზე. (“ეისითი”-ანალიზისა და კონსულტაციის ჯგუფი [ACT], 2015).

2012 წელს საქართველოს შრომის ბაზრის საჭიროებების შესახებ კვლევა ჩატარდა საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს ეკონომიკური ანალიზისა და პოლიტიკის დეპარტამენტის მიერ „გერმანიის საერთაშორისო თანამშრომლობის საზოგადოების“ (GIZ) საქართველოში კერძო სექტორის განვითარების პროგრამისა და „ჯეოველ რისერჩის“ (GeoWel Research) მხარდაჭერით. კვლევისთვის შეირჩა ოთხი სწრაფად მზარდი საპილოტე დარგი: ტურიზმი, ტანსაცმელი, ინფორმაციული და საკომუნიკაციო ტექნოლოგიები (ICT) და სურსათის წარმოება. კვლევის შედეგად გაკეთდა შემდეგი დასკვნები: 1) როცა სურთ ახალი თანამშრომლის მოძიება, დამსაქმელები იყენებენ ინტერნეტს ან პირად ნაცნობობას, პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების გამოყენება ახალი თანამშრომლების მოსამიებლად ძალიან იშვიათია. 2) ყველა დარგში გამოცდილება უფრო დიდად ფასობდა, ვიდრე განათლება. დამსაქმებლების აზრით, მათ სჭირდებათ პრაქტიკული გამოცდილება, რადგან მიაჩნიათ, რომ სწორედ ეს არის წარმატების გასაღები და არა თეორიული ცოდნა. 3) კომპანიები უჩივიან ისეთი პროფესიული უნარების უქონლობას, როგორიცაა: დისციპლინა, პასუხისმგებლობის გრძნობა, სერიოზულობა და მოტივაცია. კვლევის რაოდენობრივი ნაწილი მოიცავდა 61 კომპანიის გამოკითხვას, რომელთა შორის იყო დიდი კვების ობიექტები/რესტორნები, სასტუმროები და ტურისტული სააგენტოები. ყველაზე მოთხოვნად პროფესიებად დაასახელეს: ტურ-ოპერატორი, მიმტანი, მზარეული და რეცეფციონისტი. ტურისტული კომპანიები უფრო მეტ ყურადღებას აქცევენ უცხო ენების (ძირითადად რუსული და ინგლისური ენის) ცოდნას (გერმანიის საერთაშორისო თანამშრომლობის საზოგადოება [GIZ] & ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო, 2012).

მიგრაციის საერთაშორისო ორგანიზაციის (IOM) მიერ 2011 წელს განხორციელდა სპეციალური კვლევა საქართველოს შრომის ბაზარზე სამუშაო ძალის მიწოდების შესახებ. ასეთი კვლევების აუცილებლობა კვლავაც დიდია, ვინაიდან შრომის

ბაზარზე მოთხოვნა უაღრესად დინამიკურია. უფრო მეტიც, მსგავსი კვლევების სისტემატურად ჩატარებისა და ერთიანი ინფორმაციული ბაზის შექმნის გარეშე, ძნელია სამუშაო ძალაზე მოთხოვნის პროგნოზირება. ამის გარეშე კი შეუძლებელია პროფესიული განათლებისა და შრომის ბაზარზე დასაქმების ეფექტიანობის გაზრდა. 2011 წელს ჩატარებული კვლევის - „სამუშაო ძალაზე დამსაქმებელთა მოთხოვნა“ - მიხედვით, უმაღლესი განათლების მქონე სპეციალისტების გარდა სჭირდებოდათ სპეციალურად მომზადებული პრაქტიკოსები, რომლებსაც შეეძლებოდათ კონკრეტული პრობლემების გადაჭრა ყველაზე მოთხოვნად დარგებში, კერძოდ, ტურიზმისა და მომსახურების, მშენებლობის, მეღვინეობისა და, ზოგადად, სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების გადამამუშავებელი მრეწველობის, აგრეთვე ჯანდაცვისა და სხვა მრავალ სფეროში. მათი აზრით, გასათვალისწინებელია ისიც, რომ ეკონომიკური განვითარების ტემპი მოითხოვს ამგვარი კადრების სწრაფ მომზადებას, რასაც სწორედ პროფესიული განათლებისა და მომზადების სიტემა უნდა უზრუნველყოფდეს (მიგრაციის საერთაშორისო ორგანიზაცია [IOM], 2012).

2010 წელს აშშ-ის საერთაშორისო განვითარების სააგენტოს (USAID) და მიგრაციის საერთაშორისო ორგანიზაციის (IOM) მიერ ჩატარდა საქართველოს ეროვნული შრომის ბაზრის კვლევა. კვლევის ჩასატარებლად შეიმუშავეს სამი კითხვარი, რომლებიც გათვალისწინებული იყო სამეწარმეო სუბიექტების (დამსაქმებლების), სახელმწიფო დაწესებულებებისა და არასამთავრობო ორგანიზაციების ხელმძღვანელთა და სოფლის რწმუნებულებისა და ფერმერების გამოსაკითხად. კვლევის შედეგების ანალიზის საფუძველზე გაკეთდა შეფასებები და დასკვნები: ქვეყანაში ბიზნესის განვითარებისა და ახალი სამუშაო ადგილების შექმნის წახალისების მიზნით ღონისძიებების დაგეგმვისა და მათი განხორციელების შესახებ; საქართველოს სოფლის მეურნეობაში არსებული პრობლემებისა და გამოწვევების დასაძლევად საჭირო ღონისძიებების შესახებ; შრომის ბაზრის ეფექტიანობისათვის საჭირო ღონისძიებების შესახებ. შრომის ბაზრის ეფექტიანობა შეუძლებელია მისი მოქნილობისა და ცვლილებებზე სწრაფი რეაგირების გარეშე. ხელმისაწვდომი უნდა იყოს ინფორმაცია ეკონომიკისა და დასაქმების სფეროში მოსალოდნელი ცვლილებების შესახებ. საქართველოს შრომის ბაზარზე არასაკმარისი მოთხოვნით

განპირობებულ უმუშევრობას კიდევ უფრო ამწვავებს პროფესიებისა და კვალიფიკაციის მიხედვით სამუშაო ძალაზე მოთხოვნა-მიწოდებას შორის არსებული დისბალანსი: არსებული კადრების პროფესიული ცოდნა და მომზადების ხარისხი ხშირად არ შეესაბამება დამსაქმებელთა მოთხოვნებს (მიგრაციის საერთაშორისო ორგანიზაცია [IOM], 2010).

ასევე 2012 წელს გერმანიის საერთაშორისო თანამშრომლობის საზოგადოება [GIZ]-ის მიერ განხორციელდა რეგიონალური კვლევა „შრომის ბაზრის მოთხოვნებისა და პროფესიული განათლების მიწოდების ანალიზი აჭარის ტურიზმის სექტორისთვის“, რომელიც მოიცავდა ტურიზმის სექტორში შევსებულ 98 კითხვარს. აღნიშნული კითხვარების ანალიზის საფუძველზე დადგინდა, რომ თანამშრომლის აყვანა, უმეტესად, არაოფიციალურად - პირადი კონტაქტების ან ოჯახისა და მეგობრების დახმარებით ხდებოდა. დამსაქმებლები უპირატესობას ანიჭებდნენ პირებს, რომლებსაც ჰქონდათ ისეთი უნარ-ჩვევები, როგორებიცაა: პრაქტიკული უნარები, მოტივაცია, კომუნიკაბელურობა და პროფესიონალიზმი. თითქმის ყველა პროფესიაში სწორედ ეს უნარ-ჩვევებია, რასაც ემებენ ახალი თანამშრომლების დასაქმებისას ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი ამ შემთხვევაშიც უცხო ენის ცოდნა აღმოჩნდა. შესაფერისი კადრების სიმცირის მიზეზი სხვადასხვაა, თუმცა დომინანტია მომზადებული კადრების დაბალი კვალიფიკაცია და მათ მოთხოვნა-მიწოდებას შორის არსებული დისბალანსი. იმ დამსაქმებელთა 27%, რომლებსაც მიაჩნიათ, რომ საჭირო კადრების მოძიება პრობლემაა, აღნიშნავს, რომ ამის მთავარი მიზეზი კანდიდატებისათვის შესაბამისი პრაქტიკული უნარ-ჩვევების არქონაა, 15% კი თეორიული ცოდნის უკმარისობას ასახელებს (გერმანიის საერთაშორისო თანამშრომლობის საზოგადოება [GIZ]).

2011 წელს საერთაშორისო ასოციაცია კივიტას გეორგიკამ ჩაატარა ქალაქ ფოთის შრომის ბაზრის კვლევა (საერთაშორისო ასოციაცია კივიტას გეორგიკა, 2011). მოცემული კვლევის სამიზნე ჯგუფი ფოთში რეგისტრირებული და მოქმედი მცირე და საშუალო ბიზნესები იყო. მათი გამოკითხვის შედეგად გაირკვა, რომ უმრავლესობა (63,35%) ზრუნავს თანამშრომლების კვალიფიკაციის ამაღლებაზე - ნაწილი ადგილზე ამზადებს კადრებს, ნაწილი კი სხვადასხვა სასწავლო

დაწესებულებებში აგზავნის მათ. სასწავლებლებსა და დამსაქმებლებს შორის სუსტი კავშირის გამო სასწავლო პროგრამების შემუშავების დროს დამსაქმებლები, პრაქტიკულად, არ მონაწილეობენ, არადა მათი აღნიშნულ პროცესში ჩაბმა მნიშვნელოვნად შეუწყობდა ხელს ამ პროგრამების შრომის ბაზარზე მორგებას. სასწავლებლებმა მომავალში მაინც უნდა გაითვალიწინონ, რომ აუცილებელია პროფესიული სწავლების თეორიული და პრაქტიკული კომპონენტების რაციონალური შეხამება და დამსაქმებლებთან თანამშრომლობის გააქტიურება.

შესაბამისად, შეგვიძლია დავასკვნათ, რომ 2010 წლიდან დღემდე შრომის ბაზრის კვლევა სულ რამდენჯერმე ჩატარდა, ზემოთ აღნიშნული ყველა კვლევის ძირითადი მიზანია მოთხოვნადი სპეციალობების განსაზღვრა. შესაძლებელია ვივარაუდოთ, რომ ამ კვლევების მიზანი არც არის შინაარსს ჩაუდრმავდეს. თუმცა, ვფიქრობ, საგანამანათლებლო დაწესებულებებისთვის ამგვარი კვლევა ძალზე მნიშვნელოვანია. სწორედ ბაზრის კვლევის შედეგად მიღებული ინფორმაციის საფუძველზე უნდა ხდებოდეს მთელი რიგი აქტივობების განხორციელება, მათ შორის, საგანამანათლებლო პროგრამების შემუშავება/გადახედვა და ბაზრის მოთხოვნების შესაბამისად მოდიფიცირება. საქართველოს შრომის ბაზრის თავისებურებები განაპირობებს იმ ფაქტს, რომ სამუშაო ძალაზე მოთხოვნასა და მიწოდებას შორის არა მარტო რაოდენობრივი, არამედ სერიოზული სტრუქტურული (პროფესიების მიხედვით) და ხარისხობრივი (კვალიფიკაციის მიხედვით) დისბალანსიცაა. ეს გარემოება მნიშვნელოვნად აფერხებს შრომის ბაზრის ეფექტიან მუშაობას და უარყოფითად აისახება ბიზნესის განვითარებაზე, რაც, თავის მხრივ, ქვეყნის განვითარებისა და მოსახლეობის დასაქმების აუცილებელი წინაპირობაა. ბოლო დრომდე პროფესიული განათლება და დამსაქმებელი იმდენად შორს იყო ერთმანეთისგან, რომ წლების განმავლობაში ვერ ხერხდებოდა მათი მოთხოვნის შესაბამისი კადრების მიწოდება.

პროფესიული განათლების სფეროში სოციალურმა პარტნიორებმა გადამწყვეტი როლი უნდა შეასრულონ კონკრეტული პროფესიების განვითარების საქმეში, როგორც ეროვნული, ისე დარგობრივი და საწარმოო თვალსაზრისით;

სოციალური პარტნიორობა მაკრო, მიკრო და მეზო დონეზე მოიცავს შრომის ბაზრის ჩაბმულობას პროფესიული განათლების დაგეგმვისა და განვითარების პროცესში; თუმცა მათი მონაწილეობა ამ ეტაპზე სამივე დონეზე სუსტია.

### **სოციალური პარტნიორობა მაკრო დონეზე - ეროვნული პროფესიული საბჭო**

საბჭოს მიზანია პროფესიული განათლების განვითარების ხელშეწყობის უზრუნველყოფა პროფესიული განათლების სფეროს პოლიტიკის ფორმირების პროცესში საბჭოს მხარეების ჩაბმულობისა და მათ მიერ პოლიტიკის დაგეგმვასა და განხორციელებასთან დაკავშირებული რეკომენდაციების საქართველოს მთავრობისთვის ან/და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრისთვის მომზადების გზით (განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო, 2015). საბჭოს მხარეები, პარიტეტის პრინციპის გათვალისწინებით, არიან: საქართველოს მთავრობა, დამსაქმებელთა ასოციაციები/გაერთიანებები, დასაქმებულთა პროფესიული კავშირები, სამოქალაქო საზოგადოების წარმომადგენლები.

### **სოციალური პარტნიორობა მეზო დონეზე - დარგობრივი საბჭოები**

ხარისხის განვითარებისა და კვალიფიკაციის სისტემის ჩამოყალიბების მიზნით, 2009 წელს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროში ჩამოყალიბდა დარგობრივი საბჭოები დამსაქმებლების, პროფესიული გაერთიანებების (ასოციაციები, კავშირები და სხვ.), სახელმწიფო მმართველობითი ორგანოების წარმომადგენლებისა და უმაღლესი საგანმანათლებლო, სამეცნიერო-კვლევითი და პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების მონაწილეობით. 2010 წელს დარგობრივი საბჭოების მუშაობა გაგრძელდა სსიპ - ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრში. დარგობრივი საბჭოების მონაწილეობით მომზადდა პროფესიულ კვალიფიკაციათა ჩარჩო, კვალიფიკაციების ნუსხა (კლასიფიკატორი) და სხვა მნიშვნელოვანი დოკუმენტები; თუმცა იმ პერიოდში, სტანდარტების შემუშავების პროცესში ისინი მხოლოდ ფორმალურად მონაწილეობდნენ.

2015 წელს განახლდა დარგობრივი საბჭოების რეგულაციები შემდეგი დოკუმენტების საფუძველზე: „დარგობრივი საბჭოების შექმნისა და საქმიანობის წესი“, (განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორი, 2016:434). შედეგად, დადგინდა დარგობრივი საბჭოების ფუნქციები: პროფესიულ

განათლებასა და შრომის ბაზარს შორის შესაბამისობის უზრუნველყოფის პროცესის ხელშეწყობა. პროფესიული სტანდარტების, პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების ჩარჩო დოკუმენტების შემუშავების საჭიროების შესახებ ინიციატივების განხილვა, პროექტების განხილვა, მთელი სიცოცხლის განმავლობაში სწავლის ან/და პროფესიული განათლების პოლიტიკის შესახებ რეკომენდაციების შემუშავება.

### **სოციალური პარტნიორობა მიკრო დონეზე - სამეთვალყურეო საბჭოები**


პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების მართვის უმაღლესი ორგანო სამეთვალყურეო საბჭო, რომლის შემადგენლობაშიც შედიან დამსაქმებლები, ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებისა და საზოგადოებრივი ორგანიზაციების წარმომადგენლები, აგრეთვე პროფესიული სტუდენტების მშობელთა და პროფესიული განათლების მასწავლებელთა წარმომადგენლები. თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ ზემოხსენებული საბჭო ფორმალურია და დაწესებულების მართვის ძირითად ორგანოს, ფაქტობრივად, არ წარმოადგენს. მიუხედავად იმისა, რომ სამეთვალყურეო საბჭო პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების დირექტორის წარდგინებით ამტკიცებს პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების ბიუჯეტს, აგრეთვე ამტკიცებს დირექტორის ყოველწლიურ ანგარიშს და უზრუნველყოფს მის საჯაროობას, გადამწყვეტი როლი ბიუჯეტის დამტკიცებაში განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს ენიჭება.

შესაბამისად, შეგვიძლია დავასკვნათ, რომ სოციალური პარტნიორობის ჩაბმულობა სისტემის ყველა საფეხურზე ძალიან სუსტია და მხოლოდ ფორმალური მონაწილეობით შემოიფარგლება. ანალოგიურად, დაუბალანსებელია ეროვნული პროფესიული საბჭოს, დარგობრივი კომიტეტების, თემატური სამუშაო ჯგუფების შემადგენლობა - მთავრობის წარმომადგენელთა რაოდენობა აჭარბებს სოციალური პარტნიორების რაოდენობას.

ევროპის პროფესიული განათლების განვითარების ცენტრის 2013 წლის კვლევის სფუძველზე (European Centre for the Development of Vocational Training [CEDEFOP], 2013,[5537]), რომლის მიზანი იყო ევროპის 15 ქვეყნის მაგალითზე პროფესიულ განათლებასა და შრომის ბაზარს შორის უკუკავშირის მექანიზმების შესწავლა და განზოგადებული მოდელების აგება (იხ. თავი 2.3), შეგვიძლია შევისწავლოთ

საქართველოში ამ მხრივ არსებული მდგომარეობა და მისი გათვალისწინებით შევქმნათ სავარაუდო მოდელები პროფესიული პროგრამების შემუშავების ან შემდგომი დახვეწის მიზნით.


დღეის მდგომარეობით, პროფესიული სასწავლებლებში სწავლება მიმდინარეობს ორი სხვადასხვა მეთოდით მომზადებული პროგრამების შესაბამისად: პირველი მეთოდის მიხედვით, პროგრამას თითოეული სასწავლებლი ამზადებს ინდივიდუალურად სახელწიფოს მიერ დამტკიცებული სტანდარტების მიხედვით. აღნიშნულმა საგანმანათლებლო პროგრამამ უნდა გაიაროს ავტორიზაცია, რომლის ერთ-ერთი მოთხოვნაა შრომის ბაზრის კვლევის შედეგების წარდგენა შესაბამისი კვალიფიკაციის კადრებზე მოთხოვნის არსებობის შესახებ. აქდან გამომდინარე, შეგვიძლია აღნიშნული მოდელის იდენტიფიცირება ლიბერალურ მოდელთან, რომელსაც გრაფიკულად შემდეგი სახე აქვს:



ვინაიდან საქართველოში ლიბერალური, კონკურენციაზე დაფუძნებული საბაზრო ეკონომიკაა, პროფესიული განათლებაც ლიბერალური ეკონომიკის პრინციპებიდან გამომდინარე უნდა განვიხილოთ. ამის გათვალისწინებით, ბუნებრივია, პროფესიულმა დაწესებულებებმა ერთმანეთს ჯანსაღი კონკურენცია უნდა გაუწიონ. მომსახურება და შემოსავალი პირდაპირპროპორციული ცნებებია - რაც უფრო მაღალი ხარისხის მომსახურებას აწვდის საგანმანათლებლო დაწესებულება სტუდენტს, მით უფრო მეტ სწავლის მსურველს და, შესაბამისად, მეტ შემოსავალს იღებს. ეს კი იმის მანიშნებელია, რომ ძლიერი კონკურენტია სწორედ ამიტომ საჯარო პროფესიული დაწესებულებების დაფინანსება - ვაუჩერი - სტუდენტს მიჰყვება.

მეორე მოდელის თანახმად, პროფესიული დაწესებულება ემყარება დამსაქმებელთა მონაწილეობით შექმნილი სტანდარტების შესაბამისად მომზადებულ ჩარჩო პროგრამებს. სამუშაო ჯგუფი შედგება დარგის არაკლებ 7 და

არაუმეტეს 14 სპეციალისტისგან. საჭიროების შემთხვევაში, პროცესის მეთოდოლოგიური ხელმძღვანელობის მიზნით, ჯგუფს უერთდება განათლების სპეციალისტიც. (განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორი, 2016:1095). ახალი მოდულური პროგრამები მოიცავს შესრულების კრიტერიუმებს და რეკომენდებული შეფასების მიდგომას. აღნიშნული დოკუმენტების მომზადებას ადმინისტრირებას უწევს ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი, რომელიც, თავის მხრივ, დარგობრივი საბჭოების მიერ დადებითად შეფასების შემთხვევაში, ამ დოკუმენტებს თავად ამტკიცებს.



აღნიშნული მოდელი, სავარაუდოდ, მონაწილეობითი მოდელის სტრუქტურას უფრო ესადაგება, ვიდრე სხვა დანარჩენს (ლიბერალურს, სტატიკურს და კოორდინირებულს). ასევე განსხვავდება პროგრესული მოდელისაგან, რადგან პროგრესული მოდელის პირობებში ყველა პარტნიორს შორის ძლიერი კავშირია, საქართველოში კი ეს კავშირი უფრო ხშირად სუსტია (2 ძლიერი და 4 სუსტი) და მთელ რიგ შემთხვევებში - ფორმალურიც. ცალკე კვლევის საგანია, თუ რამდენად შეესაბამება ის საქართველოს დღევანდელ ეკონომიკურ ვითარებას.

ძალზე მნიშვნელოვანია დამსაქმებელთა დამოკიდებულებების კვლევა, რომელიც ჩატარდა 2014 წლის დეკემბერში. მასში მონაწილეობა მიიღეს პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების პარტნიორმა ორგანიზაციებმა, სულ გამოიკითხა 230 ორგანიზაცია. კვლევის ძირითად მიზანს წარმოადგენდა პარტნიორი ორგანიზაციების დამოკიდებულებების შესწავლა პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებებისა და პროფესიული განათლების მიმართ.

ორგანიზაციების უმეტესობა სხვადასხვა სახით თანამშრომლობს პროფესიული განათლების განმახორციელებელ დაწესებულებებთან: ჰყოლია და/ან ამჟამად ჰყავს

სტაჟირებაზე/პრაქტიკაზე პროფესიული სასწავლებლის სტუდენტები ან კურსდამთავრებულები; დასაქმებული ჰყავთ პროფესიული სასწავლებლის სტუდენტი/კურსდამთავრებულები; აპირებს პროფესიული სასწავლებლის კურსდამთავრებულის პრაქტიკაზე აყვანას და დასაქმებას. გამოკითხული ორგანიზაციების დიდი უმრავლესობა (85%) იცნობს პროფესიულ საგანმანათლებლო სასწავლებლებს, მათი ერთი მეხუთედი კი ფლობს ინფორმაციას პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების შესახებ. პროფესიულ სასწავლებლებთან ორგანიზაციების თანამშრომლობის ყველაზე გავრცელებული ფორმაა მემორანდუმი (69%), სტუდენტებისათვის საწარმოო პრაქტიკის მოწყობა (74%) და კურსდამთავრებულთა დასაქმება (54%). თანამშრომლობის ყველაზე წაკლებად გავრცელებულ ფორმა კი - პროფესიული განათლების მასწავლებელთა გადამზადება (7%). პროფესიული სასწავლებლების პარტნიორი ორგანიზაციების 28% დამოუკიდებლად ადგენს საწარმოო პრაქტიკის შინაარსს, ორგანიზაციების 25% შემთხვევაში კი ამ პროცესში ორივე მხარე (ორგანიზაცია და პროფესიული სასწავლებელი) თანაბრად მონაწილეობს. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ნებისმიერი პროფესიული პროგრამის მინიმუმ 40% არის პრაქტიკული კომპონენტი, რომლის ნაწილსაც წარმოადგენს საწარმოო პრაქტიკა (პრაქტიკული სწავლება საწარმოში). სწავლება-შეფასების პროცესში უშუალოდ მონაწილეობენ პრაქტიკის ობიექტზე მომუშავე დარგის სპეციალისტები, რომლებიც ხელმძღვანელობენ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის N733 ბრძანებით „პროფესიული სტანდარტის, საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტის და მოდულის შემუშავების წესის დამტკიცების შესახებ“. აღნიშნული დოკუმენტის საფუძველით მომზადებული თითოეული პროფესიული სტანდარტი, საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტი და მოდულები შექმნილია უშუალოდ დამსაქმებლების მონაწილეობით.

2015 წელს ჩატარდა დამსაქმებელთა დამოკიდებულების კვლევა პროფესიული განათლების მიმართ. მასში მონაწილეობა მიიღეს პროფესიული სასწავლებლების სტუდენტების პოტენციურმა დამსაქმებელმა ორგანიზაციებმა. რაოდენობრივი კვლევის ძირითადი მიზანი იყო ორგანიზაციების დამოკიდებულებების შესწავლა

პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებებისა და პროფესიული განათლების მიმართ. პირველადი ანგარიშის მომზადების ეტაპზე 297 ინტერვიუ შეჯამდა, შესაბამისად, ანგარიში მომზადებულია აღნიშნული ინტერვიუების დასახელებულ რაოდენობაზე. საბოლოო შერჩევაში მოხვედრილი პოტენციური რესპონდენტების ამორჩევა განხორციელდა საქსტატის ოფიციალური მონაცემთა ბაზიდან. როგორც კვლევიდან ჩანს, პროფესიულ სასწავლებლებთან ურთიერთობა საკმაოდ იშვიათია და არ არსებობს აღნიშნული ურთიერთობის კონკრეტული სახეები, რომლებიც უფრო პოპულარული ან გამორჩეული იქნებოდა. თანამშრომლობის ყველაზე გავრცელებულ ფორმა ისევ საწარმოო პრაქტიკაა, რომელსაც გამოკითხულთა 7% მიმართავს. შესაბამის სასწავლებლებთან კი მემორანდუმი გაფორმებული აქვს ყოველი 20 გამოკითხულიდან ერთს. პროფესიული სასწავლებლების პროფესიული სტანდარტების შემუშავებაში მონაწილეობის შემთხვევები უკიდურესად იშვიათია და მისი დასახელების მაჩვენებელი 3%-ს არ აღემატება. საგანმანათლებლო პროგრამების შექმნაში მონაწილეობა მისაღებია გამოკითხულთა თითქმის 40%-სთვის. (დამსაქმებელთა დამოკიდებულების კვლევა პროფესიული განათლების მიმართ, 2015).

სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2016 წლის 04 აგვისტოს N733 ბრძანებაში 2016 წლის 11 ნოემბერს შევიდა ცვლილება, რომელიც პროფესიული განათლების განმახორციელებელ დაწესებულებებს საშუალებას აძლევს ბაზრის კვლევის შედეგებზე დაყდნობით განახორციელოს ცვლილებების ინიცირება ჩარჩო დოკუმენტსა ან/და მოდულში/მოდულებში („პროფესიული სტანდარტის, საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტის და მოდულის შემუშავების წესის დამტკიცების შესახებ“ სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის N1095 ბრძანებაში ცვლილების შეტანის შესახებ, 2016).

პროფესიული განათლების განმახორციელებელი დაწესებულებებისა და შრომის ბაზრის ურთიერთკავშირის გაზომვის ერთ-ერთი ყველაზე ეფექტური საშუალებაა კურსდამთავრებულთა კვლევა. 2012 წელს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს ინიცირებით, საფუძველი ჩაეყარა და 2014 წლიდან რეგულარულად

ხორციელდება პროფესიული განათლების კურსდამთავრებულთა კვლევა, (ე.წ. Tracer Study), რომლის მეთოდოლოგია ევროკავშირის მხარდაჭერით შემუშავდა. 2015 წელს (Tracer სწავლა) კურსდამთავრებულთა 57%-მა აღნიშნა, რომ მათ პროფესიულ განათლებასა და დასაქმებას შორის ნაკლები შესაბამისობაა, 32.2%-ის თქმით, შესაბამისობა არის, ხოლო 7%-მა ნაწილობრივ შესაბამისობაზე მიუთითა (ტურინის პროცესი, 2016).

გამოკითხული კურსდამთავრებულების 65%-ის სამუშაო პროფესიულ საგანმანათლებლო დაწესებულებაში მიღებულ სპეციალობას უკავშირდებოდა. ამათგან 53% (416 გამოკითხული) მუშაობდა პროფესიულ სასწავლებელში მიღებული სპეციალობით, ხოლო 12%-ის (91) სამუშაო ნაწილობრივ იყო დაკავშირებული სპეციალობასთან; 35,4%-ისთვის (278 ადამიანი) კი სამუშაო პროფესიულ სასწავლებელში მიღებულ პროფესიასთან დაკავშირებული არ იყო.

2014 წელს ჩატარდა 2012-2013 სასწავლო წლის კურსდამთავრებულთა კვლევა (მთლიანი პოპულაცია შეადგენდა 2881 პირს).

კვლევის მონაცემების ანალიზის შედეგად გამოვლინდა 15 სასწავლო პროგრამა (პროფესია), რომელთა კურსდამთავრებულებს შორის დასაქმების მაჩვენებელი ყველაზე დიდია. როგორც გაირკვა, რესპონდენტთა შორის ყველაზე მეტი დასაქმებული მზარეულის პროფესიის მქონე კურსდამთავრებულია - კვლევაში მონაწილებდა მზარეულის პროფესიის მქონე 84 რესპონდენტი, რომელთაგან 46 აღმოჩნდა დასაქმებული, რაც 55 პროცენტია. აღსანიშნავია, რომ კვლევაში მონაწილე გიდის პროფესიის 18 კურსდამთავრებულთა შორის 11 დასაქმებულია, ეს კი 61%-ს უტოლდება. შესაბამისად, შგვიძლია ვივარაუდოთ, რომ ზემოთ აღნიშნული სასწავლო პროგრამები უფრო მეტად შეესაბამება ბაზრის მოთხოვნებს (პროფესიული განათლების განვითარების დეპარტამენტი, 2015).

მოცემულ თავში შევეცადეთ აღგვეწერა სახელმწიფოს მიერ დადგენილი ის საკანონმდებლო მექანიზმები, რომელთა საშუალებითაც შრომის ბაზარს შეუძლია გავლენა მოახდინოს პროფესიულ განათლებაზე.

აღსანიშნავია, რომ 2016 წელს მომზადდა ანგარიში “ტურინის პროცესი 2016” ფარგლებში. ანგარიშის მომზადებისა და განხილვის პროცესში მონაწილეობდნენ

დაინტერესებული მხარეები, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო, ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი, მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრი, განათლების მართვისა და საინფორმაციო სისტემა, საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო, საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური, საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო, სოციალური მომსახურების სააგენტო, საქართველოს დამსაქმებელთა ასოციაცია, საქართველოს პროფესიონალური კონფედერაცია, პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებები, საქართველოს ზრდასრულთა განათლების ასოციაცია. საგანმანათლებლო დაწესებულებებთან და დამსაქმებლებთან ჩატარებულმა ფოკუს-ჯგუფებმა აჩვენა, რომ სასწავლებლებსა და საწარმოებს შორის პარტნიორობა 2013 წლის შემდეგ გაუმჯობესდა. პროფესიული კოლეჯები და დამსაქმებლები გამოყოფენ მთელ რიგ პრობლემებს, რომლებიც ხელს უშლის მათ თანამშრომლობას. ასეთია, მაგალითად, თანამშრომლობის მექანიზმების ნაკლებობა სამუშაოზე დაფუძნებული სწავლებისას. ის, რომ პატარა საწარმოებს არ აქვთ შესაბამისი რესურსი სტუდენტთა პრაქტიკის ორგანიზებისათვის/უზრუნველსაყოფად, მოთხოვნასა და მიწოდებას შორის შესაბამისობა და სხვა. ცხადია, ზემოაღნიშნული კავშირები გაძლიერდა, მაგრამ ეს არასაკმარისია (European Training Foundation, Strategy for reform of vocational education and training, 2016).

შესაბამისობის თვალსაზრისით, კვლავ რჩება გამოწვევები: დამსაქმებლები ნაკლებად ენდობიან პროფესიულ კვალიფიკაციებს (MCA\_G, 2015; UNDP, 2015), რაც დასაქმების მაჩვენებელზეც აისახება. პროფესიული განათლების ძირითადი გამოწვევაა სწრაფად და ეფექტურად უპასუხოს შრომის ბაზრის მოთხოვნებს.

პროფესიული კვალიფიკაციის მიღება შესაძლებელია როგორც იმ პირებისთვის, რომლებიც ფორმალური გზით იღებენ განათლებას, ისე მათთვის, ვინც უკვე გასულია შრომის ბაზარზე ან მისდევს სწავლების არაფორმალურ განათლებას.. პროფესიული კვალიფიკაციების შეფასების პროცედურები სულ უფრო მეტად მოიცავს „არაფორმალური განათლების აღიარების“ ღონისძიებებს, რაც პირს აძლევს შესაძლებლობას მოახდინოს წინმსწრები განათლების (ან მიღწევების) აღიარება,

მიიღოს სრული კვალიფიკაცია ან დააგროვოს კრედიტები კვალიფიკის სამომავლოდ მისაღებად.

არაფორმალური განათლება (non-formal learning) გულისხმობს ისეთ სასწავლო აქტივობებს, რომლებიც ორგანიზებულია ფორმალური განათლების სისტემის გარეთ, მათ შორისაა ზრდასრულთა განათლება და ტრენინგი (სამუშაოსთან დაკავშირებული ტრენინგურსები, ონლაინ ან დისტანციური სწავლება ან სათემო განათლება, რომელიც ორგანიზებულია სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციების მიერ).

არაფორმალური განათლების აღიარების კომისია შედგება კვალიფიციური /გამოცდილი პირებისაგან; კომისიის შემადგენლობაში არიან დამსაქმებლები, შესაბამისი სფეროს მასწავლებლები და დაწესებულების ადმინისტრაციის წარმომადგენლები.

უნდა აღინიშნოს, რომ ბიზნესის მხრიდან იზრდება მოლოდინი იმისა, რომ დამსაქმებელი და სექტორული ორგანიზაციები შეასრულებენ გადამწყვეტ როლს არაფორმალური განათლების აღიარების პროცესში.

არაფორმალური განათლების აღიარება მხოლოდ ბიზნესის ან სოციალური პარტნიორების მხრიდან გრძელვადიან პერსპექტივას წარმოადგენს, რადგან ამ ორგანიზაციებს შეფასებასა და ხარისხის უზრუნველყოფის შესაძლებლობის გასამლიერებლად გარკვეული დრო სჭირდებათ. თუმცა დასაწყისიდანვე მნიშვნელოვანია, რომ არაფორმალური განათლების აღიარების პროცესში პროფესიული განათლების მიმწოდებლებთან ერთად ჩაებან ის ბიზნესები და სოციალური პარტნიორობის ორგანიზაციები, რომელთაც ზემოხსენებული შესაძლებლობა და შეფასების გამოცდილება აქვთ; ეს იქნება მნიშვნელოვანი წინგადადგმული ნაბიჯი ზემოთ აღნიშული მიზნის მისაღწევად; დროთა განმავლობაში კი ეს ხელს შეუწყობს მათი როლის გაფართოებას და გაძლიერებას. (პროფესიული განათლება ეკონომიკის განვითარებისთვის [MCA], 2015).

## კვლევითი ნაწილი - ადგილობრივი შრომის ბაზარი და მისი გავლენა პროფესიულ განათლებაზე საქართველოში

ნებისმიერი ქვეყნის ეკონომიკური განვითარების დაჩქარებისა და არსებული სოციალური პრობლემების გადაჭრისათვის გადამწყვეტი მნიშნველობა აქვს მოსახლეობის დასაქმების ხელშეწყობას, შრომის ბაზრის ეფექტიან ფუნქციონირებას. ამ ამოცანის გადაჭრა სახელმწიფოს ერთ-ერთი ძირითადი ფუნქცია და მოვალეობაა.

დასაქმების სფეროში ეფექტიანი სახელმწიფო პოლიტიკის შემუშავებისათვის აუცილებელია ბაზარზე არსებული სიტუაციის, მიმდინარე და მოსალოდნელი ტენდენციების, უმუშევრობის განმაპირობებელი მიზეზების სისტემური კვლევა. ასეთი კვლევები საქართველოში სახელმწიფოს დონეზე, სამწუხაროდ, არ ტარდება. ცალკეული კვლევები კი არ იძლევა ვითარების კომპლექსური შეფასებისა და მოსალოდნელი ცვლილებების პროგნოზირების შესაძლებლობას როგორც რეგიონული და სექტორული, ისე ქვეყნის მასშტაბით.

პროფესიული სწავლების პროგრამების დაგეგმვა-რეალიზაციისათვის ყურადღება განსაკუთრებით სამუშაო ძალის მოთხოვნის შესწავლას უნდა მივაპყროთ, რაც, თავის მხრივ, სამუშაო ძალის მოთხოვნა-მიწოდების დაბალანსების ძირითადი ბერკეტია.

უმნიშვნელოვანესი და ობიექტური კრიტერიუმი, რომლითაც პროფესიული სისტემა ფასდება, პროფესიულ სტუდენტთა დასაქმების მაჩვენებელია. ეს კრიტერიუმი იზომება.

საქართველოში წლების განმავლობაში, რეფორმის განხორციელების პროცესში უგულებელყოფილი იყო ძალიან მნიშვნელოვანი კვლევითი მონაცემები, რომლებიც რეფორმის მონიტორინგისა და რეფორმის პროცესშივე მისი კორექტირების კარგ საშუალებას იძლეოდა. ვგულისხმობთ საქართველოში პროფესიულ განათლებასთან დაკავშირებულ საერთაშორისო კვლევებს (2006-2012წლები).

როგორც ცნობილია, ისეთი რთული, კომპლექსური სისტემის რეფორმირებას, როგორიც პროფესიული განათლების სისტემაა, უპირველესად, სჭირდება გარდაქმნის რეალისტური მიზნების მკაფიოდ დასახვა და არსებული რესურსის გათვალისწინებით მათი მიღწევის გზების დაგეგმვა. ცვლილებების (რეფორმების)

მსვლელობისას მუდმივად უნდა ხდებოდეს შუალედური შედეგების ანალიზი და საჭიროების შემთხვევაში პროცესის კორექტირება.

ამდენად, ჩვენი კვლევების ძირითადი მიზანია საქართველოში შრომის ბაზრისა და პროფესიული განათლების ურთიერთობის იმ პრობლემების იდენტიფიცირება და გადაჭრის გზების დასახვა, რომლებიც გამოიკვეთა ჩვენ მიერ თეორიული კვლევის ჩატარების შედეგად – მსოფლიოში არსებული მოდელების განხილვა და ამ მოდელების შედარება ქართულ სინამდვილესთან, საქართველოში ჩატარებული კვლევების შედეგების ანალიზი და მისი დაკავშირება წინამდებარე კვლევასთან.

#### კვლევის ამოცანებია:

1. კვლევის მეთოდოლოგიის შემუშავება – კვლევის მეთოდების, კვლევის სამიზნე ჯგუფის განსაზღვრა, კვლევის საგნისა და ობიექტის შემუშავება, კვლევის ჰიპოთეზის განსაზღვრა;
2. სამაგიდე/საკაბინეტო კვლევის ჩატარება(თეორიული) – მსოფლიოში არსებული მოდელების განხილვა და ამ მოდელების შედარება ქართულ სინამდვილესთან, საქართველოში ჩატარებული კვლევების ანალიზის შედეგების ანალიზი და მისი დაკავშირება წინამდებარე კვლევასთან.
3. კვლევის ინსტრუმენტის – კითხვარის შემუშავება;
4. ემპირიული კვლევის ჩატარება;
5. დასკვნებისა და რეკომენდაციების შემუშავება.

კვლევის საგანი: ადგილობრივი შრომის ბაზრის როლი პროფესიული განათლების დაგეგმვასა და განვითარებაში.

კვლევის ობიექტი: ადგილობრივი შრომის ბაზრისა და პროფესიული სასწავლებლის სასწავლო პროგრამებისა და სასწავლო პროცესის ურთიერთობა.

კვლევის ჰიპოთეზა: პროფესიული სასწავლებლის მიერ კურიკულუმის განვითარების პროცესში ადგილობრივი შრომის ბაზრის დაკვეთების გათვალისწინება გაზრდის კურსდამთავრებულთა დასაქმებისა და სწავლის მსურველტა მაჩვენებელს.

კვლევის მეთოდებად გამოვიყენეთ სამაგიდე კვლევა – თეორიული მასალის ანალიზი, თვისებრივი კვლევა-ჩაღრმავებული ინტერვიუ პროფესიული

სასწავლებლის ადმინისტრაციასა (6 ერთეული) და პედაგოგებთან (60 ერთეული), დარგობრივ ასოციაციებთან (3 ერთეული) და ექსპერტებთან (3 ერთეული). რაოდენობრივი კვლევა – გამოკითხვა დამსაქმებლებთან (175 ერთეული) და კურსდამთავრებულებთან (150 ერთეული) ;

**კვლევის სამიზნე ჯგუფი** – დამსაქმებლები, პროფესიული სასწავლებლის ადმინისტრაცია, პედაგოგები, პროფესიული კურსდამთავრებულები.

**შერჩევა** – შეირჩა შრომის ბაზარზე არსებული მოთხოვნადი კვალიფიკაციები: ტურიზმისა და მომსახურების მიმართულებით; პროფესიული განათლების განმახორციელებელი საგანმანათლებლო დაწესებულება, რომელიც ყველაზე მეტ პროგრამას ახორციელებს აღნიშნული მიართულებით და შესაბამისი დამსაქმებლები.

**კვლევის ინსტრუმენტი** - კვლევის ჩასატარებლად შევიმუშავეთ კითხვარები და ამისათვის გამოვიყენეთ ჩვენ მიერ შესწავლილი კვლევები და პროფესიული კოლეჯი „იკაროსი“ს პროგრამების ანალიზი, ასევე (009 წლის 10 ივნისის წარდგენილი ბრიტანეთის საბჭოს პროექტის „skills@work“ ფარგლებში სამხრეთ კავრასიაში ჩატარებული კვლევის საბოლოო ანგარიში, ქეით შუსმიტი, შერონ ვოკერი, 2010, ჩავა ფრანკფორტ ნაჩიმიასი, 2009, გლობალური განათლება 20/20 (Global education 20/20: what role for the private sector?) (An Economist Intelligence Unit report-Sponsored by Cisco) ხოლო ამ კვლევის შედეგების გაანალიზების შემდეგ ძალზე მნიშვნელოვანია აღვნიშნოთ ასევე, კურსდამთავრებულთა კვლევა (Tracer Study), რომელიც საუკეთესო საშუალებაა სწავლების გრძელვადიანი შედეგების გაზომვის, შეფასების და აღწერისათვის. კვლევა გვაძლევს ინფორმაციას, თუ როგორ წარიმართა კურსდამთავრებულთა შემდგომი საქმიანობა განათლებისა და დასაქმების მხრივ, რა ცვლილებები უნდა განხორციელდეს სასწავლო პროგრამებში მათი თვალთახედვით.

პროფესიულ განათლებაზე მოთხოვნა მთელი მსოფლიოს მასშტაბით სწრაფად მატულობს. თანამედროვე ეკონომიკა და შრომის ბაზარი შესაბამისი ცოდნითა და უნარებით აღჭურვილ სამუშაო ძალას ითხოვს. პროფესიული განათლების სტრუქტურის განსაზღვრისას მნიშვნელოვანი კრიტერიუმებია: რამდენად უზრუნველყოფს სტრუქტურა ინდივიდუალური და შრომის ბაზრის შესაბამისი კომპენტენციების განვითარებას, რამდენად ოპტიმალურად იყენებს ის

სწავლისათვის განსაზღვრულ დროს, სახელმწიფო და კერძო ფინანსურ რესურსებს, რამდენად უზრუნველყოფს სისტემა სწავლაში თანაბარ ჩართულობას ყველა სოციალური ჯგუფისთვის.

საკითხის კვლევა დაიწყო 2012 წლიდან. შერჩევა განხორციელდა იმ პერიოდისათვის არსებული 100 საჯარო და კერძო იურიდიული სტატუსის მქონე ავტორიზებული პროფესიული პროგრამების განმახორციელებელი საგანმანათლებლო დაწესებულების მოკვლევა და ანალიზი, რისთვისაც გამოვიყენეთ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის ბაზა დაწესებულებების, მათ მიერ განხორციელებული პროგრამების, იურიდიული სტატუსის შესახებ. ასევე ცნობარი „შენი არჩევანი - შენი წინსვლაა“, (ცნობარი „შენი არჩევანი - შენი წინსვლაა“, 2008) რომელიც მომზადდა და გამოიცა სახალხო უნივერსიტეტთა გერმანული ასოციაციის (dvv internacional) თბილისის პროექტთა ბიუროს ფინანსური მხარდაჭერით. შევისწავლეთ პროფესიული განათლების სფეროში არსებული სიტუაცია, საერთაშორისო გამოცდილება და საქართველში არსებული მდგომარეობა. ამის შედეგად დადგინდა, რომ საქართველოს შრომის ბაზარზე ერთ-ერთი ყველაზე განვითარებადი და მზარდი მიმართულება გახლავთ ტურიზმი („პროფესიული განათლების შესაბამისობა შრომის ბაზრის მოთხოვნებთან საქართველოში“, GTZ, თბილისი, 2010 წლის ივნისი; „სამუშაო ძალაზე დამსაქმებელთა მოთხოვნა“, EU-ს დაფინანსებით IOM-ის მიერ განხორციელებული კვლევა, 2011; „სამუშაო ძალაზე დამსაქმებელთა მოთხოვნა აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში“, USAID-ის დაფინანსებით IOM-ისა და ჯეოსტატის მიერ ჩატარებული კვლევა, თბილისი, 2012; „შრომის ბაზრის მოთხოვნებისა და პროფესიული განათლების მიწოდების ანალიზი აჭარის ტურიზმის სექტორისთვის“, GIZ, თბილისი, 2012 წლის ოქტომბერი; „საქართველს შრომის ბაზრის მოთხოვნების პილოტური კვლევა“, შემუშავებულია GIZ-ის მიერ ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროსთან თანამშრომლობით, თბილისი, 2012 წლის ივლისი); შეირჩა სახელმწიფოს მიერ დაფუძნებული/თანადაფუძნებული პროფესიული განათლების განმახორციელებელი საგანმანათლებლო სასწავლებლები - სულ 18 დაწესებულება (იმ პერიოდისათვის არსებული). 2013-2014 წლებში „შოთა რუსთაველის სამეცნიერო

ფონდის“ დოქტორანტურის საგრანტო კონკურსში მიღებული გრანტის ფარგლებში განხორციელდა ზემოაღნიშნულ ორგანიზაციებში ვიზიტი და კვლევა არსებული მდგომარეობის შესწავლის მიზნით. კვლევის შედეგად გამოიკვეთა რამდენიმე სასწავლებელი, რომელთა სპეციალობები ტურიზმის სექტორს მოიცავს. ასევე ყურადღება მიექცა ამ სასწავლებლების სამართლებლივ ფორმას - ა(ა)იპ არამომგებიანი არაკომერციული იურიდიული პირი და სსიპ - საჯარო სამართლის იურიდიული პირი. ა(ა)იპ დაწესებულებებს დამოუკიდებლობის უფრო მაღალი ხარისხი აქვს, რადგან ჰყავს ორი დამფუძნებელი კერძო და სახელმწიფო; შესაბამისად, აღნიშნულ დაწესებულებათა მართვა მეტად დაბალანსებულია; ამ ფაქტორების გათვალისწინებით შეირჩა საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსა და ა(ა)იპ „საქართველოს აგრარული უნივერსიტეტის“ მიერ თანადაფუძნებული ა(ა)იპ პროფესიული კოლეჯი „იკაროსი“, რომელიც სახელმწიფოს მიერ დაფუძნებულ/თანადაფუძნებული პროფესიული განათლების განმახორციელებელ დაწესებულებებს შორის (ისევე, როგორც კერძოებს შორის) ყველაზე მეტ პროგრამას ახორციელებს ტურიზმის მიმართულებით. სამეურვეო საბჭო ამტკიცებს ბიუჯეტსა და პროფესიულ პროგრამებს; ითანხმებს საშტატო განრიგსა და ხელფასის ფონდს; შეთანხმებით ნიშნავს და ათავისუფლებს დირექტორს.

2007-2011 წლებში პროფესიულ კოლეჯ „იკაროსში“ კურსდამთავრებულთა რაოდენობა გახლდათ ძალიან მცირე, სულ 363 კურსდამთავრებული. ამ გარემოებამ დაგვაფიქრა იმაზე, თუ „რამ განაპირობა კურსდამთავრებულთა სიმცირე“?

პასუხის მიება დავიწყეთ არსებული კვლევების შესწავლისა და თავად პროფესიული განათლების პროგრამების ანალიზით. კვლევებში ყურადღება გამახვილებული იყო იმ ფაქტორებზე, თუ რა ცოდნასა და უნარებს სთხოვენ დამსაქმებლები კურსდამთავრებულებს. გამოიკვეთა, რომ იმ პერიოდში სასწავლებელში არსებული საგანამანათლებლო პროგრამები და სილაბუსები აშკარა შეუსაბამობაში გახლათ ბაზრის მოთხოვნებთან. აქედან გამომდინარე, მიღებულ იქნა ცვლილებების განხორციელების გადაწყვეტილება. თუმცა, ბუნებრივია, ცვლილება გარკვეული საფუძვლის გარეშე ვერ განხორციელდება.

კოლეჯში ხორციელდება 10 პროგრამა: მზარეული II-III საფეხური, სარესტორნო საქმის მწარმოებელი III საფეხური, კონდიტერი III საფეხური, ბართენდერი III საფეხური, სასტუმრო საქმის მწარმოებელი III საფეხური, მიღება-განთავსების სპეციალისტი III საფეხური, ტუროპერატორი III საფეხური, გიდი III საფეხური, სომელი III საფეხური, კონსულტანტ-გამყიდველი III საფეხური. სწორედ ამ პროგრამების მოდიფიცირებისა და ადგილობრივი ბაზრის მოთხოვნებზე მორგების მიზნით განხორციელდა წინამდებარე კვლევები.

კვლევის ჩასატარებლად კოლეჯში შეირჩა ინტერვიუერები - მასწავლებლები და ადმინისტრაციის წარმომადგენლები. კვლევის დაწყებამდე მათ ჩაუტარდათ სპეციალური ტრენინგები და დეტალური ინსტრუქტაჟი. პირველი კვლევის აპრობაცია მოხდა 2012 წელს. იმ პერიოდისათვის დაწესებულებას 37 პარტნიორი დამსაქმებელი ორგანიზაცია ჰყავდა.

სამეწარმეო სუბიექტების შესარჩევად შემდგომ ეტაპზე გამოყენებული იყო ა(ა)იპ პროფესიული კოლეჯის „იკაროსი“ -ს მიერ პარტნიორ საწარმოთა ნუსხა (2013 წლის აპრილის მდგომარეობით), რომელიც კვლევის პროცესში არსებითად დაზუსტდა და გაიზარდა კიდეც.<sup>1</sup> ფაქტობრივად, ფუნქციონირებად საწარმოთა შერჩევისას გამოყენებული იქნა შემდეგი მიდგომა:

- ა(ა)იპ პროფესიული კოლეჯ „იკაროსის“ პარტნიორი ერთი და იგივე საწარმოები, რომლებიც ფუნქციონირებდნენ 2013-2014-2015 წლებში (იმ საწარმოთა გამოკლებით, რომლებიც ლიკვიდირებული იყო ან/და რომლებთანაც კვლევის პროცესში დაკავშირება არ ხერხდებოდა);
- საწარმოები, რომლებთანაც კოლეჯს 2013-15 წლებში თანამშრომლობის მემორანდუმი არ ქონდა გაფორმებული.

კვლევის ჩასატარებლად კოლეჯში შეირჩა ინტერვიუერები. კვლევითი სამუშაოების დაწყებამდე მათ ჩაუტარდათ სპეციალური ტრენინგები და დეტალური ინსტრუქტაჟი.

**გამოკითხვის მეთოდი-ინტერვიუ-ანკეტირების მეთოდით.**

გამოკითხვის დროს დაცული იყო შემდეგი პირობები:

<sup>1</sup> მოქმედსაწარმოთა ნუსხაში ასახულ საწარმოების გარევეულ ნაწილ, ფქტუროვად აღრ ასებობდა და ამიტომ არშეტანილ რეალურ დფუძქცონირებად საწარმოების ნუსხაში.

- ა) წინასწარ განისაზღვრა გამოკითხვის მიზნები და ამოცანები;
- ბ) განისაზღვრა რესპონდენტთა კატეგორია (საწარმოებში კადრების შერჩევა/ აყვანაზე პასუხისმგებელი პირები);
- გ) შეიქმნა კითხვარი და მოხდა მისი წინასწარი ტესტირება;
- დ) განისაზღვრა გამოსაკით პირთა რაოდენობა და მათი შერჩევის მეთოდი;
- ე) შეირჩა გამოსაკითხი პირები და ჩატარდა გამოკითხვა.

კვლევის შედეგები კომპიუტერული წესით დამუშავდა(კომპიუტერში მონაცემთა შეყვანა, შესაბამისი ბაზის ფორმირება, შეწონვა და აგრეგირება განხორციელდა MS EXCEL<sup>TM</sup>- ში, გამოსავალი ინფორმაცია მომზადდა MS EXCEL<sup>TM</sup>- ში; საბოლოო ცხრილები - MS WORD<sup>TM</sup>- ში).

კვლევის შემდგომ ეტაპზე გამოვკითხეთ დამსაქმებლები - იმ რესტორნებისა და სასტუმროების წარმომადგენლები, რომლებიც კოლეჯის „იკაროსი“ პარტნიორები იყვნენ. მათთვის შევადგინეთ კითხვარი. კითხვარები შედგა ღია და დახურულბოლოიანი კითხვებით. კითხვარებში შევიტანეთ შეკითხვები, რომელთა მიხედვითაც გავაანალიზეთ, თუ რა მოთხოვნები აქვთ ამ დაწესებულებების წარმომადგენლებს პროფესიული სასწავლებლების მიმართ; რა კრიტერიუმების მიხედვით ხდება შესაბამის ორგანიზაციებში კადრების შერჩევა და რა პრობლემებს აწყდებიან ისინი (დამსაქმებლის კითხვარი, დანართი №2). 2012 წლის კვლევით, გამოკითხვა განხორციელდა 37 პარტნიორ ორგანიზაციასთან.

შემდგომ ეტაპებზე, 2013–15 წლებში ტარდებოდა პერმანენტული კვლევები შედეგების დინამიკის გასათვალისწინებად. სამივე წლის განმავლობაში ხორციელდებოდა ერთი და იმავე ობიექტების გამოკითხვა, კერძოდ, ა(ა)იპ პროფესიული კოლეჯი „იკაროსის“ 62 პარტნიორი ერთი და იგივე საწარმო, რომლებიც ფუნქციონირებდნენ 2013-15 წლებში.

ამ კვლევის შედეგების გაანალიზების შემდეგ ძალზე მნიშვნელოვანი იყო კურსდამთავრებულთა კვლევა (Tracer Study), რადგან ეს საუკეთესო საშუალებაა სწავლების გრძელვადიანი შედეგების გაზომვის, შეფასებისა და აღწერისათვის. კვლევა გვაძლევს ინფორმაციას, თუ როგორ წარიმართა კურსდამთავრებულთა შემდგომი საქმიანობა ცხოვრების სხვადასხვა ეტაპზე და სხვადასხვა მიმართულებით

(განათლება, დასაქმება); ასევე, რა ცვლილებებია, მათი თვალსაზრისით, საჭირო სასწავლო პროგრამებში, იმისათვის, რომ გაუადვილდეთ შრომის ბაზარზე დასაქმება.

### წარმოგიდგენთ დამსაქმებლების გამოკითხვის შედეგებს:

#### ➤ თბილისში არსებული რომელი პროფესიული კოლეჯები იცით?

დამსაქმებელთა გამოკითხვის ანალიზმა გვიჩვენა, რომ (დანართი №1 დიაგრამა №8) ა(ა)იპ პროფესიული კოლეჯი „იკაროსის“ პარტნიორი ორგანიზაციები, სხვა სასწავლებლებლებს ნაკლებად იცნობენ;

ასევე, მნიშვნელოვანი იყო იმ დამსაქმებელთა აზრი, რომელთაც მოცემული ეტაპისათვის კოლეჯთან თანამშრომლობა დაწყებული არ ჰქონდათ. შესაბამისად, 2014-15 წლებში გამოიკითხა ის დამსაქმებლები, რომლებსაც კოლეჯთან თანამშრომლობის მემორანდუმი არ გაუფორმებია. აღმოჩნდა, რომ ა(ა)იპ პროფესიული კოლეჯი „იკაროსის“ ცნობადობა სხვა სასწავლებლებთან შედარებით საკმაოდ მაღალი გახლდათ (დანართი №1 დიაგრამა №8) (ა(ა)იპ პროფესიული კოლეჯი „იკაროსი“, 2014-2015).

#### ➤ პირველად საიდან მიიღეთ ინფორმაცია პროფესიული კოლეჯი „იკაროსის“ შესახებ?

2013 წლის კვლევის შედეგად გამოკითხული ორგრანიზაციების უმეტესობამ უპასუხა, რომ ინფორმაცია პროფესიული კოლეჯის თანამშრომელებისაგან მიიღო, რაც მიუთითებს ამ მიმართულებით სასწავლებლის მაღალ აქტიურობაზე (შეკითხვა იყო, ნახევრად ღია, ვინაიდან სავარაუდო პასუხებში არ ეწერა „იკაროსი“. ვეღძი „სხვა“ - დამსაქმებლებმა ჩაწერეს პროფესიული კოლეჯი „იკაროსი“) (დანართი №1 დიაგრამა №10).

ასევე მნიშვნელოვანია ახალი ობიექტების გამოკითხვის შედეგად მიღებული ინფორმაციის ანალიზი. შესაბამის დიაგრამებზე, რომლებიც 2015 წლის კვლევის საფუძველზე ავაგეთ, ნათლად ჩანს, რომ დამსაქმებლებმა ინფორმაცია სარეკლამო „ბუკლეტის“ საშუალებით მიიღეს, რაც ასევე მიუთითებს სასწავლებლის აქტიურობაზე სარეკლამო კამპანიის დროს (დანართი №1 დიაგრამა №11).

#### ➤ რა გზით ახდენთ თქვენთვის საჭირო ახალი კადრების მოზიდავს?

მოცემულმა კვლევამ დაადასტურა, რომ კადრების მოძიების ყველაზე ფართოდ გავრცელებული გზაა პირადი კონტაქტები და ნაცნობთა რეკომენდაციები. აღსანიშნავია, რომ კადრების მოზიდვის ეს წყარო ასოცირდება „რეკომენდატორების ინსტიტუტთან“, რომელიც კადრების მენეჯმენტში აპრობირებული და გამართლებული ფორმაა. აქვე უნდა გავამახვილოთ ყურადღება იმ ფაქტორზე, რომ პროფესიული სასწავლების მიერ გაცემულ რეგომანდაციას დამსაქმებელი დადებითად აფასებს.

კოლეჯში თეორიული და პრაქტიკული სწავლების დასრულების შემდეგ პროფესიული სტუდენტები საწარმოო პრაქტიკას გადიან ობიექტებზე, რომლებთანაც ფორმდება ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი. ასევე უნდა აღინიშნოს, რომ ობიექტის ხელმძღვანელი ყველა სტუდენტს უვსებს შეფასების დღიურს. შესაბამისად, პროფესიულ კოლეჯსა და დამსაქმებლებს შორის მჭიდრო კავშირი მყარდება, როგორც საწარმოო პრაქტიკის, ისე დასაქმების მიზნით. 2015 წელს განხორციელებული დამსაქმებელთა კვლევის შედეგებით ირკვევა, რომ წინა წლებთან შედარებით, დამსაქმებლების მხრიდან კიდევ უფრო გაიზარდა მოთხოვნა პროფესიულ სტუდენტებზე, როგორც საწარმოო პრაქტიკაზე მიღების, ისე საბოლოო დასაქმების თვალსაზრისით (დანართი №1 დიაგრამა №12).

#### ➤ რომელი უცხო ენის/ენების და რა დონეზე ფლობას სთხოვთ კურსდამთავრებულებს?

დამსაქმებელთა მხრიდან უცხო ენების ცოდნაზე მოთხოვნამ წლების მიხედვით ცვლილება განიცადა; ინგლისურ ენასთან ერთად, საკმაოდ მოთხოვნადი გახდა რუსული ენა. დიაგრამები წარმოდგენილია 2013-15 წლების მიხედვით (დანართი №1 დიაგრამა №13).

უცხო ენის ცოდნისადმი მოთხოვნა ასევე კარგად იკვეთება საქართველოს ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაციის მიერ წარმოდგენილი ანგარიშებიდან. აღნიშნულ მონაცემებში ჩანს, თუ როგორ იზრდება ტურისტების რაოდენობა წლიდან წლამდე (განსაკუთრებით, სომხეთი, აზერბაიჯანი, თურქეთი, რუსეთი, ბელარუსი), შესაბამისად, შეგვიძლია დავასკვნათ, რომ ქვეყანაში ტურისტების მატება პირდაპირ კავშირშია დამსაქმებლების მხრიდან უცხო ენის ცოდნის მოთხოვნასთან (დანართი

№3 ცხრილი №1; №2) (საქართველოს ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაცია, 2013, 2014, 2015).

➤ **რა კომპიუტერულ პროგრამებს უნდა ფლობდეს კურსდამთავრებული?**

კვლევაში კომპიუტერული პროგრამების ცოდნის აუცილებლობა ნაკლებად გამოიკვეთა და მხოლოდ თითოეული პროფესიის საჭიროებიდან გამომდინარე Word და Excel პროგრამები დასახელდა (დანართი №1 დიაგრამა №14).

➤ **რა ზოგად მოთხოვნებს უყენებთ კურსდამთავრებულებს?**

ამ შეკითხვის პასუხად, კურსდამთავრებულთა დასაქმებისათვის აუცილებელ პირობად დამსაქმებლებმა უწინარესად დასახელეს: პროფესიონალიზმი, შრომისმოყვარეობა, პასუხისმგებლობის გრძნობა, კომუნიკაციის უნარი და უცხო ენების ცოდნა. (დანართი №1 დიაგრამა №15; №16; №17,18).

➤ **თქვენი აზრით, რა დრო შეიძლება დაჭირდეს სტუდენტს თითოეულ პროფესიაზე მოსამზადებლად?**

დამსაქმებელთა უმეტესობას მიაჩნია, რომ პროფესიული კვალიფიკაციის ასათვისებლად საკმარისია 6 თვე. ეს ნათლად ჩანს მოცემულ დიაგრამაზე, 2013-15 წლებში ჩატარებული კვლევების მიხედვით (დანართი №1 დიაგრამა №19).

➤ **ამჟამად კონკრეტულად რომელი პროფესიების კადრების ნაკლებობას განიცდით და რასთან არის ეს დაკავშირებული? (ჩამოწერეთ თქვენი დეფიციტური პროფსიები მიგვითითეთ შემდეგი მიზეზები).**

კვლევამ აჩვენა, რომ ყველაზე დიდი მოთხოვნაა „მიმტანის“ პროფესიაზე. გამოკითხულთა თქმით, ამის მიზეზია ის, რომ „მიმტანებს“ არ აქვთ სათანადო თეორიული და პრაქტიკული ცოდნა, უჭირთ სტუმრებთან კომუნიკაცია და არ იციან უცხო ენები. კადრების ნაკლებობა განსაკუთრებით გამოიკვეთა 2013-14 წლების კვლევაში, რაც შეეხება 2015 წლის კვლევას, აღნიშნულ კადრებზე მოთხოვნა შედარებით ნაკლებია (დანართი №1 დიაგრამა №20).

კვლევის შედეგების მიხედვით, ყველაზე დიდი მოთხოვნა გამოიკვეთა შემდეგ პროფესიებზე: მზარეული, მიმტანი. საგულისხმოა, რომ კოლეჯში არ არსებობს საგანმანათლებლო პროგრამა „მიმტანი“. ძირითადად, დაწესებულების პროფესიული სტუდენტები „სარესტორნო საქმის მწარმოებლები“ საქმდებიან მიმტანებად და უკვე

მათზეა დამოკიდებული დაიკავებენ თუ არა შედგომში სხვადასხვა მენეჯერულ პოზიციას (დანართი №1 დიაგრამა №21).

- რამდენად შეესაბამება დასაქმებული პერსონალის კვალიფიკაციის დონე და ხარისხი თქვენი ორგანიზაციის მოთხოვნებს ?


2015 წლის გამოკითხვის მიხედვით, 37,5% აღნიშნავს, რომ სრულად შეესაბამება, ხოლო გამოკითხულთა 62,5 % მიიჩნევს, რომ - ნაწილობრივ (დანართი №1 დიაგრამა №22). გამოიკვეთა, რომ დამსაქმებლები არ არიან კმაყოფილი დასაქმებული პერსონალის უცხო ენების ცოდნით, პრაქტიკული უნარ-ჩვევებით, კონკრეტული პროფესიული კვალიფიკაციით. (დანართი №1 დიაგრამა №23).

- ახორციელებთ თუ არა თქვენი პერსონალის კვალიფიკაციის ამაღლებას?
- დამსაქმებლები პერსონალის კვალიფიკაციის ამაღლებაზე სისტემატურად ვერ ზრუნავენ, მაგრამ აღნიშნავენ, რომ ამას პერიოდულად ახერხებენ.
- რა პროფესიებზე გაქვთ ვაკანსიები და რომელი პროფესიის კურსდამთავრებულებს დაასაქმებდით?

როგორც აღმოჩნდა, ყველაზე დიდი მოთხოვნა ისევ მიმტანზე, მზარეულსა და ბარმენზეა. 2013 წელთან შედარებით, 2014 წელს ამ პროფესიებზე მოთხოვნა კიდევ უფრო გაიზარდა. კვლევამ ასევე აჩვენა, რომ დამსაქმებლები სამსახურში აყვანისას, არაფორმალური განათლების მქონე პირებსა და სასწავლებლის კურსდამთავრებულებს შორის უპირატესობას ამ უკანასკნელს ანიჭებენ (დანართი №1 დიაგრამა №24).

- უკანასკნელი ერთი წლის განმავლობაში პროფესიული სასწავლებლების რამდენი ახალი კურსდამთავრებული მიიღეთ სამსახურში?

წლების მიხედვით, ეს მაჩვენებელი შემდეგნაირად გადანაწილდა:



- გთხოვთ მოგვაწოდოთ რეკომენდაციები იმის შესახებ, თუ როგორ შეიძლება გაიზარდოს კურსდამთავრებულთა კონკურენტუნარიანობა თქვენს სფეროში შრომის ბაზარზე (ცვლილებები სასწავლო პროგრამებში, სტაჟირება და ან/პრაქტიკა შესაბამის ორგანიზაციებში და ა.შ).

კვლევის პროცესში დამსაქმებელმა ორგანიზაციებმა გამოკვეთეს რეკომენდაციები, რომელთა გათვალისწინება ძალზე მნიშვნელოვანია პროფესიული სასწავლებლისათვის, რათა სასწავლებლის გამოშვებული კადრი უფრო კონკურენტუნარიანი იყოს შრომის ბაზარზე.

#### დამსაქმებელთა რეკომენდაციები

- ❖ ტექნოლოგიებით და ინოვაციური მიდგომებით სწავლება;
- ❖ პროფესიონალი პრაქტიკოსი პედაგოგები;
- ❖ მჭიდრო კავშირი ორაგანიზაციებთან;
- ❖ უცხო ენების სწავლება;
- ❖ სტაჟირება და წმინდა პროფესიული პრაქტიკის გავლა;
- ❖ კონკურსები;
- ❖ ლექტორების ინტენსიური გადამზადება თანამედროვე სტანდარტების შესაბამისად.

#### საბოლოოდ კვლევის შედეგებმა აჩვენა, რომ:

- კადრების მოძიების ყველაზე ფართოდ გავრცელებული გზაა პირადი კონტაქტები და ნაცნობთა რეკომენდაციები.
- დამსაქმებელთა მხრიდან უცხო ენების ცოდნაზე მოთხოვნა წლების მიხედვით მატულობს; ინგლისურ ენასთან ერთად საკმაოდ მოთხოვნადი გახდა რუსული ენა.
- კომპიუტერული პროგრამების ცოდნის საჭიროება ნაკლებად გამოვლინდა, და მხოლოდ თითოეული პროფესიის საჭიროებიდან გამომდინარე დასახელდა, მირითადად, Word და Excel პროგრამები;
- ზოგადი მოთხოვნები, რომლებსაც კურსდამთავრებულებს დამსაქმებლები უყენებენ, არის: პროფესიონალიზმი, შრომისმოყვარეობა, პასუხისმგებლობის გრძნობა, კომუნიკაციის უნარი;

- პროფესიული კვალიფიკაციის ასათვისებლად, დამსაქმებელთა უმეტესობის აზრით, სხვადასხვა სპეციალობებზე საკმარისია მხოლოდ 6 თვე;
- ყველაზე მოთხოვნადია „მიმტანის“ პროფესია. „მიმტანებს“ არ აქვთ სათანადო თეორიული და პრაქტიკული ცოდნა, უჭირთ სტუმრებთან კომუნიკაცია და არ იციან უცხო ენები.
- დამსაქმებლები არ არიან კმაყოფილი დასაქმებულთა პრაქტიკული უნარ-ჩვევებით, კონკრეტული პროფესიული კვალიფიკაციით.

**დამსაქმებლები ასევე ითხოვენ:**

- ახალი ტექნოლოგიებითა და ინოვაციური მიდგომებით სწავლებას;
- პროფესიონალ პრაქტიკოს პედაგოგებს;
- მჭიდრო კავშირს ორაგანიზაციებთან;
- სტაჟირებას და წმინდა პროფესიული პრაქტიკის გავლას;
- კონკურსებს;
- პედაგოგთა ინტენსიურ გადამზადებას თანამედროვე სტანდარტების მიხედვით.

ყოველივე ზემოთ აღნიშნულიდან გამომდინარე დამსაქმებლების მიერ იდენტიფიცირებული პრობლემები და მოთხოვნები განხილულ იქნა პროფესიული კოლეჯის 60-მდე პედაგოგთან (რომლებიც, ამავდროულად, არიან თბილისში არსებული მსხვილი საწარმოების, სასტუმრო-რესტორნებისა და ტურსააგენტოების წამყვანი მენეჯერები, შეფრთხარეულები და კონდიტერები), სოციალურ პარტნიორებთან (ბარმენთა ასოციაცია, მზარეულთა გილდია, რესტორნებისა და სასტუმროების ასოციაცია) და დარგის ექპერტებთან.

№	ჯგუფი	პედაგოგთა რაოდენობა
1	კონდიტერი III	4
2	მზარეული II	17
3	მზარეული III	2
4	სარესტორნო საქმის მწარმოებელი III	6
5	სასტუმრო საქმის მწარმოებელი III	4
6	სომელიე III	3
7	ბართენდერი III	7
8	გიდი III	3

9	ტუროპერატორი III	4
10	მიღება-განთავსების სპეციალისტი III	10
	სულ	60

კვლევის შედეგების შესაბამისად პროფესიულ კოლეჯ „იკაროსში“ პერმანენტულად იგეგმებოდა და ხორციელდებოდა შემდეგი სახის ცვლილებები:

#### პროგრამების მოდიფიცირება

ვინაიდან დამსაქმებლების მოთხოვნა იყო კურსდამთავრებულთა პრაქტიკული უნარების შეძენა და განვითარება, კვლევის შედეგების ანალიზის საფუძველზე, კოლეჯმა განახორციელა შემდეგი სახის ცვლილება: მოხდა სასწავლო პროგრამების მოდიფიცირება და შედეგად სასწავლო-საწარმოო პრაქტიკის საათები ბევრად აღემატება თეორიული სწავლების საათებს. ასევე სასწავლო პროგრამებს დაემატა საგნები დამსაქმებლის მიერ მოთხოვნილი ცოდნისა და უნარების გათვალისწინებით. წარმოგიდგენთ საგანმანათლებლო პროგრამებში განხორციელებულ ცვლილებებს 2012-15 წწ (დანართი №3 ცხრილი №№3-11).

#### 2012 წელს კვლევების შედეგად განხორციელებული ცვლილებები:

2012 წელს პროგრამა „მზარეულის“ მეორე საფეხურზე მოდიფიცირების საფუძველზე დაემატა საგანი პირველადი სამედიცინო დახმარება, ასევე გაიზარდა საკონტაქტო საათების რაოდენობა შემდეგ საგნებში: ინგლისური ენა, ქართული ნაციონალური სამზარეულო და კერძების მომზადების ტექნოლოგია. პროგრამა „მზარეულის“ მესამე საფეხურზე პროგრამის მოდიფიცირების საფუძველზე საათები დაემატა ორ საგანს: მსოფლიო სამზარეულო და ინგლისური ენა. პროგრამა გიდის მესამე საფეხურზე დამსაქმებლების მხრიდან მოთხოვნის არარსებობის გამო, ამოღებული იქნა შემდეგი საგნები: იტალიური ენა, კონფლიქტების მართვა (კონფლიქტების მართვა შევიდა ეფექტურ კომუნიკაციაში). გაიზარდა საათების რაოდენობა შემდეგ საგნებში: რუსული ენა, სასწავლო პრაქტიკა, საქართველოსა და მსოფლიო ხელოვნების ისტორია, არქიტექტურა და კულტურული მემკვიდრეობა, ეფექტური კომუნიკაცია, ეტიკეტი და მეტყველების კულტურა, ინგლისური ენა. პროგრამა „ტუროპერატორის“ მესამე საფეხურის მოდიფიცირების საფუძველზე მოხდა საგნების ოპტიმიზაცია - პროგრამიდან ამოიღეს იტალიური ენა. სანაცვლოდ, საათების რაოდენობა გაიზარდა შემდეგ საგნებში: ტუროპერეიტინგი, ტურის

დაპროექტება, მარკეტინგის საფუძვლები, ეფექტური კომუნიკაცია, კულტუროლოგია. პროგრამა „კონდიტერის“ მესამე საფეხურზე, მოდიფიცირების საფუძველზე დაემატა - პირველადი სამედიცინო დახმარება. ასევე გაიზარდა საათები შემდეგ საგნებში: ინგლისური ენა, ხარჯთაღრიცხვა და კალკულაცია კვების ობიექტებში, საკონდიტრო ნაწარმის მომზადება და ცხობა, სპეც. ხატვა და ძერწვა. პროგრამა „სასტუმრო საქმის მწარმოებლის“ მესამე საფეხურზე მოდიფიცირების საფუძველზე გაიზარდა საათები შემდეგ საგნებში: სასტუმრო ბუღალტერია, საუზმისა და შვედური მაგიდის მომზადება და მომსახურება. პროგრამა „სარესტორნო საქმის მწარმოებლის“ მესამე საფეხურზე მოდიფიცირების საფუძველზე დაემატა საგანები: პირველადი სამედიცინო დახმარება, სხვადასხავა ღონისძიებების მომსახურება. გაიზარდა საათები შემდეგ საგნებში: ეტიკეტი და მეტყველების კულტურა, კვებისა და სასმელების სერვისი/სერვირების ხელოვნება, ინგლისური ენა. პროგრამა „ბარმენის“ მესამე საფეხურზე მოდიფიცირების საფუძველზე დაემატა საგანები: ფუმელი (ჩილიმის მომზადება), ბარისტა (ყავის მოხატვა), მარტივი და შერეული სასმელების მომზადება.

### **2013 წელს კვლევების შედეგად განხორციელებული ცვლილებები:**

2013 წელს პროგრამა „მზარეულის“ მეორე საფეხურზე მოდიფიცირების საფუძველზე განხორციელდა ცვლილებები შემდეგ საგნებში: „ნაციონალური ქართული სამზარეულო“, „კერძების მომზადების ტექნოლოგია“. პროგრამა „მზარეულის“ მესამე საფეხურზე მოდიფიცირების საფუძველზე გაიზარდა საათები შემდეგ საგანში - მსოფლიო სამზარეულო და დაემატა საგანი - ტურიზმი და სტუმარმასპინძლობა. პროგრამა „გიდის“ მესამე საფეხურზე მოდიფიცირების საფუძველზე დაემატა საგანი - მარკეტინგი და ტურიზმის მენეჯმენტი, გაიზარდა საათები შემდეგ საგნებში: სასწავლო პრაქტიკა, საქართველოს და მსოფლიო ხელოვნების ისტორია, არქიტექტურა და კულტურული მემკვიდრეობა, ინგლისური ენა, რუსული ენა. პროგრამა „ტუროპერატორის“ მესამე საფეხურზე მოდიფიცირების საფუძველზე დაემატა ან გაიზარდა საათები შემდეგ საგნებში: კულტუროლოგია და დაემატა საგანი რუსული ენა. პროგრამა „კონდიტერის“ მესამე საფეხურზე მოდიფიცირების საფუძველზე დაემატა შემდეგი საგნები: ტურიზმი და

სტუმარმასპინძლობა, პურფუნთუშეულის მომზადება და ცხობა, კვებისა და სასმელების სერვისი/სერვირების ხელოვნება, ბანკეტების, წევულებების და ღონისძიებების მომზადება. პროგრამა „ბარმენის“ მესამე საფეხურზე მოდიფიცირების საფუძველზე გაიზარდა საათები შემდეგ საგნებში: ბარისტა (ყავის მოხატვა), მარტივი და შერეული სასმელების მომზადება, ფლეირინგი; დაემატა შემდეგი საგნები: პირველადი სამედიცინო დახმარება, რუსული ენა, ეფექტური კომუნიკაცია. საგანმანათლებლო პროგრამა „სასტუმრო საქმის მწარმოებლის“ მესამე საფეხურზე მოდიფიცირების საფუძველზე დაემატა საგანი რუსული ენა, გაიზარდა საათების რაოდენობა ინგლისურ ენში. პროგრამა „სასტუმრო საქმის მწარმოებლის“ მესამე საფეხურზე დაემატა საგანი რუსული ენა და გაიზარდა საათების რაოდენობა ინგლისურ ენაში. პროგრამა „სარესტორნო საქმის მწარმოებლის“ მესამე საფეხურზე გაიზარდა საათები შემდეგ საგნებში: კვებისა და სასმელების სერვისი/სერვირების ხელოვნება, ინგლისური ენა და დაემატა ახალი საგნები: რესტორნის ორგანიზაცია, ფუნქციონირება და მომხმარებელთა მომსახურება, ტურიზმისა და სტუმარმასპინძლობის შესავალი, ხარჯთაღრიცხვა და კალკულაცია, რუსული ენა. პროგრამა „მიმღები-რეცეფციონისტის“ მესამე საფეხურზე მოდიფიცირების საფუძველზე დაემატა შემდეგი საგნები: რუსული ენა, სასტუმროს რესტორნებისა და კვების ბლოკის მუშაობის სპეციფიკა და ღონისძიებათა მომსახურება.

#### **2014 წელს კვლევების შედეგად განხორციელებული ცვლილებები:**

2014 წელს პროგრამა „კონდიტერის“ მესამე საფეხურზე დაემატა კარვინგი. პროგრამა „გიდის“ მესამე საფეხურზე გაიზარდა საათები ინგლისურ ენაში. პროგრამა „სასტუმრო საქმის მწარმოებლის“ მესამე საფეხურზე საკონტაქტო სათები გაიზარდა შემდეგ საგნებში: მარტივი და შერეული სასმელების მომზადების ტექნოლოგია, ფლეირინგი, რუსული ენა და ეფექტური კომუნიკაცია. პროგრამა „მზარეულის“ მეორე საფეხურზე დაემატა კარვინგი; პროგრამა „სარესტორნო საქმის მწარმოებლის“ მესამე საფეხურზე დაემატა კარვინგი.

#### **2015 წელს კვლევების შედეგად განხორციელებული ცვლილებები:**

2015 წელს პროგრამა „სარესტორნო საქმის მწარმოებლის“ მესამე საფეხურზე დაემატა საგნები შაქრის ფლორისტიკა, საკვები პროდუქტების ტექნოლოგია და


კერძების მომზადების ტექნოლოგია. 2015 წელს პროგრამა „მზარეულის“ მესამე საფეხურზე დაემატა საგანი გერმანული ენა. პროგრამა „კონდიტერის“ მესამე საფეხურზე დაემატა შაქრის ფლორისტიკა და ტორტების ცხობა და დეკორი. პროგრამა „მზარეულის“ მეორე საფეხურზე სწუარდინგი და შაქრის ფლორისტიკა.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ნათლად ჩანს, რომ წლების მიხედვით, სასწავლო პროგრამის შინაარსში არსებითი ცვლილება განხორციელდა 2012 წელს, შემდეგ კი უკვე სასწავლო პროგრამების მოდიფიცირება ხდებოდა.

ვინაიდან დამსაქმებლები ითხოვენ მეტ პრაქტიკულ უნარებს, შესაბამისად, დღევანდელი მდგომარეობით გაზრდილია კოლეჯში პრაქტიკული სწავლების კომპონენტი, რომელიც, ძირითადად, ყველა პროგრამაში აღემატება 60% (დანართი №3; ცხრილი №14).

კვლევის შედეგად ასევე გამოვლინდა, რომ აუცილებელია კოლეჯში სტრუქტურული ერთეულის შექმნა, რომელიც უზრუნველყოფს მუდმივ კავშირს პროფესიულ კოლეჯებსა და დამსაქმებელს შორის. პროფორიენტაციის სისტემის არარსებობა სერიოზულ პრობლემებს უქმნიდა პროფესიული განათლების განვითარებას. აბიტურიენტების გადაწყვეტილება, აირჩიოს ესა თუ ის პროფესია/სპეციალობა, ხშირ შემთხვევაში გაუაზრებელია და არ ეფუძნება არც პროფესიონალის რჩევასა და კონსულტაციას და არც შრომის ბაზრისა და დასაქმების პერსპექტივების კვლევას. შესაბამისად, 2014 წლის თებერვლიდან პროფესიული კოლეჯის საშტატო განრიგს დაემატა სასწავლო-საწარმოო პრაქტიკის მენეჯერი, რამაც დადებითად იმოქმედა დაწესებულების სწავლება-დასაქმების შედეგებზე. სასწავლო-საწარმოო პრაქტიკის მენეჯერის, ასევე პროფორიენტაციისა და კარიერის დაგეგმვის მენეჯერის აქტიური მუშაობით შემდეგ სამიზნე ჯგუფებთან - უმაღლესი სასწავლებლები, ზოგადსაგანმანათლებლო სკოლები, სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებისა და შეზღუდული შასაძლებლობის მქონე პირები, ოჯახის მზრუნველობას მოკლებული ბავშვები, დამსაქმებლები ა. შ. - გაიზარდა სტუდენტების და პრაქტიკის ობიექტების რაოდენობა და, შესაბამისად, დასაქმების მაჩვენებელი.

წარმოგიდგენთ საწარმოო პრაქტიკის მემორანდუმების რაოდენობას წლების მიხედვით:



პროფესიული კოლეჯის სასწავლო პროგრამების შეცვლამ განაპირობა ადამიანური რესურსის განახლებისა და ძველი კადრების გადამზადების საჭიროება:

შესაბამისად, დასახული ამოცანების შესასრულებლად დაიქირავეს ახალი პედაგოგები, ხოლო არსებული კადრები გადაამზადეს მოწვეული უცხოელი ექსპერტების მეშვეობით (rsum, giz). შედეგად პედაგოგთა რაოდენობა გაიზარდა 36-დან 65-მდე, რამაც ასევე არსებითი გავლენა იქონია სტუდენტთა ცოდნის დონეზე. ამ და სხვა ზემოთ აღნიშნულმა ცვლილებებმა გამოიწვია მისაღები კონტიგენტის ზრდა.

2013-15 წლებში ა(ა)იპ პროფესიული კოლეჯი „იკაროსის“ სტუდენტთა რეგისტრაციისა და ჩარიცხვების მონაცემებზე დაყრდნობით (დანართი №3, ცხრილი №12), შეგვიძლია დავასკვნათ, რომ ყველაზე მოთხოვნადი პროფესია, როგორც დამსაქმებლების, ისე აპლიკანტების მხრიდან, არის „მზარეული“. რაც შეეხება „ტუროპერატორს“, მოთხოვნა რეგისტრანტთა მხრიდან ძალიან მაღალი იყო, მაგრამ დამსაქმებელთა მხრიდან - ძალიან დაბალი; ეს ფაქტი შეიძლება გამოწვეული იყოს იმით, რომ ტურისტული სააგენტოები, ძირითადად, მცირე ზომის საწარმოს წარმოადგენს, რომელსაც არ სჭირდება ბევრი კადრი, რეგიონებში კი ტურსააგენტოები მცირე რაოდენობით, ან საერთოდ არ გვხვდება. სწორედ ეს გახდა მიზეზი იმისა, რომ პროფესიულ კოლეჯში, წლის განმავლობაში ამ პროფესიებზე მიღება მხოლოდ ერთხელ ცხადდება. რაც შეეხება პროფესია „სარესტორნო საქმის მწარმოებელს“, აქ შედეგი საპირისპიროა. დამსაქმებელთა მხრიდან მოთხოვნა დიდია, ხოლო აპლიკანტთა მრიდან პირიქით, ნაკლები. შესაბამისად, თითოეულ

სპეციალობაზე      მისაღები      კონტიგენტის      რაოდენობა      სწორედ      ბაზრის  
მოთხოვნილების შესბამისად იგეგმება.

კვლევის შედეგებმა გვაჩვენა, რომ აუცილებელია საკვალიფიკაციო ჩარჩოსა და  
პროფესიულ სტანდარტში ცვლილებების შეტანა, რის შესახებაც პროფესიული  
კოლეჯის ხელმძღვანელობამ შუამდგომლობა აღმრა განათლების სამინისტროს  
წინაშე და ეს ცვლილება ნაწილობრივ განხორციელდა კიდეც.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ სარესტორნო საქმის მწარმოებელის სტანდარტი და,  
შესაბამისად, პროგრამა სტუდენტს აძლევს შუალედურ კვალიფიკაციას მიმტანსა  
(112057 მიმტანი) და რესტორნის სერვის მენეჯერს (112066 - რესტორნის  
სერვისმენეჯერი) (საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრი, 2010,  
№120/6) შორის; ბაზრის მხრიდან მოთხოვნა არის მიმტანის პროფესიაზე, თუმცა ამ  
პროფესიის სტანდარტი არ არსებობს, სტუდენტთა მხრიდან კი, პირიქით -  
მოთხოვნადია რესტორნის სერვის მენეჯერი, რომელიც დაწესებულების მხრიდან  
დასაბუთებული (აღნიშნული კვლევის შედეგად) მოთხოვნის საფუძველზე 2015  
წელს შევიდა საკვალიფიკაციო ჩარჩოში, როგორც ახალი კვალიფიკაცია.

#### **დაწესებულებას ასევე დაემატა ახალი პროგრამა:**

2015 წელს ჩატარებული კვლევის თანახმად, შრომის ბაზარზე გამოიკვეთა  
მოთხოვნა კონსულტანტ-გამყიდველის პროფესიაზე. შესაბამისად, კოლეჯმა გაიარა  
ავტორიზაცია ზემოაღნიშნულ პროგრამაზე და დაიწყო მისი განხორციელება. 2016  
წელს დაიწყო აქტიური მუშაობა მოდულარულ-პროფესიული პროგრამის  
„რესტორნის სერვის მენეჯერის“ დამატებასთან დაკავშირებით.

#### **პროფესიული კოლეჯის მიერ განხორციელებული აქტივობების შედეგები:**

##### **გაიზარდა სწავლის მსურველთა რაოდენობა**

2014 წელს, 2013 წელთან შედარებით, სწავლის მსურველთა მხრიდან მოხდა  
არსებითი ცვლილება და თავისუფალი ადგილები მკვეთრად შემცირდა (82%-ით  
შემცირდა). ადგილების რაოდენობა არ შეივსო მხოლოდ ერთ - გიდის პროფესიაზე.  
მაგალითად, ა) პროფესია „მზარეული“ როგორც აპლიკანტთა, ისე დამსაქმებელთა  
მხრიდან ყველაზე მოთხოვნადი სპეციალობაა; ბ) პროფესია „სარესტორნო საქმის


მწარმოებელი“ დამსაქმებლების მხრიდან ყველაზე მეტად მოთხოვნადი პროფესიაა, ბაზარი განიცდის აღნიშნული სპეციალობის ადამიანური რესურსის დეფიციტს.


2015 წელს ა(ა)იპ პროფესიულ კოლეჯ „იკაროსში“ აშკარაა თავისუფალი ადგილების კლების დინამიკა (63 ერთეულიდან 1 ერთეულამდე შემცირდა), შესაბამისად, პროგრამების სწორად მოდიფიცირების საფუძველზე თითქმის ყველა პროფესიულ პროგრამაში თანხვედრა და უფრო მეტიც, კონკურსი გამოიკვეთა სასწავლებლის მიერ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ყველა საფეხურზე განსაზღვრულ ადგილების რაოდენობასა და კოლეჯში სწავლის მსურველ აპლიკანტთა შორის. (დანართი №3, ცხრილი №13).

#### **გაიზარდა კურსდამთავრებულთა დასაქმების მაჩვენებელი**

წლების განმვლობაში შრომის ბაზრის კვლევის შედეგად პროფესიულ პროგრამებზე განხორციელებულმა მოდიფიცირებებმა; პრაქტიკის და ამავდროულად შესაძლო დასაქმების ობიექტების ზრდამ და პროფორიენტაციის სამსახურის გაძლიერებამ გამოიწვია დასაქმების მაჩვენებლის არსებითი ცვლილება (ზრდა).

2013-15 წლების მიხედვით დიაგრამაზე კარგად ჩანს კოლეჯის „იკაროსი“ კურსდამთავრებულთა დასაქმების მაჩვენებლის ზრდა.





პროფესიული კოლეჯის რეიტინგის ზრდა პროფესიული განათლების მიღების მსურველთათვის.


სტატისტიკური მაჩვენებლის მიხედვით, „იკაროსში“ 2012-15 წლებში განხორციელებულმა ცვლილებებმა განაპირობა პროფესიული კოლეჯის რეიტინგის ზრდა პროფესიული განათლების მიღების მსურველთა მხრიდან.

აღნიშნული მიდგომის დანერგვამდე, პროფესიული კოლეჯი „იკაროსი“ მის მიერ განხორციელებულ პროგრამებზე სწავლის მსურველთა მიხედვით, მეექვსე ადგილზე იყო (2013 წელი). მომდევნო, 2014 წელს იკაროსმა სწავლის მსურველთა რაოდენობის მიხედვით საქართველოში მეორე ადგილზე გადაინაცვლა (აქვე უნდა გავითვალისწინოთ ის ფაქტორი, რომ პროფესიული კოლეჯი მხოლოდ 10 საგანმანათლებლო პროგრამას ახორციელებს, ხოლო მის წინ მდგომი დაწესებულება, საშუალოდ, 40 საგანმანათლებლო პროგრამას). 2015 წლის საშემოდგომო მიღებაზე კი, პროფესიული კოლეჯი „იკაროსი“ ამ მაჩვენებლით პირველ ადგილს იკავებს. როგორც ვხედავთ, შედეგი საკმაოდ ეფექტურია.


## კურსდამთავრებულთა მიღების მაჩვენებელი

2013 წლის საშემოდგომო მიღება


(შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრი, 2015)




## 2014 წლის საშემოდგომო მიღება




## 2015 წლის საშემოდგომო მიღება




## 2014 წლის საგაზაფხულო მიღება



## 2015 წლის საგაზაფხულო მიღება




აქვე მინდა წარმოგიდგინოთ 2016 წლის გაზაფხულის მიღებაზე პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე დარეგისტრირებულ აპლიკანტთა რაოდენობები, პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განმახორციელებელი დაწესებულებების მიხედვით, სადაც პროფესიული კოლეჯი „იკაროსი“ ისევ ლიდერობს რეგისტრირებულ აპლიკანტთა მაჩვენებლების მიხედვით.



## პროფესიული კოლეჯი „ივაროსის“ საგაზაფხულო მიღების რეგისტრაცია

რაოდენობა 2014-2015-2016 წლებში



ვფიქრობ, მართლაც შთამბეჭდავია სწავლის მსურველთა რაოდენობის მკვეთრი ზრდა (66%) 2016 წლის საგაზაფხულო მიღებისათვის.

როგორც აღინიშნა, პროფესიული პროგრამების მომზადება/მოდიფიცირება უნდა ხორციელდებოდეს დამსაქმებელთა რეკომენდაციების გათვალისწინებით, დამსაქმებლის უშუალო მონაწილეობით. დამსაქმებლის მოთხოვნათა გათვალისწინებით პროგრამების შექმნა და მოდიფიცირება უშუალოდ აისახა აღნიშნული სასწავლებლის კურსდამთავრებულთა დასაქმების მაღალ მაჩვენებელზე. ეს კი ერთ-ერთი ძირითადი ფაქტორია, რამაც უფრო მეტად განაპირობა პროფესიული კოლეჯის ცნობადობის გაზრდა და მაღალი რეიტინგი. ზემოთ მოცემული დიაგრამები წაშრომში წარმოდგენილი მეთოდებისა და მიდგომების ეფექტიანობის ნათელი დასტურია.

პროგრამების მომზადება და მოდიფიცირება დამსაქმებლების მოთხოვნების კვლევისა და ანალიზის შესაბამისად (რომელიც შემდეგ პედაგოგებთან, ექსპერტებთან და სოციალურ პარტნიორებთან განხილვის შედეგად საგანმანათლებლო პროგრამაში შესაბამის საგნებად და საათებად იქცევა), პროექტის სახით შეთავაზებულ იქნა ათასწლეულის გამოწვევის ფონდის პროფესიული განათლება ეკონომიკის განვითარებისთვის საგრანტო კონკურსი „პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების პრაქტიკის გაუმჯობესება მცირე საგრანტო პროგრამა“. აღნიშნული პროექტი გამარჯვებულთა სიაში მოხვდა სწორედ თემის აქტუალობიდან გამომდინარე, რომლის ძირითად მიზანს წარმოადგენდა

ადგილობრივი შრომის ბაზრის როლის განსაზღვრა პროფესიული განათლების დაგეგმვასა და განვითარებაში (კერძოდ: სასწავლო პროცესი და პროგრამები). პროექტის ფარგლებში გაიმართა დამსაქმებელთა ფორუმი ტურიზმის განვითარების ხელშეწყობისთვის. ფორუმს ესწრებოდნენ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრი, მინისტრის მოადგილე, ასევე სხვადასხვა სახელწიფო უწყებების ხელმძღვანელები, საერთაშორისო ორგანიზაციებისა და კერძო სექტორის წარმომადგენლები, დამსაქმებლები და ა.შ. ამას გარდა, 2017 წლის 7 დეკემბერს ათასწლეულის გამოწვევის ფონდმა, „პროფესიული განათლება ეკონომიკის განვითარებისთვის“ პროექტის ფარგლებში, პროფესიული განათლების სექტორში ინდუსტრიის მონაწილეობის ხელშეწყობის საგრანტო კონკურსის II რაუნდი გამოაცხადა, რომლის ფარგლებშიც შედგა პირველ რაუნდში დაფინანსებული პროექტების, მათ შორის, ზემოთ ხსენებული გამარჯვებული პროექტის პრეზენტაცია. აღნიშნულ საკითხის თაობაზე გაიმართა კონსულტაციები განათლების ხარისხის ეროვნულ ცენტრთან.

2016 წლის 2 ნოემბერს განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის №1095 ბრძანებით შევიდა ცვლილება სსიპ-განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2016 წლის 4 აგვისტოს №733 ბრძანებაში „პროფესიული სტანდარტის, საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტის და მოდულის შემუშავების წესის დამტკიცების შესახებ“, რომლის მიხედვითაც ჩარჩო დოკუმენტის (საგანმანათლებლო პროგრამის) შემუშავება/გადამუშავებაში ინიცირების უფლება ეძღვა პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების უფლების მქონე საგანმანათლებლო დაწესებულებას, რომელიც უნდა ეყრდნობოდეს ბოლო ექვსი თვის განმავლობაში ჩატარებულ ბაზრის მოთხოვნის რაოდენობრივ და თვისებრივ კვლევას.

მიუხედავად იმისა, რომ დამსაქმებელი არის ერთ-ერთი ძირითადი რგოლი პროფესიული სწავლების მუდმივ ციკლში, მალიან დიდი მნიშვნელობა აქვს თავად პროფესიული კოლეჯის კურსდამთავრებულის დამოკიდებულებას იმ სასწავლებლის მიმართ, სადაც მიიღო პროფესიული განათლება. პროფესიული კოლეჯის კურსდამთავრებულთა კვლევა გახლავთ რეტროსპექტული ხედვა

პროფესიულ პროგრამების კურსდამთავრებულთა ირგვლივ განვითარებული მოვლენების შესახებ და ასევე, რაც ყველაზე საგულისხმოა, შედეგების შეფასების ინსტრუმენტი, რომელიც მოიცავს იმ მნიშვნელოვანი და გრძელვადიანი ცვლილებების (პოზიტიური ან ნეგატიური, დაგეგმილი ან დაუგეგმავი) სისტემატურ ანალიზს, რომლებიც აისახა კურსდამთავრებულთა კარიერაზე. კურსდამთავრებულთა კვლევა (Tracer Study) საუკეთესო საშუალებაა სწავლების გრძელვადიანი შედეგების გაზომვის, შეფასებისა და აღწერისათვის. კვლევა გვაძლევს ინფორმაციას, თუ როგორ წარიმართა კურსდამთავრებულთა შემდგომი საქმიანობა მათი ცხოვრების სხვადასხვა ეტაპზე (განათლება, დასაქმება).

ჩვენ მიერ ჩატარებული კურსდამთავრებულთა კვლევის ობიექტი იყო ა(ა)იპ პროფესიული კოლეჯი „იკაროსი“ და, სახელდობრ, მისი 2015 წლის კურსდამთავრებულები, რომლებიც რეგისტრირებული არიან სასწავლებელში მონაცემთა ბაზაში. ინტერვიუს უძღვებოდნენ სასწავლებლის თანამშრომლები, რომლებსაც საგანგებოდ ჩაუტარდათ ტრენინგი.

#### **კურსდამთავრებულთა კვლევის მიზნებია:**

- მოხდეს იმ ცვლილებების დოკუმენტირება, რომლებიც სწავლის დასრულების შემდგომ აისახა ბენეფიციართა კარიერაზე;
- განისაზღვროს, შეუწყო თუ არა ხელი პროფესიულ სასწავლებელში მიღებულმა ცოდნამ და უნარებმა კურსდამთავრებულების პროფესიულ საქმიანობასა და დასაქმებას;
- რა ცვლილებები უნდა განხორციელდეს სასწავლო პროგრამებში მათი აზრით, რომ შრომის ბაზარზე კურსდამთავრებულთა მოთხოვნა გაიზარდოს?

#### **კურსდამთავრებულთა კვლევის ამოცანები იყო:**

- კურსდამთავრებულთა სწავლის შემდგომ საქმიანობასთან (დასაქმება/თვითდასაქმება და სწავლის გაგრძელება) დაკავშირებით პერსონალური ინფორმაციის შეგროვება;
- პროფორიენტაციის შედეგი კურსდამთავრებულის მომავალი საქმიანობის განსაზღვრისათვის;

- სწავლის გაგრძელების შემთხვევაში კავშირი მიღებულ პროფესიულ კვალიფიკაციასთან(გააგრძელა თუ არა სწავლა მიღებული კვალიფიკაციის მაღალ საფეხურზე);
- სწავლის დასრულების შემდგომ დასაქმების შესახებ ინფორმაციის მიღება (კავშირი მინიჭებულ კვალიფიკაციასთან, სამუშაო პირობები, ანაზღაურება და დასაქმებით კმაყოფილება, სამუშაოს სტაბილურობა, სამსახურიდან წამოსვლის მიზეზი);
- იმ ფაქტორების იდენტიფიცირება, რომლებმაც განაპირობა ცვლილებები (დასაქმება/თვითდასაქმება და სწავლის გაგრძელება);
- კურსდამთავრებულთა გენდერული და ასაკობრივი განაწილება კურსდამთავრებულთა კვლევა ეფუძნება სტანდარტიზებულ კითხვარს; გამოკითხვა ჩატარდა პირისპირ ინტერვიუს (face to face) მეთოდით (ჩავაფრანკფორტ ნაჩიმიასი, 2009).

გამოკითხვის დროს დაცული იქნა შემდეგი პირობები:

- ა) შეიქმნა კითხვარი და მოხდა მისი წინასწარი ტესტირება;
- ბ) განისაზღვრა გამოსაკითხ პირთა რაოდენობა და მათი შერჩევის მეთოდი;
- გ) შეირჩა გამოსაკითხი პირები და ჩატარდა გამოკითხვა.

კვლევა ჩატარდა 150 კურსდამთავრებულთან, ანკეტირების მეთოდით.

გამოიკითხა შემდეგი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების კურსდამთავრებულები:

- მზარეულის II საფეხურის 62 კურსდამთავრებული;
- მზარეულის III საფეხურის 7 კურსდამთავრებული;
- კონდიტერის III საფეხურის 17 კურსდამთავრებული;
- სასტუმრო საქმის მწარმოებლის III საფეხურის 7 კურსდამთავრებული;
- მიღება-განთავსების III საფეხურის 10 კურსდამთავრებული;
- ტუროპერატორის III საფეხურის 8 კურსდამთავრებული;
- გიდის III საფეხურის 16 კურსდამთავრებული;
- სომელიეს III საფეხურის 7 კურსდამთავრებული;
- ბარმენის III საფეხურის 4 კურსდამთავრებული;

- სარესტორნო საქმის მწარმოებლის III საფეხურის 12 კურსდამთავრებული.
  - კითხვარი მოიცავს შემდეგი სახის ინფორმაციას:
    - რამდენად კმაყოფილი არიან პროფესიული კოლეჯში მიღებული პროფესიული განათლებით;
    - ასაკი, სქესი, ამჟამინდელი საქმიანობა;
    - რამდენად კმაყოფილი არიან:
  - პროფესიული კოლეჯში მიღებული პროფესიით, თეორიული ცოდნით, პრაქტიკული-უნარ ჩვევებით, პროფესიული კოლეჯის მხრიდან დასაქმებაზე ზრუნვით, სწავლების მეთოდებით; პრაქტიკული მეცადინეობებით, სასწავლო პროცესის ორგანიზებულობით.
  - რამდენად უზრუნველყო პროფესიული კოლეჯმა პირადად მათთვის ქვემოთ ჩამოთვლილ დისციპლინებში ცოდნის მიცემა და უნარების განვითარება, კერძოდ:
  - კომუნიკაციის უნარი, საქმის წარმოების ორგანიზების უნარი, გუნდური მუშაობის უნარი, პრობლემურ სიტუაციაში სწორი მოქმედების უნარი, მათემატიკური უნარები, კომპიუტერული პროგრამების ცოდნა, გამართული მეტყველების უნარი, უცხო ენის ცოდნა, პრაქტიკული უნარები, თეორიული ცოდნა;
  - ისწავლეს თუ არა კოლეჯში სწავლის პერიოდში რაიმე ისეთი, რაც, მათი აზრით, არ სჭირდებოდათ;
  - იყო თუ არა პროფესიული კოლეჯში სწავლის პერიოდში რაიმე ისეთი, რაც არ გაუვლიათ, მაგრამ ჭირდებათ;
  - რა მიზეზით თქვეს უარი მუშაობაზე;
  - კვლევის შედეგად მიღებული მონაცემები გაანალიზებულ იქნა „MS excel“-ის პროგრამაში და საბოლოო ცხრილები - „MS WORD<sup>TM</sup>“;
- თითოეული შეკითხვა ფასდებოდა 10-ბალიანი სკალით.
- კვლევის მთავარი შედეგების აღწერა:**
- გამოკითხულ კურსდამთავრებულთა 83% 10-8 ქულით აფასებს მათ მიერ არჩეულ პროფესიული პროგრამას, 82% კი გამოხატავს კმაყოფილებას პროფესიული სასწავლებლის მიმართ;
  - გამოკითხულ კურსდამთავრებულთა 59% დასაქმებულია;

- დასაქმებულ კურსდამთავრებულთა 35% აღნიშნავს, რომ მათი საქმიანობა სრულად ან ნაწილობრივ დაკავშირებულია პროფესიულ სასწავლებელში მიღებულ პროფესიასთან;
- გამოკითხულ კურსდამთავრებულთა 32%-მა სწავლა გააგრძელა პროფესიულ საგანმანათლებლო დაწესებულებაში, უმაღლეს სასწავლო დაწესებულებაში ან სკოლაში.
- გამოკითხულ კურსდამთავრებულთა ნახევარზე მეტი (53%) მამრობითი სქესის რესპონდენტია;

**შეჯამება** - კვლევამ მოიცვა ა(ა)იპ პროფესიული კოლეჯის „იკაროსი“ კურსდამთავრებულები. კვლევაში მონაწილეობა მიიღო პროფესიული სასწავლებლის პროგრამების 2015 სასწავლო წლის 150 კურსდამთავრებულმა, რომელთაგან მამრობითი სქესის რესპონდენტი იყო 53%, ხოლო, მდედრობითი -47%. პროფესიული პროგრამების კურსდამთავრებულთა ასაკი 20-34 შუალედშია, უმეტეს შემთხვევაში ასაკი კი მერყეობს შუალედში 20-24.

ასაკი	კურსდამთავრებულთა რაოდენობა	%
<20	18	12%
20-24	40	27%
25-29	32	21%
30-34	33	22%
35-39	13	9%
40-44	9	6%
45-49	4	3%
50-54	1	1%

შეკითხვაზე, თუ რა საქმიანობას ეწეოდნენ გამოკითხვის პერიოდში; იყვენენ თუ არა დასაქმებული, 24% უპასუხა, რომ მუშაობდა, მაგრამ არა კოლეჯში მიღებული პროფესიით, 36% მუშაობდა კოლეჯში მიღებული პროფესიით, 21%-სწავლობდა პროფესიულ სასწავლებლებში, 11% სწავლობს უმაღლეს სასწავლებელში, 7% იყო სტაჟიორი და 1%-ს აქვს საკუთარი ბიზნესი.

აღსანიშნავია, რომ გამოკითხულთა უმეტესობა, 125 (83%) რესპონდენტი, მათ მიერ არჩეული პროფესიული პროგრამით კმაყოფილია. 57% -მა მაქსიმალური ქულით შეაფასა კოლეჯში მიღებული პროფესიული განათლება;

კურსდამთავრებულთა რაოდენობა	150	საშუალო არითმეტიკული ქულა	8.6733
--------------------------------	-----	------------------------------	--------

ასევე, გამოკითხულთა უმეტესობამ, 138 (92,2%) რესპონდენტმა, პროფესიული სასწავლებლის მიმართ კმაყოფილება გამოხატა.

კურსდამთავრებულთა რაოდენობა	150	საშუალო არითმეტიკული ქულა	9.34
--------------------------------	-----	------------------------------	------

ასევე შევისწავლეთ რამდენად კმაყოფილი არიან კურსდამთავრებულები პროფესიული განათლების მიღებასთან დაკავშირებული სხვადასხვა ასპექტით. საკუთარ დამოკიდებულებას თითოეული მათგანი ათბალიანი სისტემით აფასებდა. სწავლის დასახელებული ასპექტის კმაყოფილების ხარისხს ისინი 10-ით, ანუ უმაღლეს შეფასებით ან მასთან მიახლოებული ქულით გამოხატავენ და პირიქით. შედეგებზე დაყრდნობით, შეგვიძლია ვთქვათ, რომ კურსდამთავრებულთა კმაყოფილების მაჩვენებელი, განათლების მიღებასთან დაკავშირებულ სხვასახვა ასპექტთან მიმართებაში, საკმაოდ მაღალია: საშუალო მაჩვენებელი, უმეტეს შემთხვევაში, 10-თან ახლოსაა. როგორც შედეგებმა აჩვენა, ისინი კოლეჯში მიღებული ცოდნითა და უნარებით ყველაზე მეტად არიან კმაყოფილი. რაც შეეხება სტუდენტთა დამოკიდებულებას პროფესიული განათლების სხვადასხვა ასპექტების მიმართ, მათი კმაყოფილება ასე გამოიხატება:

**რამდენად კმაყოფილი ხართ კოლეჯში მიღებული თეორიული ცოდნით?**

კურსდამთავრებულთა რაოდენობა	150	საშუალო არითმეტიკული ქულა	9.053
--------------------------------	-----	------------------------------	-------

ნათლად ჩანს, რომ გამოკითხულ კურსდამთავრებულთა უმეტესობა მაქსიმალური ქულით აფასებს კოლეჯში მიღებულ თეორიულ ცოდნას. როგორც ცხრილში ჩანს,

მათი მხოლოდ მცირე რაოდენობა (პროცენტი) აფასებს უარყოფითად კოლეჯში მიღებულ თეორიულ ცოდნას.

**რამდენად კმაყოფილი ხართ კოლეჯში მიღებული პრაქტიკული უნარ-ჩვევებით?**

კურსდამთავრებულთა რაოდენობა 150	საშუალო არითმეტიკული ქულა 9.253333
---------------------------------------	--

გამოიკვეთა, რომ კურსდამთავრებულების 62% მაქსიმალური ქულით აფასებს კოლეჯში მიღებულ უნარ-ჩვევებს.

**რამდენად კმაყოფილი ხართ სწავლების მეთოდებით?**

კურსდამთავრებულთა რაოდენობა 150	საშუალო არითმეტიკული ქულა 9.12
---------------------------------------	--------------------------------------

გამოკითხულთა 79% მაქსიმალური ქულებით შეაფასა სწავლების მეთოდები და მხოლოდ 1% - მინიმალური ქულით.

შეკითხვას, რამდენად კმაყოფილი ხართ პრაქტიკული მეცადინეობით? გამოკითხულთა 63% მაქსიმალური ქულით უპასუხა; პრაქტიკული მეცადინეობა მინიმალური ქულით არც ერთ რესპონდენტს არ შეუფასებია.

კურსდამთავრებულთა რაოდენობა 150	საშუალო არითმეტიკული ქულა 9.306667
---------------------------------------	--

რაც შეეხება ინფორმაციას, რამდენად უზრუნველყო კოლეჯმა კურსდამთავრებულების ცოდნა და უნარების განვითარება, პასუხები შემდეგნაირად გადანაწილდა.

№		ქვერა										საშუალო არითმეტიკული ული
		10	9	8	7	6	5	4	3	2	1	
1	კომუნიკაციის უნარი	58%	17%	11%	9%	3%	1%	0%	0%	0%	0%	9.13
2	საქმის წარმოებისა და ორგანიზების უნარი	58%	18%	12%	7%	2%	2%	1%	0%	0%	0%	9.14
3	გუნდური მუშაობის უნარი	63%	17%	10%	5%	3%	1%	1%	1%	0%	0%	9.21
4	პრობლემური სიტუაციაში სწორი მოქმედების უნარი	56%	17%	16%	7%	2%	1%	1%	0%	0%	0%	9.11

5	მათემატიკური უნარები	47%	16%	17%	10%	3%	5%	0%	1%	0%	0%	8.71
6	კომპიუტერული პროგრამების ცოდნა	48%	15%	19%	6%	5%	3%	3%	1%	0%	1%	8.68
7	გამართული მუზეულების უნარი	63%	17%	12%	3%	1%	2%	1%	0%	0%	1%	9.16
8	უცხო ენის ცოდნა	56%	16%	11%	5%	6%	4%	0%	0%	1%	0%	8.91
9	პრაქტიკული უნარები	60%	19%	8%	6%	3%	3%	1%	0%	0%	0%	9.12
10	თეორიული ცოდნა	55%	19%	18%	5%	1%	1%	0%	0%	0%	0%	9.17

პროფესიული სასწავლებლის დამთავრების შემდეგ ხშირია სამსახურის შეცვლის ან თავის დანებების ფაქტი. თუ რა არის ამის მიზეზი 48 გამოკითხულმა ხელფასის სიმცირე დაასახელა, 38-ს მიაჩნია, რომ სამუშაო გრაფიკი შეუსაბამოა, ხოლო 6-მა უპასუხა, რომ დამსაქმებელთა მოთხოვნები აღემატებოდა მის პროფესიულ განათლებას. „მიჭირს პასუხის გაცემა“ აღნიშნა 39-მა რესპონდენტმა და პასუხი „სხვა“ კი - 19-მა.

მიზეზები, რომელთა გამოც დამსაქმებლებისათვის რთულია საჭირო პროფესიისა და კვალიფიკაციის კადრების მოძიება, ობიექტური და სუბიექტური ხასიათისაა. ობიექტურ მიზეზებს მიეკუთვნება ის გარემოება, რომ გარკვეულ პროფესიებში მომზადება რეგიონებსა და ქვეყანაში არ ხდება ან პროფესიული მომზადების დონე საკმაოდ დაბალია. სუბიექტურ მიზეზებს მიეკუთვნება გარემოებები, როცა დასაქმების მაძიებელ პირებს არ სურთ კონკრეტულ რეგიონში ან/და შემოთავაზებულ ხელფასსა თუ პირობებზე მუშაობა. ასახელებენ ასევე დამსაქმებელთა მხრიდან საგრძნობლად გაზრდილ მოთხოვნებს კანდიდატურების მიმართ.

აღსანიშნავია, რომ ყველა სპეციალობის კურსდამთავრებულთა 21% სწავლას პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე აგრძელებს, 11% კი - უმაღლეს სასწავლო დაწესებულებებში.

**დამატებითი უნარები და კომპეტენციები,** რომელთა სწავლაც სასურველი იქნებოდა: გამოკითხვის ფარგლებში, კურსდამთავრებულებმა კითხვაზე: იყო თუ არა კოლეჯში სწავლის პერიოდში რაიმე, რაც არ ისწავლე, მაგრამ გჭირდებოდა? შემდეგნაირად უპასუხეს:

**პროგრამა ტუროპერატორი:**

1. ამადეუსის პროგრამა;

**პროგრამა გიდი:**

1. ტუროპერირება;
2. საქართველოს ისტორია.

**პროგრამა კონდიტერი:**

1. ტორტების მორთვა;
2. კარამელით ფიგურების შექმნა;
3. შოკოლადის დეკორზე მეტი პრაქტიკა;
4. შაქრის ფლორისტიკა;
5. ჟელეს მომზადება;
6. 3D (საკონდიტრო ნაწარმის მორთვა/დეკორი).

**პროგრამა მზარეული:**

1. რძის პროდუქტების გამოყვანა, მაგალითად, ყველის გაკეთება (ამოყვანა) და ა.შ;
2. მოლეკულური სამზარეულო;
3. მუშაობა სტრესულ სიტუაციებში.

**პროგრამა სარესტორნო საქმის მწარმოებელი:**

1. მეტი პრაქტიკული მეცადინეობა სერვირებაში;
2. ობიექტის ორგანიზება და მარკეტინგი.

**პროგრამა სომელი:**

1. სომელის ხელოვნება.

2015 წელს გამოკითხულ კურსდამთავრებულთა მოსაზრებები და სურვილები სასწავლო პროგრამის გაუმჯობესებასთან დაკავშირებით შევადარეთ დამსაქმებელთა კვლევას. შედეგებმა აჩვენა, რომ, ძირთადად, პროგრამებში ცვლილებების განხორციელების მოთხოვნა იდენტურია (ამ მხრივ, დამსაქმებლისა და კურსდამთავრებულთა მოსაზრებები ემთხვევა). შესაბამისად, აისახა კიდევ 2015 წლის სასწავლო პროგრამებზე.

## დასკვნა

- პროფესიულ განათლებას საქართველოში დიდი და მდიდარი ისტორია აქვს. ქართველ ხალხს განვლილი საუკუნეების ნებისმიერ ეტაპზე გააზრებული ჰქონდა ცოდნისა და მისი პრაქტიკაში გამოყენების, კერძო მეწარმეების ჩაბმულობით პროცესების დაგეგმვის მნიშვნელობა, მეცნიერებისა და თანამდროვე ტექნოლოგიების დანერგვის აუცილებლობა და, რაც მთავარია, ზოგადად განათლებაში მთავარი მოქმედი გმირის, მასწავლებლის როლი ქვეყნის განვითარებასა და წინსვლაში. შესაბამისად, ნათელია, რომ მომავლის დაგეგმვისას არ უნდა დაგვავიწყდეს ქვეყნის წარსული, მით უმეტეს, რომ ჩვენი ქვეყნის ისტორიული ხედვა ევროპული ხედვისა და მიდგომების იდენტურია, რაც არაერთხელ დადასტურდა წინამდებარე თავებში საქართველოს პროფესიული განათლების ისტორიული წარსულის მიმოხილვისას.
- საქართველოსათვის პროფესიული განათლების ევროპულ სივრცეში ინტეგრაცია ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ამოცანაა. დღეს ამ მიმართულებით ჩვენს ქვეყანაში არსებული პროფესიული სასწავლებლები პირველ ნაბიჯებს დგამენ. საქართველომ უნდა შეძლოს კონკურენტუნარიანი, მაღალკვალიფიციური კადრების მომზადება, რომლებიც ამ ეტაპზე ადგილობრივ ბაზარზე შეძლებენ დასაქმებას. ამ მიზნის მისაღწევად საქართველოს პროფესიული განათლების სისტემაში თანამედროვე ევროპული მიმართულებისა და პრიორიტეტების გათვალისწინება და ასახვაა საჭირო.
- აღნიშნული კვლევების საფუძველზე შეგვიძლია დავასკვნათ თუ რამდენად მნიშვნელოვანია ის, რომ პროფესიული განათლების პოლიტიკის შემუშავების პროცესში ჩვენც ისევე სისტემატურად გამოვიყენოთ კვლევები, როგორც ამას ევროპის ზემოთ ჩამოთვლილი რამდენიმე ქვეყანა აკეთებს. მიუხედავად იმისა, რომ ზოგიერთ ქვეყანაში პროფესიული სწავლების განვითარებისა და გაუმჯობესებისთვის საკმარისი არ არის ინსტიტუციური მექანიზმები, ქვეყნების უმეტესობამ პროფესიული პროგრამები განსაზღვრეს, როგორც განვითარების გრძელვადიანი სტრატეგიის ძირითადი კომპონენტი.
- ნიშანდობლივია ავღნიშნოთ, რომ სხვადასხვა ქვეყნების პროფესიული

განათლების მოდელების განხილვისა და კვლევების შედეგად გამოიკვეთა, რომ, შესაძლოა, არც არსებობდეს უნივერსალური პროფესიული განათლების მოდელი, რომლითაც გარანტირებული იქნება მაქსიმალური სარგებელი. შინაარსი და ეფექტურობა ურთიერთდაკავშირებული და პროფესიული განათლების სისტემას მყარი ფესვები აქვს თითოეული ქვეყნის ეროვნულ კულტურაში.

- იმ ქვეყნებში, სადაც სამუშაოზე დაფუძნებული კომპონენტი წაკლებად განვითარებულია, შრომის ბაზარზე დასაქმების პროცესში ახალგაზრდები დიდ სირთულეებს აწყდებიან. განათლების პროგრამების წარმატება ან მარცხი დამოკიდებულია ამ მიმართულებით ქვეყნის პოლიტიკასა და ინსტიტუციებს შორის კომპლექსურ ურთიერთქმედებაზე, რომელიც, ბუნებრივია, განსხვავებულია და თავისებურია კონკრეტული ქვეყნისათვის.
- ევროპის ქვეყნებში შრომის ბაზრისა და განათლების ურთიერთკავშირის შედეგებისა და მათი ურთიერთობების განსხვავებების შესწავლის შედეგად მკვლევარები მივიღნენ დასკვნამდე, რომელიც ჩვენი ქვეყნისათვის არანაკლებ საინტერესო იქნება.
- საინტერესო დასკვნების საშუალებას გვაძლევს წინამდებარე თემაში წარმოდგენილი კვლევა „პროფესიული განათლება და შრომის ბაზარი“, შედარებითი ანალიზი ორი განსხვავებული კულტურის, ისტორიისა და საკანონმდებლო ბაზის მქონე ქვეყნების ჩინეთისა და გერმანიის მაგალითზე-კვლევის შედეგად გამოიკვეთა, რომ გერმანიის პროფესიული განათლების სისტემის უარყოფითი მხარეა ის, რომ იგი ამ სისტემის რთული სტრუქტურის გამო, ცვლილებებზე ძალიან ნელა რეაგირებს. ამას, თავის მხრივ, დიდი გავლენა აქვს შრომის ბაზრის საჭიროებების შესაბამისად სისტემის სწრაფ და უფრო მოქნილ ცვლილებების მნიშვნელობაზე. შეიძლება ითქვას, რომ გერმანიის პროფესიული განათლების სისტემაში ხაზგასმულია ის, რაც კონკრეტულად უპირატესია ქვეყნისათვის. ამის მიუხედავად, ცვლილებებთან ადაპტაციის ნელი მაჩვენებელი, ისევე როგორც საკმარისი შესაძლებლობების გახსნის არარსებობა პროფესიული განათლებისთვის, უდავოდ აღნიშნავს დიდ სისუსტეს შრომის ბაზრის მოთხოვნებთან დაკავშირებით. აღნიშნულის საპირისპიროდ, ჩინეთის პროფესიული განათლების სისტემა მყისიერად პასუხობს სწრაფ სოციალურ

და ეკონომიკურ ცვლილებებს. გაუმჯობესდა უნარების შეფასებები, შეიქმნა ახალი პროფესიები და კურიკულუმები, რომლებიც, დღევანდელი მდგომარეობით, ჩინეთის ინდუსტრიისა და შრომის ბაზრის მოთხოვნებს სრულად შეესაბამება. თუმცა იმის გამო, რომ პროფესიული სასწავლებლები არ (ვერ) თანამშრომლობენ კომპანიებთან, პროფესიული სასწავლებლების სტუდენტებს არ აქვთ თეორიული ცოდნის პრაქტიკაში განმტიცების შესაძლებლობა. გერმანიისა და ჩინეთის შედარებითი ანალიზი აშკარად ადასტურებს იმას, რომ სრულყოფილი სისტემა არ არსებობს. ნებისმიერ სისტემას აქვს ძლიერი თუ სუსტი მხარეები მარეგულირებელი დოკუმენტების, სისტემის დიზაინის, კულტურული თუ ისტორიული ასპექტების თვალსაზრისით.

- დღეს არსებული მდგომარეობით საქართველოში პროფესიულ განათლების წარმატებით განხორციელებისათვის საჭიროა მთელი რიგი მნიშვნელოვანი ნაბიჯების გადადგმა.

- ადგილობრივი შრომის ბაზრის მოთხოვნების კვლევის შედეგად პროფესიული განათლების დაგეგმვა და განვითარება საშუალებას იძლევა პროფესიულმა სასწავლებელმა დამოუკიდებლად, შრომის ბაზრის მოთხოვნის შესაბამისად, სოციალური პარტნიორებისა და დარგის ექსპერტების დახმარებით დროის დინამიკის გათვალისწინებით დაგეგმოს და განავითაროს სასწავლო პროცესი. კერძოდ:

- 1.1 განახორციელოს საგანმანათლებლო პროგრამების, სილაბუსების, მოდულების მოდიფიცირება, შესაბამისად, აღჭურვილობისა და ინფრასტრუქტურის იდენტიფიცირება;

- 1.2 განსაზღვროს თითოეულ საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლების ვადები;

- 1.3 მიმართოს პროგრამების სტანდარტების ცვლილებაზე პასუხისმგებელ ორგანოს ამა თუ იმ ცვლილების აუცილებლობის შესახებ;

- 1.4 დაგეგმოს პროფესიულ პედაგოგთა მომზადებისა და გადამზადების საჭიროებები;


- 1.5 განსაზღვროს ყოველწლიური მისაღები კონტიგენტის რაოდენობა პროგრამების მიხედვით;

1.6 მიიღოს უკუკავშირი დამსაქმებლისაგან დასაქმებული კურსდამთავრებულის ცოდნისა და უნარების შეფასებით;

1.7 ბაზრის კვლევის შედეგად გამოვლენილი ახალი კვალიფიკაციის იდენტიფიცირება და პასუხისმგებელი ორგანოსთვის საკვალიფიკაციო ჩარჩოში დასაბუთებულად ცვლილების განხორციელების მოთხოვნა. შესაბამისად, ახალი სტანდარტის შექმნის თაობაზე განაცხადის გაკეთება.

#### შრომის ბაზრის მოთხოვნების კვლევის შედეგად იზრდება:


1. პროფესიული კოლეჯის ცნობადობა და პრესტიჟი;
2. შრომის ბაზრის მოთხოვნის შედეგად მოდიფიცირებული პროგრამებით მომზადებული სტუდენტი მეტად მოთხოვნადი ხდება კერძო სექტორში, რაც თავის მხრივ ზრდის დასაქმების მაჩვენებელს;
3. დასაქმებული სტუდენტების რაოდენობის ზრდა, თავის მხრივ, ზრდის სწავლის მსურველთა რაოდენობას;
4. კერძო სექტორში დასაქმებული კურსდამთავრებული, თავის მხრივ, დამსაქმებელს სთავაზობს მათთვის უცნობ პროფესიულ სასწავლებელში მიღებულ ცოდნას, უნარებსა და ტექნოლოგიურ სიახლეებს, ბაზარზე შემდგომი დაწერგვისა და განვითარების მიზნით;
5. ყველა ის სიახლე-ინოვაცია რომელიც ინერგება პროფესიული კოლეჯის პარტნიორ ორგანიზაციებში, ასე ვთქვათ, უკვე გაფილტრული აისახება ჯერ პროფესიული კოლეჯის სასწავლო პროგრამებში, ხოლო შემდეგ, კურსდამთავრებულთა საშუალებით - სხვა ორგანიზაციებში. აღნიშნული გახლავთ მუდმივი ციკლი, რომელიც ხელს უწყობს შრომის ბაზრის განვითარებას;



6. შრომის ბაზრის კვლევისათვის რესურსის მომზადება ზრდის პროფესიული დაწესებულებების თანამშრომელთა კომპეტენციას კვლევებისა და შესაბამისი ანალიზის თვალსაზრისით.

ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ჩვენ მიერ განხორციელებულმა კვლევამ და ანალიზმა მიგვიყვანა დასკვნამდე, რომ დამსაქმებლებთან მჭიდრო კავშირი გვაძლევს საშუალებას, პროგრამის შინაარსის მოდიფიცირება მოხდეს მოქნილად და სწრაფად, რათა საგანმანათლებლო დაწესებულებამ უკეთესი შედეგები გამოავლინოს, კერძოდ, კი შრომის ბაზარს მიაწოდოს რაც შეიძლება მეტი კვალიფიციური და კონკურენტუნარიანი კადრი. დამსაქმებლის მოთხოვნის შესაბამისად მომზადებულ კურსდამთავრებულთა დასაქმების მაჩვენებელი ბევრად მაღალია. ასევე მაღალია მათი ანაზღაურებაც. მხოლოდ დამსაქმებლებთან მჭიდრო კავშირის საფუძველზე ხდება მყისიერად შრომის ბაზრის მოთხოვნებზე რეაგირება. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ საგანმანათლებლო პროგრამების ცვლილებამდე არ არის უარყოფილი პედაგოგების, პროფესიული ასოციაციების და განათლების ექპერტების მოსაზრებებიც. თუმცა სახელმძღვანელო და განსახილველი დოკუმენტი დამსაქმებლების მოთხოვნებისა და საჭიროებების კვლევის შედეგად მომზადებული ანალიზია. პროგრამების მოდიფიცირებისას ასევე მნიშვნელოვანია სხვადასხვა ტექნოლოგიური სიახლეების გათვალისწინება. შესაბამისად, პროგრამის მოდიფიცირება ხდება დამსაქმებლის მოთხოვნის, პედაგოგთა, პროფესიულ ასოციაციების, დარგის ექსპერტებისა და კურსდამთავრებულთა რეკომენდაციების, საერთაშორისო გამოცდილების გაზიარებით, რაც, მათ შორის, ტექნოლოგიის სიახლეების დანერგვით გამოიხატება. ხშირ შემთხვევაში პროფესიული ასოციაციები ასრულებენ შუამავლის როლს მწარმოებლებსა და პროფესიულ სასწავლებლებს შორის. ამის შედეგად კოლეჯები მანამდე ეცნობიან ახალ პროდუქციას, ვიდრე ის შრომის ბაზარზე მოხვდება. ქვემოთ მოცემულ სურათზე ნათლად ჩანს დამსაქმებლისა და დაწესებულების კავშირი: დამსაქმებელის მოთხოვნა აისახება პროფესიული კოლეჯის სასწავლო პროცესის დაგეგმვაში (საგანმანათლებლო პროგრმა, მისაღები კონტიგენტი და სხვა), ხოლო საგანმანათლებლო დაწესებულება ამზადებს სტუდენტს სხვადასხვა წყაროებიდან მიღებული სიახლეების შესაბამისად

(ინტერნეტი, კონფერენციები, ფორუმები, საერთაშორისო თუ ადგილობრივი კონკურსები, ტრენინგები და სხვ.). შედეგად, ბაზარზე კურსდამთავრებული უკვე სიახლეებით გაჯერებული ცოდნით გადის. სწორედ ეს გარემოებები გახლავთ ორივესათვის სასარგებლო და ურთიერთშემავსებელი. აღნიშნულ ურთიერთობაში სხვა გარე ფაქტორების ჩარევა დაწესებულებისათვის მხოლოდ შემაფერხებელ, არასწორ აქტივობას წარმოადგენს. ამ პროცესებში სხვა კერძო თუ საჯარო პირთა ჩარევა ზედმეტი და დამაზიანებელი იქნება (მაგ. განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო და სხვ.)



მნიშვნელოვანია, რომ თითოეულ კოლეჯს ჰქონდეს საკმარისი კომპეტენცია იმისათვის, რომ კვლევის საფუძველზე საგანმანათლებლო (სასწავლო) პროგრამის მოდიფიცირება შეძლოს. დღევანდელი მიდგომა, რომელიც პროგრამების ცენტრალიზებულად შექმნას გულისხმობს, თუნდაც ადგილობრივი თუ საერთაშორისო ექსპერტებისა და თვით დაწესებულებებისა და დამსაქმებლების აქტიური ჩართულობით, ვერ შეძლებს ფეხი აუწყოს სწრაფად ცვალებადი ბაზრის მოთხოვნებს. გასაგებია და ადეკვატური სახელმწიფოს მხრიდან იმის მოთხოვნა, რომ სტანდარტი ყველა საგანმანათლებლო დაწესებულებაში უნდა იყოს დაცული. თუმცა, ვფიქრობთ, მოუქნელი და დღევანდელი მოთხოვნების შეუსაბამო იქნება „სტანდარტული პროგრამა“, რომელიც, წესით, სულ მცირე სამ წელიწადში ერთხელ უნდა შეიქმნას - ეს კი ჯერჯერობით მხოლოდ ფურცელზეა დაწერილი და, პრაქტიკულად, პროგრამათა დიდი რაოდენობის მომზადება ჯერ ვერ მოხერხდა. განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი, რომელიც ამ პროგრამების

შემუშავებას უწევს ადმინისტრირებას, მხოლოდ ახლა იწებს მათ დანერგვას. ბუნებრივია, ამ პროცესს ბევრ სიკეთესთან ერთად, ხარვეზები და პრობლემებიც მოჰყვება და ვიდრე აღნიშნული საკითხები მწყობრში ჩადგება, დამსაქმებლის მოთხოვნები კვლავ შეიცვლება, სტანდარტული საგანამანათლებლო პროგრამა კი მის მოთხოვნებს უბრალოდ ჩამორჩება. სახელმწიფო მანქანა ვერასდროს ვერ იქნება ისეთი მოქნილი, როგორიც შეიძლება იყოს საგანამანათლებლო დაწესებულება. განხორციელებული კვლევიდან ნათლად ჩანს, რომ თუ (დანართი №1, დიაგრამა №15) 2013 წელს დამსაქმებელი კმაყოფილი იყო თავისი თანამშრომლით, შემდგომ წლებში ნაკლებად კმაყოფილია. ბუნებრივია, ბაზარი სწაფად ვითარდება, სულ უფრო მეტია კონკურენცია ბიზენსში და თანამშრომლებიც უფრო კარგად მომზადებული სჭირდებათ - იმ სიახლეებზე მორგებული, რომელთა დანერგვაც კონკრეტული დარგის განვითარების წინაპირობაა (საწინდარია). სახელმწიფო და მისი შექმნილი ჩარჩო დოკუმენტი (სტანდარტული პროგრამა) კი ვერ შეძლებს უზრუნველყოს ასე სწრაფად ცვალებადი ბაზრის მოთხოვნები.

ყოველი ახალი სასწავლო წლის დაწყებამდე აღნიშნული საგანმანათლებლო დაწესებულება კვლევის, განხილვების და ანალიზის საფუძველზე მუდმივი განახლების პროცესშია. მიზანი კი შრომის ბაზრის მოთხოვნაზე ორიენტირებული სწავლებაა. საგანმანათლებლო დაწესებულების მიზანია ბაზრის მოთხოვნის შესაბამისი კომპეტენციის მქონე კურსდამთავრებული მოამზადოს, რომელსაც შემდგომში არ გაუჭირდება როგორც ადგილობრივ ბაზარზე, ისე საერთაშორისო ასპარეზზე გასვლა და დასაქმება. ადგილობრივი შრომის ბაზრის კვლევის მიხედვით, წლიდან წლამდე პროგრამების მოდიფიცირება (ბუნებრივია, ამის საჭირების შემთხვევაში) ერთ-ერთი მნიშვნელოვანია იმ სხვა ფაქტორთა შორის, რომლებიც, სამომავლოდ, დაწესებულების ეფექტური მუშაობის განმსაზღველად შეიძლება იქცეს.

### რეკომენდაციები:

სახელმწიფოს მიერ დაფუძნებული დაწესებულებები, საჯარო სამართლის იურიდიული პირები, რომელთაც დელეგირებული აქვთ განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსაგან მთელი რიგი ფუნქციები (მასწავლებელთა

პროფესიული გადამზადების ცენტრი, განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი და სხვ.), თავისი საქმიანობის მასშტაბურობისა და მრავალფეროვნების გამო, დღევანდელ სინამდვილეში ბიუროკრატიულ და, მაშასადამე, მოუქნელ ინსტიტუციებად არის წარმოდგენილი. ისინი ბაზრის მოთხოვნის შესაბამისად, დროის მოკლე მონაკვეთში ვერ ახერხებენ რეაგირებას და ალბათ, არც არის მათი ფუნქცია ამგვარი აქტივობები. აქედან გამომდინარე, მნიშვნელოვანია, რომ დაწესებულებებს სასწავლო პროგრამების მომზადების პროცესში ჰქონდეთ დამოუკიდებლად მოქმედების უფლება, ასევე, იმის საშუალება, რომ თავად მოამზადონ ბაზრის მოთხოვნის შესაბამისი პროგრამა ან უკვე არსებულის მოდიფიცირება მოახდინონ. დღეს საგანამანათლებლო დაწესებულებებში ამგვარი ცვლილებები ვერ ხორციელდება. თუმცა ეს მიდგომა არ გულისხმობს იმას, რომ პროფესიული პროგრამების განმახორციელებელი დაწესებულებები არ უნდა იყვნენ ანგარიშვალდებული სახელმწიფოს წინაშე. დაწესებულების საქმიანობის ღიაობა, გამჭვირვალეობა და ანგარიშვალდებულება კანონით არის განსაზღვრული და შესაძლებელია კიდევ მეტად იყოს უზრუნველყოფილი. თუმცა, ამავდროულად, მათ საქმიანობაში დაცული უნდა იყოს ავტონომიურობის მაღალი ხარისხი და დამოუკიდებლად მოქმედების საშუალება.


პროგრამის ცენტრალიზებულად მომზადება ასევე ვერ ითვალისწინებს თითოეული რეგიონის გეოგრაფიული მდებარეობიდან, განსხვავებული ეკონომიკის და სხვა საჭიროებებიდან გამომდინარე თავად რეგიონის ბაზრის მოთხოვნებს. მოუქნელობის მიზეზი კი ბუნებრივია ცენტრალიზებული მართვაა.

განათლების სისტემის ხელმისაწვდომობისა და სიცოცხლის ბოლომდე სწავლის შესაძლებლობის უზრუნველსაყოფად, სახელმწიფოს მხრიდან მნიშვნელოვანი, ქმედითი და გაბედული ნაბიჯები უნდა გადაიდგას, რათა მოქნილი, შრომის ბაზრის მოთხოვნაზე და შესაბამისად პროფესიული კოლეჯის კურსდამთავრებულის დასაქმებაზე ორიენტირებული საგანამანათლებლო სისტემა მივიღოთ.

შესაბამისად, პროფესიული განათლების განმახორციელებელი წარმატებული დაწესებულება შეიძლება იყოს დაწესებულება, რომლის ადმინისტრაციაც სწორ პოლიტიკას ახორციელებს: პროფორიენტაცია, მაღალი კომპეტენციის მქონე

სახელმწიფოსაგან დაფასებული მასწავლებელი, აქტიური დამსაქმებელი და სოციალური პარტნიორები, ბაზრის მოთხოვნის შესაბამისად დაგეგმილი სასწავლო პროგრამები, რომლებმაც არამც და არამც არ უნდა დაკარგოს ინდივიდუალიზმი და თავად სასწავლო პროცესი, რომელიც ყოველთვის ღიაა სიახლეებისა და ცვლილებებისადმი და მზადაა მათი დანერგვისათვის. ვფიქრობთ, პროგრამის შექმნისა და შემდგომი მოდიფიცირების აღნიშნული მოდელი .

დაფუძნებულია პარტნიორულ ურთიერთობაზე, როგორც შრომის ბაზართან



(ერთად ამზადებენ პროფესიულ პროგრამებს), ისე სოცილურ პარტნიორებთან (აწვდიან ინფორმაციას შრომის ბაზარზე არსებული სიახლეების შესახებ) და მთავრობასთან. წამყვანი როლი აქ საგანმანათლებლო დაწესებულებას და დამსაქმებლის ურთიერთობას უკავია. თუმცა აღნიშნული მოდელი არ გამორიცხავს თავისთავად ძლიერი ანგარიშვალდებულებების სისტემის არსებობას, რომელშიც უზრუნველყოფილი იქნება პროცესების ღიაობა და გამჭვირვალობა (ფინანსური, ქონებრივი და სხვა).

როგორც ზევით ავღნიშნეთ, პროგრამების მომზადება და მოდიფიცირება დამსაქმებლების მოთხოვნების კვლევისა და ანალიზის შესაბამისად (რომელიც შემდეგ პედაგოგებთან, ექსპერტებთან და სოციალურ პარტნიორებთან განხილვის შედეგად საგანმანათლებლო პროგრამაში შესაბამის საგნებად და საათებად იქცევა), მომზადებული პროექტი დაფინანსთა ათასწლეულის გამოწვევის ფონდის პროფესიული განათლება ეკონომიკის განვითარებისთვის საგრანტო კონკურსის ფარგლებში („პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების პრაქტიკის გაუმჯობესება მცირე საგრანტო პროგრამა“). აღნიშნულ საკითხის თაობაზე გაიმართა კონსულტაციები განათლების ხარისხის ეროვნულ ცენტრთანაც აღნიშნულთან

დაკავშირებით. 2016 წლის 2 ნოემბერს განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის #1095 ბრძანებით შევიდა ცვლილება სსიპ-განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2016 წლის 4 აგვისტოს #733 ბრძანებაში „პროფესიული სტანდარტის, საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტის და მოდულის შემუშავების წესის დამტკიცების შესახებ“, რომლის მიხედვითაც ჩარჩო დოკუმენტის (საგანმანათლებლო პროგრამის) შემუშავება/გადამუშავებაში ინიცირების უფლება ეძღვავა პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების უფლების მქონე საგანმანათლებლო დაწესებულებას, რომელიც უნდა ეყრდნობოდეს ბოლო ექვსი თვის განმავლობაში ჩატარებულ ბაზრის მოთხოვნის რაოდენობრივ და თვისებრივ კვლევას.

